ქართველური ენათმეცნიერების სერია
THE SERIES OF THE KARTVELIAN LINGUISTICS
VI

გიორგი ჯღარკავა

GIORGI JGHARKAVA

ქართველურ ენათა ანდაზების ენობრივი ანალიზი და კვლევის პერსპექტივები

LINGUISTIC ANALYSIS OF PROVERBS IN KARTVELIAN LANGUAGES AND RESEARCH PERSPECTIVES

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2026 Tbilisi

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ქართველურ ენათა ანდაზების ენობრივი ანალიზი, რომელიც საყურადღებოა როგორც ქართველოლოგიური, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ნაშრომში კომპლექსურადაა განხილული ანდაზის სტრუქტურა-სემანტიკასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტთათვის, სტუდენტებისთვისა და, ზოგადად, ქართველთა ისტორიით, ყოფა-ცხოვრებითა და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომი ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა; იგი ძირითადად ეყრდნობა ამ თემაზე 2024 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციას და, შესაბამისად, გათვალისწინებულია ოფიციალური ოპონენტებისა და კომისიის წევრების შენიშვნები და რეკომენდაციები. ავტორი ამჯერადაც მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან წინადადებას.

რედაქტორები: ასოცირებული პროფესორი ***მაია ლომია***
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი ***ქეთევან მარგიანი***
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი ***სალომე ომიაძე***
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი ***ვაჟა შენგელია***
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

პროფესორი ***მანანა თანდაშვილი***
ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი

© გ. ჯღარჯავა

გამომცემლობა **„უნივერსალი“**, 2026

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი)
ISBN 978-9941-534-08-9 (წიგნი VI)
UDC (უაკ) 821.35.09-84
ჯ – 964

The monograph offers a comprehensive linguistic analysis of proverbs within the Kartvelian languages, providing significant insights for both Kartvelian studies and general linguistic typology. The study adopts a holistic approach to investigate the theoretical and empirical issues concerning the structural and semantic dimensions of proverbial discourse. This work is intended for researchers in the humanities, students, and a broader audience interested in Georgian history, ethnography, and socio-cultural idiosyncrasies. It represents the inaugural attempt at a monographic investigation of Georgian, Megrelian, Laz, and Svan proverbs. The core of this research is derived from a doctoral dissertation defended in 2024; accordingly, it integrates the feedback and recommendations provided by the official opponents and the dissertation committee. The author welcomes further constructive academic dialogue and suggestions.

Editors: Associate Professor ***Maia Lomia***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor ***Ketevan Margiani***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Reviewers: Associate Professor ***Salome Omiadze***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Professor ***Vazha Shengelia***
The Georgian National Academy of Sciences,
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Professor ***Manana Tandashvili***
Goethe University Frankfurt

სარჩევი

შესავალი 8
INTRODUCTION 12
თავი I – ქართველურ ენათა ანდაზების კვლევის ზოგადთეორიული საფუძვლები 15
1.1 ანდაზის დეფინიცია, წარმომავლობა და მათთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები 15
1.2 ანდაზის ინტერდისციპლინურად შესწავლის ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენი: მნიშვნელობის გადმოცემის ძირითადი ასპექტები 28
1.3 ქართველურ ენათა ანდაზების შეკრების ისტორია: ბეჭდური გამოცემები და მონაცემთა ბაზები (ძირითადი მიმოხილვა) 36
1.4 ქართველურ ენათა ანდაზების მეცნიერული შესწავლის ისტორია 57
1.5 საკვლევი პრობლემის არსი; თემის აქტუალურობა და სირთულე; კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები. 70
1.6 ველზე მუშაობის დაგეგმვა: გამოწვევები და პერსპექტივები 75
1.7 კვლევის ძირითადი წყაროები და მეთოდოლოგიური ჩარჩო 78
1.8 კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება 83
1.9 კვლევის პერსპექტივები (ძირითადი ასპექტები) 85

თავი II — ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურული ანალიზის ძირითადი საკითხები 87
2.1 ზოგადი მიმოხილვა 87
2.2 რეფერენციულობის კატეგორია და პირთა მიმართებების დეიქტური ფუნქცია ქართველურ ენათა ანდაზებში 88
2.2.1 რეფერენციულობის კატეგორიის არსი 88
2.2.2 პირის დეიქსისი, როგორც რეფერენციის საშუალება ქართველურ ენათა ანდაზებში 90
2.2.3 განზოგადებული პირველი პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში 95
2.2.4 განზოგადებული მეორე პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში 105
2.2.5 განუსაზღვრელი პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში 109
2.2.6 პირთა მიმართება პრაგმატიკული თვალსაზრისით ქართველურ ენათა ანდაზებში 111
2.3 მიმართვის ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტები ქართველურ ენათა ანდაზებში 118
2.4 და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში 130
2.5 ევიდენციალობის ენობრივი ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში 142
2.5.1 ევიდენციალობის გამოხატვის მორფოსინტაქსური საშუალებები ქართველურ ენათა ანდაზებში 143

2.5.2 ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურა ევიდენციალობის თვალსაზრისით 147
თავი III – ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური ანალიზის პრინციპები 156
3.1 ზოგადი მიმოხილვა 156
3.2 ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი 158
3.3 ანდაზების სახეცვლილი ვარიანტები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია 171
3.4 ანდაზა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი 189
3.4.1 „ბედის“ კონცეპტი ქართულ ენაში 194
3.4.2 „ბედის“ კონცეპტი დანარჩენ ქართველურ ენებში 204
3.4.3 „ბედის“ კონცეპტი ქართველურ ენათა ანდაზებში 219
3.5 ანდაზები ქართულ პოლიტიკურ დისკურსში 223
თავი IV – ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკა 239
4.1 ზოგადი მიმოხილვა 239
4.2 ქართველურ ენათა ანდაზების თემატური ასპექტები და ლექსიკური მახასიათებლები 240
4.3 რიცხვით სახელთა ფუნქციური დანიშნულება ქართველურ ენათა ანდაზებში 255
4.4 ფონოსემანტიკურ ერთეულთა ფუნქციური დანიშნულება ქართველურ ენათა ანდაზებში 267
4.5 გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში 280

თავი V – ქართველურ ენათა ანდაზების კვლევის პერსპექტივები თანამედროვე პარემიოლოგიის ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით 293
5.1 ზოგადი მიმოხილვა 293
5.2 მონაცემთა ბაზები, თანამედროვე ტექნოლოგიები და ქართველურ ენათა ანდაზები კორპუსლინგვისტიკის პერსპექტივიდან 295
5.3 ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზა: რესურსების შექმნის ძირითადი პრინციპები 305
5.4 ანდაზა საგანმანათლებლო სივრცეში: გამოწვევები და ტენდენციები 310
ბიბლიოგრაფია 326
სამეცნიერო ლიტერატურა 326
ბეჭდური და ელექტრონული წყაროები: ლექსიკონები, ტექსტები 382
საარქივო მასალები 397
შემოკლებათა განმარტებანი 398
მთქმელები 400
დ ა ნ ა რ თ ი 405

შესავალი

ანდაზა განსაკუთრებული ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენია. ანდაზის კვლევა **მნიშვნელოვანი** და **აქტუალურია** არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სხვა დისციპლინათა პერსპექტივიდანაც; მათ შორის წამყვანი ადგილი ლინგვისტურ ანალიზს უჭირავს, რადგან ენაშია გაცხადებული ერის ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები. ანდაზა უძველესი კოდური ინფორმაციის შემცველია. იგი ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრია, რომელიც დღესაც ზეპირმეტყველებაში გვეძლევა. ანდაზაში კონცენტრირებულია საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, სიბრძნე, მაღალზნეობრივი და აღმზრდელობითი დარიგებები. ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ხშირად კულტურულ-სპეციფიკური ნიშნითაც არის შეფერილი, რაც იძლევა საშუალებას ერთმანეთს შეერწყას ანდაზისთვის ბუნებრივი იზომორფიზმი და ალომორფიზმი, ვარიანტულობა და ინვარიანტულობა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ქართველურ ენათა ანდაზებისა და მათში ასახული კულტურულ-მენტალური ფენომენების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი და საერთოქართველური ანდაზური ფონდის კომპლექსური კვლევა.

წარმოდგენილი ნაშრომის **მიზანია** ქართველურ ენათა ანდაზების მიხედვით იმ ენობრივ-გამომსახველობითი ინვენტარის წარმოჩენა, რომელთა საშუალებით ანდაზა წარმოგვიდგება მოქნილი და ტევადი შინაარსის, განზოგადებული სიბრძნის, სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელ ფრაზად. მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული კონკრეტული **ამოცანები** მიემართება ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკურ თავისებურებათა წარმოჩენას; დასახული მიზნისა და ამოცანების განხორციელება გამოკვეთს საერთოქართველურ ტიპოლოგიას და საკუთრივ კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ენობრივ თავისებურებებს. ანდაზის მორფოსინტაქსური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტების წარმოჩენა ნაშრომის **სიახლესაც** განსაზღვრავს, რაც ქართველურ ენათა ანდაზური ფონდის სისტემური კვლევითა და ემპირიული მასალის ანალიზისას ტრადიციული თეორიული ცოდნის ახლებური გააზრებით გამოიხატება.

წინამდებარე ნაშრომში **საანალიზო მასალა** ქართველურ ენათა ანდაზების ბეჭდური გამოცემები და კორპუსული მონაცემებია; გარდა ამისა, გამოყენებულია საარქივო და სხვადასხვა დროს ველზე მუშაობისას მოპოვებული მასალები. საველე მასალა ძირითადად წარმოდგენილია ანდაზათა ვარიაციებითა და მთქმელებთან დაზუსტებული კონკრეტული ანდაზების შინაარსობრივი მონაცემებით.

საკვლევი საკითხებისა და განსახილველი მასალის სპეციფიკურობის გათვალისწინებით განისაზღვრა ნაშრომის ***მეთოდოლოგიური ჩარჩო;*** კერძოდ, გამოვიყენეთ **დესკრიფციული**, **სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი, კონტრასტული ანალიზის, სუბსტიტუციის** (ჩანაცვლების), **პერმუტაციის** (გადანაცვლების), **სინტაქსური ტრანსფორმაციის, ველზე მუშაობის, ელიციტაციის** (მიზნობრივი გამოკითხვა//ჩაკითხვა//დაზუსტება), **კორპუსზე დამყარებული** და **კორპუსით განპირობებული** კვლევის მეთოდები. მათი საშუალებით არსებული თვალსაზრისები გადამოწმდა და გამოიკვეთა ახალი შეხედულებები და კვლევის პერსპექტივები.

რაც შეეხება **კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულებას** და პოტენციურ **პრაქტიკულ მნიშვნელობას,** უპირველესად, ანდაზის კვლევის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში ასახული შედეგები მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც საკუთრივ ქართველოლოგთათვის, განსაკუთრებით – ენათმეცნიერებისთვის, ისე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვის; შესაბამისად, ამგვარი კვლევის შედეგებს აქვთ ზოგადთეორიული მნიშვნელობა ტიპოლოგიური კვლევებისთვისაც. კვლევის შედეგების ღირებულებას მნიშვნელოვანწილად ზრდის ისიც, რომ ნაშრომში გაანალიზებულია საფრთხეში მყოფი არასალიტერატურო ქართველური ენების მონაცემები; ამასთან, გათვალისწინებულია ველზე მუშაობისას მოპოვებული მასალები და საარქივო დოკუმენტები.

მონოგრაფიაში განხილული თეორიული და პრაქტიკული საკითხები საყურადღებოა კვლევის **პერსპექტივის** თვალსაზრისითაც; კერძოდ, სამომავლოდ გადაუდებელი საქმეა ანდაზების ინტერპრეტაციის, კონცეპტების მიხედვით მათი კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და პოლიტიკურ დისკურსში ანდაზის ფუნქციური როლის ფართოდ განხილვის საკითხები; ასევე, განვითარების **სამომავლო ხედვა** შეფასებულია კორპუსლინგვისტიკის პერსპექტივიდანაც: ქართველურ ენათა ანდაზური ფონდი სათანადო დამუშავების შემდეგ შესაძლებელია იქცეს ქართველურ ენათა ანდაზების ერთიან ელექტრონულ ბაზად.

ყოველივე ზემოთქმული ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებასა და კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

INTRODUCTION

Proverbs constitute a unique linguistic, cultural, and cognitive phenomenon. The study of proverbs holds **significance** not only linguistically but also across various disciplines. Linguistic analysis, in particular, takes precedence as it unveils the specific characteristics of a nation's life, history, and culture embedded within its language. Proverbs encapsulate ancient encoded knowledge, representing a genre of folk oral traditions perpetuated through contemporary oral discourse. Within them, one finds a concentration of experience, wisdom, moral teachings, and educational insights. The universal moral principles and admonitions inherent in proverbs are often imbued with national characteristics, allowing for a blend of isomorphism and allomorphism, variability, and invariance, natural to this form of expression.

Given these nuances, the research into Kartvelian proverbs and the complex comparative analysis of the cultural and cognitive phenomena they reflect assume paramount importance.

The aim of this work is to present a linguistic-expressive inventory presented in Kartvelian proverbs. This inventory lets the proverbs to be portrayed as phrases characterized by flexible and expansive content, encapsulating generalized wisdom and distinctive intonation. To achieve this goal, specific **tasks** have been outlined aimed at elucidating the structure, semantics, and lexical peculiarities of Kartvelian proverbs. Accomplishing these tasks will outline the general typology of common Kartvelian proverbs and delineate

specific linguistic features unique to this domain. Its comprehensive presentation of morphosyntactic, linguo-cultural, and lexical-semantic aspects of proverbs is another determinant of **the novelty** of this work, offering fresh insights into traditional theoretical frameworks and empirical analyses.

The material analyzed in this book comprises printed editions of Kartvelian proverbs, corpus data, as well as archival and field materials obtained at different times. Field materials predominantly consist of proverb variations and contextual data gathered from speakers and confirmed by them.

The methodological framework of this work was crafted with careful consideration of the research issues and the specificity of the material under discussion. It incorporates **descriptive, statistical, historical-comparative,** and **contrastive analyses,** along with techniques such as **substitution, permutation, syntactic transformation, fieldwork, elicitation,** and **corpus-based** and **corpus-driven** research methods. Through these methodologies, existing perspectives have been validated, and novel insights and research directions have emerged.

As for the **scientific value** and **potential practical value** of the research results, first of all, due to the interdisciplinarity of the proverb, the results of the present research are important and interesting both for Kartvelologists, especially for linguists, and for specialists in related fields; Consequently, the results of such research have a general theoretical significance for typological studies as well. The value of the research results is significantly increased by the fact that the data of non-literary Kartvelian languages in danger are analyzed in the

paper; In addition, materials and archival documents obtained during field work are taken into account.

The results of the theoretical and practical values presented in the book are noteworthy in terms of the avenues for **future research;** In particular, in the future, the issues of interpretation of proverbs, their qualification-classification in terms of concepts, broad discussion of the functional role of proverbs in literary works and political discourse are urgent; Also, the **future vision** of the development is evaluated from the perspective of corpus linguistics: the proverbial fund of Kartvelian languages can become a single electronic database of proverbs of Kartvelian languages after proper processing.

All of the above increases the scientific value of the work and the prospect of practical application of research results.

თავი I — ქართველურ ენათა ანდაზების კვლევის ზოგადთეორიული საფუძვლები

1.1 ანდაზის დეფინიცია, წარმომავლობა და მათთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

ანდაზას მსოფლიოს ხალხთა ენობრივ-კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სხვადასხვა ენის ანდაზურ ფონდზე დაკვირვებასა და ანალიზს დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა დღემდე არ არსებობს ერთიანი შეჯერებული აზრი ანდაზის ცნებასთან დაკავშირებით[1]; მიუხედავად ამისა, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ანდაზისთვის დამახასიათებელი ის ზოგადი ნიშნები, რომლებზეც მეტ-ნაკლებად ყველა თანხმდება. ერთი მოსაზრებით, „ანდაზა არის აღმზრდელობითი ხასიათის ალეგორიული გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი მინიშნებით გვეძლევა“ (ერთელიშვილი 1957:109)[2]; სხვა თვალსაზრისით, ანდაზის ცნების დეფინიცია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ანდაზა ერთი წინადადებით გამოხატუ-

[1] უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის პრობლემურობაზე ვრცლად იხ. Norrick 2014:7-27.

[2] ანდაზით გადმოცემული აზრის ეფექტურობას ხაზს უსვამს რ. შამელაშვილის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც: „ძალიან ხშირად წახალისებისა და დასჯის ვერავითარი ღონისძიება ვერ ახდენს იმდენ გავლენას ადამიანზე, როგორსაც მოულოდნელად თქმული მოსწრებული სიტყვა“ (შამელაშვილი 1977:3).

ლი ალეგორიული ხასიათის გამონათქვამია, რომელიც შეიცავს ხალხის გონებამახვილურ დაკვირვებას რაიმე მოვლენაზე და რომელიც, ჩვეულებრივ, განზოგადებულია და მორგებულია ანალოგიურ მოვლენებს“ (ლეჟავა 1959:140). ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები ერთმანეთს ავსებს და შეჯერებული ვერსიიდან შესაძლოა გამოიყოს ანდაზისთვის დამახასიათებელი უმთავრესი სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები: **ლაკონიურობა, ალეგორიულობა, დიდაქტიკურობა, მეტაფორიზაცია, რიტმულ-გრამატიკული ორგანიზებულობა**[1] და მისთ. ხსენებულ ნიშნებს ლ. კვაჭაძე სამართლიანად უმატებს კიდევ ერთს – **ვარიანტულობას** (კვაჭაძე 1981:46). აღნიშნული მახასიათებლების გამოყოფის სისწორეს ადასტურებს ქართველურ ენათა ანდაზური ფონდიც.

რაც შეეხება **ანდაზის** ეტიმოლოგიას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იგი უნდა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვიდან **اندرز [andarz].** შენიშნულია, რომ ეს სპარსული ლექსემა ქართულში მე-11 საუკუნიდან გვხვდება, რა დროსაც ჩვენში განსაკუთრებით აქტიურდება აღმოსავლური ნაკადი, ინტენსიურად

[1] ანდაზა, როგორც რიტმულად და გრამატიკულად ორგანიზებული ფრაზა, დახასიათებულია „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ (იხ. Ярцева 1990:389); ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ლ. ლეჟავას მოსაზრებაც: „ყველაზე ნიშანდობლივი ანდაზის ენისათვის წინადადების არქიტექტონიკაა. ანდაზის წინადადება სინტაქსურად და ინტონაციურად მტკიცედ შეკრულ ორ, სამ, იშვიათად მეტ ნაწილად იყოფა“ (ლეჟავა 2008:32). ამავე თვისებაზე ამახვილებს ყურადღებას ლ. ფაჩულიაც – ფაჩულია 2015:82).

ითარგმნება ლიტერატურა, იზრდება ენობრივი კონტაქტები (შურღაია 1989; ბართაია 2010). მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, *ანდაზის* ცნებასთან დაკავშირებული *ანდერძი//ანდერზი//ანდრეზი* სიტყვების ამოსავალი უნდა იყოს ფალაური **handarz,** რაც *რჩევას, დარიგებას, ბრძანებას* ნიშნავს (ანდრონიკაშვილი 1966:283)[1].

---

[1] სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ***ანდაზის*** ძირითადი მნიშვნელობა არ არის მოცემული, თუმცა საინტერესოა ავტორის მიერ შემოთავაზებული ის დამატებითი სემანტიკური მახასიათებელი, რომელიც ანდაზის არსობრივ მხარესაც უკავშირდება: „ანდაზა სამოსელთა და საბუჟართა და ჴამლთა და რაოდენი გამოიკვეთებიან ეგევითარნი“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991:426). ლექსიკონში ცალკეა განმარტებული ლექსემა ***საანდაზო,*** როგორც „ანდაზად დასადებ(ელ)ი“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993:18). ნათელია, რომ საბასთან ანდაზის მეორე მნიშვნელობა უკავშირდება ერთგვარ თარგს, ყალიბს, მაგალითს. ამავეს ადასტურებს ჯავახური ლექსიკონის მონაცემებიც: „ანდაზა – ფიცრის ნაჭრისაგან დამზადებული კუთხის საზომი ხელსაწყო, თარგი. „სახლი ქოშა ***ანდაზაზე*** თუ არ დაიჭირე, ბრუდეთ მოგივა“ (ზედგინიძე 2014:24). ანდაზა//თარგი, როგორც ქვის სამართ-საზომი ხელსაწყო, წარმოდგენილია ქვითხუროობის ტერმინოლოგიაშიც (ნადირაძე 2016:342). საინტერესოა, რომ ანდაზის ზემოხსენებული დამატებითი მნიშვნელობა თვით სპარსულშივე დასტურდება; კერძოდ, „სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული **اندازه [andâze]** შემდეგი მნიშვნელობებით: 1. გაზომვა, ზომა; სიდიდე; მოცულობა... მასშტაბი; 2. ხარისხი; რაოდენობა“ (ბართაია 2010:17). ანდაზა, როგორც ***მაგალითი, საზომი, ნიმუში*** განმარტებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ შედგენილ ენციკლოპედიაში „საქართველო“ (იხ. ბმულზე: https://georgianencyclopedia.ge). ვფიქრობთ, რომ მოყვანილი წყაროების მიხედვით იკვეთება მჭიდრო კავშირი ანდაზის ძირითად და დამატებით მნიშვნელობებს შორის, რადგან ანდაზა ხშირად „ტექსტის ხარისხის“ დადგენა-განსაზღვრისას ერთგვარ საზომადაც შეიძლება გამოდგეს.

ანდაზის ცნებას ქართულში ზოგჯერ აიგივებენ ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა: *აფორიზმი*[1], *სიტყვის მასალა, შეგონება, სენტენცია, ფრაზეოლოგიზმი, არაკი*[2] და სხვ. (შდრ. აგრეთვე ხევსურული *ანდრეზი//ანდერძი*[3]); გარდა ზემოაღნიშნულისა, *ანდაზის* სინონიმად ხში-

---

[1] აქამდე გამოცემულ ზოგიერთ კრებულში თავმოყრილი მასალის მიხედვით ნათელია, რომ ბრძნული გამონათქვამები (ანდაზები, აფორიზმები) ერთმანეთისგან არც არის გამიჯნული (ნიმუშისათვის იხ. ჩავლეიშვილი 1977).

[2] სვანურ ენაში ანდაზის აღმნიშვნელად „არაკ“ ძირის ***„ჰარაკ“*** ლექსემა გამოიყენება; ქს. სიხარულიძის ცნობით, რომელიც 1945 წლის ზაფხულში ზემო სვანეთში მასალის ჩასაწერად იყო მივლინებული, ანდაზას სვანები ***„ჰარაკ-ჰურაკს“*** უწოდებენ (სიხარულიძე 1958:410). მეგრულში ანდაზას შეესაბამება ლექსემა ***„მოკო“,*** თუმცა ლექსიკონებში აღნიშნული სიტყვის სხვა მნიშვნელობებიცაა მითითებული; კერძოდ, ი. ყიფშიძესთან: **მოკო** пословица, иносказательное (ყიფშიძე 1994:485); პ. ჭარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში: მ ო კ ო – იგავი (ჭარაია 1997:95); ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: **მოკო** – ანდაზა, იგავი. შდრ. **მოიადა** (ქაჯაია 2002:297). ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონში მოცემულია შემდეგი განმარტება: **მოკო** – ანდაზა, ნართაული, აქია; ჭკვიანური, ბრძნული (ქობალია 2010:469). რაც შეეხება ანდაზასთან სემანტიკურად ახლოს მყოფად მიჩნეულ ლექსიკურ ერთეულს ***„მოიადა“,*** იგი განიმარტება როგორც: ა) **მოიადა** – ანდაზა; გადაკრული თქმა; იგავ-არაკი (ქაჯაია 2002:295); ბ) **მოიადა** – ნართაული, ნართაულად ნათქვამი; აქია, ლათაია, მოყოლებული გრძელი ამბავი (ქობალია 2010:468). ამგვარი ტერმინოლოგიური სიჭრელე, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ რთულია ერთიანი შეჯერებული აზრის ჩამოყალიბება ისეთ ფუნდამენტურ საკითხზე, როგორიცაა ანდაზის ცნების დეფინიცია (დაწვრ. მსჯელობა იხ. ამავე პარაგრაფში).

[3] ზ. კიკნაძე შენიშნავს, რომ ა. წერეთლის „ბაში-აჩუკში“ ანდაზა სწორედ ანდერძთანაა დაკავშირებული: „აღარ გახსოვთ ძველი ანდერძი: „სირცხვილს სიკვდილი სჯობს და ორივე კი ერთად ჯოჯოხეთიაო“ (ვრცლად იხ. კიკნაძე 2008:324-325).

რად *პარემიასაც* (ბერძნ. Παροιμία) იყენებენ და მის შემსწავლელ დარგს *პარემიოლოგიას* უწოდებენ (Soares 2009)[1]; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი *„პარემია“* გაცილებით ფართო მნიშვნელობისაა და მასში, გარდა ანდაზისა, იგავებს, აფორიზმებს და მსგავს გამონათქვამებსაც მოიაზრებენ[2]. საინტერესოა, რომ ამ ბოლო დროს უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ტერმინი “Proverbiology” (Villers 2020:146), რომლის შესატყვისად მიიჩნევა ქართული ***„ანდაზათმცოდნეობა“***[3].

სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ ანდაზა განსხვავდება როგორც იგავისგან, ისე

[1] განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. Permyakov 1988.

[2] საინტერესოა, რომ იგავისა და პარემიის ურთიერთკავშირი ჯერ კიდევ პროკლე დიადოხოსის თხზულების („კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“) იოანე პეტრიწისეულ თარგმანში დასტურდება: „სახელი ესე იგავთა, რომელ არს პარჳმიე“ (პეტრიწის ნაშრომის ციფრული გამოცემა იხ. TITUS-ის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში: https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de).

[3] ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ანდაზის პარალელურად დასტურდება ტერმინი ***მეტაანდაზა,*** რომელიც კვალიფიცირებულია როგორც მნიშვნელოვანი იდეისა და შინაარსის, განსაკუთრებით დიდი გავლენის მქონე ანდაზა. ამის მაგალითად მიიჩნევა შემდეგი ანდაზები: „წინა კაცი უკანას ხიდია // ადამიანი ადამიანის ხიდია // ადამიანი ადამიანის წამალია“ (ჭელიძე 2022:178-188). ვფიქრობთ, რომ ანდაზების დაყოფა მცირე და დიდი გავლენის მქონე ჯგუფებად სუბიექტურია და მეტად პირობით ხასიათს ატარებს; ანდაზის პოპულარობისა და გავრცელებულობის განსასაზღვრად, აგრეთვე, მისი მსოფლმხედველობითი ასპექტების ანალიზისას აუცილებელია კომპლექსური მიდგომა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.

აფორიზმისგან[1]; კერძოდ, იგავი შედარებით ვრცელი, სიუჟეტიანი ნაწარმოებია, ხოლო ანდაზას მეტი სისხარტე, მოქნილობა ახასიათებს და ძირითადად ერთ წინადადებაშია მოქცეული. რაც შეეხება აფორიზმს, მსგავსად ანდაზისა, ისიც თავსდება ერთი წინადადების ფარგლებში და დამრიგებლურ შინაარსსაც შეიცავს, თუმცა ანდაზისა და აფორიზმის განმასხვავებელ ნიშნად ალეგორიულობას ასახელებენ: „ანდაზა ალეგორიული გამონათქვამია და ამიტომ არის, რომ დამრიგებლობითი შინაარსი აქ მინიშნებით გვეძლევა. აფორიზმში ალეგორიულობა არა გვაქვს და ამიტომ დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ არის ხელშესახები“ (ერთელიშვილი 1958:166). ზ. ჭუმბურიძის აზრით, „ანდაზა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. თუ ბრძნული აზრი ვინმე ერთ პირს ეკუთვნის, მას – ანდაზისაგან განსხვავებით – აფორიზმს უწოდებენ“ (ჭუმბურიძე 1978:170). სხვა თვალსაზრისების თანახმად, „ანდაზა შუალედური რგოლია ფრაზეოლოგიზმსა და ტექსტს შორის და ავლენს ორივე ერთეულის დამახასიათებელ თავისებურებებს“ (ღამბაშიძე და სხვები 2017:193); ან: „განსაკუთრებით გამორჩეულ ანდაზას ეწოდება აფორიზმი“ (ჭელიძე 2022:184). ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილი შეხედულებების გაზიარება მიზეზთა გამო გაჭირდება; აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მოსაზრება იხ. ამავე პარაგრაფის შემაჯამებელ მსჯელობაში.

[1] ვრცლად ტერმინოლოგიური საკითხების შესახებ იხ. აგრეთვე: ერთელიშვილი 1957, 1958; თაყაიშვილი 1961.

ანდაზისა და *სიტყვის მასალის,* ასევე, *ანდაზისა* და *ფრაზეოლოგიზმის* ურთიერთმიმართების საკითხზე საინტერესოა ფ. ზანდუკელის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხალხური შემოქმედების ორ მონათესავე ჟანრს, *ანდაზასა* და *სიტყვის მასალას,* საერთოსთან ერთად გააჩნია მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნებიც; კერძოდ, **ანდაზა** დასრულებული წინადადებაა, *სიტყვის მასალა* – წინადადების ნაწილი (ზანდუკელი 1980:20). ანდაზისა და ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრთა შეპირისპირებისას მკვლევრები გამოყოფენ ანდაზისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: აზრის განზოგადება, ხატოვანება, სისხარტე, დიდაქტიკურობა, ხალხურობა, ალეგორიულობა და სხვ.

„ხალხური სიბრძნის“ V ტომს, რომელიც ანდაზებს, მახვილსიტყვაობასა და გამოცანებს აერთიანებს, უძღვის ლ. ლეჟავას შესავალი წერილი. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ანდაზისა და სიტყვის მასალის, იგავის, ხალხური ლექსის, მოსწრებული თქმების გამიჯვნის პრინციპებზე და აყალიბებს კრიტერიუმებს ანდაზის დასახასიათებლად; კერძოდ, ანდაზა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის ნაწარმოები, გაბმული ტექსტის ნაცვლად ერთი წინადადებით გადმოიცემა; ანდაზაში კონკრეტულ ფაქტზეა საუბარი, თუმცა ამის მიღმა იგავურად ზოგადი აზრი იგულისხმება; ანდაზა უმთავრესად დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შინაარსისაა (ლეჟავა 1965:5-16).

ქ. ჯაშის წერილში „ანდაზა – ფრაზეოლოგიური ერთეული“ შეჯამებულია ანდაზის დეფინიციასთან დაკავ-

შირებული შეხედულებები. ავტორი ასკვნის: „ანდაზა უნდა განისაზღვროს, როგორც დიდაქტიკური ფუნქციის მატარებელი ფოლკლორული ჟანრი, რაც გამოხატულია კომუნიკაციური ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულით და შეიცავს შემდეგი სახის სამ სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტს: ალეგორიული ხასიათის ანდაზურ ხატს, გარკვეული ცხოვრებისეული თემატიკისადმი დაქვემდებარებულ ანდაზურ შეტყობინებას და გარკვეულ არქიტექტურულ ფორმულას“ (ჯაში 1984:68). მ. რუსიეშვილს ანდაზის მკვეთრად გამოხატულ მადიფერენცირებელ ნიშნად მიაჩნია ***სამყაროს რაიმე მოვლენის შესახებ ღრმა, ჭეშმარიტი და განზოგადებული აზრის გამოხატვა*** (რუსიეშვილი 2005:12-26)[1]. უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზით გადმოცემული აზრი შემფასებლურ შინაარსსაც ატარებს. ერთი მხრივ, გაკიცხულია ადამიანისთვის დამახასიათებელი ცუდი თვისებები (გაუტანლობა, შური, ბოროტება და მისთ.), უარყოფითი მოვლენები, ხოლო, მეორე მხრივ, მოწონებულია ხასიათის დადებითი თვისებები (მეგობრობა, სიყვარული, თანადგომა და სხვ.)[2].

---

[1] ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან და ტერმინოლოგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: როდინაძე 2011:114-118; ქამადაძე 2014 (ა): 101-110; 2016:10-31.

[2] პარემიებში გადმოცემულ სხვადასხვა წესზე მსჯელობისას (იქნება ეს საზოგადოებაში გავრცელებული თუ საზოგადოებისთვის მიუღებელი) ს. ომიაძე ასკვნის, რომ ამგვარი ინფორმაცია „ქართველი ადამიანის კომუნიკაციურ ცნობიერებასა და მის შემადგენელ ენობრივ ცნობიერებაში ნაწილდება. იგი ისეთივე დასაყრდენია ქართული „ენობრივი პიროვნების“ ცნობიერებისთვის, როგორც ეროვნული ენა – ეროვნული იდენტობისთვის“ (ომიაძე 2009:62).

ანდაზის განმარტება-დახასიათებისას უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ლაკონიურობა და ფრაზის სისხარტე მისთვის ტიპური ნიშანი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, თუმცა, გამოცემულ კრებულებსა და სამეცნიერო ნაშრომებში მარტივთან[1] ერთად თავს იყრის რთული სტრუქტურის[2] ანდაზებიც. ცხადია, ანდაზა უპირველესად მოკლე, რიტმული და ადვილად დასამახსოვრებელი ფრაზაა, თუმცა ეს არ გამორიცხავს რთული აგებულების ანდაზების არსებობას; უფრო მეტიც, რთული სინტაქსური მექანიზმის მქონე ანდაზები ავტორის ნათქვამს აზრის განზოგადების წარმოსაჩენად იყენებენ. გარდა ამისა, ავტორის ნათქვამის გარეშე ზოგჯერ ანდაზის იდეურ-სემანტიკური მხარე ბუნდოვანი ხდება. მაგალითად:

(1) არაყს უთქვამს: მოჩქარისათვის ხელი მომაკიდებინეთ და მერე მე ვიციო (ხალხ. სიბრძ. V 1965:28).

აღნიშნული ანდაზის სწორი დეკოდირებისთვის გადამწყვეტი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პირველ ნაწილში გადმოცემული ინფორმაციის „ავტორად“ არაყი გვევლინება. ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა ქვემოთ წარმოდგენილ მეგრულ ანდაზაში:

(2) ჯვეშიკოჩქ თქუა: კოს ფსუა გეიალენი, თიწკგმა დინუნია (შეროზია, მემიშიში 1994:192) „ძველმა კაცმა თქვაო: კაცს რომ ფრთები გამოუვა, მაშინ იღუპებაო“.

[1] მაგალითად, „მოჩქარეს მოუგვიანდესო“ ტიპისა.

[2] მაგალითად, „მამალს უთქვამს: მე კი ვიყივლებ და გინდა გათენდეს, გინდ – არაო“ ტიპისა.

ნათელია, რომ (2) ანდაზის შინაარსი, მისი მორალი ავტორის ნათქვამის (ე.ი. ანდაზის პირველი ნაწილის) გარეშეც გასაგები იქნება, რადგან ანდაზური სიბრძნის პირველწყაროდ ისედაც ჩვენი ბრძენი წინაპარი//ხალხი იგულისხმება. მაშასადამე, ანდაზებში ამ ტიპის სტრუქტურული მოდელების არსებობას კონკრეტული მიზეზები აქვს[1]. ამრიგად, ფრაზის სიმოკლე და ლაკონიურობა განსაზღვრავს ანდაზის ბუნებრივ სტრუქტურას, მაგრამ არა ყოველთვის. ანდაზის ენობრივი ქსოვილისთვის განსაკუთრებით ღირებულია გრამატიკული ორგანიზებულობა, რაც ანდაზის სტრუქტურულ და სემანტიკურ დონეებზე სხვადასხვა საშუალებით მიიღწევა.

ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებული მსჯელობა და აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება შემდეგნაირად **შეჯამდეს:** ანდაზა არ არის არც ფრაზეოლოგიზმი, არც იგავი, არც შეგონება, არც აფორიზმი და მისთ. ანდაზას ყველა დასახელებულ მხატვრულ ენობრივ ერთეულთან აქვს მსგავსება (ამიტომ ჭირს ხშირად მათ შორის მიჯნის დადება), თუმცა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ანდაზისთვის დამახასიათებელი ნიშნ(ებ)ის გამოყოფაც; ამიტომ, იგი დამოუკიდებელ ჟანრად უნდა განიხილებოდეს.

ანდაზის მიმართება მომიჯნავე ცნება-ტერმინებთან სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

[1] ქართველურ ენათა ანდაზებისთვის დამახასიათებელი ძირითადი სტრუქტურული მოდელები გაანალიზებულია ნაშრომის II თავში.

ტაბულა 1

	ანდაზა	აფორიზმი	შეგონება	ფრაზეოლოგიზმი	სიტყვის მასალა
ალეგორიულობა	+	-	+/-	+/-	-
ლაკონიურობა	+/-	+	+/-	+	+/-
ხალხურობა	+	-	+/-	-	+/-
დიდაქტიკურობა	+	+	+	+/-	+/-
განზოგადებულობა	+	+/-	-	-	+/-
ვარიანტულობა	+	-	+/-	+/-	+/-
ხატოვანება	+/-	+/-	+/-	+/-	+/-

ანდაზის, როგორც ფოლკლორული ჟანრის, ე.წ. „ავტორობის“ საკითხზეც აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერთა ერთი ჯგუფისთვის ის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და მასში ინდივიდის როლი, მით უფრო დღეს, ნაკლებად ჩანს (კიკნაძე 2008). სხვა თვალსაზრისით, ანდაზის ხალხურობა ეჭვქვეშ დგას, რადგან იგი შეიძლება კონკრეტული ადამიანის, რომელიმე ავტორის კუთვნილება იყოს (ერთელიშვილი 1957). არსებობს ერთგვარი გაშუალებული პოზიციაც, რომლის მიხედვითაც ანდაზაში თანაბრად იკითხება ინდივიდუალური და კოლექტიური ელემენტე-

ბის ერთობლიობა (ჭუმბურიძე 1978[1]; თუმანიშვილი 2023). ამგვარი ერთგვარად შემრიგებლური თვალსაზრისი ჩვენთვისაც გასაზიარებელია[2]. ვფიქრობთ, ანდაზაში ინდივიდუალურობისა და კოლექტიურობის სინთეზს ადასტურებს *ვარიანტულობა;* ერთი ადამიანის მიერ ოდესღაც შექმნილი ნიმუში ხალხური შემოქმედების ნაყოფად იქცევა და ხალხის საკუთრება ხდება; ანდაზის ვარიანტული მონაცემებიც სწორედ მაშინ იქმნება[3].

რაც შეეხება **ანდაზის წარმოშობა-განვითარებას,** ამასთან დაკავშირებით ფ. ერთელიშვილი მიუთითებს, რომ „ანდაზა იგავის შემოკლებულ, „დაწურულ“ სახეობას წარმოადგენს... ამჟამად ძნელია ანდაზის მიხედვით აღვადგინოთ ოდესღაც რეალურად არსებული კონტექსტი (თუ ასეთი საერთოდ გვქონდა), რომლის

[1] „ცხადია, ანდაზაში გამოთქმულ აზრსაც პირველად ერთი ვინმე მოუძებნის მოხდენილ სიტყვიერ სამოსელს, მაგრამ მისი ვინაობა ხალხში რჩება მიჩქმალული. მხატვრული ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრი მხოლოდ მაშინ იქცევა ნამდვილ ანდაზად, როცა მას ხალხი იშვილებს და შეისისხლხორცებს“ (ჭუმბურიძე 1978:170).

[2] ვფიქრობთ, რომ ამავე თვალსაზრისს ეხმიანება ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ლორდ ჯონ რასელის ფრთიანი ფრაზა ანდაზის შესახებ: A proverb is one man's wit and all men's wisdom – „ანდაზა არის საყოველთაო სიბრძნეზე დამყარებული ერთი ადამიანის მახვილგონიერება“ (თარგმანი ჩვენია. გ.ჯ.)

[3] თანამედროვე დროში ანდაზისა და სხვა მსგავს გამონათქვამთა ვარიანტების შექმნის გონივრულობას ადასტურებს შემდეგი მოსაზრება: „ანდაზა-გამოცანანი და სხვანი არიან ძეგლნი და ნაშთნი ძველის დროისა, ძველის, თავისებურის ფილოსოფიისა. ახალ დროს ამგვარი მოვლენა აღარ იბადება. ანდაზა-გამოცანათ აღარავინ ადგენს და თუ ვინმემ მოიწადინა შედგენა, გამოდის უაზრობა, შეუფერებლობა“ („ივერია“, №51, 1889 წ., გვ. 1).

შემოკლებამ ესა თუ ის ანდაზა მოგვცა“ (ერთელიშვილი 1963 (ბ):2). აქვე საინტერესოა ზ. ჭუმბურიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: „მეტწილად ანდაზა უფრო ვრცელი მხატვრული ნაწარმოებიდან მომდინარეობს, მაგრამ იგი უკვე დამოუკიდებელ სახეს ატარებს, თავისთავადი მხატვრული ერთეულია და ამიტომ ხშირად გაწყვეტილი აქვს კავშირი იმ ნაწარმოებთან, საიდანაც იღებს სათავეს. ამ კავშირის შემჩნევა საკმაოდ ძნელია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის, რადგან ის ნაწარმოები, საიდანაც ანდაზა მოდის, შესაძლოა დღეს სულაც არ იყოს შემონახული“ (ჭუმბურიძე 1978:172). შდრ. ამავე ავტორთან: „ანდაზას ყველაზე მეტად სწორედ ხალხურ თქმულებებსა და იგავებში აქვს ფესვები: ანდაზა ხშირად იგავის შეკუმშვის შედეგია“ (იქვე:174). განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს ალ. ღლონტი. მეცნიერი ფიქრობს, რომ „მარტივი წინადადება ანდაზის პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო. მისი გავრცობა მეორადი მოვლენა ჩანს“ (ღლონტი 1952:147).

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე გამოთქმული მოსაზრებების შეჯერებითა და სტრუქტურულ-სემანტიკური და ფუნქციური მახასიათებლების გათვალისწინებით, ***ანდაზა უნდა განისაზღვროს, როგორც დამრიგებლური შინაარსის, ლაკონიურად გადმოცემული, უმეტესად სხარტი და მოქნილი აგებულების, ექსპრესიულობითა და ალეგორიულობით გამორჩეული, გრამატიკულად ორგანიზებული მყარი გამონათქვამი, რომელიც ასახავს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას; იგი ზეპირმეტყველებაში რეალიზდება და***

თაობიდან თაობას არსებითად სწორედ ზეპირი გზით გადაეცემა; ამიტომ, ანდაზებს სამართლიანად უწოდებენ „სიტყვის მუხლს“, „სიტყვის მარილს“[1]. ანდაზის მიმართ ინტერესი დღემდე არ განელებულა, რასაც დიდწილად განაპირობებს მისი კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი[2].

1.2 ანდაზის ინტერდისციპლინურად შესწავლის ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენი: მნიშვნელობის გადმოცემის ძირითადი ასპექტები

ანდაზა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების ნაწილია. იგი ადამიანთა უშუალო დაკვირვებასა და გამოცდილებას ემყარება[3]. შუსტერის აზრით (Schuster 1998), ანდა-

[1] ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ თურქულში ანდაზის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული არის **atasöz**, რომელიც კომპოზიტური წარმოებისაა (← atalar söz) და ეტიმოლოგიურად უკავშირდება „წინაპართა სიტყვას“.

[2] ანდაზების მნიშვნელობაზე, პოპულარობასა და გავრცელებულობაზე მიუთითებს ის საინტერესო ფაქტიც, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ანდაზა ილუსტრაციად გამოყენებულია 2000-ზე მეტ შემთხვევაში (სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონულ გამოცემას. იხ. https://www.ena.ge/explanatory-online). ამავე ფუნქციით სვანურ ლექსიკონში (თოფურია, ქალდანი 2000) 800-ზე მეტი ანდაზა დასტურდება. ამგვარივე მონაცემების შეგროვება საინტერესო იქნება თანამედროვე ლექსიკონების და//ან სასკოლო სახელმძღვანელოების მიხედვითაც.

[3] ლ. მეტრეველი მის მიერ შეგროვებული ქართული ანდაზების კრებულში შენიშნავს: „ქართული ანდაზები – ეს მოკრიალებული სარკეა, რომლის სიღრმიდანაც გამოიცქირება ჩვენი ერის ხან-

ზები წარმოაჩენენ კულტურებს შორის არსებულ განსხვავებებს. აქედან გამომდინარე, ანდაზების თემატიკა არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს ეხება და მოიცავს ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ანდაზები, როგორც პარემიული ერთეულები, სხვა – ჩვეულებრივი გამონათქვამებისგან იმითაც სხვაობენ, რომ „ისინი ენობრივ ერთობაში მბრუნავი სიტყვათა მასის ფონზე გამოირჩევიან მოცემული კულტურისათვის ნიშნადი გამოხატვით“ (ომიაძე 2009:115-116).

ანდაზის ესოდენ მრავალფეროვნებას, მის ფართოდ გავრცელებას სხვადასხვა დისკურსში, ზეპირმეტყველებასა თუ მწერლობაში რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ანდაზის ***მოარულობა,*** რომელიც მოითხოვს გამოსათქმელად და დასამახსოვრებლად მოხერხებული, რაც შეიძლება მოკლე და რიტმული ფრაზის აგებას. ანდაზით გამოთქმული აზრი საზოგადოებაში ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რადგან ანდაზის შემოქმედი ხალხია – სიბრძნითა და ავტორიტეტით გამორჩეული. ანდაზა საუკუნეების განმავლობაში არსებითად აზრის უცვლელად გადაეცემა მომავალ თაობებს. აქედან გამომდინარეობს ანდაზის ფუნქციური არსიც, რომელიც „სიღრმისეული, არქეტიპული ცოდნის, ანუ სამყაროს შინაგანი კანონზომიერებების შესახებ ცოდნის გამოხატვაა“ (რუსიეშვილი 2005:23).

გრძლიობა და ცხოვრების გრდემლზე გამოკვერილი მისი სიბრძნეთა სიბრძნე“ (მეტრეველი 1926:I).

ანდაზის, როგორც საზოგადო ჭეშმარიტების გამომხატველი ენობრივი ერთეულის, კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სხვა მომიჯნავე დისციპლინათა პერსპექტივიდანაც[1]. ანდაზების კვლევის ინტერდისციპლინურობას დიდწილად განაპირობებს თვით შესასწავლი ობიექტის ბუნება, ანდაზის ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

ანდაზა უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია **ფოლკლორისტიკისთვის.** ანდაზაში აისახება ხალხში დაგროვილი გამოცდილება, რაც ხალხშივე ვრცელდება ზეპირი გზით. ფოლკლორისტიკის პერსპექტივიდან განსაკუთრებით საინტერესოა ანდაზების თემატიკა, მხატვრული ფორმა, რიტმული სტრუქტურა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ანდაზების შეგროვებისა და შესწავლის სათავეებთან, სხვებთან ერთად, ფოლკლორისტებიც მოიაზრებიან. ზოგიერთი შეხედულებით, ანდაზა, როგორც ზეპირსიტყვიერი ჟანრი, სწორედ ფოლკლორისტიკის შესასწავლი ობიექტია და არა, ვთქვათ, ლინგვისტიკისა (აღნიშნული თვალსაზრისის შესახებ ვრცლად იხ. მსხა-

[1] როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, ანდაზა აინტერესებს იურისპრუდენციასაც, საზოგადოებაში გავრცელებული წესებისა და უფლებების, არსებული სოციალური პრაქტიკის თვალსაზრისით (მაგალითად: „ქვრივს ვინც წაიყვანს, ობლებიც იმან უნდა შეინახოსო“; „ყველა ტყუოდა და სისხლი და ხორცი კი არაო“; „ქურდმა ფიცი იშოვა და შინ მახარობელი გაგზავნაო“; „ქურდს ფიცი პირზე აკერიაო“ და მისთ.) (ვრცლად იხ. ნადარეიშვილი 1999). ცალკე განხილვის თემაა ქართული ჟესტური ენის პარემიოლოგიის საკითხები (ვრცლად იხ. მახარობლიძე 2023).

ლაძე 1967:93-116). ანდაზას „წმინდა ფოლკლორულ ჟანრად“ მიიჩნევს ზ. კიკნაძეც (კიკნაძე 2008:324).

ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშების შესწავლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეროვნული კულტურის მრავალფეროვნების კვლევისას, ერის მენტალიტეტის გაგებისას, ხალხის ფსიქოტიპის სპეციფიკურობის დადგენისას. აქედან გამომდინარე, გარდა საკუთრივ ლინგვისტიკისა, ანდაზას იკვლევს **ლინგვოკულტუროლოგიაც,** რომელიც სწავლობს ხალხის ცხოვრებასთან, ისტორიასთან, კულტურასთან დაკავშირებულ მონაცემებს. საერთოქართველური ენობრივი მსოფლხედვის სათანადოდ წარმოსაჩენად აუცილებელია ანდაზებში წარმოდგენილი კულტურული კოდების შესწავლა, რითაც განისაზღვრება საერთოქართველური ლინგვოკულტურული სივრცე, როგორც ქართული იდენტობის ქვაკუთხედი. საერთოქართველური შემეცნების აღწერა მხოლოდ მონათესავე ენათა დისკურსებზე დაკვირვებისა და მათი შედარების შედეგად არის შესაძლებელი (ომიაძე 2015).

ანდაზების ენა მნიშვნელოვანია აგრეთვე ენათმეცნიერების სხვა დარგებისთვის[1]. **ეტიმოლოგიისა** და

[1] ცხადია, ადამიანის ბუნებრივ ენას საკუთრივ ლინგვისტიკის გარდა სხვა მომიჯნავე დარგებიც იკვლევენ, მაგრამ „ყოველი მათგანი თავისი კვლევის ობიექტად ენის განსხვავებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტს გამოარჩევს და, შესაბამისად, ენის ფენომენის შესწავლისას განსხვავებულ თეორიებს ეყრდნობა, კვლევის განსხვავებულ საშუალებებსა და განსხვავებულ ინსტრუმენტებს იყენებს“ (მინდაძე 2009:10).

ეთნოლინგვისტიკის კუთხით ანდაზები იძლევა მდიდარ და მრავალფეროვან მასალას ერის ხასიათის, კულტურისა და ტრადიციების წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ენის გავლენა კულტურაზე და კულტურისა – ენაზე, რადგან ცნობილია, რომ „კულტურა მოიცავს ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის აშკარა გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ***ენა*** შეადგენს“ (გამყრელიძე და სხვები 2008:462). ანდაზის განხილვა მნიშვნელოვანია **ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის** კონტექსტში, კერძოდ, ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელების თვალსაზრისით (ჩუბინიძე 2018).

ანდაზები საინტერესოა აგრეთვე **სოციოლინგვისტიკისათვისაც,** ვინაიდან ენათმეცნიერების ეს დარგი სწავლობს მეტყველების ფორმათა ცვლილებებს ეთნიკურობის, რელიგიის, სქესის, დიალექტისა და სხვა ნიშანთა მიხედვით. ამავე დისციპლინის ფარგლებში საინტერესოა აგრეთვე ანდაზების კვლევა გენდერული როლების განაწილების თვალსაზრისითაც. ანდაზის, როგორც კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში რეალიზებული ერთეულის **ფსიქოლინგვისტური** კუთხით (კერძოდ, ენისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე) შესწავლა წარმოაჩენს იმ მექანიზმებს, რომლებიც ანდაზაში იმპლიციტურადაა მოცემული.

ანდაზების კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე მიუთითებს მისი კავშირი **თარგმანთმცოდნეობასთან;** ანდაზებში მნიშვნელოვანია თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ გავრცელებული სემან-

ტიკური ეკვივალენტობის დადგენა, მათ შორის, მონათესავე ენათა მონაცემების მიხედვით. ჩვენი ნაშრომის ფარგლებში საყურადღებოა იმაზე დაკვირვება, თუ რა აზრობრივი ეკვივალენტით გადადის ერთი მონათესავე ენიდან მეორეში ესა თუ ის ანდაზა. ამ თვალსაზრისით ანდაზების ურთიერთშედარება გამოკვეთს, ერთი მხრივ, ლექსიკურ-თემატურად იდენტურ, შინაარსობრივად მსგავს, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ფაქტებით ნიშანდებულ და ლექსიკურად განსხვავებულ ერთეულებს (Jgharkava 2018:147-152).

როგორც აღინიშნა, ანდაზებს ჰუმანიტარული პროფილის სხვადასხვა მომიჯნავე დარგი სწავლობს, მაგრამ მათ შორის წამყვანი ადგილი ლინგვისტიკას უჭირავს, რადგან ენაა აზროვნებისა და კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება; მისი გამოყენების მნიშვნელოვანი ასპექტებიც სწორედ ანდაზებშია უკუფენილი. ამასთან, ანდაზა ერთდროულად მსგავსებითა და განსხვავებით, ვარიანტულობითა და ინვარიანტულობით ხასიათდება როგორც არამონათესავე, ისე მონათესავე ენებში. ანდაზების ენობრივი ქსოვილის კომპლექსური კვლევა საუკეთესო გზაა საკუთრივ ენობრივი მახასიათებლებისა თუ სტილურ-პრაგმატიკული განსხვავებების წარმოსაჩენად.

ანდაზაში ჩადებული ზოგადი სიბრძნისა და ძირითადი მნიშვნელობის ახსნა კომპლექსურ მიდგომას მო-

ითხოვს[1]; შენიშნულია, რომ ანდაზის შინაარსის სრულყოფილად გაგებისათვის აუცილებელია ანდაზის გამოყენების სიტუაციაზე მითითება, ინფორმაციის მიღება ანდაზის სტილისტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლების შესახებ, ზოგჯერ მისი შექმნის ისტორიულ-ეტიმოლოგიური წინაპირობების გათვალისწინება და სხვ. (ფაჩულია 2015:84)[2]. ანდაზის შინაარსის სწორად გაგება-გააზრებისათვის საჭირო ამგვარი კომპლექსური მიდგომის გათვალისწინებით ვინფრიდ ბოედერი სამართლიანად შენიშნავს, რომ, მაგალითად, ქართული ანდაზების სათანადო იდეურ-სემანტიკურ ინტერპრეტაციას ყველაზე უკეთ თავად ქართველები შეძლებენ (Boeder 1991).

ანდაზით გადმოცემული დამრიგებლური შინაარსის სწორი დეკოდირება შეუძლებელია იმ ლინგვისტური ინვენტარის სრულყოფილად წარმოჩენა-გააზრების გარეშე, რომლითაც ესა თუ ის ანდაზაა აგებული. მაგალითად, ანდაზებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზაა ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე კონტრასტული წყვილის წარმოდგენა. ანტონიმური მნიშვნელობის გადმოცემით ანდაზური სიბრძნე ხაზგასმული და დასა-

[1] ერთ-ერთი შეხედულებით, ანდაზის უმთავრესი აზრი „პირველ ყოვლისა, ნართაულია, მაგრამ არც თუ ძნელად მისახვედრი, მითუმეტეს, თუ ანდაზა მომენტალური სიტუაციის შესაბამისად არის ნათქვამი. ასეთ დროს უფრო თვალნათლად იკვეთება ხოლმე ანდაზის სისხარტე, მიზანმიმართულება“ (ქურდოვანიძე 2008:210).

[2] ანდაზური სიბრძნის დეკოდირების ძირითადი ასპექტების შესახებ იხ. აგრეთვე რუსიეშვილი 1999, 2005; თუმანიშვილი 2010 (ბ).

მახსოვრებელია. ამის დასტურად გამოდგება ერთ-ერთი ქართული ანდაზა: ***კარგი*** მწყემსი ახლოდან მოდენის ნახირს, ***ცუდი*** შორიდანო (https://idioms.tsu.ge/?p=16146). სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, კონტრასტული შინაარსის გადმოსაცემად, ერთი ანდაზის ფარგლებში, ოპოზიციური წყვილების არსებობის შესაძლებლობა და მათი როლი ანდაზის სემანტიკური სტრუქტურის შექმნაში (ფოჩხუა 1974; Permyakov 1979; რუსიეშვილი 2005). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული უნივერსალური მახასიათებელი ანდაზების ენაში ყოველთვის არ გვხვდება. ვფიქრობთ, რომ ანდაზის შინაარსის გადმოცემისას გარკვეული კონტრასტული ცნებებისა თუ მოვლენების არსებობა ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე მოიაზრება მაშინაც, როდესაც იგი ანდაზაში საოპოზიციო ცალების სახით მატერიალურად არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ანდაზა: „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“ ირიბად, ქვეტექსტის დონეზე მოიაზრებს იმ მნიშვნელობასაც, რომ ამის საპირისპიროდ, ცუდი შვილი დედის შემარცხვენელია. მაშასადამე, „ანდაზის ზედაპირულ დონეზე შეიძლება არც იყოს ფიქსირებული ოპოზიცია, მაგრამ იგი სიღრმისეულ დონეზე მაინც ცნობიერდება“ (რუსიეშვილი 2005:22).

ამდენად, იმანენტურად დამახასიათებელი სტრუქტურული და სემანტიკური ნიშნების ერთობლიობა ქმნის აუცილებლობას, რომ ანდაზა, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი, შევისწავლოთ კომპლექსურად.

1.3 ქართველურ ენათა ანდაზების შეკრების ისტორია: ბეჭდური გამოცემები და მონაცემთა ბაზები (ძირითადი მიმოხილვა)

ემპირიული მასალის შეკრება და გამოცემა დიდად უწყობს ხელს მეცნიერულად მის დამუშავებასა და შესწავლას. ამ თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი სურათი ქართველურ ენათა ანდაზებს შორის; კერძოდ, ქართული ანდაზების ბეჭდური გამოცემები და მონაცემთა ბაზები ჭარბობს სხვა ქართველური ენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების შეკრება და გამოცემა დიდი ხნის წინ დაიწყო, მთლიანად ქართველური ენები ამ კუთხით ჩამორჩება სხვა, განსაკუთრებით ევროპულ ენებს[1].

ქართული ანდაზების შეკრება და გამოცემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლასთან[2]; მცირე კრებულები პირველად XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გამოჩნდა. ამ პერიოდში ქართული ანდაზების შეკრება დ. ბაგრატიონის სახელს უკავშირდება. მის მიერ შეგროვებული ასზე მეტი ქართული „გალექსილი ანდაზა“ ხელნაწერთა კოლექციების

[1] ევროპული ენების ანდაზების გამოცემათა სტატისტიკა ასახულია ბოლოდროინდელ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგალითისთვის იხ. Mieder 2012, 2022).

[2] ქართული ანდაზების შეკრების მდიდარი ისტორია (1829-1901 წლების მონაცემები) მოცემულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973).

სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S3723 ფონდში. მოგვიანებით, მ. ჩიქოვანმა მიაგნო დ. ბაგრატიონის „გალექსილი ანდაზების“ დამატებით კიდევ რამდენიმე ხელნაწერს და საგანგებოდ შეისწავლა ისინი (ჩიქოვანი 1948)[1].

მე-19 საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდა ქართული ანდაზების შეკრება-გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმე, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: დ. ჩუბინაშვილი[2], პლ. იოსელიანი[3], პ. უმიკაშვილი[4], რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე[5], ს. მერკვილაძე[6] და სხვები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის შესწავლამ ცხადყო, რომ იქ არსებულ ცალკეულ ხელნაწერებში არაერთი ფოლკლორული ნიმუში, მათ შორის ანდაზებიცაა წარმოდგენილი

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ზანდუკელი 1961.

[2] დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის 1846 და 1863 წლებში გამოქვეყნებული ანდაზების ნიმუშები.

[3] 1835 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული ანდაზებისა და გამოცანების რვეული, რომელიც პლ. იოსელიანს ეკუთვნის, 1948 წელს გამოაქვეყნა მ. ჩიქოვანმა.

[4] პ. უმიკაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი ფოლკლორული მასალა, მათ შორის, ანდაზები იხ. ნაშრომებში: უმიკაშვილი 1876, 1937, 1964.

[5] ჭავჭავაძესა და ერისთავს შეუკრებიათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და გამოუციათ სახელწოდებით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ (თფილისი, 1873).

[6] ფოლკლორისტ ს. მერკვილაძის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ანდაზები და გამოცანები ქართული ანდაზების ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი პუბლიკაციაა (იხ. მერკვილაძე 1898).

(ოქროშიძე 1948:405-421). ქართული ანდაზების ერთერთი გამომცემელი დ. ჩუბინაშვილიცაა; 1846 წელს გამოქვეყნდა მისი „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ“ (პირველი ნაწილი: პროზა), რომელშიც ანბანის რიგზე დალაგებული ქართული ანდაზებია მოცემული. შინაარსის უკეთ გასაგებად, ზოგიერთ ანდაზას ახლავს დამატებითი კომენტარი (ჩუბინაშვილი 1846:378-394; 456-458).

ქართული ანდაზების შეკრების საქმეში ასევე განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ[1], საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ[2], ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ქართული ლი-

[1] ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლზე ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოების შექმნიდან მალევე ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, პეტრე უმიკაშვილს და სხვებს საგანგებოდ შეუდგენიათ „პროგრამმა ხალხური სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება და საუბარია როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების მნიშვნელობაზე, ისე ჩამწერის მიერ საგანგებო წესების დაცვაზე, ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა კლასიფიკაციაზე და სხვ. (ვრცლად იხ. ოქროშიძე 1948:405-421).

[2] საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, სახელწოდებით „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1909-1915 წლებში გამოდიოდა. ჯამში დაიბეჭდა 4 ტომი; I, II და III ტომებში ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთან ერთად ქართველურ ენათა ანდაზებიცაა წარმოდგენილი (იხ. ტ. I, განყოფ. IV, გვ. 97-100; ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349; განყოფ. V, გვ. 86-114; ტ. III, გვ. 276-307). აღსანიშნავია, რომ „ძველი საქარ-

ტერატურის ინსტიტუტმა; ამასთან, კავკასიის სასწავლო ოლქის რამდენიმე პერიოდულმა გამოცემამ: „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, „Сборник сведений о кавказе“ და სხვ[1].

ანდაზების შეკრება-შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანია იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების როლიც. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალებში („მოამბე“ „ივერია“, „ცისკარი“, „ჯეჯილი“) პერიოდულად იბეჭდებოდა ქართული ანდაზები. ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა გალექსილი ქართული ანდაზები (148 ერთეული) ამგვარი სათაურით: „სხუა და სხუა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან“ („ცისკარი“, №2, 1853 წ., გვ. 43-58)[2]. ქართული ანდაზების შეკრებასა და გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ საზოგადო მოღვაწე-მწერლებს: აკაკი წერეთელს[3], იაკობ გოგებაშ-

---

თველოს“ I, II და III ტომებიდან ამოღებული მასალა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ცალკეც დაიბეჭდა და მიეძღვნა აკაკი წერეთლის ხსოვნას (იხ. ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, 1915-1917).

[1] გარდა დასახელებული წყაროებისა, ქართული ანდაზები ხშირად ქვეყნდებოდა XIX-XX საუკუნეების პერიოდულ პრესაში. მაგალითისთვის იხ. ჟურნ. „Гусли“, №20, 1882 წ., გვ. 4; №24, 1882 წ., გვ. 13 (ბალანჩივაძე და სხვები 2019). ამასთან, ქართული ანდაზების პუბლიკაციის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია არაქართულენოვანი წყაროებიც (მაგალითისთვის იხ. Г. Л. Пермяков, Пословицы и Поговорки Народов Востока, Москва, 1979).

[2] XIX-XX საუკუნეების ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ანდაზების შესახებ დამატებით იხ. ვირსალაძე და სხვები 1973.

[3] ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ა. წერეთლის წერილი, რომლის ადრესატია გაზეთის რედაქტორი. წერილის ავტორი მკითხველს ატყობინებს, რომ

ვილს, ვაჟა-ფშაველას[1], ალექსანდრე ყაზბეგს, თედო რაზიკაშვილსა და სხვებს. ისინი არა მხოლოდ აგროვებდნენ ანდაზებს, არამედ აქტიურადაც იყენებდნენ პრაქტიკული საჭიროების მიხედვით. იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამდა ანდაზების დიდაქტიკურ შინაარსს, მათ საგანმანათლებლო მნიშვნელობას და პოპულარიზაციის მიზნით არაერთი ანდაზა ჩართო „დედაენაში“[2].

ქართული ანდაზების სისტემატიზაცია მე-20 საუკუნეშიც ახალი ძალითა და შემართებით გაგრძელდა ამავე საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა – ალ. ხახანაშვილის, მ. კელენჯერიძის, ივ. გომელაურის, ნ. კეცხოველის, გ. ლომთათიძის, ი. ქავთარაძის, ლ. მეტრეველის, დ. თურდოსპირელის, ე. გაბრიჩიძის, თ. სახოკიას, ალ. ღლონტის, ა. კანდელაკის და სხვათა ხელშეწყობითა და

ალექსანდრე წერეთელს ჰქონია „ერთი ხელთნაწერი რვეული, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ანდაზებს, შეკრებულს მამის მისის თ. გრიგოლ წერეთლისაგან. ეს ანდაზები ანაბანაზედ არიან დაწყობილი“ (წერეთელი 1871:2-3).

[1] ძალზე საინტერესო მასალას შეიცავს ვაჟა-ფშაველას მიერ 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში წარმოდგენილი ჩანაწერები „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. ეთნოგრაფიულ მოთხრობებთან ერთად ავტორს გამოქვეყნებული აქვს 167 ანდაზა (იხ. ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349).

[2] ანდაზების პოპულარიზაციას ემსახურება გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ცნობა ახალი ტიპის ლოტოს გამოგონების შესახებ. **„ლოტო ანდაზებით“** იყო თამაშის სახეობა; კერძოდ, „ამ ლოტოში ციფრის მაგიერ ამოიკითხება პირველი ნახევარი ანდაზისა, ხოლო მეორე ნახევარი თვით ქაღალდზეა დაწერილი, იმ ქაღალდზე, რომელიც ურიგდება მოთამაშეებს... სასარგებლოც არის და სასიამოვნოცაო, ამ გვარს ლოტოზე ითქმის“ („ივერია“, №84, 1886 წ., გვ. 2).

დაუღალავი მუშაობით. დიდძალი მასალაა შესული საქართველოს ეროვნულ არქივში შენახულ „ზეპირსიტყვაობის შემკრების წრის რვეულში“ (დოკუმენტის მოცულობა 250 გვერდზე მეტია), რომელიც ცნობილ პედაგოგს ივ. გომელაურს XX საუკუნის დასაწყისში შეუდგენია. მისივე ხელნაწერ ტექსტში პირველივე გვერდზე ვკითხულობთ: „ქ. ჭიათურაში, სადაც მე თორმეტ წელიწადს ვიყავ ქართული ენის მასწავლებლად (1905-1917 წ.წ.), ხსენებულ წლებში შევადგინე წრე, რომლის წევრებსაც ჩემთან ერთად შეჰქონდათ თავიანთ სოფელში გაგონილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. იქიდან წამოსვლის შემდეგ მე გავავსე რვეული ჩემი შეკრებილი ლექსებით და ანდაზებით“ (საისტორიო ცენტრალური არქივის კოლ. 1446, №689). საქართველოს ეროვნული არქივი ინახავს აგრეთვე გ. ჟორდანიას პირად ფონდში დაცულ რამდენიმე ანდაზას (კოლ. 1813, №282, კოლ. 1813, №284).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცალკეული ანდაზები და ანდაზების კრებულები ხშირად კრიტიკის საგანი ხდებოდა; მაგალითად, ლ. მეტრეველის „ქართული ანდაზების“ გამოცემას (1926 წ.) მალევე გამოეხმაურა ა. ჭყონია გაზეთ „კომუნისტში“ 1926 წლის 15 იანვარს დაბეჭდილი წერილით. ავტორი კრებულში ზოგიერთი ანდაზის ჩართვას უარყოფითად აფასებდა; მისი თქმით, აღნიშნული ანდაზები სოციალურ უთანასწორობასა და ცრუმორწმუნეობას

ქადაგებდა, ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას (ჭყონია 1926:5)[1]. ლ. ლეჟავამ სპეციალური წერილი მიუძღვნა ქართული ანდაზების გამოცემის საქმეს. მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა თ. სვინტიძის მიერ შედგენილი „ქართული ანდაზები“ (1955 წ.); შემდგენელს მიუთითა გამოცემის რამდენიმე ნაკლზე; მათ შორისაა ერთი და იმავე ანდაზის გამეორება სხვადასხვა ადგილას, ანდაზების თვითნებური „შესწორება“: სიტყვათა კლება-მატება და მისთ. (ჟურნ. „მნათობი“, №7, 1956 წ., გვ. 177-181).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ქართული ანდაზები ბეჭდურად რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი კრებულები: „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ (შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი, 1957), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელი ა. კანდელაკი, თბილისი, 1959), „ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები“ (ხალხური სიბრ-

[1] მაგალითისთვის, ა. ჭყონიას საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი ანდაზა: „თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო“ (ჭყონია 1926:5). კომუნისტური იდეოლოგიის გავლენით დაწერილი ზემოხსენებული კრიტიკული წერილის პარალელურად საინტერესოა ა. მაკარაძის რეცენზიაც, რომელიც ალ. ჩავლეიშვილის კრებულს „ანდაზები, აფორიზმები“ მიმოიხილავს. რეცენზენტი წერს: „ოცდამეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია ანდაზა „თუ ნაკლოვანებებზე ილაპარაკებ, მეგობრები ნაკლები გეყოლება“ (მაკარაძე 1978:4). შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ კომუნისტური მორალი გვასწავლის, რომ ეს ასე არ უნდა იყოს“. ცხადია, ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო, ობიექტურობისგან დაცლილი და იდეოლოგიურად მოტივირებული კრიტიკა ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით.

ძნე V, ანდაზებისა და ლექსიკონის შემდგენელი ლ. ლეჟავა, თბილისი, 1965), „ქართული ანდაზები და გამოცანები“ (შემდგენლები ზ. თანდილავა და სხვები, ბათუმი, 1976), „ქართული ანდაზები“ (ჩაიწერა და დაამუშავა ვ. ხორნაულმა, თბილისი, 1984), „რჩეული ქართული ანდაზები“ (შემდგენელი კ. ჯორჯანელი, თბილისი, 2003), „ქართული ხალხური ანდაზები“ (რედაქტორები: ი. ბაქრაძე, რ. დარჩიაშვილი, თბილისი, 2008), „ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები)“ (ჩხენკელი და სხვები, თბილისი, 2009), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელ-რედაქტორი ლ. ანდრონიკაშვილი, თბილისი, 2014), „ქართული ანდაზები“ (თბილისი, 2016) და სხვ. საინტერესოა 2009 წელს დაბეჭდილი „მსოფლიოს ხალხთა ანდაზები და გამონათქვამები“, სადაც სხვადასხვა ქვეყნის (ესპანური, ინდური, კორეული, თურქული, ფრანგული, უკრაინული და სხვ.) ანდაზებთან ერთად ქართული მასალაცაა შესული. კრებულში მოცემული ანდაზები დალაგებულია როგორც ცალკეული ქვეყნის მიხედვით, ისე თემატური პრინციპით (კალანდაძე 2009)[1].

ზემოთ დასახელებულ კრებულებში მასალის წარმოდგენის ყველაზე გავრცელებული პრინციპია ანდაზების დალაგება **ანბანის რიგზე,** თუმცა აღსანიშნავია,

[1] აღსანიშნავია, რომ უცხო ენათა ანდაზების პუბლიკაციები ქართულ პრესაში მე-19 საუკუნიდან დასტურდება. მაგ., გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია ეგვიპტური (1898 წ.), თათრული (1899 წ.) და სხვა ანდაზები (ვირსალაძე და სხვები 1973:11-12).

რომ ამის პარალელურად სხვა მიდგომაც არსებობს. მაგალითად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში გამოქვეყნებულია ზ. გ. ბილანიშვილის მიერ 1883-1887 წლებში სოფ. პატარძეულში შეკრებილი ვრცელი ეთნოგრაფიული მასალა, მათ შორის, 600-ამდე ანდაზა, რომელთა ნაწილი თემატური პრინციპითაა დალაგებული; კერძოდ, გამოყოფილია: ა) სამეურნეო ანდაზები; ბ) ანდაზები ამინდსა და დროზე („ძველი საქართველო“, 1913 წ., ტ. II, განყოფ. V, გვ. 86-114). გარდა ამისა, ანდაზების **თემატურად** დალაგების ცდა წარმოდგენილია თ. ბეგიაშვილის „ქართულ ფოლკლორში“ (1941 წ.). უნდა აღინიშნოს ალ. ჩავლეიშვილის მიერ შედგენილი „ანდაზები, აფორიზმები“ (1977 წ.); მასში წარმოდგენილია სხვადასხვა თემაზე (სიკეთე, მეგობრობა, სამშობლო, სილამაზე და სხვ.) შექმნილი ანდაზები და აფორიზმები. შემდგენლის მითითებით, მასალა ამოკრებილია ქართულ და რუსულ ენებზე არსებული წყაროებიდან, ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურიდან. ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ვ. ჯავრიშვილის ნაშრომი „ანდაზები და ნაკვესები“ (1992 წ.), რომელშიც ავტორისეული ანდაზებია მოცემული. თემატიკის მიხედვით ანდაზების დაჯგუფების პრინციპი გამოყენებულია ბოლო დროს შექმნილ მონაცემთა ბაზაშიც (იხ. ბმული: https://idioms.tsu.ge/). უნდა შევნიშნოთ, რომ ანდაზების დალაგების ყველა პრინციპს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგ., ანბანთრიგზე ან სემანტიკურ ბუდეებად დალაგებისას მცირედით განსხვავებული ერთი და იმავე შინაარსის ანდაზა შეიძ-

ლება რამდენჯერმე გამეორდეს. საინტერესოა, რომ ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ხალხური სიბრძნის V ტომში (1965:21-237)[1] წარმოდგენილ სემანტიკურად იდენტურ ანდაზებს ერთვის სპეციალური მინიშნებები, რათა მკითხველს შეეძლოს მარტივად მოძებნოს კონკრეტული ანდაზის მსგავსი სხვა ანდაზებიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შედარებით ნაკლებპოპულარულია ანდაზების დაჯგუფება მათი წარმოშობის დროის მიხედვით, რადგან უმეტეს შემთხვევაში ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობით ხასიათს ატარებს[2].

1829-1901 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი და გამოქვეყნებული ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის, ანდაზები შესულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973). ამჯერად დავასახელებთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ჩაწერილი დიალექტური თავისებურებების ამსახველი ანდაზების რამდენიმე პუბლიკაციას; ესენია:

---

[1] წიგნში შესულია 3231 ანდაზა. როგორც V ტომის წინასიტყვაობიდან ირკვევა, წარმოდგენილი მასალა ემყარება 60 ნაბეჭდ და 50 ხელნაწერ წყაროს (ლეჟავა 1965:5-16).

[2] ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ, ანდაზების კრებულების გამოცემისას, ოპტიმალური ვარიანტი იქნება მასალა დალაგდეს არა ანბანური ან თემატური პრინციპით, არამედ **კონცეპტების მიხედვით.** ამ საკითხზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა ასოც. პროფესორმა ს. ომიაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ (ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის შესახებ მსჯელობა ვრცლად იხ. ნაშრომის III თავში).

ა. ს. გაჩეჩილაძის მიერ **იმერეთის** სოფ. წევაში შეკრებილი და 1909 წელს გამოქვეყნებული „ანდაზები, ჩქარა სათქმელი[1] და ზმა“ (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, გვ. 97-100).

ბ. მესხური ანდაზები და გამოცანები (შეაგროვა და 1895 წელს გამოსცა კ. გვარამაძემ)[2].

გ. ა. კანდელაკის მიერ შედგენილი კრებულის („ქართული ანდაზები“, 1965 წ.) მეორე ნაწილში მოცემული მასალა ივ. ხორნაულს, ხალხური ზეპირსიტყვიერების დიდ მოამაგეს, **ფშავსა** და **ხევსურეთში** ჩაუწერია. მის მიერ შეკრებილი ანდაზები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ცნობილი ქართული ანდაზების კუთხური ვარიანტები, შინაარსობრივად შეცვლილი და//ან დიალექტიზმების შემცველი ანდაზები და სხვ.

დ. ცალკე წიგნად არის გამოცემული ა. მსხალაძის **აჭარული** ანდაზები (1984 წ.). წიგნში შესულია როგორც ავტორის მიერ შეკრებილი, ისე ფოლკლორული კრებულებიდან თუ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ფონდიდან ამოწერილი ემპირიული მასალა; აღსანიშნავია,

---

[1] შესიტყვება „ჩქარა სათქმელი“ ავტორის მიერ გამოყენებულია ენის გასატეხის აღსანიშნავად.

[2] ვრცელი ემპირიული მასალა, კერძოდ, მესხეთსა და გურიაში შეკრებილი ანდაზები და სიტყვის მასალები კ. გვარამაძის ავტორობით მოგვიანებითაც გამოიცა (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, 1913-1914 წ.წ., ტ. III, გვ. 276-307).

რომ ანდაზებს ერთვის ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებები.

ე. თ. შიოშვილის მონოგრაფიებში მოცემულია 26 **შავშური** (იხ. „შავშური ფოლკლორი“, 2016 წ.) და 90 **კლარჯული** ანდაზა (იხ. „კლარჯული ფოლკლორი“, 2017 წ.).

ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებისა და გამოცემის ისტორია, ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენების მონაცემების მიმოხილვასაც ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ალ. ცაგარლის განსაკუთრებით დიდი დამსახურება **მეგრული** ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში. 1834-1917 წლებში გამომავალ ჟურნალში – „Журнал Министерства Народного Просвещения“ (ზმნო) – გამოქვეყნებულია ალ. ცაგარლის ვრცელი წერილი „1877 წლის ზაფხულში კავკასიის მხარეში მოგზაურობის შესახებ“. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მოგზაურობის უმთავრესი მიზანი მეგრული მასალების შეგროვება იყო. ამ მოგზაურობის დროს მეცნიერს ზღაპრებთან, სიმღერებთან და სხვადასხვა გამონათქვამთან ერთად ანდაზებიც ჩაუწერია (ЖМНП, №194, 1877, გვ. 208-231). ალ. ცაგარლის შეგროვილი ნიმუშების ნაწილი რამდენიმე წლის წინ გამოსცა გამომცემლობა „იალონმა“ სახელწოდებით „მეგრული ხალხური ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, სიმღერები“ (2020 წ.). მასში შესულია 28 მეგრული ანდაზა.

ჩვენ მიერ დასახელებულ პერიოდულ გამოცემაში – „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (СМОМПК) ქართულის გარდა შესულია **მეგ-**

რული და სვანური ანდაზებიც, სულ 500-ამდე ერთეული. ქართულ, მეგრულ და სვანურ ანდაზებს პარალელურად ახლავს რუსული თარგმანი და ზოგჯერ სათანადო კომენტარებიც; აღსანიშნავია, რომ СМОМПК-ში წარმოდგენილი ქართველურ ენათა ანდაზები არა მხოლოდ თარგმნილია რუსულად, არამედ ზოგჯერ მათი რუსული შინაარსობრივი ეკვივალენტებიც არის დაძებნილი[1]. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში ქართული და მეგრული ანდაზები რუსულის გარდა სხვა უცხო ენაზეც ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; მაგალითად, ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა კულტურების შესასწავლად საქართველოში ჩამოსულმა ფრანგმა ჟურნალისტმა ჟიულ მურიემ თბილისსა და ზუგდიდში დიდი ხანი დაყო და ფრანგულ ენაზე მოგვიანებით გამოცემულ თავის წიგნში ჩართო რამდენიმე ქართული და მეგრული ანდაზის ფრანგული თარგმანი, ორიგინალის გარეშე (ბრეგაძე 2013, 2020). 1903 წელს პარიზში გამოვიდა თ. სახოკიას Les proverbes Géorgiens („ქართული ანდაზები“); შემდგენელ-გამომცემელს წარმოდგენილი აქვს ქართული ანდაზების ფრანგული თარგმანები. ცალკე გამოცემული ეს პუბლიკაცია ეყრდნობა უფრო ადრე ფრანგულ ჟურნალში („Revue des Traditions Populaires“) დაბეჭდილ მასალებს; კერძოდ, 818 ქართული ანდაზის ფრანგულ თარგმანს ორიგინალი ტექსტის გარეშე (ბრეგაძე 2020:416).

[1] СМОМПК-ს ცალკეული გამოცემების ელექტრონული ვერსიები იხ. ბმულზე: https://books.google.com

ფრანგულ ენაზე გამოცემული ქართული ანდაზები თ. სახოკიას მიერ დალაგებულია თემატურ ჯგუფებად.

მეგრული ანდაზების 127 ერთეული მოცემულია ი. ყიფშიძის შედგენილ ქრესტომათიაში, რომელიც ახლავს რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრული ენის გრამატიკას (Кипшидзе 1914:418-463). თ. სახოკიას ჩაწერილი „მეგრული ანდაზები და გამოთქმები“ აერთიანებს გასული საუკუნის 900-იან წლებში მოძიებულ 436 ანდაზას[1]; ჩამწერ-შემდგენელ თ. სახოკიას ანდაზებისთვის დაურთავს ქართული შესატყვისები და ხშირ შემთხვევაში კომენტარებიც, რომელთა საშუალებით წარმოდგენილია შემდგენლის (თ. სახოკიას) ინტერპრეტაცია; ამასთან, ზემოაღნიშნულ მასალაში ასახულია ანდაზების ვარიანტულობა და სამეგრელოს არეალებისთვის დამახასიათებელი ფორმათა ნაირგვაროვნება, რაც მეტ ღირებულებას სძენს მას. ამ ჩანაწერებიდან თ. სახოკიას 1897 წელს „მოამბეში“ (№10, გვ. 162) გამოუქვეყნებია 10 მეგრული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით. აღნიშნული მასალა სრულად გამოაქვეყნა შ. აფრიდონიძემ მოგვიანებით, 1989 წელს, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXVIII ტომში (გვ. 240-271).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თ. სახოკიას წვლილი ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ 1889 წლიდან, ქართლში სოფლის მასწავლებლად მუშაობის პერიოდიდან, იგი გულმოდგინედ

[1] ჩანაწერების დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. სახოკიას ფონდში (№167, 314, 317).

აგროვებდა ხალხში გაბნეულ ფოლკლორულ ნიმუშებს, მათ შორის, ანდაზებსაც. 1943 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში თ. სახოკია წერდა: „პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად“ (სახოკია 1969:220)[1]. საინტერესოა ისიც, რომ თ. სახოკიას შეუგროვებია სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები[2], რომლის გამოცემაც ეთნოგრაფთა საზოგადოებას შემდგომი მეცნიერული შესწავლის მიზნით 1950-იან წლებში დაუპირებია, თუმცა, ცხადია, მაშინდელი ცენზურის პირობებში ეს ვერ მოხერხდა და აღნიშნულმა მასალამ მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში იხილა დღის სინათლე (კოტეტიშვილი 2005)[3].

---

[1] ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული (1969 წ.).

[2] „ქართული უწმაწური ანდაზები და სიტყვა-თქმანი“, რომლის დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II; ფონდები: 145, 151, 167, 314-316), შ. აფრიდონიძის მიერ შეჯერებული ვარიანტების მიხედვით 2005 წელს გამოიცა ვ. კოტეტიშვილის კრებულში „მოუკრეფავნი“; აქვეა დაბეჭდილი მეგრული სკაბრეზული ანდაზები და გამოთქმები.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ უწმაწური ლექსიკის წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლის მიმართ არაერთგვაროვანი აზრის მიუხედავად, ლინგვისტური კვლევებისთვის ყველა სახის მასალა, როგორც ენობრივი ფაქტი, თავისთავად საინტერესოა, რადგან „უწმაწური ლექსიკისა და ინვექტივის გამორიცხვა, როგორი მცირეც უნდა იყოს მისი ხვედრითი წილი, ენას „სტერილურად“ წარ-

1990 წელს გამოქვეყნდა კ. სამუშიას მიერ ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა შორისაც რამდენიმე ანდაზაცაა წარმოდგენილი შესაბამისი ქართული ვერსიით. აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორი ანდაზის ნაცვლად იყენებს ტერმინს ***სენტენცია***[1].

კ. დანელიასა და ა. ცანავას მიერ შედგენილ „ქართული ხალხური სიტყვიერების" II ტომში შესულია 828 მეგრული ანდაზა. ანდაზები გაწყობილია ქართულ ანბანთრიგზე, თითოეულს ახლავს ქართული თარგმანი (დანელია, ცანავა 1991:418-463).

2013 წელს ფ. ნადარაიამ გამოაქვეყნა 100 მეგრული ანდაზა სათაურით „მარგალური მოკოეფი" („მეგრული ანდაზები") („სამეგრელო-ზემო სვანეთი", ცნობარი, მარტვილი, გვ. 35-39). ანდაზები აქაც ანბანთრიგზეა გაწყობილი, მოცემულია მხოლოდ მეგრულ ენაზე და არ ახლავს შესაბამისი ქართული ვერსია.

2019 წელს დაიბეჭდა მ. კვირტიას წიგნი „კვიმატი". მასში წარმოდგენილია: ლექსები, ფოლკლორული ტექსტები, ონომასტიკური მასალა, ენის გასატეხი, შელოცვები, გამოცანები, 800 ერთეულამდე მეგრული ანდაზა და სხვ. აღნიშნული ანდაზები ავტორს ჯერ კიდევ 1966 წელს დაულაგებია და გაუწყვია ანბანთრიგზე.

მოგვიდგენს და ამდენად, მის დამახინჯებულ სურათს მოგვცემს. ამა თუ იმ ენის ადეკვატური, იდეალური აღწერა იქნებოდა მისი ყველა დისკურსის აღწერა" (ომიაძე 2009:184).

[1] ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული მსჯელობა ვრცლად იხ. 1.1 პარაგრაფში.

წიგნში მოცემულ ზოგიერთ ანდაზას ახლავს ქართული თარგმანი და//ან ავტორისეული მცირე კომენტარი. იშვიათად, მაგრამ მაინც, ნაშრომში ანდაზად ჩათვლილია იდიომი, ნარატიული ტექსტი, ფრთიანი გამონათქვამი და ა.შ. (მაგალითისთვის იხ. გვ. 202, №7; გვ. 203, №33, გვ. 206, №8, გვ. 211 №27). მასალის გადამუშავების აუცილებლობას თვით მ. კვირტიაც შენიშნავს ანდაზების ბოლოს არსებული მინაწერით: „შეიძლება მეტიც გამოსულიყო, რომ მუშაობა გამეგრძელებინა, შეიძლება დახვეწის შემდეგ ნაკლებიც ყოფილიყო...“ (კვირტია 2019:234).

საქართველოსა და თურქეთში გამოცემული **ლაზური ანდაზების** რამდენიმე ბეჭდური წყარო შეიძლება დავასახელოთ; კერძოდ, ესენია:

ა. თურქული გამოცემის (Kamil Aksoylu, Laz Kulturu Tarih, Dil, Gelenek ve Toplumsal Yapi, Ankara, 2010) მიხედვით ქართული ანბანის რიგზე გაწყობილი 218 ერთეული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით, მომზადებული ნ. ახალაიასა და ზ. ქავთარაძის მიერ; შეტანილია წიგნში: „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ (ახალაია და სხვები 2015:656-676).

ბ. სარფული ფოლკლორის მიმოხილვისას ც. ნარაკიძე და თ. შიოშვილი უხვად იმოწმებენ ლაზურ ანდაზებს პარალელური ქართული შინაარსობრივი შესატყვისებით; შეტანილია წიგნში: „სარფი“ (ჩოხარაძე და სხვები 2015:423-429).

გ. 126 ერთეული ლაზური ანდაზა მოცემულია თურქეთში გამოცემულ ბოლოდროინდელ ნაშრომებში. მათ

შორის აღსანიშნავია რ. კოსანოღლუს Lazca Deyimler ve Atasözleri Sözlüğü – „ლაზური იდიომებისა და ანდაზების ლექსიკონი“ (Kosanoğlu 2020). ლაზური ანდაზები დალაგებულია ქართულ ანბანთრიგზე ლაზური ფონემატური სისტემის გათვალისწინებით; ახლავს თურქულენოვანი ვერსიები.

მეგრული და ლაზური ანდაზები, ქართული ვერსიით, გამოცემულია ერთ წიგნად შემდეგი სახელწოდებით: „ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები)“ (შემდგენლები და ქართული ვერსიის ავტორები: რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი, 1994). მასში შესულია 1922 მეგრული და 890 ლაზური ანდაზა. შემდგომ, 2015 წელს, ლაზური ანდაზები და იდიომები ცალკე ო. მემიშიშმა გამოსცა. ავტორის მითითებით, წიგნში შესულია წლების განმავლობაში საველე-შემკრებლობითი მუშაობის დროს მოძიებული მასალა. დალაგების პრინციპი შემდეგნაირია: ანბანის რიგზე მოცემულ ლაზურ ანდაზებს მოსდევს სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანი, ზოგჯერ კი – შესატყვისი ქართული ანდაზა.

სვანური ანდაზების ერთ-ერთი პირველი შემკრები და გამომცემელი არის „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით მოღვაწე მეცნიერი ბესარიონ ნიჟარაძე, რომელმაც 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში („ძველი საქართველო“, ტ. II, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით) გამოაქვეყნა რამდენიმე სვანური ანდაზა (განყოფ. II, გვ. 98-100); გასული საუკუნის 60-იან წლებში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა რამდენიმე სვანური

ანდაზის ქართული შესატყვისები სათაურით „სვანური ანდაზები“. წარმოდგენილ მასალას მიწერილი აქვს „ვ. და ე. გვიჩიანები, მესტიის რაიონი“ (№53, 1965, 5 მარტი). სვანური ანდაზების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების ამსახველი შედარებით სრული მონაცემი 1973 წლამდე არ გამოცემულა. ამ დროს ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით გამოქვეყნდა სვანური ენის მკვლევრის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის, ა. დავითიანის, „სვანური ანდაზები“; მასში მოცემულია მეცნიერის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები მასალა, 3000-ამდე ანდაზა. ა. შანიძე წინასიტყვაობაში მაღალ შეფასებას აძლევს ა. დავითიანის შრომას. იგი წერს: „ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიისა და ლექსიკოგრაფიისათვის, ისე ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ მთავარი მისი ღირებულება მაინც ის არის, რომ ამ წიგნით გამოვლენილია ბევრი რამ ჩვენი უზომოდ ვრცელისა და დიდად მდიდარი ხალხური სიტყვიერების ერთ უბანზე სიყვარულით შეკრებილი უძვირფასესი ნიმუშებისა სვანთა გონებრივი საგანძურიდან, რომელიც ქართული თარგმანის საშუალებით ფართო წრეებისათვის ხდება ხელმისაწვდომი“ (შანიძე 1973:4). ა. დავითიანის განსაკუთრებულ ღვაწლს და ნაშრომის ღირებულებას ხაზს უსვამს მ. ქალდანიც (ქალდანი 1973:5-7). ნაშრომის გამოცემას მალევე მოჰყვა დადებითი გამოხმაურებები სხვა მეცნიერთა მხრიდანაც (გელოვანი 1973; ღლონტი 1973; შამელაშვილი 1973).

2000 წელს გამოიცა სვანური ანდაზების კიდევ ერთი სრული კრებული სახელწოდებით „ლაჰრჳკდ ჲრი“,

რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „არაკად არის//საარაკოდ არის“; იგივეა, რაც ქართული არაკად თქმულა//ანდაზად თქმულა. კრებულის შემდგენელ-გამომცემელია ა. კორძაია. აღსანიშნავია, რომ ა. დავითიანის ზემოხსენებულ კრებულში (1973 წ.) ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებებია ასახული, ხოლო ა. კორძაიას (2000 წ.) წარმოდგენილი აქვს ბალსზემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავზე ჩაწერილი ანდაზები[1]. როგორც კრებულის შემდგენელი მიუთითებს, „კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რაც ბალსზემოურ სვანეთს უჭირავს, ძნელია მოიპოვებოდეს იმდენი ანდაზა ან ანდაზის იმდენი ვარიანტი, რომ შეიძლებოდეს კრებულში მისი გეოგრაფიული პრინციპით დალაგება, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით“ (კორძაია 2000:7). მეცნიერი იზიარებს და ანდაზებისთვისაც აზოგადებს ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ბალსზემოური, სხვა კილოებთან დაპირისპირებით, ცალკე ერთეულია, მაგრამ ეს ერთეული თავის წიაღში სრულიადაც არ არის მთლიანი. მრავალფეროვანია ის წვრილ-წვრილი განსხვავებანი, რომელთაც გვიჩვენებენ ცალკეული ხეობები და სოფლები:

[1] ა. კორძაიას ნაშრომის რეცენზიაში რ. იოსელიანი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კრებულში თავმოყრილი ანდაზები განსაკუთრებით ღირებულია, რადგან იგი წარმოადგენს ბალსზემოური დიალექტის ნიმუშებს, ხოლო სვანურის ამ კილოს „სამედიატორო ენას“//„სალიტერატურო სვანურს“ უწოდებენ (იოსელიანი 2003).

სხვა არის უშგულური სვანური, სხვაა მულახური და სხვაა ლატალური. ხეობიდან ხეობამდე და ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე საკმაოდ დიდია კილოკავური განსხვავება“ (სვანური პროზაული ტექსტები, I:XIV).

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ანდაზური ემპირიული ფონდის ელექტრონულ ბაზებად გარდაქმნაზეც აისახა; უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ნიჟარაძის გამოცემული სვანური ანდაზები, სვანურ გამოცანებთან ერთად, განთავსებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ელექტრონული ვერსია ეკუთვნის პროფ. იოსტ გიპერტს)[1]. რ. შეროზიასა და ო. მემიშიშის შედგენილი მეგრული და ლაზური ანდაზების ელექტრონული ვერსია მოამზადა მ. ბუკიამ[2].

ბოლო ხანებში შეიქმნა ქართული ანდაზებისა და იდიომების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა[3]; აღნიშნული ციფრული რესურსი რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადდა პროფ. მანანა რუსიეშვილის ხელმძღვანელობით; იგი შეიცავს 7 ათასამდე ქართულ ანდაზასა და იდიომს. აღსანიშნავია, რომ ბაზაში შესაძლებელია ქართული ანდაზებისა და იდიომების სემანტიკური ეკვივალენტების ძიება

[1] სვანური ანდაზები და გამოცანები იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://titus.uni-frankfurt.de (ბოლო წვდომა: 23.05.2025).

[2] აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://lev.ge/ (ბოლო წვდომა: 25.05.2023).

[3] ატვირთულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერვერზე და ელექტრონულად ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://idioms.tsu.ge/ (ბოლო წვდომა: 03.04.2024).

ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, თურქულ და არაბულ ენებში, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც[1].

ზემოთქმულის მიუხედავად, დღესაც აქტუალურია XX საუკუნის 60-იან წლებში ნათქვამი: „ჩვენს ერში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულია მრავალი ანდაზა, როგორც ზღვის ფსკერში მარგალიტი, და მათი პოვნა და შეგროვება მეტად საჭიროა“ (გომართელი 1966:99).

1.4 ქართველურ ენათა ანდაზების მეცნიერული შესწავლის ისტორია

ქართული ანდაზების მეცნიერული შესწავლა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაიწყო და განსაკუთრებით გააქტიურდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ენებს შორის შედარებით უკეთ და საფუძვლიანად არის გამოკვლეული ქართული ანდაზების სტრუქტურა-სემანტიკის საკითხები, ვიდრე მეგრული, ლაზური, სვანური ანდაზებისა. ცნობილია ისიც, რომ ანდაზების შემგროვებლები და გამომცემლები ძირითადად ფოლკლორისტები და ენათმეცნიერები იყვნენ; ანდაზის კვლევის სათავეებთანაც ისინი დგანან.

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს პროფესორმა მ. მიქაძემ შეადგინა და ბეჭდურად გამოსცა „ქართული ანდაზა ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესატყვისებით“, სადაც ამოსავალი ენის მასალას – ანბანთრიგზე დალაგებულ ქართულ ანდაზებს – მიწერილი აქვს დანარჩენ ენათა სემანტიკურად ეკვივალენტური ანდაზები.

აღსანიშნავია, რომ ფოლკლორისტ-ლიტერატურათმცოდნეების კვლევის მეთოდოლოგია განსხვავებულია, თუმცა მათ მიერ გამოცემულ მონოგრაფიებში, კრებულებსა თუ ცალკეულ სტატიებში ღირებული ცნობებია მოცემული ანდაზის ენობრივი ანალიზის თვალსაზრისითაც.

ალ. ხახანაშვილი 1904 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ანდაზების ენისა და თემატიკის საკითხებსაც ეხება (გვ. 85-86). მკვლევარს საგანგებოდ მოჰყავს იმგვარი ანდაზები, რომლებშიც ასახულია მითოლოგიური, ისტორიული და სარწმუნოებრივი კვალი, მიცვალებულთა კულტი და თაყვანისცემა, ბატონყმობის ეპოქა, ქალის სოციალური როლი, ცოლ-ქმრისა და რძალ-დედამთილის დამოკიდებულება, წარსულის პატივისცემა და ა.შ.

ალ. ხახანაშვილის ზემოხსენებულ ნაშრომს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ინტერვალით მოჰყვა მ. ჩიქოვანის მონოგრაფია „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“ (1952 წ.), რომელიც შევსებული და შესწორებული სახით მოგვიანებითაც, 1956 წელს, გამოიცა. მ. ჩიქოვანი ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებთან ერთად ანდაზის თავისებურებებსაც ეხება. მათ შორის მიმოიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ანდაზის წარმოშობის წყარო, მისი გავრცელების მექანიზმები და სხვ. ამასთან, ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს თემატურ-შინაარსობრივად განსხვავებული ქართული ანდაზები, როგორიცაა: ძალმომრეობისა და უსამართლობის სემანტიკის, დამრი-

გებლური შინაარსის მქონე, ისტორიული და ეპიკური პირების მონაწილეობით შექმნილი და სხვ. იგი აგრეთვე მსჯელობს ანდაზებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმასა და კომპოზიციურ აგებულებაზეც.

გრ. კიკნაძის მონოგრაფიაში „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (1953 წ.) ცალკე თავი ეთმობა ქართული ხალხური ანდაზების სატირულ-იუმორისტულ ფუნქციაზე მსჯელობას. ავტორი სხვადასხვა თემატიკის ანდაზებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „[ანდაზებში] მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სოციალურმა დიფერენციაციამ, წოდებრივ-კლასობრივმა დაჯგუფებამ და ხალხის დამოკიდებულებამ სხვადასხვა ყოფით[ი] ვითარებისადმი“ (კიკნაძე 1953:175). ამავე საკითხებს ეძღვნება III თავი ა. ცანავას ნაშრომიდან „სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“ (ცანავა 1960:87-120). მეცნიერი ვრცლად მიმოიხილავს იმგვარ სატირულ-იუმორისტულ ანდაზებს, რომელთა პერსონაჟებია: ცხოველები, ფრინველები და მცენარეები; ეხება აგრეთვე საყოფაცხოვრებო თემატიკას, გლეხის ყოფას და სხვ. ქართული ანდაზების შესწავლას ისახავს მიზნად ფ. ზანდუკელის საკანდიდატო დისერტაციაც. მასში გაანალიზებულია ანდაზების წარმოშობა-განვითარება, ანდაზის ისტორიული როლი, ჟანრობრივი მიკუთვნებულობა, ანდაზათა შეკრებისა და მეცნიერული შესწავლის ისტორია, ქართული ანდაზების იდეურ-თემატიკური მხარე, მხატვრული თავისებურებანი და სხვ. (ზანდუკელი 1961).

ქართული ანდაზების ენობრივი ქსოვილის, კერძოდ, რიტმული წყობის, შესწავლას ეთმობა ფოლკლორისტ ჯ. ბარდაველიძის სამეცნიერო სტატია „ანდაზების რიტმული წყობა“, რომელიც 1979 წელს დაიბეჭდა კრებულში „ფოლკლორის თეორია და ისტორია, ქართული ფოლკლორი, VIII“ (გვ. 67-77). ავტორი სხვა ფოლკლორულ ჟანრებთან შეპირისპირებით გამოყოფს ქართული ანდაზების ორ ძირითად ჯგუფს: 1) ლექსთწყობაზე დაფუძნებულსა და 2) პროზაული ფორმის ანდაზებს. ჯ. ბარდაველიძე ასკვნის, რომ „ქართული ანდაზები აზრობრივად და რიტმულად მტკიცედ შეკრული ნაწარმოებებია, რომლებშიც, ისევე როგორც სხვა პოეტურ ჟანრებში, გამოვლენილია მაღალი პოეტური კულტურა და დიდი მხატვრული ალღო. ანდაზების რიტმული წყობა ზეპირსიტყვაობის საუკუნეობრივი ტრადიციის შედეგია და ამიტომ არის იგი ასე მყარი და ურღვევი“ (ბარდაველიძე 1979:77). ანდაზას პოეტურ ჟანრს მიაკუთვნებს ზ. კიკნაძეც; ამის უმთავრეს მიზეზად მეცნიერს მიაჩნია ანდაზის შინაგანი ფორმა, მისი რიტმი და რითმა, წევრთა პარალელიზმი[1], ალიტერაცია და სხვ. (კიკნაძე 2008:326-327)[2].

[1] ანდაზებში დადასტურებული წევრთა პარალელიზმის საილუსტრაციოდ ზ. კიკნაძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: „კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია (კაცი – სოფელი, გონიერება – ღონიერება)“ და მისთ. (კიკნაძე 2008:327).

[2] ამავე საკითხზე საინტერესოა ალ. ღლონტის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ანდაზა ხალხური შაირის ერთი სახეა, ხან გარითმული, ხან კი თეთრ ლექსად წარმოდგენილი“ (ღლონტი 1952:154).

ენათმეცნიერთაგან ერთ-ერთმა პირველმა ფ. ერთელიშვილმა[1] სცადა ანდაზის რაობის საკითხის გარკვევა სტატიაში „ანდაზის ცნების საკითხისათვის“ (ჟურნ. „მნათობი“, №3, 1957 წ., გვ. 102-109)[2]. ქართული ანდაზების სტრუქტურას, სემანტიკურ მახასიათებლებსა და ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს (ალიტერაცია, ასონანსი, რითმა და მისთ.) განიხილავს ვ. ბოედერი 1985 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “La structure du proverbe géorgien” (Boeder 1985:97-115). ამავე ავტორს ეკუთვნის სამეცნიერო სტატია ხევსურული ანდაზების სტრუქტურა-შინაარსისა და ანდაზის კვლევის ზოგადთეორიული პოსტულატების შესახებ, როგორიცაა კულტურათა სპეციფიკურობის გათვალისწინება ანდაზების ინტერპრეტაციისას, ანდაზის ფორმისა და შინაარსის ურთიერთკავშირი და სხვ. (Boeder 1991:139-161).

ანდაზების საკუთრივ გრამატიკული კუთხით შესწავლა იწყება ალ. ღლონტის ვრცელი სამეცნიერო სტატიით; მასში სინტაქსთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი წარმოდგენილია ქართული ანდაზების მიხედვით. ავტორი გამოყოფს ოთხი ტიპის ანდაზას სინტაქ-

[1] საინტერესოა, რომ მასვე ეკუთვნის ქართული ანდაზების თემატიკაზე შექმნილი იგავ-არაკების კრებული „ძალა და აღმართი“, რომელიც 1963 წელს ფ. გიორგაძის ფსევდონიმით გამოსცა. აღნიშნული კრებული, თ. ღვინაძის რედაქტორობით, 2002 წელს ხელახლა გამოქვეყნდა და მის ავტორად უკვე ფ. ერთელიშვილია მითითებული.

[2] ამ საკითხებზე ვრცლად მსჯელობა მოცემულია 1.1 პარაგრაფში.

სური აგებულების გათვალისწინებით; ესენია: ანდაზა – მარტივი წინადადება; ანდაზა – შერწყმული წინადადება; ანდაზა – პარატაქსი; ანდაზა – ჰიპოტაქსი. აღნიშნულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ალ. ღლონტი ყურადღებას ამახვილებს ინტონაციურ მთლიანობასა და ელიფსისის შემთხვევებზე ქართულ ანდაზებში (ღლონტი 1952:139-154).

საკანდიდატო დისერტაციის ფარგლებში ქართული ანდაზების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდა ეკუთვნის ლ. ლეჟავას (ლეჟავა 1953). აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით მეცნიერმა მოგვიანებით გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ქართული ანდაზების ენა“. მასში საუბარია ანდაზის დეფინიციაზე, მის ზოგად მახასიათებლებზე, ანდაზების შესწავლის მნიშვნელობაზე; განხილულია ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა თუ მწერლების შეხედულებები ანდაზის შესახებ. მკვლევარი არა მხოლოდ დაწვრილებით აღწერს ვრცელ მასალას, არამედ არაერთ გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებაზეც აკეთებს აქცენტს (ლეჟავა 1959:139-264).

მანანა რუსიეშვილის სადოქტორო დისერტაცია („ანდაზა: ფუნქციური არსი, სემანტიკური სტრუქტურა, პრაგმატიკული პარამეტრები (ინგლისურ და ქართულ მასალაზე)“, 1999 წ.) ცალკე წიგნად 2005 წელს გამოიცა, მისი სახელწოდებაა „ანდაზა“. ავტორი მასში მიმოიხილავს ანდაზებს რამდენიმე მიმართულებით; მათ შორის საუბარია ანდაზის ლინგვისტურ მახასიათებლებზე, სემანტიკურსა და პრაგმატიკულ პარამეტრებ-

ზე; ემპირიული მასალის ფონზე გაანალიზებულია ანდაზის შრეობრივი სემანტიკური სტრუქტურა და თითოეული შრის ფუნქცია ანდაზის ზოგადი მნიშვნელობის დასადგენად[1]. აქვე შემოთავაზებულია ანდაზების სემანტიკური სტრუქტურის შესწავლის ახალი მეთოდი ექსპლიციტურ, იმპლიციტურ, პრესუპოზიციულ დონეებზე, რაც სხვა მეთოდებთან ერთად ხელს უწყობს ანდაზის არქეტიპული სტრუქტურის წარმოჩენას. მ. რუსიეშვილის მიხედვით, ანდაზის იმპლიციტურ და ექსპლიციტურ დონეებზე რამდენიმე შრე გამოიყოფა[2]; მაგალითად, სიღრმისეული (იმპლიციტური) დონის შემთხვევაში შესაძლოა ვისაუბროთ ორ შრეზე: ანდაზის მეტაფორული მნიშვნელობის კოდი და არქეტიპული აზროვნების სტრუქტურა. ზემოხსენებული შრეები „ორგანულად ერთვება ანდაზის ზოგადი სემანტიკის შექმნის პროცესში“ (რუსიეშვილი 2005:101)[3]. განხი-

[1] ანდაზის არსისა და რთული შინაარსობრივი სტრუქტურის ანალიზის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ა. დანდისის მოსაზრება. ცნობილი მეცნიერი ანდაზის ტექსტს, მის ზედაპირულ შრეს, ადარებს აისბერგის იმ ნაწილს, რომელიც წყალსზემოთაა მოქცეული და შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად ჩანს, თუმცა მთავარი ნაწილი მაინც ზედაპირის ქვეშაა მოქცეული (Dundes 1980:30).

[2] საყურადღებოა, რომ ფ. ერთელიშვილი სხვადასხვა დონეზე გამოყოფს ანდაზის ამოსავალ (resp. პირდაპირ) და გადატანით მნიშვნელობებს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „ანდაზას მაინც გადატანითი მნიშვნელობა ქმნის“ (ერთელიშვილი 1957:104).

[3] ამავე საკითხზე შდრ. აგრეთვე ქ. მირზიკაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „სწორედ სიღრმისეული, არქეტიპული ცოდნის ანუ სამყაროს შინაგანი კანონზომიერებების შესახებ ცოდნის გამოხატვაა ანდაზის ძირითადი ფუნქცია“ (მირზიკაშვილი 2009:462).

ლულ ნაშრომებთან ერთად, აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის ბოლოდროინდელი პუბლიკაციები (Rusieshvili 2011, 2017), რომლებშიც ანდაზები კონკრეტული საკითხების მიხედვით, მათ შორის, ტიპოლოგიურ ჭრილშია განხილული.

ზ. კიკნაძე გამოყოფს ანდაზის შესწავლის სამ ძირითად ასპექტს (ფორმალური//მორფოლოგიურ-სტრუქტურული, შინაარსობრივი, ფუნქციური) და, შესაბამისად, ანდაზას განიხილავს სამ დონეზე: „ტექსტის დონეზე, 2) მნიშვნელობის დონეზე, 3) გამოყენების დონეზე“ (კიკნაძე 2008:325). ხ. თუმანიშვილის აზრით, ანდაზის სემანტიკურ ჭრილში გასააზრებლად, „ზოგად სქემად შეიძლება გამოდგეს ანდაზის აზრობრივი ფაბულის სამი ძირითადი განზომილების სინთეზში განხილვა. ის ერთდროულად *ლოგიკური, ვერბალური* და *ცნებითი* აზროვნების ელემენტებს მოიცავს“ (თუმანიშვილი 2012:41)[1].

თ. გულიაშვილის საბაკალავრო ნაშრომში (2018 წ.)[2] განხილულია 1450-ამდე ანდაზაში გამოყენებული 2000-ამდე ზმნური ერთეული ძირითადი კატეგორიების

[1] **ლოგიკური** აზროვნების ელემენტებთან ანდაზის სემანტიკური ასპექტების დაკავშირება ახსნილია იმით, რომ ანდაზა სამყაროში არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის ლოგიკური მიმართებების ამსახველია. **ვერბალური** განზომილება წარმოაჩენს ანდაზას, როგორც მეტყველებასთან უშუალო კავშირში მყოფ კომუნიკაციურ ერთეულს, ხოლო ანდაზით გადმოცემული მსჯელობა და შესაბამისი დასკვნა **ცნებით** აზროვნებასთან კავშირშია განხილული (თუმანიშვილი 2010 (ბ).

[2] სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი რ. ზექალაშვილი.

(პირი, გვარი, ქცევა, კილო) მიხედვით. ქართულ ანდაზებში ზმნის პირიან ფორმებს სემანტიკურ-სტილისტური თვალსაზრისით აანალიზებს რ. ზექალაშვილი და ტიპოლოგიურად უდარებს ინგლისურ, გერმანულ, რუსულ მასალას; 2500-ამდე ზმნური ფორმის მიმოხილვის შემდეგ ავტორი საყურადღებო დასკვნას აკეთებს ანდაზაში პირის განზოგადებისა და განუსაზღვრელობის შემაპირობებელი ფაქტორების შესახებ (ზექალაშვილი 2019)[1].

მნიშვნელოვანია ანდაზებთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში დაცული დისერტაციებიც, რომლებიც არსებითად ტიპოლოგიური, ინტერდისციპლინური ხასიათისაა: „პარემიათა ეკვივალენტობის პრობლემა ესპანურ-ქართულ-რუსული ანდაზების მიხედვით“ (ჩქვანავა 2002); „პარემია და მისი ფორმები (ინგლისურ, ქართულ და რუსულ მასალაზე)“ (დიაკონიძე 2004); „ანდაზის ზოგადი თეორიის საკითხები სირიულდიალექტოვანი არაბული მასალის ანალიზის შუქზე“ (თუმანიშვილი 2005); „ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებების გამოხატვა ფრანგულ და ქართულ ანდაზებში (პარემიების თარგმანის მაგალითზე)“ (მაჭუტაძე 2015); „ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპოლოგია (ქართული და რუსული მასალის მიხედვით)“ (ღამბაშიძე 2016)[2];

[1] პირთა განაწილებისა და განზოგადების საკითხს, რომელიც ანდაზების ენის შესწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია, საგანგებოდ ვეხებით ნაშრომის II თავში.

[2] ამავე საკითხზე კვლევა ცალკე მონოგრაფიის სახითაცაა გამოცემული (ღამბაშიძე და სხვები 2017).

„ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეთნოკულტურული თავისებურებანი ინგლისური და ქართული ანდაზების მიხედვით“ (ქამადაძე 2016); „ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები“ (ჩუბინიძე 2018)[1].

ზურაბ ჭუმბურიძემ სვანური ანდაზების კვლევის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვისას აღნიშნა: „შეიძლება ითქვას, [ამ მხრივ] ჯერჯერობით არაფერი არაა გაკეთებული და ვინც ამ საქმეს შეეჭიდება, ყამირის გატეხა მოუხდება“ (ჭუმბურიძე 2008:144); მკვლევარი გულისხმობდა სვანური ანდაზების შინაარსობრივი ანალიზისა და სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან მიმართების დადგენის საკითხებს. ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისს ეხმიანება ც. ნარაკიძის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, „ანდაზა ლაზური ფოლკლორის შედარებით ყველაზე უფრო შეუსწავლელი ჟანრია“ (ნარაკიძე 2010:63)[2]. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს არსებობდა და შემდგომაც დაიწერა კვლევები მეგრულ, ლაზურ, სვანურ ანდაზებზე, მეცნიერთა ზემოხსენებული შეფასებები დღესაც აქტუალურია ამ კუთხით შექ-

[1] ქართული ანდაზებისა და უცხო ენათა პარემიული ფონდის კონტრასტული ანალიზი ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე წარმოდგენილია სამეცნიერო სტატიებსა თუ წიგნებში. მაგალითისთვის იხ. დარასელია 1997, 1998; გაბუნია 2005; თუმანიშვილი 2010 (ა), 2019, 2021; სებისკვერაძე 2011; შავლაძე 2011; სურგულაძე 2012; ჩიმქე 2012; ავალიანი 2018, 2020, 2021 და სხვ.

[2] ლაზურ ანდაზებს, უმეტესად ფოლკლორული თვალსაზრისით, განიხილავს ც. ნარაკიძე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სტატიებში (ნარაკიძე 2010, 2017).

მნილ ნაშრომთა სიცოტავის გამო; ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ არსებული შრომები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელება-გაღრმავებას; კერძოდ:

მეგრული ანდაზების შესწავლის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვინფრიდ ბოედერის წვლილი. 2014 წელს ჟურნალ „ქართველოლოგში“ გამოქვეყნდა სტატია „გრამატიკული პირი მეგრულ ანდაზაში“ (ბოედერი 2014:73-76). ნაშრომში განხილულია ანდაზისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი – გრამატიკული პირის განზოგადება. დასახელებული კვლევის სახელმძღვანელო პრინციპები წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია შესაბამის ადგილას (იხ. თავი II).

მეგრული ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტებს ეხება თ. ქაროსანიძის სამაგისტრო ნაშრომი (2015 წ.)[1]. ავტორი ქართულთან შეპირისპირებით განიხილავს მეგრულ ემპირიულ მასალას შემდეგი საკითხების მიხედვით: მეგრული ანდაზების თემატურ-შინაარსობრივი დახასიათება; მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებით გადმოცემული ანდაზები; ინტონაციის როლი ანდაზის ფრაზებად დაყოფის საკითხში და სხვ. (ქაროსანიძე 2015).

ქართული და **მეგრულ-ლაზური** ანდაზების შინაარსის ახსნის საშუალებები გაანალიზებულია ლ. ფაჩულიას სტატიაში. ავტორი აყალიბებს ანდაზების სემან-

[1] სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი მ. ლომია.

ტიკის დასადგენად აუცილებელ კრიტერიუმებს: „ა) ანდაზის შინაარსისათვის შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა; ბ) ანდაზის გამოყენების სიტუაციაზე მითითება; გ) ანდაზის შინაარსის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი; დ) ანდაზის შინაარსის კომენტირება კულტუროლოგიური თვალსაზრისით; ე) ინფორმაციის მიღება ანდაზის სტილისტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლების შესახებ“ (ფაჩულია 2015:84 და შმდგ.).

ლაზურ ანდაზებსა და იდიომებში ნასესხები ლექსიკური ერთეულებია მიმოხილული რ. შეროზიას სამეცნიერო სტატიაში. ავტორი აანალიზებს ნასესხობათა ორ ძირითად ტიპს: ა) ლექსემები, რომლებიც მხოლოდ ლაზურ მასალაში ჩანს და არ დასტურდება დანარჩენ ქართველურ ენებში (მაგ., ***ავჯი*** „მონადირე“, ***ბერე*** „შვილი“, ***ნეკნა*** „კარი“ და სხვ.); ბ) სიტყვები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ენებშიც მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიყენება (***დავთარი, ბაირამი, დუნია*** და ა.შ.) (შეროზია 2003:238-245)[1].

სვანური ანდაზები ფონოლოგიური და ლექსიკოლოგიური მახასიათებლების მიხედვით განხილული აქვს ლ. გულედანს საკანდიდატო დისერტაციაში (1998 წ.). ასევე, ლექსიკურ-თემატური პარალელები მოხმობილი აქვს სხვა ქართველური ენებიდანაც. განსაკუთრებით საყურადღებოა დისერტაციაში მოყვანილი „სა-

[1] ცხადია, ლაზურის ისტორიული ვითარებისა და ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ანდაზებში ნასესხობების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და ცალკე კვლევის საგანია.

კუთრივ სვანურად“ კვალიფიცირებული ანდაზები, რომლებშიც „ადგილობრივ მცხოვრებთა ისტორიული ყოფის ესა თუ ის დეტალია მინიშნებული“ (გულედანი 1998:94)[1]. ავტორი გამოქვეყნებული ანდაზების პარალელურად ნაშრომში აანალიზებს ზემო სვანეთში (მესტია, ლენჯერი, მულახი) მოპოვებული მასალის ერთ ნაწილსაც, რაც ნაშრომს მეტ ღირებულებას სძენს. სვანური ანდაზების შესწავლის აქტუალურ საკითხებს ეხება ლ. გულედანის მიერ დამუშავებული სამეცნიერო სტატიებიც (გულედანი 1996 (ა), 1996 (ბ)).

მ. საღლიანისა და ნ. შავრეშიანის სამეცნიერო სტატიაში მიმოხილულია ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართების საკითხი სვანური მასალის მიხედვით (საღლიანი, შავრეშიანი 2018:135). ი. ჩანტლაძისა და ლ. გულედანის ნაშრომში „ქართველური ანდაზები“ ქართულთან შეპირისპირებით გაანალიზებულია სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მასალა. სტატიაში განხილულია საანალიზო ენათა ანდაზების ეკვივალენტურობის საკითხი, ანდაზის აგების მორფოსინტაქსური საშუალებები და სხვ. (ჩანტლაძე, გულედანი 1997:282-286).

ე. ჭითაშვილი სამეცნიერო სტატიაში – „პრედიკატული სახის ელიფსური კონსტრუქციები ქართველურ ანდაზებში“ – აანალიზებს **ქართულ, მეგრულ, ლაზურ**

[1] ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები და შინაარსობრივი ეკვივალენტობის საკითხი გაანალიზებულია წარმოდგენილი ნაშრომის IV თავში.

და **სვანურ ანდაზებში** მოცემულ ელიფსურ წინადადებებს და გამოტოვებული შემასმენლის ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით, ზმნიზედით, სახელზმნით ჩანაცვლების შემთხვევებს. ავტორის დასკვნით, „პრედიკატული სახის ელიფსური კონსტრუქცია ანდაზისათვის, როგორც ლაკონიური სიტყვიერი ფორმულისათვის, სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სინტაქსურად „არასრული“ წინადადება სემანტიკურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს, იგი უნაკლოა, მსმენელი ადვილად იგებს და ითვისებს მის შინაარსს“ (ჭითაშვილი:189).

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილი არაერთი საკითხის ანალიზი ემყარება ასევე აქამდე ჩატარებულ სხვა კვლევებსა და კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. ნაშრომის ძირითად ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული და დამოწმებული ჩვენს ხელთ არსებული ყველა საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა.

1.5 საკვლევი პრობლემის არსი; თემის აქტუალურობა და სირთულე; კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები

ანდაზა ერის უნიკალური სიმდიდრე და კულტურის განუყოფელი ნაწილია. ანდაზაში აზრის მაღალმხატვრულობასთან ერთად მოცემულია მისი შემქმნელი ხალხის ისტორია, გამოცდილება, მსოფლხედვა, მისწრაფება და მისთ. ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუ-

შებთან ერთად, ანდაზების სიღრმისეული კვლევა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეროვნული კულტურის მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, ერის მენტალიტეტის, მისი სპეციფიკურობის გასაგებად. ამის მიზეზი ისაა, რომ „ანდაზაში სხარტად არის გამოთქმული ბრძნული აზრი, განზოგადებულია ხალხის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგი, ჩამოყალიბებულია შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე“ (ჭუმბურიძე 1965:3). ანდაზური ფონდის შესწავლის მრავალპლანიანობა იმითაცაა განპირობებული, რომ „ანდაზები და სიტყვის მასალები ხალხის მახვილგონიერების, გასაოცარი სახეობრივი აზროვნების ნაყოფია. მასში ჩაქსოვილია ხალხის ზნეობრივი, ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური და ჰუმანური იდეალები“ (დანელია, ცანავა 1991:525)[1].

ანდაზა ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრია, რომელიც ყველაზე კარგად უძლებს დროს. იგი უძველესი კოდური ინფორმაციის მატარებელია. ანდაზა ასახავს მენტალურ ფაქტს, რომელიც გაცხადებულია ენით. ყო-

[1] სხვადასხვა ენის ანდაზების შესწავლა განსხვავებულ ჭრილში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს, რაზეც მიუთითებს ამ უკანასკნელ ხანებში შედგენილი ბიბლიოგრაფიები, რომლებიც პარემიოლოგიის დარგში შექმნილ ასეულობით სამეცნიერო ნაშრომს აერთიანებენ (მაგალითისთვის იხ. Mieder 2022: 373-410). გარდა ამისა, პარემიოლოგიური კვლევების აქტუალურობა ჩანს იმაშიც, რომ არსებობს „პარემიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია“ (AIP-IAP – International Association of Paremiology), რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად იმართება ინტერდისციპლინური კოლოკვიუმი ანდაზების თემატიკაზე. ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდია: http://www.colloquium-proverbs.org (ბოლო წვდომა: 10.10.2025).

ველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **აქტუალურია** ანდაზების კვლევა და იმაზე დაკვირვება, რა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებია გამოყენებული მიზნის მისაღწევად, როგორ არის ასახული ქართველურ ენათა ანდაზებში კულტურულ-მენტალური ფენომენი, რა არის მასში საერთო და რა – განსხვავებულ-სპეციფიკური.

თემის სირთულე და **კვლევის პრობლემატიკა** რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ანდაზა საკომუნიკაციო დანიშნულების რიტმულ-რითმული პოეტური ფრაზაა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ენის იერარქიული სისტემის ერთ-ერთი დონის ერთეულია (კარტოზია 1995), ზუსტი სახელწოდებით, **მინი-ტექსტია** (ქამადაძე 2016:14-16), რომლის ანალიზი ითვალისწინებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას. ანდაზის მიჩნევა ე.წ. მარტივ ენობრივ ფორმად (Jolles 1982; დამოწმებულია კარტოზიას მიხედვით, 1995:49-50) მისი კვლევის სირთულეს უსვამს ხაზს, რადგან მინიმალური ლექსიკური ერთეულების შეხამებითა და ერთმანეთთან დაკავშირებით გადმოცემულია მაქსიმალურად ღრმა აზრი.

ანდაზაში კონკრეტული „მე“ აფასებს მოვლენებს, გამოხატავს შინაგან მდგომარეობასა და აღქმას, სხვა პირ(ებ)თან მიმართებას, მაგრამ, ამავდროულად, „ფუთავს“ პირველწყაროს და აზოგადებს ამ ყველაფერს, როგორც ცხოვრებისეულ სიბრძნეს. სინამდვილეში, „მე“ წამყვანია ანდაზაში, მაგრამ ის ყოველთვის „მიჩქმალულია“, მაშინაც კი, როცა მასავით კონკრეტულ

მეორე პირს მიმართავს; ცხადია, ადამიანის მენტალობის ამგვარი რთული გარდასახვა მხოლოდ ენობრივ დონეთა სხვადასხვა სტრუქტურის (ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკის) გამოყენებითაა შესაძლებელი.

ნაშრომის **მიზანია** ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი შემდეგი **ამოცანების** გათვალისწინებით: შედარება-შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე საერთოქართველური ენობრივი მსოფლხედვისა და კონკრეტული არეალის სპეციფიკური ენობრივი ნიშნების გამოკვეთა; ანდაზის მორფოსინტაქსური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტების წარმოჩენა. ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს ქართველურ ენათა ანდაზური ფონდის სისტემური ანალიზი; ტრადიციული გრამატიკის ახლებური გააზრება ენობრივი მონაცემების ფუნქციურ-სტილისტურ დანიშნულებათა გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე **საკვლევი ძირითადი კითხვები** შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- როგორ არის ასახული გრამატიკული პირი და რა სახის სტრუქტურული მოდელები იქმნება მათი მონაწილეობით ქართველურ ენათა ანდაზებში?
- რა საშუალებებითაა გადმოცემული ინფორმაციის წყაროსთან მთქმელის მიმართების პროცესი?
- რა ხერხებით არის შენარჩუნებული ფრაზის პოეტურობა (რიტმისა და რითმის განცდა)?

- როგორ არის ასახული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეპტი „ბედი“ ანდაზის ენაში?
- რა პრინციპების მიხედვით დგინდება ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური შესატყვისობები?
- როგორ ფართოვდება ანდაზის გამოყენების არეალი განსხვავებულ სფეროებში, მათ შორის, პოლიტიკურ დისკურსში ჩართვის შედეგად?
- როგორ ხდება ანდაზის გარდასახვა და რა ტერმინოლოგიური საკითხებია ამ პროცესთან დაკავშირებული?
- რა ფუნქციურ-სტილისტიკური დატვირთვა აქვს რიცხვითი სახელით, ონომასტიკური მასალით, ფონოსემანტიკური ზმნური ერთეულებით წარმოდგენილ ლექსიკას ქართველურ ენათა ანდაზებში?
- როგორ აისახება სტერეოტიპული გენდერული ლექსიკა ანდაზებში?
- უახლესი ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით, რა ძირითადი მიმართულებებია გამოკვეთილი თანამედროვე პარემიოლოგიურ ლიტერატურაში ანდაზის კვლევის პერსპექტივებთან დაკავშირებით?

1.6 ველზე მუშაობის დაგეგმვა: გამოწვევები და პერსპექტივები

ანდაზა ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური ჟანრია. ანდაზების შეგროვება ველზე მუშაობის პირობებში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული; ცხადია, ანდაზა ზეპირმეტყველებაში გვეძლევა და მთქმელი მას შესაფერის კონტექსტს არგებს; შესაბამისად, კვლევისთვის საჭირო, სასარგებლო მასალის მოპოვებას ბუნებრივი სიტუაციის შექმნა სჭირდება. მკვლევარმა სხვა რომელიმე ჟანრის ტექსტი, მაგალითად, ზღაპარი, შეიძლება მთქმელს თავიდან ბოლომდე გაბმულად მოაყოლოს და შედარებით მარტივად ჩაიწეროს; ანდაზების ჩასაწერად კი აუცილებელია საუბარი განვითარდეს საჭირო თემატიკის მიმართულებით[1].

მართალია, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან შედარებით, ანდაზა მეტად მყარი ერთეულია და, მასში გადმოცემული სიბრძნის უნივერსალურობის გათვალისწინებით, ნაკლებად იცვლება დროსა და სივრცეში, თუმცა ბეჭდური და ველზე მოპოვებული მასალების შედარებამ აჩვენა, რომ ქართველურ ენათა ანდაზები ვარიანტულობით გამოირჩევა. ერთი ანდაზის რამდენიმე ვარიანტის გაჩენას შესაძლებელია კონკრეტული მოტივაციაც ჰქონდეს. მაგალითად, ქართულ ანდაზას –

[1] ვ. ბოედერი სამართლიანად მიუთითებს, რომ შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის, რა სიტუაციაში გამოიყენებს ანდაზას მთქმელი (Boeder 1991:140); სწორედ ამისთვის არის აუცილებელი სათანადო გარემოს შექმნა.

„ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცხინვალში მოუვიდაო“ – აქვს მეგრულში იდეურ-სემანტიკური შესატყვისი: ხორგას კოჩი გოლახეს დო ხეთას გურქ მურთუა („ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“). ამგვარ შემთხვევებში ვარიანტულობა განპირობებულია ანდაზაში ადგილობრივი ტოპონიმური მასალის ასახვით.

ველზე მუშაობა საინტერესოა ანდაზების ექსპერიმენტული მეთოდით შესწავლის თვალსაზრისითაც, რაც „პარემიოლოგიური მინიმუმის“ დადგენას გულისხმობს[1]. იგი ემსახურება საზოგადოებაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ანდაზების გამოვლენას. ექსპერიმენტის მიხედვით, ცდისპირებს ეძლევათ გარკვეული დრო (საშუალოდ, 20-დან 40 წუთამდე), რათა გაიხსენონ და ჩამოწერონ მათთვის ცნობილი ყველა ანდაზა. შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შედგება ერთიანი სია და გამოიკვეთება იმ დროისთვის აქტიური, ყველაზე გავრცელებული ანდაზები. ზოგადად, ანდაზების კვლევაში ექსპერიმენტული მიდგომა XX საუკუნიდან გააქტიურდა. ამ მხრივ აღსანიშნავია უცხოელ ავტორთა – უ. ალბიგის (Albig 1931), გ. პერმიაკოვის (Permyakov 1973), ი. ლევინის (Левин 1984), ა. ლიტოვკინას (Litovkina 1996) და სხვათა შრომები.

[1] თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში „პარემიოლოგიური მინიმუმის“ სინონიმად დასტურდება აგრეთვე ტერმინი „ანდაზა-მინიმუმი“ (გერმ. Sprichwort-Minima) (ღამბაშიძე 2017).

ჩვენში პარემიოლოგიური მინიმუმის დადგენის პრაქტიკა ნაკლებად არის განვითარებული და, შესაბამისად, ცოტა რამ არის კვლევებში ასახული. ნიმუშისათვის უნდა დასახელდეს მ. ღამბაშიძის სამეცნიერო სტატია. როგორც ავტორი მიუთითებს, მან შეადგინა „ქართულ კომუნიკაციაში, კერძოდ, სოციალურ ქსელში, დღეს ყველაზე ხშირად გამოყენებული ანდაზების სია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის „ანდაზა-მინიმუმის“ სტანდარტად“ (ღამბაშიძე 2017:88)[1].

ზოგადად, უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ ემპირიულ კვლევებსაც აქვთ ერთგვარი შეზღუდვები, რადგან, როგორც აღინიშნა, ანდაზების გამოყენება ამა თუ იმ სიტუაციაში კონტექსტსა და გარემოზეა დიდწილად დამოკიდებული, რის გამოც ექსპერიმენტის პირობებში მთქმელისთვის (სასაუბრო სიტუაციისგან დამოუკიდებლად და კონკრეტული დროის მონაკვეთში) მათი სრულად გახსენება რთულია. გამოკითხვის პროცესის

[1] ექსპერიმენტის დახმარებით ჩვენც დავგეგმეთ და განვახორციელეთ „პარემიოლოგიურ მინიმუმთან“ დაკავშირებული საპილოტე ხასიათის კვლევა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების სისწორეში. ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ, მსგავსი კვლევები ცდისპირთა ფართო წრის (ასაკი, სქესი, სოციალური წრე, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.) მონაწილეობით უნდა ჩატარდეს; ცხადია, ამ მოცულობის სამუშაოები ძალზე შრომატევადია, დიდ სირთულეებს უკავშირდება და ჯგუფურ მუშაობას მოითხოვს, თუმცა „პარემიოლოგიური მინიმუმის“ გამოსარკვევად სწორედ ამგვარად შეგროვებული ემპირიული მასალა იქნება ოპტიმალური კვლევის რელევანტური შედეგების მისაღებად.

დროში შეზღუდულობა ხშირად აფერხებს ცდისპირისგან საჭირო მასალის ბუნებრივად მიღებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანდაზა შესაფერის სიტუაციაში ზეპირმეტყველებისას რეალიზდება, მაშინ შესაძლებელია გადაისინჯოს აღნიშნული მეთოდის ვარგისიანობის საკითხი.

ანდაზების შეკრება-შესწავლისთვის საკმარისი არ არის ველზე ერთხელ და ორჯერ გასვლა; „ანდაზა ხალხური ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური ჟანრია, მას ლექსივით ან ზღაპარივით ვერ გიამბობენ, ანდაზას მთქმელი ხმარობს მხოლოდ საუბარში, საჭიროების შემთხვევაში“ (ჭუმბურიძე 1965:6). აქედან გამომდინარე, „იმისათვის, რომ შესწავლილი იქნეს ამა თუ იმ ხალხის ანდაზები, საჭიროა ამ ხალხში ხანგრძლივი ტრიალი“ (კორძაია 2000:4). შესაბამისად, ანდაზების კვლევისას ემპირიული მასალის მოპოვებისა თუ არსებულის გადამოწმების მიზნით ყველაზე ბუნებრივი და მეთოდოლოგიურად გამართლებულია სოციუმთან მუდმივი ურთიერთობა; ამდენად, ანდაზებზე მუშაობა საველე პირობებში დიდხნიან სამზადისს მოითხოვს.

1.7 კვლევის ძირითადი წყაროები და მეთოდოლოგიური ჩარჩო

ნაშრომის ძირითად საკვლევ ემპირიულ ბაზას, ქართველურ ენათა ანდაზების ბეჭდური გამოცემების გარდა, ელექტრონული რესურსები და კორპუსული მონაცემები წარმოადგენს. ამასთან, ნაშრომში გამოყენე-

ბულია სხვადასხვა დროს სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში ლინგვისტური ექსპედიციებისას ველზე მოპოვებული ჩანაწერებიც, რომელთა საშუალებითაც ძირითადად შეივსო და დაზუსტდა საანალიზო მასალა. მონოგრაფიაში გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის მასალები.

ქართული ანდაზების ბეჭდურად გამოცემულ კრებულებთან (ღლონტი 1957; კანდელაკი 1959, 1965; სახოკია 1989; ჯორჯანელი 2003 (ა); კალანდაძე 2009) ერთად, ნაშრომში გამოყენებულია პროფ. მანანა რუსიეშვილის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული „ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა“ (https://idioms.tsu.ge/). მეგრული და ლაზური ანდაზები აღებულია ბეჭდური გამოცემებიდან (შეროზია, მემიშიში 1994; ნადარაია 2013; მემიშიში 2015). სვანური ენის ანდაზური ფონდისთვის ვიხელმძღვანელეთ აქამდე გამოცემული კრებულებით (დავითიანი 1973; კორძაია 2000). ზემოთ დასახელებულ მეგრულ, ლაზურ, სვანურ ანდაზებს ახლავს შესაბამისი ქართული ვერსიები. ზოგჯერ ქართული შინაარსობრივი ნაწილი მოითხოვს დაზუსტებას. ასეთ დროს წყარო მოსდევს დედნისეულ ტექსტს, ხოლო სხვა შემთხვევაში მოცემულია ქართული ვერსიის დამოწმების შემდეგ.

ნაშრომში გამოყენებულია როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე **კვლევის მეთოდები**: *აღწერითი (დესკრიფციული), სტატისტიკური და შედარება-შეპირისპირებითი (კონტრასტული ანალიზის); ველზე მუ-*

შაობის; დაკვირვებისა და ელიციტაციის; ისტორიულ-შედარებითი; სინქრონიული და დიაქრონიული; დისტრიბუციული ანალიზის; სუბსტიტუციისა და პერმუტაციის; სინტაქსური ტრანსფორმაციის; კორპუსზე დამყარებული (Corpus-based studies) და კორპუსით განპირობებული (Corpus-driven studies); სტატისტიკური კვლევის მეთოდები. აღნიშნული მეთოდოლოგიური ჩარჩო განსაზღვრულია, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი და მოცულობითი ემპირიული მასალის არსებობით, მეორე მხრივ, ამ მასალის მრავალმხრივი და კომპლექსური ინტერდისციპლინური კვლევის საჭიროებით. ზემოხსენებულ კონკრეტულ მეთოდებს მოკლედ განვმარტავთ:

საწყის ეტაპზე **დესკრიფციული** მეთოდის საშუალებით აღიწერა ქართველურ ენათა ანდაზების არსებული რესურსები და სტატისტიკური მეთოდით დადგინდა საკვლევი ემპირიული მასალის მოცულობა და ხასიათი. ემპირიული მასალის თავმოყრის შემდეგ განისაზღვრა მისი დამუშავებისა და სანდო მეცნიერული დასკვნების მისაღებად საჭირო ხერხები. კვლევის თეორიულ ნაწილში **კონტრასტული ანალიზის** მეთოდით კვალიფიცირებული და კლასიფიცირებულია საკვლევი პრობლემური საკითხები ოთხივე ქართველურ ენაში. ამასთან, ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოკვეთა ქართველურ ენათა ანდაზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. **ველზე მუშაობის** მეთოდის გამოყენებით დაზუსტდა და შეივსო ბეჭდური მასალა; აგრეთვე, პროდუქტიული აღმოჩნდა, **ელიციტაციის** –

მიზნობრივი გამოკითხვის (resp. ჩაკითხვის//დაზუსტების) მეთოდი.

ქართველურ ენათა ანდაზებში გრამატიკული საკითხების ანალიზისთვის საჭირო გახდა **ისტორიულ-შედარებითი** მეთოდის გამოყენება, რამაც ბუნებრივად დააყენა მასალის **სინქრონიულ** და **დიაქრონიულ** ჭრილში განხილვის აუცილებლობა. ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილი არაერთი საკითხის ანალიზისას განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა **სუბსტიტუციისა** (ჩანაცვლების) და **პერმუტაციის** (გადანაცვლების) მეთოდები; **სინტაქსური ტრანსფორმაციის** მეთოდის საშუალებით დაზუსტდა ანდაზაში წარმოდგენილ ცალკეულ ერთეულთა ფუნქცია და სემანტიკური მახასიათებლები.

ნაშრომის ფარგლებში ემპირიული მასალის საანალიზოდ შერჩეული მეთოდებისა და ხერხების გარდა, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზების არსებობამ (https://idioms.tsu.ge/; https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm და სხვ.) გამოკვეთა კვლევის პერსპექტივებიც, რაც სამომავლოდ **კორპუსზე დამყარებული** და **კორპუსით განპირობებული** კვლევის მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ნაშრომში ასახული ვრცელი ემპირიული მასალის ნაწილი გამოყენებულია საპილოტედ და გაანალიზებულია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით, როგორებიცაა **„Voyant Tools“** (https://voyant-

tools.org) და **„Kwic“**[1] (http://nuchs-corpus). აღნიშნული რესურსები თავისუფალი წვდომის მქონე ღია რესურსებია, რომელთა საშუალებითაც ტექსტურ მონაცემებზე (ერთგვარ მცირე მოცულობის ტექსტურ კორპუსებზე) დაყრდნობით მარტივად და სწრაფადაა შესაძლებელი **სტატისტიკური სურათის** გამოკვეთა და მონაცემთა სხვადასხვაგვარი **ვიზუალიზაცია** (მიღებული შედეგების სიხშირული და//ან სხვა პრინციპების მიხედვით გრაფიკებისა და სქემების სახით დალაგება, კოლოკაციების ძიების შედეგად მიღებული სურათის გამოკვეთა და ა.შ.).

ცდისპირთა მცირე რაოდენობის ჯგუფებში ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ერთი ტიპის ანდაზების ინტონაციური თავისებურებების გამოვლენა (იხ. პარაგრაფი 2.4). ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული მასალა გაანალიზდა პროგრამა **“Praat”**-ის დახმარებით. აღნიშნული პროგრამული რესურსი თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში აუდიომასალის ანალიზისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ცდისპირებისგან ჩაწერილი ემპირიული მასალა დამუშავებულია ხაზთაშორისი მორფემული გლოსირების საერთაშორისო წესების გათვალისწინებით (Lehmann 1982, 2004; Comrie, Haspelmath, Bickel 2008; ლომია, გერსამია 2012).

[1] Kwic აბრევიატურაა და იშიფრება როგორც **Key word in context** (ცალკეული სიტყვების ძიება კონტექსტში); აქტიურად გამოიყენება თანამედროვე კორპუსლინგვისტიკაში.

1.8 კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება

კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული საჭიროება რამდენიმე ასპექტს მოიცავს. უპირველესად, ქართველურ ენათა ანდაზების შედარება-შეპირისპირებითი კვლევის შედეგებს აქვთ ზოგადთეორიული **მნიშვნელობა** და გამოიყენება ტიპოლოგიური კვლევებისათვის. **სიახლეა** ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების მრავალმხრივი მეცნიერული შესწავლა ოთხივე ქართველური ენის მონაცემების შედარება-შეპირისპირების გზით; ანდაზური ფონდის კონტრასტული სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საერთოქართველური ენობრივი მსოფლხედვა და კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები. კვლევის შედეგები ზრდის ნაშრომის **ღირებულებას** და წარმოაჩენს მისი **პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობას.**

ზემოთქმულის შესაბამისად, ანდაზის კვლევის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, წინამდებარე ანალიზის შედეგები მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც საკუთრივ ქართველოლოგთათვის, განსაკუთრებით – ენათმეცნიერებისთვის, ისე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვისაც; კერძოდ, ესენია: ფოლკლორისტები, ლინგვოკულტუროლოგები, ანთროპოლოგები, ეთნოლინგვისტები, სოციოლინგვისტები, ფსიქოლინგვისტები და სხვ. კვლევის შედეგების **მნიშვნელობას** ზრდის ისიც, რომ ნაშრომში გაანალიზებულ-

ია საფრთხეში მყოფი არასალიტერატურო ქართველური ენების მონაცემები; ამასთან, გათვალისწინებულია ველზე მუშაობისას მიღებული, თანამედროვე ენობრივი სიტუაციის ამსახველი მასალები და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები.

როგორც აქამდე აღინიშნა, ანდაზა ხალხში გავრცელებული, სტრუქტურულ-შინაარსობრივად ჩამოყალიბებული, მყარი და უცვლელი ოდენობაა, რომელიც უძველეს ენობრივ კოდს ინახავს, თუმცა, ამავდროულად, ანდაზა შეიძლება გარკვეულწილად მოდიფიცირდეს და მასში თანამედროვე ყოფის ელემენტებიც აისახოს. ყოველივე ამის გამო, ანდაზების კვლევა საშური საქმეა. ამავდროულად, ანდაზებიც არ არის დაზღვეული სხვა ენათა გავლენისგან, ძირითადად, ლექსიკის დონეზე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია თურქულის გარემოცვაში მყოფი ლაზური ენისათვის. საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ისიც, რომ ანდაზების კვლევა დიდწილად კულტურის კვლევასაც გულისხმობს და, შესაბამისად, მოიაზრებს ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის კულტურული ნიშნების შესწავლას.

დაბოლოს, ვრცელ ემპირიულ მასალაზე დამყარებით ანდაზებთან დაკავშირებული კვლევების პრაქტიკული ღირებულება ჩანს იმაშიც, რომ სამომავლოდ იგი ხელს შეუწყობს ანდაზების ინტერპრეტაციას[1].

[1] ამ საკითხზე საყურადღებოა ვ. ბოედერის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართული ანდაზების აქამდე გამოცემულ კრებულებს აქვთ ერთი დიდი ნაკლი: მათში წარმოდგენილია ანდაზები ახსნისა

1.9 კვლევის პერსპექტივები (ძირითადი ასპექტები)

მონოგრაფიაზე მუშაობამ კვლევის პერსპექტივების წარმოჩენასაც შეუწყო ხელი. ეს უკანასკნელი რამდენიმე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელების საშუალებას იძლევა. ანდაზის, როგორც ერის ენობრივი მსოფლხედვისა და ფსიქოლოგიური პორტრეტის ამსახველი მონაცემის, კვლევა კულტუროლოგიის, თარგმანმცოდნეობის, ლინგვისტური ანთროპოლოგიის და სხვა მომიჯნავე დისციპლინათა პერსპექტივიდანაც აქტუალური და საშურია.

როგორც უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა, სხვადასხვა ენის ანდაზური ფონდის ანალიზისას ყურადღება ექცევა ანდაზის სემიოტიკურ და სემანტიკურ (Lundberg 1958; Norrick 1985; Grzybek 2014), სტრუქტურულ (Levin 1968; Silverman-Weinreich 1981; Coinnigh 2014), პრაგმატიკულ და სტილისტიკურ (Bascom 1965; Briggs 1985; Jesenšek 2014), კოგნიტურ (Moreno 2005; Lewandowska, Antos 2014;) ასპექტებს. ცალკე შესწავლის ობიექტია ანდაზები ლიტერატურასა[1]

და ინტერპრეტაციის გარეშე, რაც მკითხველისთვის სიძნელეს ქმნის, რადგან შეუძლებელია ადამიანს ყველა ანდაზის შინაარსი სწორად ესმოდეს (Boeder 1991:140).

[1] ჩვენი დაკვირვებით, სამომავლოდ, უპირველეს ყოვლისა ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების საინტერესო პერსპექტივას აჩენს ქართულ ლიტერატურაში დადასტურებული ანდაზების

(Dent 1984; Bryan, Mieder 1994, 1997; Mieder 2010, 2013) და მასმედიაში (Solano 2010; Konstantinova 2014).

გარდა ამისა, ქართველურ ენათა ანდაზების ბეჭდურად გამოცემული წყაროებისა და არსებული ელექტრონული რესურსების სისტემატიზაცია კონცეპტების მიხედვით სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქართველურ ენათა ანდაზების **ერთიანი ელექტრონული ბაზის** შექმნას. ველზე მოძიებული დაზუსტებული და//ან ახალი მასალა ღირებულია აღნიშნული ბაზის შესავსებადაც. ზემოხსენებული ელექტრონული ბაზა, რომელშიც ქართველურ ენათა ანდაზები გარკვეული პრინციპებით (მაგ., ანდაზების თემატიკა, იდეურ-სემანტიკური მსგავსება-განსხვავებანი, ვარიანტულობა და სხვ.) იქნება კლასიფიცირებული და კვალიფიცირებული, განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა შემდგომი კორპუსლინგვისტური, კომპარატივისტული და ტიპოლოგიური ხასიათის კვლევებისათვის[1].

ფუნქცია და მათი გამოყენების სემანტიკური ასპექტები; კერძოდ, აღნიშნული საკითხი საყურადღებოა ავტორის ჩანაფიქრის უკეთ გადმოსაცემად, ერთიან მხატვრულ ქსოვილში ანდაზების როლის გამოსაკვეთად და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩვენში გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია (ჭელიძე 1984; ჯავახიშვილი 1990; ჭანტურია 2005; ნიკოლაძე-ლომსიანიძე 2010; დეკანოზიშვილი 2011; ქამადაძე 2014 (ბ); მიქაძე 2019).

[1] ქართველურ ენათა ანდაზების კვლევის პერსპექტივებზე ვრცლად იხ. ნაშრომის V თავი.

თავი II — ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურული ანალიზის ძირითადი საკითხები

2.1 ზოგადი მიმოხილვა

ანდაზა, როგორც ფოლკლორული ჟანრი, თავისი არსით კოლექტიური ფენომენია, რის გამოც მასში მოცემული სიბრძნე განზოგადებულია. ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებისგან განსხვავებით, ანდაზა უმეტესწილად სხარტი და მოქნილი აგებულებისაა; ბუნებრივია, მასში მოცემული ღრმაშინაარსიანი სათქმელის ლაკონიურად გადმოცემა ბევრად არის დამოკიდებული ანდაზაში წარმოდგენილ ენობრივ-გამომსახველობით ინვენტარზე, ანდაზის სტრუქტურულ მახასიათებლებზე.

ემპირიული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურული ანალიზი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: რეფერენციულობის კატეგორია და პირთა მიმართებები დეიქსისის თვალსაზრისით; პირთა განზოგადებისა და განუსაზღვრელობის გამოხატვის თავისებურებანი; სახელური მიმართვა და **და** კავშირიან ელიფსურ სტრუქტურათა ფუნქციური დანიშნულების საკითხები; ევიდენციალობის ენობრივი ასახვა ანდაზაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ევიდენციალობის გამოხატვის

მორფოსინტაქსურ საშუალებათა გარკვევასა და ანდაზების სტრუქტურულ ანალიზს ევიდენციალობის თვალსაზრისით.

2.2 რეფერენციულობის კატეგორია და პირთა მიმართებების დეიქტური ფუნქცია ქართველურ ენათა ანდაზებში

2.2.1 რეფერენციულობის კატეგორიის არსი

ანდაზის ენაში პირთა მიმართებების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება რეფერენციულობის კატეგორიას. ლინგვისტიკაში რეფერენციულობა მიიჩნევა გრამატიკულ კატეგორიად, რომელიც, ფართო გაგებით, „ასახავს მიმართებას ორ ოდენობას – **აღსანიშნსა** და **აღმნიშვნელს** შორის“ (თანდაშვილი 2017:16). ენაში რეფერენციის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება არსებობს, მათ შორის **„რეფერენცია** შეიძლება ექსპლიციტურად, ნაცვალსახელის მეშვეობით გადმოიცეს, ძირითადად პირის ნაცვალსახელითა და კუთვნილებითი ნაცვალსახელის საშუალებით... რეფერენციის ამ სახეს **გრამატიკული რეფერენცია** ეწოდება“ (იქვე:90). ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **„რეფერენციის** თითოეული სახე ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე უნდა განვიხილოთ... **გრამატიკული რეფერენცია** განიხილება **დეიქსისის** ფარგლებში და **პრაგმატიკის** დონეზე უნდა აღიწეროს...“ (იქვე:181).

თანამედროვე ენათმეცნიერულ ნაშრომებში *დეიქსისი* დახასიათებულია როგორც უნივერსალური ენობ-

რივი ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებული ხერხებით გამოიხატება. **დეიქსისი** განიმარტება როგორც „ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობა ან ფუნქცია, უჩვენოს მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში გამონათქვამის მიმართება კონკრეტულ მოლაპარაკესა და მსმენელთან, წარმოთქმის კონკრეტულ დროსა და ადგილთან“ (ქობალავა 2008:140-141). დეიქსისის გამოსახატავად ენაში გამოიყენება სხვადასხვა დეიქტური ელემენტი (resp. დეიქტიკონი).

ცნობილია, რომ „ენობრივი **დეიქსისი** რეფერენციას გადმოსცემს როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული ოდენობების, **დეიქტიკონების** მეშვეობით“ (თანდაშვილი 2017:182); ამის გათვალისწინებით, სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ დეიქსისის, როგორც რეფერენციის მეთოდის, რამდენიმე სახეს (Fillmore 1966; Levinson 1983; Lyons 1997; ქობალავა 2008; Dylgjeri, Kazazi 2013; Stapleton 2017; თანდაშვილი 2017). დეიქსისის სახეებიდან, ანდაზის სტრუქტურულ ქსოვილში არსებული სპეციფიკური ვითარების გათვალისწინებით, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს **პირის დეიქსისი** და მისი რეალიზაციის კონკრეტული შემთხვევები ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენაში.

2.2.2 პირის დეიქსისი, როგორც რეფერენციის საშუალება ქართველურ ენათა ანდაზებში

გრამატიკული რეფერენციის[1] ერთ-ერთი საშუალების – პირის დეიქსისის (←ბერძნ. Déixis – ჩვენება, მითითება) და მასთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურიდან ბევრი რამ არის ცნობილი; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარია უცხოური სამეცნიერო სფერო (შდრ. Lyons 1975:61-83). რაც შეეხება უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის ისტორიას ქართველურ ენებში, პირველ რიგში დავასახელებთ პროფ. ვინფრიდ ბოედერის მნიშვნელოვან სტატიას, რომელიც გრამატიკული პირის მატერიალურ გამოხატვასა და შინაარსობრივ შეხამებას ეძღვნება მეგრულ ანდაზებში (ბოედერი 2014). იგი ერთგვარად სახელმძღვანელო ნაშრომია ამ მიმართულებით ანდაზის ენაზე მომუშავეთათვის, რადგან ავტორი კონკრეტულ ენობრივ თავისებურებებთან ერთად თეორიულ პოსტულატებსაც აყალიბებს.

ზმნის პირიანი ფორმების სემანტიკურ-სტილური თავისებურებები ქართული ანდაზების მაგალითზე გაანალიზებულია რ. ზექალაშვილის სამეცნიერო სტატიაში. ავტორმა ვრცელი ემპირიული მასალის მიმოხილვით, ერთი მხრივ, დაადასტურა ვ. ბოედერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი, მეორე და მესამე პირების დეიქსისის რეფერენციალური განსხვავება ანდა-

[1] რეფერენციულობის ფენომენის შესახებ ვრცლად იხ. თანდაშვილი 2017.

ზებში ნეიტრალიზებულია (ზექალაშვილი 2019:162-172)[1]. ამასთან, მეცნიერი მიუთითებს, რომ „ანდაზის სენტენციური ხასიათი განაპირობებს ზმნის შინაარსის განზოგადების აუცილებლობას. ამის გამო ანდაზათა უმრავლესობაში ზმნის პირი განზოგადებული ან განუსაზღვრელია, რაც სინტაქსურად იმ ტიპის წინადადებას ქმნის, რომელშიც სუბიექტის ფარდი სახელი არ ჩანს: ის ან განზოგადებულია, ან განუსაზღვრელი“ (ზექალაშვილი 2019:169)[2].

გარდა ზემოგანხილულისა, აღსანიშნავია აგრეთვე ის ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებულია რეფერენციულობის გადმოცემის კონკრეტული შემთხვევები მიმართვის ფორმების საშუალებით (Braun 1988; აფრიდონიძე 2003, 2023; Rusieshvili 2007; ჯანჯღავა 2009; ფაჩულია 2012...)[3]. მიუხედავად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურისა, ქართველურ ენათა ანდაზებში პირთა განაწილების საკითხი კომპლექსური კვლევის საგანი არ ყოფილა, თუმცა აქამდე არსებული კვლევები ჩვენ-

[1] ავტორის დაკვირვებით, წარმოდგენილი მსჯელობა ვრცელდება როგორც ე.წ. „ვინის“, ისე „მანის“ რიგის ზმნებზე.

[2] ა. კიზირია უხვად იმოწმებს ანდაზებს განუსაზღვრელპირიან და განზოგადებულპირიან წინადადებებზე მსჯელობისას. მაგალითად: ქამარს რომ შეგხსნიან, ჩოხასაც გაგხდიანო (განუსაზღვრელპირიანი); გაღმა გაედავე, გამოღმა დაგრჩებაო (განზოგადებულპირიანი) (კიზირია 1987:47-59).

[3] საკუთრივ მიმართვის ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტებს ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული ანთროპონიმების მიხედვით ცალკე, მომდევნო ქვეთავში, განვიხილავთ.

თვის ერთგვარად მიმართულების მიმცემად იქცა წინამდებარე საკითხებზე მუშაობისას.

ენათა უმრავლესობაში, მათ შორის ქართველურ ენებშიც, პირის დეიქსისი გამოიხატება პირის ნაცვალსახელების საშუალებით. ანდაზური ფონდი რეფერენციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან ცნობილია, რომ ანდაზა ზოგადრეფერენტული ერთეულია. იგი შეიცავს განზოგადებულ დასკვნას, სიბრძნეს, რომლის მნიშვნელობაც მინიმალურად არის დამოკიდებული მასში მონაწილე ობიექტებზე. ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში მესამე პირის ნაცვლად I ან II პირია გამოყენებული, რომლის მიხედვითაც ანდაზაში „გრამატიკული პირების დეიქტური ოპოზიცია რეფერენციალურ დონეზე ნეიტრალიზებულია" (ბოედერი 2014:74).

ცნობილია, რომ III პირის საშუალებით გამოხატული დეიქსისი ანდაზის ენისთვის ისედაც ბუნებრივია და ყველაზე მეტად გავრცელებულიც, რადგან განზოგადებულ მსჯელობას სწორედ იგი გადმოსცემს ყველაზე უკეთ (შდრ. [ბრძენს უთქვამს] მოჩქარეს მოუგვიანდესო; [ბრძენმა თქვა] ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო)[1]. მესამე პირის მრავლობითი (იშვიათად, მხოლობითი)

[1] ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბოლოდროინდელი კვლევებიც. მაგალითად, ქართულ ანდაზებში პირთა განაწილების სტატისტიკური სურათის მიხედვით პროცენტული თანაფარდობა ამგვარია: **I პირი** – 0.4%; **II პირი** – 1.84%; **III პირი** – 18.64% (ღამბაშიძე და სხვები 2017:227).

რიცხვის ფორმით წარმოდგენილი ზმნა აზრის განზოგადებას ხელს უწყობს იმიტომაც, რომ იგი, თავის მხრივ, განუსაზღვრელპირიან კონსტრუქციას ქმნის. ვინაიდან ანდაზებში III პირი დეიქსისის თვალსაზრისით არ გვიჩვენებს განსხვავებულ სურათს, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უშუალო დაკვირვების ობიექტი I და II პირებია, რადგან რეფერენციულ დონეზე მათი ოპოზიცია ნეიტრალიზდება და სწორედ ისინი გვიჩვენებენ სხვაობას პრაგმატიკულ დონეზეც; კერძოდ, მეორე პირი, აპელირებს ადრესატის პერსონალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე; მრავლობითი რიცხვის პირველი პირი ხაზს უსვამს ადრესატის, შესაბამისად, ყველა ადამიანის მიმართ „სოლიდარობას“ და ა.შ. რეფერენციულ დონეზე ნეიტრალიზებულ პირთა ოპოზიციის ფუნქციური დანიშნულება პრაგმატიკულ დონეზეც ჩანს იმ თვალსაზრისით, რომ „მეორე პირი, მესამე პირისგან განსხვავებით, აპელირებს ადრესატის პერსონალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. [ამის] მსგავსად, მრავლობითი რიცხვის პირველი პირი ხაზს უსვამს ადრესატის, შესაბამისად, ყველა ადამიანის მიმართ „სოლიდარობას“ (ბოედერი 2014:74)[1].

[1] გრამატიკული პირების დეიქტური ოპოზიციის რეფერენციულ დონეზე ნეიტრალიზების მაგალითად ვ. ბოედერს მოჰყავს მეგრული ანდაზა: მუშ დუს კოჩი ღოლანსგნი, ინა ტერს ვა აღოლენია („თავის თავს კაცი რომ უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო“. ავტორი ასკვნის, რომ აღნიშნული ანდაზის „აზრი salva veritate შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:
შენს თავს რომ უზამ, იმას მტერი ვერ გიზამს

პირის ნაცვალსახელებით გადმოცემული რეფერენციის ნეიტრალიზებას შესაძლოა ხელი შეუწყო იმანაც, რომ „ნაცვალსახელებს არ გააჩნიათ სემანტიკა, ისინი ლექსიკური შინაარსისგან დაცლილი სიტყვებია და შესაბამისად, ვერ ახორციელებენ ლექსიკურ-სემანტიკურ რეფერენციას“ (თანდაშვილი 2017:31). ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ანდაზა „ახდენს არა კონკრეტული ფაქტის, არამედ რაიმე კანონზომიერების კონსტატირებას“ (რუსიეშვილი 2005:152).

რეფერენციულად ნეიტრალური პირველი, მეორე და მესამე პირების პრაგმატიკული შინაარსი ქართველურ ენათა ანდაზებშიც დასტურდება. საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ქვემოთ გაანალიზებული ემპირიული მასალის დალაგების უმთავრესი პრინციპია ის, თუ როგორ სტრუქტურა-შინაარსს ქმნის პირთა დეიქტური მიმართებების ამსახველი კონკრეტული ანდაზა. შესაბამისად, ზემოთ განხილული სამეცნიერო ლიტერატურისა და ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით გამოყოფილია კონსტრუქციათა ორი ძირითადი ჯგუფი: ***განზოგადებულპირიანი*** და ***განუსაზღვრელპირიანი***[1]. საყურადღებოა ისიც, რომ ქართულ,

---

და:

ჩემს თავს რომ ვუზამ, იმას მტერი ვერ მიზამსო

და:

ჩვენს თავს რომ ვუზამთ, იმას მტერი ვერ გვიზამსო“ (ბოედერი 2014:74).

[1] ლ. ლეჟავა იყენებს ტერმინებს: განზოგადებულქვემდებარიანი და გაუჩინარებულქვემდებარიანი (ლეჟავა 1959:65-68).

მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში პირის დეიქსისის ანალიზი და ამ თვალსაზრისით ანდაზების კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხს გარკვეული სირთულეებიც ახლავს; კერძოდ, ვერ თავსდება ერთ რომელიმე ენობრივ დონეზე (მაგ., მორფოლოგიის ფარგლებში) და აუცილებელი ხდება შუალედური დონეების (მაგ., მორფოსინტაქსის) გათვალისწინება.

2.2.3 განზოგადებული პირველი პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში

როგორც ცნობილია, პირველი პირი ქართულში **მე** ნაცვალსახელით გადმოიცემა, თუკი ერთ პირზეა საუბარი. მას სხვანაირად მოუბარ პირსაც უწოდებენ და იგი, ჩვეულებრივ, კონკრეტულია. ენაში არსებობს ასევე I პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი **„ჩვენ“,** რომელიც იმავდროულად სიმრავლეს გამოხატავს. მოლაპარაკე პირი „შეიძლება ერიოს კრებულში, რომელიც **ჩვენ** სიტყვით აღინიშნება“ (შანიძე 1953:169), თუმცა **ჩვენ** კონკრეტიზაციისგან შორს არის, მისი განზოგადება ადვილად შეიძლება, რადგან სიმრავლეს აღნიშნავს. იგი შეიძლება მოიცავდეს „ბევრ მე“-ს ან „ბევრ მე და შენ“-ს. ქართული **მე** ნაცვალსახელის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია მეგრული **მა,** ლაზური **მა/მა-ნ** და სვანური **მი** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:322). პირის დეიქსისის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელები, არამედ შესაბამისი კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური ფორმებიც და მათ შორის ურთიერთობა. ქართულში პირველი პირის კუთვნილებას

აღნიშნავს ***„ჩემ-ი“*** ნაცვალსახელი, რომლის ფარდია მეგრული **ჩქიმ-ი,** ლაზური **ჩქიმ-ი/შქიმ-ი** (იქვე:561). სვანურში პირველი პირის კუთვნილება გადმოიცემა **მიშგუ** ნაცვალსახელით. რაც შეეხება პირველი პირის მრავლობით რიცხვს, ქართულ **ჩუენ-ი** ძირს შეესატყვისება მეგრული **ჩქინ-ი/ჩქგნ-ი**, ლაზური **ჩქუნ-ი/შქუნ-ი** და სვანური გუ-**შგუე-ჲ**/ნი-**შგუე-ჲ**[1] (იქვე:563-564).

ხშირად ანდაზაში წარმოდგენილი პირველი პირი „აღნიშნავს არა რეალურ მოლაპარაკეს, არამედ იგი ახასიათებს ანდაზას, როგორც შინაგანი გრძნობის ან აზრის გამომხატველს“ (ბოედერი 2014:75). პირველი პირის მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ***ჩვენ*** ფორმა განზოგადების საშუალებას იმთავითვე იძლევა, მაგრამ საინტერესოა, რომ ანდაზებში პირის განზოგადება შესაძლებელია მაშინაც კი, როცა ის I პირია და მხოლობით რიცხვშია. ამიტომ, ანდაზებში პირველი პირის პრაგმატიკული შინაარსი ვერ თავსდება გრამატიკული პირველი პირის, ანუ რეალურად მოსაუბრე პირის, სემანტიკაში. მოლაპარაკე პირის გაგება ანდაზაში იმდენად განზოგადებულია, რომ იგი გამოიყენება არა ერთი კონკრეტული, არამედ ნებისმიერი „ადამიანის შინაგანი განცდების, გამოცდილებისა და ემოციების გამოსახატავად“ (ქაროსანიძე

[1] ცნობილია, რომ „მრავლობითი რიცხვის პირველ პირში კუთვნილებით ნაცვალსახელებში სვანური არჩევს ორ ფორმას – ინკლუზიურსა და ექსკლუზიურს: გუშგუე – „ჩვენი“ („ჩემი+შენი ან თქვენი“), ნიშგუე – „ჩვენი“ („ჩემი+მისი ან მათი“)“ (ჭუმბურიძე და სხვები 2007:121).

2015:39). შეიძლება ითქვას, რომ პირველ პირს ანდაზაში განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა; კერძოდ, იგი მეტ დამაჯერებლობას სძენს ანდაზის შინაარსს. მოსაუბრე მსჯელობს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იძლევა გარკვეულ რჩევა-დარიგებებს და ამით უშუალო კავშირსაც ამყარებს მსმენელთან.

რ. ზექალაშვილი დიალოგური მეტყველების ლინგვისტური პარამეტრების დახასიათებისას საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პირზე, როგორც ზმნის გრამატიკულ კატეგორიაზე. ავტორი მეტყველების აქტში მონაწილეობის მიხედვით პირის გრამატიკულ-სემანტიკურ ველს ყოფს ორ მიკროველად: 1) საუბარში მონაწილე პირები (I და II პირები); 2) მეტყველების აქტის გარეთ მყოფი პირი (III). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ფორმით რომელიმე პირი შინაარსით შეიძლება იყოს **განზოგადებული** (ეხებოდეს ყველა პირს საერთოდ), **განუსაზღვრელი** (არ იყოს ნაგულისხმები კონკრეტული პირი), აღნიშნავდეს სულ სხვა პირს ან საერთოდ დაკარგული ჰქონდეს პირის სემანტიკა (**იმპერსონალურ** ზმნებში)“ (ზექალაშვილი 2012:99). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ განზოგადებული პირი, რომელიც გულისხმობს განურჩევლად ყველა პირს, „გამოყენებულია ანდაზებში, ზოგად შეხედულებებში, აღიარებულ ჭეშმარიტებებში, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების აღსანიშნავად“ (ზექალაშვილი 2012:99). ნიშანდობლივია, რომ, თუკი ქართულ დიალოგურ მეტყველებაში განზოგადებული შეიძლება იყოს I და II პირები, ხოლო იშვიათად – III, ანდა-

ზის ენაში პირიქით – III პირს განზოგადების ყველაზე დიდი უნარი აქვს. მაგალითად, ამის დასტურია ***ვინც ირჯება, პურსაც ის ჭამსო*** ტიპის ანდაზები (შდრ. მეგრული: ***მიქვთ იხონუა, თიქვ დიხორუა***).

ქართველურ ენათა ანდაზებში პირის დეიქსისის, კერძოდ, ***განზოგადებული მოქმედების გადმომცემი*** პირველი პირის გამოყენების თვალსაზრისით, რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

განზოგადებული I პირი წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის ფორმით:

ქართული

(1) ბევრჯერ ვნახავ ივანესა, კარზე შემომჩივანესა (ქართ. ანდ. II:25).

(2) არ ვიცი ერთია და ვიცი – ათასიო (ქართ. ანდ. III:10).

(3) მე ალალს ვეძახდი, სხვები მწყერს იჭერდნენო (იქვე:73).

(4) ცხენი ვნახე, კვალი – ვერაო (https://idioms.tsu.ge/?p=8770).

(5) ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო[1] (https://idioms.tsu.ge/?p=19973).

მეგრული

(6) ჭიჭე ვორდინი – დიდიშა[2] მოშქურუდუ, დიდო გინიფრთინი – ჭიჭეშავა „პატარა რომ ვიყავი – დი-

[1] პირის განზოგადება ზმნურ ფორმაში თანაბრად შეიძლება იყოს გამოხატული სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნებში.

[2] ბეჭდურ ვერსიაში მოცემულია „დიდგშა“ ფორმა, რომელიც ფონოლოგიურად მცდარია (აღნიშნული საკითხის ირგვლივ შემაჯამებელი მსჯელობა იხ. კარტოზია და სხვები 2010:114-121).

დისა მეშინოდა, დიდი რომ გავხდი, პატარასი მეშინიაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:23).

(7) ანთალაქ მა მაღორუ, ანთალას მა ვაღორენქ „ანთელავამ მე მომატყუა, ანთელავას მე ვატყუებ“ (იქვე:8).

(8) ჩქიმი ნაჭკადა ხატიში ამბე მა მიჩქგნია (იქვე:164) „ჩემი მოჭედილი ხატის ამბავი მე ვიციო“.

ლაზური

(9) მან ბლალუფ, მან შევიგნეფ-ჲა „მე ვყეფ, მე ვისმენო“ (შეროზია, მემიშიში 1994:229).

(10) თი ჩქიმიში დოხთორი მან ვორე „ჩემი თავის ექიმი მე ვარ“ (იქვე:217).

(11) მახენეტუში, ვა მიჩქიტუ, მიჩქინში, ვა მახენენ „როცა შემეძლო, არ ვიცოდი, როცა ვისწავლე, არ შემიძლია“ (იქვე:198).

სვანური

(12) ჲერს მი ხუ̈სისგ, ჲერ მი მ̈სისგ „ზოგს მე ვძულვარ, ზოგი მე მძულსო“ (კორძაია 2000:175).

(13) მ’ესერ ტან ხანტყა, ქორს ი ეჯიგარ ესერ ხაწუ̈ა[1] „რაც ტანთ მაცვია, სახლშიც ისღა მაბადიაო“ (დავითიანი 1973:92).

(14) ჩი ესერ მ̈ ხოცხა, მიჩ ესერი ეჯი ხოცხა „ყველას რაც ურჩევნია, მეც ის მირჩევნიაო“ (იქვე:165).

[1] იმ ძირითად წყაროებში, რომელთაც ნაშრომში ვეყრდნობით (დავითიანი 1973, კორძაია 2000), უ̈-ს ადგილას ყველგან ვ არის გამოყენებული, თუმცა სვანური ენის ფონემატური სტრუქტურისა და ზეპირი მეტყველების გათვალისწინებით, ამგვარ შემთხვევებში, ჩვენ ყველგან, აქაც და ქვემოთაც, უ̈-ს ვსვამთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში, დანარჩენ ქართველურ ენებთან შედარებით, განსხვავებული და სპეციფიკური სურათი გვაქვს; კერძოდ, ცალკე მდგომი სხვათა სიტყვის ნაწილაკის წყალობით კონსტრუქცია III პირისეულია და, შესაბამისად, იმთავითვე განზოგადებულ შინაარსს გადმოსცემს. ასეთ შემთხვევებში „ნაწილაკოვანი სხვისი ნათქვამის ზმნის პირიან ფორმებთან მიმართება თითქმის უნიფიცირებულია, სამსავე შემთხვევაში, ჩვეულებრივ, III პირის ფორმა გამოიყენება“ (ჩანტლაძე 1998:223). ზემოთ აღნიშნული თავისებურება, როგორც სვანური ენის, მათ შორის, უპირველესად ანდაზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, სისტემურად ვრცელდება სხვათა სიტყვის ნაწილაკის შემცველ სხვა ანდაზებზეც, რის გამოც მსგავსი ტიპის მაგალითებში სხვათა სიტყვას „ნახევრადირიბი ნათქვამის“ კვალიფიკაცია ეძლევა (Hewitt 1982; Boeder 2002; მარგიანი-სუბარი 2012)[1].

მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე ანდაზაში პირველ პირზე ზმნური ფორმაც მიუთითებს და მატერიალურადაცაა წარმოდგენილი „მე“ ნაცვალსახელი (მაგალითები (3), (7) და მისთ), ამ უკანასკნელს, გარდა პირ-

[1] ამავე საკითხზე საყურადღებოა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სხვათა სიტყვის *ესერ* და *როქ(უ)* ნაწილაკები ზმნის I და II პირის ფორმებს ვერ იგუებენ, მესამე პირს მოითხოვენ, თუმცა თუკი მთქმელად III პირი იგულისხმება, ხოლო კონსტრუქცია I და II პირისეულია (ე.ი. გვხვდება პირველი და მეორე პირის ფორმები), მაშინ ზემოხსენებული ნაწილაკები I და II პირის ფორმებთანაც გამოიყენება (შარაძენიძე 1946; თოფურია 1967; ჩანტლაძე 1998; მარგიანი-სუბარი 2012).

ველი პირის გამოხატვისა (რაც აზრის გაგებისთვის ამ შემთხვევაში არც არის აუცილებელი), დამატებითი ფუნქციებიც ეკისრება; კერძოდ, ამგვარ კონტექსტებში შესაძლებელია ვისაუბროთ „მე“ ნაცვალსახელის სტილური დანიშნულების შესახებ. ანდაზებში ამ გზით ხდება აქცენტირება პირველ პირზე. იგი ერთგვარად ფრაზის ფოკუსირებულ წევრად გვევლინება და, ამდენად, ანდაზის რიტმის მოწესრიგებასაც უწყობს ხელს. ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, მოცემულობა, როცა სუბიექტი ზმნაში მარკირებულია პირის ნიშნით და ამავდროულად გამოხატულია პირის ნაცვალსახელითაც, შეფასებულია როგორც სინტაქსურად ჭარბი ერთეულები, როგორც ტოპიკალიზაციის მარკერები (ასათიანი 2009 (ა):24). ამგვარი „ჭარბი ერთეულების“ არსებობას ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში განაპირობებს ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება – **პოლიპერსონალურობა.**

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ქართული ზმნის პოლიპერსონალურობის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნურ ფორმაში მატერიალურად წარმოდგენილი პირის ნიშნების (resp. პირიანობის) და მათი პოტენციურად შესაძლებელი ვარიანტების (resp. ვალენტობის)[1] ხარჯზე წინადადებაში შეიძლება გამოტოვებულ იქნეს (სხვაგვარად – **განულდეს**) ნაცვალსახელით წარმოდგენილი აქტანტები (შანიძე 1953; ჩიქობავა

[1] ზმნის პირიანობისა და ვალენტობის შესახებ ვრცლად იხ. გამყრელიძე 2008:113-133.

1968; ჯორბენაძე 1983; მელიქიშვილი 2014 და სხვ.). თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში, ზემოგანხილული თავისებურებების გამო, ქართულ ენას ***Pro-drop*** ენათა ჯგუფში აერთიანებენ, რაც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება ***ნულის სინტაქსს***[1]. როგორც ცნობილია, Pro-drop ენებს ახასიათებთ „ნაცვალსახელით წარმოდგენილი, ანუ არაინიციალიზებული სუბიექტის ან ობიექტის განულება“ (თანდაშვილი 2016:229), რადგან ის ისედაც იგულისხმება. საყურადღებოა, რომ ქართული ენის შემთხვევაში „Pro-drop-ის განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ზმნის პოლიპერსონალურ ფორმაში აღინიშნება როგორც სუბიექტი, ისე პირდაპირი და ირიბი ობიექტიც. ეს აქტანტები ზმნაში წარმოდგენილი პირის ნიშნებით კომპენსირდება. შესაბამისად, ქართულს შეუძლია გაანულოს არა მხოლოდ სუბიექტი, არამედ ობიექტ(ებ)იც“ (თანდაშვილი 2017:86). ეს მსჯელობა ესადაგება არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვა ქართველურ ენებსაც. ამდენად, ზმნის პოლიპერსონალურობიდან გამომდინარე, აღნიშნულ ენებში შესაძლებელია ზმნურ ფორმაში სუბიექტისა და ობიექტების ას-

[1] ტერმინი „ნულის სინტაქსი“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სინტაქსურად გაუფორმებელი (resp. ნულით წარმოდგენილი) წინადადების წევრის არსებობა თავს იჩენს ენის რომელიმე სხვა (მაგ., სემანტიკურ-პრაგმატიკულ) დონეზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ „ნულის სინტაქსი“ განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს Pro-drop ენების შემთხვევაში. ტერმინები: „განულება“, „Pro-drop ენა“, „ნულის სინტაქსი“ აღებული გვაქვს მ. თანდაშვილის ნაშრომიდან „რეფერენციულობა ქართულში“ (2017 წ.).

ახვა, რაც წინადადებაში განულებული აქტანტების საკომპენსაციოდ ხდება[1]; „როდესაც სუბიექტი ან ობიექტი ან ყველა აქტანტი ერთდროულად, ნულით არის წინადადებაში წარმოდგენილი, რეფერენცია მორფოლოგიურ დონეზე, ზმნის პირისა და ქცევის[2] ხარჯზე ხორციელდება“ (თანდაშვილი 2017:91)[3].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, ჩვენი დაკვირვებით, სტატისტიკური თვალსაზრისით ჭარბობს შემთხვევები, როდესაც განზოგადებულპირიან ანდაზებში I პირი გადმოცემულია ზმნური ფორმით. ნაცვალსახელის (და//ან ზმნა + ნაცვალსახელის) საშუალებით განზოგადებული I პირის ასახვა შედარებით ნაკლებპროდუქტიულია, რისი ერთ-ერთი მიზეზი საანალიზო ენებში ზმნის ზემოგანხილული თვისება – მრავალპირიანობაა, მაგრამ ამასთანავე, ენა გამუდმებით ცდილობს იყოს ეკონომიური, ხოლო ეკონომიურობის პრინციპი, თავის მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდაზის ენისთვის.

---

[1] ნულის სინტაქსისა და ქართულის, როგორც Pro-drop ენის შესახებ ვრცლად იხ. თანდაშვილი 2017:84-96.

[2] პროფ. მ. თანდაშვილს ტერმინი *ქცევა* გამოყენებული აქვს ტრადიციული გაგებით. ჩვენ, ცხადია, ამ ეტაპზე არ ვიხილავთ განსხვავებას ქცევასა და პირთა საკორელაციო მარკერად გამოყენებულ ხმოვანპრეფიქსებს შორის.

[3] ენის ეგოცენტრული ბუნების შესახებ იხ. Бенвенист 1974. პირთა სტრუქტურისა და განაწილების საკითხები ქართული ზმნის ეგოცენტრული ბუნების კონტექსტში განხილულია მ. თანდაშვილის ნაშრომებში (თანდაშვილი 1996:60-67; თანდაშვილი 2020:104-115). ამავე საკითხზე იხ. აგრეთვე ზექალაშვილი 2012.

განზოგადებული I პირი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ფორმით:

ქართული

(15) ერთ მზეს ვხედავთ, მაგრამ ერთნაირად არ გვათბობსო (https://idioms.tsu.ge/?p=16575).

(16) ბუზები აქლემებად გვეჩვენებიან და აქლემები ბუზებად (https://idioms.tsu.ge/?p=2396).

მეგრული

(17) ართი შხურიშო ქობთქუათ დო ართი გერიშო „ერთი ცხვრისათვის ვთქვათ, მეორე კი მგლისათვისო“ (შეროზია, მემიშიში 1994:12).

ლაზური

(18) ბაბა საღი ტუ-ში, გერი მევიტით, ნა ღურუ, წოხლე მევულუთ „მამა ცოცხალი რომ იყო, უკან მივდიოდით (ვიხევდით), რომ მოკვდა, წინ მივდივართ“ (შეროზია, მემიშიში 1994:202).

სვანური

(19) ლაბხსგიდნიხ ესერ, ხოქუა თერაარ მეხპა, ლაჲუნრისგხ ესერ – ესუცადა ყუგს „ვნახოთო – უთქვამს ბრმასა, მოვისმინოთო – უპასუხებია ყრუს“ (დავითიანი 1973:53).

მხოლობით რიცხვზე მეტად განზოგადების შესაძლებლობა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს აქვთ. **ჩვენ** ნაცვალსახელი, იქნება ეს ინკლუზიური თუ ექსკლუზიური, მოსაუბრის გარდა მოიაზრებს სხვა პირ(ებ)ის უშუალო თანამონაწილეობასაც და ამდენად, უფრო მეტად არწმუნებს მსმენელს; გარდა ამისა, გარკვეულწილად ხდება პასუხისმგებლობის გადანაწილე-

ბაც. ე.ი. ზოგჯერ ანდაზით გადმოცემულ აზრს მთქმელი წარმოგვიჩენს არა მხოლოდ საკუთარ, ორიგინალურ ნააზრევად, არამედ ადასტურებს სხვის თანამონაწილეობასაც; ამ გზით ნათქვამის დამაჯერებლობაც იზრდება.

2.2.4 განზოგადებული მეორე პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში

ჩვენი შემდგომი მსჯელობა შეეხება ანდაზებში განზოგადებული შინაარსით წარმოდგენილ გრამატიკულად მეორე პირს. ცნობილია, რომ ქართული **შენ** პირის ნაცვალსახელის ფარდად მეგრულსა და სვანურში გვაქვს **სი,** ხოლო ლაზურში – **სი-//სი-ნ.** ქართული მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **შენ-** *„(<*შჳენ) ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ.* ***სქან-*** *(****სკან-****<****სქან-****<*შქჳან-)* *და ლაზ.* ***სქან-*** *(****ცქან-****<****სქან-****<*შქჳან-).* *სვანურში გვაქვს* ***ისგუ /ისგჳი“*** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:553). რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, *„მეგრული* ***თქვან-*** *და ლაზური* ***თქვან-*** *კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ* ***თქუენ-*** *ძირს“* (იქვე:243). სვანურში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელად გვაქვს **სგაჲ//სგაჳ//სგაჲ.**

ანდაზის ენაში, მსგავსად I პირისა, II პირიც „აპელირებს ადრესატის გამოცდილებების ცნობიერებაზე. ბევრ ანდაზაში „შენ“ ნაცვალსახელის ხმარება ფორმალურად დაკავშირებულია მსმენელების მიმართ მოწოდებითი ფუნქციის გამომხატველ ფორმებთან“ (ბოედერი 2014:76). საინტერესოა, რომ ზოგადი დაკვირვებით,

მეორე პირის ფორმების გამოყენება ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში, პირველ პირთან შედარებით, გაცილებით პროდუქტიულია. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ანდაზით გადმოცემული დამრიგებლური შინაარსის სიტყვების ადრესატი (ფორმალურად მაინც) უმთავრესად მეორე პირია, რომლის მისამართითაც მთქმელი იყენებს უშუალო მიმართვის ფორმებს და ამით უფრო მეტად უახლოვდება მას, თავს მსმენელის თანაზიარად წარმოაჩენს. ე.ი. ანდაზაში მთქმელი მიმართავს მეორე პირს და მოუწოდებს, ასწავლის, ურჩევს, გამოცდილებას უზიარებს მას. ამასთან, ანდაზებში, როგორც პირველი პირის შემთხვევაში გვქონდა, მეორე პირიც ხშირად განზოგადებულია და მოკლებულია კონკრეტიზაციას, „ვინაიდან „შენ“ აქ არ არის საუბრის სიტუაციასთან დაკავშირებული“ (ბოედერი 2014:76)[1]. ამდენად, ამგვარ შემთხვევებში ანდაზისეული „შენ“ მიემართება არა ერთ კონკრეტულ ადამიანს, არამედ ზოგადად ყველას[2]. ქართველურ ენათა ანდაზებში II პირის გამოყენების ორგვარი შემთხვევა გვაქვს:

[1] II პირის განზოგადების უნარი, განსაკუთრებით ანდაზებში, აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. დაწვრ. იხ. შანიძე 1948:91; კვაჭაძე 1977:210-211; ზექალაშვილი 2019:165-167.

[2] სამქადაგებლო ტექსტებში **მე** და **შენ** „შიფტერების“ ფუნქციური ანალიზისას ც. ბარბაქაძე აღნიშნავს, რომ „II პირის ნაცვალსახელი – **შენ** – ადამიანს მიემართება, ამავე დროს, არა რომელიმე კონკრეტულ ადამიანს, არამედ – ზოგად ადამიანს“ (ბარბაქაძე 2003:49). მხოლობითში მდგომი II პირის განზოგადების უნარის საილუსტრაციოდ გამოდგება აგრეთვე სარეკლამო დისკურსიც

განზოგადებული II პირი წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის ფორმით:

ქართული

(20) არა სცმია მამაშენსა, ნურც შენ დასცვეთ მარმაშებსა (ქართ. ანდ. II:11).

(21) მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო (იქვე:115).

(22) შენი გასაკეთებელი საქმე შენ თვითონ უნდა გააკეთოო (https://idioms.tsu.ge/?p=20555).

(23) შენი ამხანაგი შენი სახელიაო (https://idioms.tsu.ge/?p=17312).

(24) საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხებიც ისე გაჭიმეო (https://idioms.tsu.ge/?p=8378).

(25) მოთმინებით ბევრ რამეს გააკეთებო (https://idioms.tsu.ge/?p=17892).

მეგრული

(26) ახალი მოჯგირეშენი ჯვეშის ნუ მიოცოთა „ახალი მოყვრის გამო ძველს ნუ დაკარგავ“ (შეროზია, მემიშიში 1994:16).

(27) გერშა ქუგოშქურუნიადა, ტყაშა ოკო ვედევა „მგლისა თუ გეშინიაო, ტყეში არ უნდა წახვიდეო“ (იქვე:26).

(28) დუდშა სი ოკო ვეცქუე, შხვაქ ოკო გოცქუასია „თავი შენ არ უნდა იქო, სხვამ უნდა გაქოსო“ (იქვე:41).

(შდრ. „დაპორტირდი სელფიში შენივე ნომრით!“, „წაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები!“ და მისთ.).

(29) მეზობელს ირფელი ქუღუდა, სი სქანი ქიგგოსქიდუნია „მეზობელს თუ ყველაფერი აქვს, შენ შენი დაგრჩებაო“ (იქვე:86).

(30) სოდე მეურქგნი, თექიანი ქუდი გირთვია „სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო“ (იქვე:124).

(31) სქანი ღურელი სი ოკო თხორე „შენი მკვდარი შენ უნდა დამარხო“ (იქვე:126).

ლაზური

(32) ბაშქას კუი ვარ უნთხორა, სი ქოდოლოლაფ „სხვას ორმო არ გაუთხარო, შენ ჩავარდები“ (შეროზია, მემიშიში 1994:203).

(33) ეთვალუს ოწკედი დო კუჩხე ეშო გონთხი! „საბანს შეხედე და ფეხი ისე გაშალე!“ (იქვე:213).

(34) თი სქანი სი ოქაჩაგინონ „შენი თავი შენ უნდა შეიკავო“ (იქვე:217).

(35) მაქვალი სქანი სი გეტახი „შენი კვერცხი შენ მოტაფე“ (იქვე:230).

(36) სოთხანი ნა იდა, ექონი ქუდი გითვი „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე“ (იქვე:250).

სვანური

(37) ბეფშდ ესერ ლახა ანხირნას, მიჩ’ოუ̈ ლიბოფშ ლა̈ხშყად „ბავშვმა რომ გაგაჯავროს, შენი ბავშვობა გაიხსენეო“ (დავითიანი 1973:21).

(38) მა̈გ ესერ ხაწუ̈ა, ეჩქას საფლა̈ გარ ხაკლი „ყველაფერი როცა გაგაჩნია, მაშინ საფლავიღა გაკლიაო“ (იქვე:68).

(39) მჳ ესერ ფაყუ ქუ̃ეყანას ხაგ, ჯინემოუ̃ი ეჯი ესიგ „რომელ ქვეყანაშიც ხარ, იქაური ქუდი დაიხურეო“ (იქვე:70).

(40) კათხთე სრ̃ი ესერ ეჯას ჯიგუ̃შეხ, იმუ̃ჴი ესერ სი ი̃ჳს ხათრე „სხვას რასაც დაალევინებ, შენც იმასვე ჩაგისხამენ კათხაშიო“ (კორძაია 2000:88).

ძალზე იშვიათად, მაგრამ დასტურდება ისეთი ანდაზებიც, რომლებშიც *განზოგადებული II პირი, მრავლობით რიცხვში მდგარი ნაცვალსახელით და//ან ზმნური ფორმითაა წარმოდგენილი*[1]*:*

ქართული

(41) დედა იკითხეთ და კვიცი ისე იყიდეთ (ქართ. ანდ. II:22).

ლაზური

(42) აღანი ძირომელის ფარა მო გუწუმეთ „ახლის მნახველს ფულს ნუ გამოართმევთ“ (შეროზია, მემიშიში 1994:202).

2.2.5 განუსაზღვრელი პირის ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში

ცნობილია, რომ განუსაზღვრელპირიან ანდაზებში ზმნა მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. ამგვარ შემთხვევებში არ არის დასახელებული თავად მოქმედი (ე.ი. კონკრეტული პირი), ვი-

[1] ამგვარი მაგალითების სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ ანდაზებში დადასტურებული ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმები შეიძლება მხოლობითის ფორმების მრავლობითით ჩანაცვლებული ვარიანტები იყოს.

ნაიდან ყურადღება მახვილდება არა მასზე, არამედ – მოქმედებაზე (კიზირია 1987; კვაჭაძე 1977; ზექალაშვილი 2019)[1].

ქართული

(43) უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო (https://idioms.tsu.ge/?p=8453).

(44) ზღვას ძირი არ უჩანდა, ამბობდნენ უძიროაო (https://idioms.tsu.ge/?p=6860).

(45) დათვსა ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო (https://idioms.tsu.ge/?p=6586).

მეგრული

(46) ართი ოხვამე დოტახეს დო მაჟიას აკეთენდესია „ერთი ეკლესია დაანგრიეს და მეორეს აკეთებდნენო“ (შეროზია, მემიშიში 1994:11).

(47) გერს სახარებას უკითხენდეს დო ინა ტყაშა იჯინედუა „მგელს სახარებას უკითხავდნენ და ის ტყისკენ იყურებოდაო“ (იქვე:25).

(48) თუნთის ოსქალეს აბარენდესია „დათვს სკებს აბარებდნენო“ (იქვე:55).

ლაზური

(49) მთუგიშა მუთუ ვარ ახვენერენან დო კატუს ბელა უგორუფტურენან „თაგვს ვერაფერი უყვეს და კატას ერჩოდნენ“ (შეროზია, მემიშიში 1994:233).

[1] განუსაზღვრელპირიან ანდაზებში შეიძლება აღდგეს ***ნათქვამია, უთქვამთ...*** და მსგავსი სემანტიკის ზმნები. ამგვარი სტრუქტურული მოდელის მქონე ანდაზები ევიდენციალობის თვალსაზრისით შეფასებული გვაქვს 2.5 პარაგრაფში.

(50) მონჭეის ასთოლეს დო კობო ქამელუ-და „მწიფეს ესროლეს და მკვახე ჩამოვარდაო“ (იქვე:235).

(51) ტუტჴელი ბერეს ვარ მეჩაფან „თოფს ბავშვს არ მისცემენ, არ აძლევენ“ (იქვე:251).

სვანური

(52) თხერ’ ესერ ლგმპირსდინლიხ ი ჯა ცხეკთე ლუმზურიელ „მგელს ნათლავდნენ და თვითონ ტყისკენ იქაჩებოდაო“ (კორძაია 2000:79).

(53) აშედ ესერ დეშ ოლსკიდხ ი ნა̈ნკდ დეშ ოლმა̈რგხ „ერთად ვერ დაეტივნენ და ცალკე ვერ გამოდგნენო“ (დავითიანი 1973:15).

(54) ბედაუ̈ირა̈რს ლგმშკადუ̈ნელიხ ი ამფხუ̈ს ესერ ჭიშხ ოხქუ̈იჭა „ბედაურებს ჭედავდნენ და ბაყაყს ფეხი გაუშვერიაო“ (იქვე:20).

ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში შესაძლებელია ერთსა და იმავე წინადადებაში პირთა სხვადასხვაგვარი კომბინაცია იყოს წარმოდგენილი. ამგვარი კონტექსტები საინტერესოა პრაგმატიკული დანიშნულების თვალსაზრისით.

2.2.6 პირთა მიმართება პრაგმატიკული თვალსაზრისით ქართველურ ენათა ანდაზებში

ანდაზის სტრუქტურულ მოდელში, გარდა პირთა განზოგადება-განუსაზღვრელობისა, ყურადღებას იქცევს პირთა ურთიერთმიმართების საკითხი. განსაკუთრებით ეს ეხება ნაცვალსახელით გადმოცემულ I და II პირებს; თუმცა შეასაძლებელია, I და III პირების მიმართებაც განიხილებოდეს. როცა ანდაზაში პირი ერ-

თდროულად ორი მორფოლოგიური ოდენობით (პირის ნაცვალსახელითა და ზმნური ფორმით) არის მარკირებული, მაშინ ანდაზის სტრუქტურა და სემანტიკა პრაგმატიკულ ჭრილშია განსახილველი[1]. ამგვარ კონტექსტში უწინარეს ყოვლისა გასათვალისწინებელია I პირის სპეციფიკური როლი; ნაშრომში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ანდაზა I პირის შექმნილი, შემდეგ განზოგადებული სიბრძნეა; პირთა (I, II და III) დეიქსისის რეფერენციალური განსხვავების ნეიტრალიზების მიუხედავად, „მე“-ს თავისთავადობა, მისი გამორჩეული ფუნქცია მაინც ჩანს ანდაზაში, რადგან „მე“ არის ის, ვინც თავის შინაგან მდგომარეობებსა და აღქმებს გამოხატავს“ (ბოედერი 2014:75). რ. ზექალაშვილი იზიარებს ბოედერის თვალსაზრისს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა მ. ფ. რონკადოსის შეხედულებას „მე“-ს სემანტიკის შესახებ (ზექალაშვილი 2019:164).

კომუნიკაციური ცნობიერება ფართო ცნებაა. მისი ნაწილია ადამიანის ენობრივი ცნობიერება[2]. სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივი ცნობიერების არსებით მომენტად გამოყოფილია **ენობრივი თვითშეგნება (თვითცნობიერება),** რომელიც „აუცილებლობით მოით-

[1] ზმნაში პირის მარკირების გრამატიკულ შესაძლებლობასა და მასთან ერთად პირის ნაცვალსახელის ფაკულტატიურ ფუნქციაზე მსჯელობა იხ. წინა პარაგრაფებში.

[2] კომუნიკაციურ და ენობრივ ცნობიერებათა დიფერენციაციის (Стернин 2005:144) შესახებ მსჯელობა და მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე მისალმება-დამშვიდობების ენობრივი ფორმულების ანალიზი ვრცლად იხ. ომიაძე 2009:58-60.

ხოვს ადამიანისგან აღნიშნულ ქცევაზე პასუხისმგებლობასა და კონტროლს. ამასთანავე, იგი ახასიათებს არა მარტო ინდივიდს, არამედ საზოგადოებასაც, ენობრივ კოლექტივსაც, თუ იგი მაღლდება მშობლიური ენის მდგომარეობის გაგებამდე კულტურის სისტემაში“ (კვარაცხელია 2001:108).

პირთა მიმართების პრაგმატიკულ ბუნებას განსაზღვრავს ურთიერთობის წესები[1], რომელთა დაცვა უზრუნველყოფს კომუნიკაციური პროცესის წარმატებით განხორციელებას. ამგვარი წესები განსაკუთრებით ანდაზებში ვლინდება. საინტერესოა, „მე“, რომელიც ქმნის ანდაზას, როგორ წარმოაჩენს თავს? მას არ სურს მომგებიან პოზიციაში ყოფნა. ეს თვალსაჩინოა მაშინაც, როცა მხოლოდ I პირია მოცემული; მაგალითად,

ქართული

(55) მე[2] რომ მენახირედ დავდექ, ფამფარა[3] მაშინ გაწყდაო (ქართ. ანდ. III:74).

შდრ. იმავე შინაარსის **მეგრული** ანდაზა:

(56) მა მეველეთ გომტეს დო ი კათაქ ცვანა თიწკჷმა გექშეღობუა (ექსპ. მასალები) „მე მეველედ გამიშვეს და იმ ხალხმა ყან(ებ)ი მაშინ შემოიღობაო“.

---

[1] „ურთიერთობის წესებს“ სხვანაირად **პრესკრიფციას** უწოდებენ (ტერმინის განმარტებისთვის იხ. ომიაძე 2009:60).

[2] ხაზგასმა ანდაზებში, აქაც და ქვემოთაც, ამ ქვეთავის ფარგლებში, ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

[3] ფამფარა – ბალახია ერთგვარი (იხ. ქეგლი-ს განმარტება: http://ena.ge; შდრ. აგრეთვე ფოჩხუა 1987).

„მე“-ს ამგვარი პოზიცია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი II პირთან მიმართებით.

ქართული

(57) მე ქორწილში წავეთრევი და შენ კი ნახირში წაბრძანდიო (ქართ. ანდ. II:121).

შდრ.:

მეგრული

(58) მა დიარაშა მიდვოჩვაგა დო სი წისქვილშა მიდაზოჯია „მე საქეიფოდ წავჩანჩალდები და შენ წისქვილში წაბრძანდიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:80)[1].

„მე“-ს უპირატესობა უკანა პლანზე გადადის, რადგან ყურადღებას იქცევს „თავად მოქმედება და არა მოქმედი პირი“ (ზექალაშვილი 2019:169); შესაბამისად, არა აქვს მნიშვნელობა, თავკიდურა პოზიციას რომელი დაიჭერს – „მე“ თუ „შენ“[2], რადგან სათქმელი დიალოგისთვის დამახასიათებელი ეტიკეტით არის შეფუთული.

პირებს შორის თანაბარი შესაძლებლობების წარმოჩენის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ანდაზებიც:

---

[1] შდრ. ამავე ანდაზის სხვა ვარიანტები: მა ლხინიშა მიდევსერგელუქ, სი ტყაშა მიდაზოჯია „მე ქორწილში (ლხინში) წავეთრევი და შენ ტყეში წაბრძანდიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:80); სი წისქვილიშა მიდაზოჯია დო მა დიარაშა მიდებსერგელგქია „შენ წისქვილში წაბრძანდი, მე ქორწილში წავეთრევიო“ (იქვე:81). ნოსაქ უწუა ნოსას: სი წისქვილიშა მიდაზოჯი დო მა დიარაშა მიდევსარგალუქია „რძალმა რძალს უთხრაო: შენ წისქვილში წაბრძანდი და მე ქორწილში წავეთრევიო“ (სახოკია 1989:255).

[2] შდრ. ერთმანეთს საილუსტრაციოდ მოყვანილი ქართული და მეგრული ანდაზები.

ქართული

(59) შენც ბატონი, მეც ბატონი, ამ ცხენს ვინღა შეკაზმავსო? (http://idioms.tsu.ge/?p=9304)[1].

მეგრული

(60) სი – პატონი, მა – პატონი, ცხენც მიქ გედგას ონანგერი? „შენ – ბატონი, მე – ბატონი, ცხენს ვინ დაადგას უნაგირი?“ (შეროზია, მემიშიში 1994:121)[2].

(61) ანთალაქ მა მაღორუ, ანთალას მა ვაღორენქ „ანთელავამ მე მომატყუა, ანთელავას მე ვატყუებ“ (იქვე:8).

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ქართული პარემიები კრძალავენ სიტყვით შეურაცხყოფას, მოსაუბრისთვის გულის ტკენას (ომიაძე 2009:61).

ქართული

(62) მე გეტყვი და შენ, გინდა, ყინულზე დაიწერეო (ქართ. ანდ. II:120).

(63) მე შენკენ და შენ ეშმაკებისკენო (http://idioms.tsu.ge/?p=12929).

მეგრული

(64) მა ქოგიწიინქ დო სი გოკონდა ტყას ქიმთარაცია

[1] კონკრეტულად ამ და მსგავს მაგალითებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისუფალ მონაცვლეობას ხელს უწყობს ისიც, რომ მსაზღვრელი წევრი (ამ შემთხვევაში „ბატონი“) მათ საერთო აქვთ.

[2] დამოწმებული მაგალითები ((59) და (60)) რიტორიკული შეკითხვის შემცველია. თუკი რიტორიკული შეკითხვა დადებითი ფორმით არის გადმოცემული (ე.ი. წინადადება წართქმითია), მაშინ, შედეგი უარყოფითია (ანდაზაში მოცემული მოქმედება არ შესრულდება, რადგან ორივე, I და II პირი, ბატონია).

(ექსპ. მასალები) „მე გეტყვი და შენ თუ გინდა, ტყეში შერეკეო (ე.ი. ნუ შეისმენო)“.

(65) მა სქანცურე ვორექ დო სი ეშმაკიცურევა „მე შენკენ და შენ ეშმაკისკენო“ (შეროზია, მემიშიში 1994:83).

ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში „მე“-ს ნათქვამს არ შეისმენს „შენ“, მაგრამ ამას პირდაპირ არ ამბობს მთქმელი, I პირი.

ამრიგად, ქართველურ ენათა ანდაზებში პირთა მიმართების პრაგმატიკული თვალსაზრისით შეფასებამ ნათლად წარმოაჩინა ქართველი კაცის ეროვნული სამეტყველო ეტიკეტი, მისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის წარმართვის წესი.

ამდენად, **რეფერენციულობის კატეგორიისა და პირთა მიმართებების დეიქტური ფუნქციის თვალსაზრისით ქართველურ ენათა ანდაზების ანალიზმა დაადასტურა,** რომ I, II და III პირების დეიქსისის რეფერენციალურად ნეიტრალიზებული განსხვავება ანდაზებში დაკავშირებულია გარკვეულ პრაგმატიკულ კონტექსტებთან. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში გამოჩნდა, რომ მხოლობით რიცხვზე მეტად I პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს აქვთ განმაზოგადებელი დატვირთვა. ქართული **ჩვენ** ნაცვალსახელი (როგორც ინკლუზიური, ისე ექსკლუზიური) და მისი ფარდი ლექსიკური ერთეულები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში მოსაუბრის გარდა მოიაზრებს სხვა პირის უშუალო თანამონაწილეობასაც, რაც განზოგადების საშუალებას იმთავითვე იძლევა და, ამიტომ, მეტად დამაჯერებელი და ეფექტურია, მეტ გავლენას ახდენს მსმენელზე.

საინტერესოა, რომ ანდაზებში I პირის მრავლობით რიცხვთან ერთად განმაზოგადებელი დატვირთვა აქვს I პირის მხოლობითი რიცხვის ფორმასაც. იგი გარკვეული პრაგმატიკული შინაარსის მატარებელია; კერძოდ, ასახავს არა რეალურ მოსაუბრეს, არამედ მიუთითებს ანდაზით გამოხატული აზრის უტყუარობაზე, გადმოსცემს უშუალო გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობას და ამით კონტექსტს მეტ დამაჯერებლობას სძენს. ამგვარი გზით მოსაუბრე პირდაპირ კავშირსაც ამყარებს მსმენელთან. ამდენად, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში I პირის (იქნება ეს მხოლობითი თუ მრავლობითი) პრაგმატიკული შინაარსი ვერ თავსდება გრამატიკული I პირის, ანუ რეალურად მოსაუბრე პირის, სემანტიკაში. რაც შეეხება II პირის ნაცვალსახელთა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს, ისინი, ჩვენი დაკვირვებით, I პირთან შედარებით, გაცილებით პროდუქტიულია ქართველურ ენათა ანდაზებში. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ ანდაზაში მეორე პირი მსმენელისადმი მიმართვის უშუალო ობიექტია. მთქმელს მთელი ყურადღება გადააქვს იმაზე, ვისაც მიმართავს (ე.ი. მეორე პირზე) და ურჩევს, არიგებს, მოუწოდებს მას. ამასთან, ანდაზებში, როგორც I პირის შემთხვევაში გვქონდა, II პირიც ხშირად განზოგადებულია და მოკლებულია კონკრეტიზაციას, რის გამოც ***შენ*** ფორმით წარმოდგენილი მიმართვის ობიექტი არის არა რომელიმე კონკრეტული პირი, არამედ ზოგადად ხალხი.

ქართველურ ენათა ანდაზებში პირთა ურთიერ-

თმიმართებისა და ფუნქციური განაწილების პრინციპების კვლევა მოითხოვს სახელური მიმართვის ფორმების ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზსაც, რის გამოც მათ ცალკე განვიხილავთ.

2.3 მიმართვის ფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტები ქართველურ ენათა ანდაზებში

მიმართვის ენობრივი რეპრეზენტაცია და მიმართვის ფორმების სტრუქტურულ-სემანტიკური პარამეტრები ენათა მიხედვით სხვაობს, თუმცა, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოიყოს მეტ-ნაკლებად უნივერსალური ნიშნები, რომლებიც მიმართვის, როგორც ლინგვისტური ფენომენის, დასახასიათებლად გამოდგება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვაში „მკვეთრადაა გამოხატული დეიქტური ელემენტი. ენათა უმრავლესობაში გვხვდება მიმართვის ა) სახელური (საკუთარი სახელები, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინები, სხვადასხვა სახის ტიტულები, ხელობის სახელები, ალერსობითი ფრაზები და ა.შ.), ბ) ნაცვალსახელური (ძირითადად მეორე პირის ან მსგავსი ფუნქციით ხმარებული სხვა თანრიგის ნაცვალსახელები, რომლებიც ადრესატის აღსანიშნავად გამოიყენება“ (კიკვიძე 2021:93)[1].

[1] მიმართვის ფორმებზე საუბრისას ბუნებრივად დგება თავაზიანი მიმართვისა და ე.წ. „თავაზიანი მრავლობითის“ საკითხი (ამის შესახებ ვრცლად იხ. კიკვიძე 2015), თუმცა ამაზე საგანგებოდ აქ არ

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მიმართვის ფორმები ენაში სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივიდან განიხილება[1]. მათ შორის, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით მიმართვების ანალიზი მოცემულია ზ. კიკვიძის ნაშრომებში (Kikvidze 2023). გრაისის (Grice 1975) ცნობილი მაქსიმების (რაოდენობის მაქსიმა, ხარისხის მაქსიმა, რელევანტურობის მაქსიმა, მანერის მაქსიმა) მიხედვით კომუნიკაციური მოდელების ანალიზი, მათ შორის, ამ დანიშნულებით გამოყენებული მიმართვის სპეციფიკური ფორმები ქართული ანდაზების ენაში შეფასებულია გ. კვარაცხელიას მოხსენებაში "Conversation Manners in Georgian Proverbs" (2005 წ.)[2].

ცალკეა აღსანიშნავი შ. აფრიდონიძის სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქცი-

---

შევჩერდებით, რადგან ანდაზების ენაში მსგავსი ენობრივი ფაქტები სპეციფიკური ვითარების მაჩვენებელი არ არის.

[1] მიმართვა, როგორც ენობრივი ფენომენი, საგანგებოდაა შესწავლილი ძველ ქართულ ენაში (კიზირია 1963). მიმართვის ფორმების ტიპოლოგიურ ანალიზს (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე) ეძღვნება ნ. რუხაძის საკანდიდატო დისერტაცია (რუხაძე 2006).

[2] ამ ეტაპზე ნაშრომის მიზანი არ არის, თუმცა სამომავლოდ ანდაზის, როგორც საკომუნიკაციო ენობრივი ერთეულის, ერთგვარი მინი-ტექსტის ანალიზი საინტერესოა ზემოთ ნახსენები გრაისის მაქსიმების გათვალისწინებით, რაც წარმატებული კომუნიკაციისთვის განსაზღვრულ ერთგვარ უნივერსალურ მოდელად მიიჩნევა. ამავე კონტექსტში საყურადღებოა ანდაზებში მოსაუბრის სამეტყველო ეტიკეტის ასახვაც (სებისკვერაძე 2014).

ონირება ახალ ქართულში[1]. აღნიშნულ ნაშრომში გამოყოფილია ვოკატიური, ანუ სახელური მიმართვები (resp. სახელები წოდებით ბრუნვაში), იმპერატიული, ანუ ბრძანებითი ფორმა ზმნური მიმართვებისა, კითხვითი (resp. ინტეროგატიული) მიმართვები და სხვ. ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი სახელურ მიმართვაზე მსჯელობისას ქართული ანდაზების მასალის მიხედვით ცალ-ცალკე გამოყოფს და ახასიათებს საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა) და საზოგადო სახელთა (აპელატივთა) ვოკატიურ ფორმებსა და *შე* ნაცვალსახელიან კონსტრუქციებს (აფრიდონიძე 2003)[2].

მიმართვის ადგილს რთულ წინადადებაში ეძღვნება რ. ქურდაძის სამეცნიერო სტატია. მასში ქართული ანდაზების მაგალითზე გაანალიზებულია მიმართვის სემანტიკურ-სტრუქტურული მიმართების საკითხი რთული წინადადების სხვა წევრებთან (ქურდაძე 2003).

მიმართვის ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულის გარდა, განხილულია მეგრულ-ლაზურის მასალაზეც; კერძოდ, სახელური მიმართვის ფორმების ანალიზს ისახავს მიზნად ც. ჯანჯღავას სტატია (ჯანჯღავა 2009:250-252). ლ. ფაჩულიას ნაშრომში ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფებულია მეგრულში არსებული მიმართვის სახელური ფორმები. ავტორი გამოყოფს ცხრა ჯგუფს, რომელთა შორისაა მიმართვად გა-

[1] დისერტაცია ბეჭდურად გამოიცა მოგვიანებით, 2023 წელს.

[2] **შე** ნაცვალსახელიანი კონსტრუქციები გვხვდება შემდეგი ტიპის ანდაზებში: ყვავმა ყვავს წასძახა: ჰაი, შე ყრანტალაო! (https://idioms.tsu.ge/?p=12394).

მოყენებული ხელობა-პროფესიის სახელები, კნინობით-ალერსობითი ლექსიკა და სხვ. (ფაჩულია 2012:109-112).

მიმართვასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული თეორიული საკითხებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, საინტერესოა მიმართვის ფორმების ანალიზი ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში, რათა შეიქმნას მიმართვის ფორმათა ფუნქცია-დანიშნულების საკითხთან დაკავშირებული ერთიანი სურათი უშუალოდ ანდაზების ენაში.

ანდაზებში სახელური მიმართვა გადმოცემულია როგორც საყოველთაოდ გავრცელებული, ისე იშვიათი დასახელების ადამიანთა სახელებით:

(1) როცა გშია, ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია.
(2) საიდან სადაო, წმიდა საბაო[1].
(3) სიმონაო, სიმონაო, გარს კარგო და შინ მონაო.
(4) ერთი შენ და ერთი მეო, არ გეწყინოს ექვთიმეო.
(5) ჰარალო, ბიჭო, გოგია, მოჰხან და ბევრი მოგივა (ქართ. ანდ. III:149).
(6) ასეა, ჩემო თომაო, სმასაც კი უნდა ზომაო (იქვე:108).
(7) როგორიც მოხვალ, თინაო, ისეთი წახვალ შინაო (გოგოლაშვილი და სხვები 2011:177).

ზემოთ წარმოდგენილი ანთროპონიმების გვერდით, ანდაზებში დასტურდება შედარებით ნაკლებად

[1] ანდაზის შექმნა შესაძლოა უკავშირდებოდეს სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ მოგზაურობას ევროპაში (ჭოხონელიძე 2004:262).

ცნობილი და გავრცელებული საკუთარი სახელებიც (აფრიდონიძე 2003):

ქართული

(8) რაღას დიდგულობ, ავალო, შენი ყმა აღარა ვარო.
(9) რაც მოგივა, ალიაო, ყველა შენი ბრალიაო.
(10) ეგრე, ჩემო თანანიო, მიყვარს შენისთანანიო.
(11) ვაიმე, ძმაო თარხანო[1], რა ჭკუაზედა თხლად ხარო.
(12) ეგრე არ უნდა, თაყაო, შენ რო მამული გაყაო.
(13) ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო[2].
(14) ნუ მატყუებ, სარქისაო, აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.
(15) როგორც მოხვალ, სვინაო, ისე წახვალ შინაო.
(16) იმას დასჯერდი, ხონდაო, რაც მამაშენსა ჰქონდაო.
(17) არც რა შენ იყავ, ხოხაო[3], არც რა მაყრები მოგყვაო.

---

[1] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანდაზაში მოხსენიებული ანთროპონიმი აღნიშნავს თეიმურაზ მეფის მასხარას, ბენია ბასტამაშვილს, რომლის ზედმეტსახელი იყო თარხანა (ჭოხონელიძე 2004:262). აქ წარმოდგენილი ანდაზის შინაარსიდან გამომდინარე, ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ცნობილია, რომ „[თარხანა] იყო ენამოსწრებული და ჭკვიანი. აზიური ენებიც სცოდნია, ცოტა რუსულიც. ხელმწიფე გვერდიდან არ იშორებდა და ზოგიერთი საქმის გამრჩევადაც კი ჰყავდა. იქამდეც კი, რომ ყეენთან ელჩადაც გაუგზავნია“ (ნიშნიანიძე 1999:1194).

[2] ერთ-ერთი ვერსიით, ანდაზის შინაარსი დაკავშირებულია რეალურ ფაქტთან; კერძოდ, თეიმურაზ მეორე სასახლის კარზე ხშირად იწვევდა განათლებულ და მჭევრმეტყველ მანასე ბერს, რომელთან საუბარსაც შემდეგი სიტყვებით ასრულებდა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ (ჭუმბურიძე 1978: 174; ჩინჩალაძე 2008:116).

[3] შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს ფშაველი მოკაფიავე ხოხა ხადილაშვილი.

მასალის მიხედვით ნათელია, რომ ქართულ ანდაზებში დადასტურებული საკუთარი სახელების უმრავლესობა ხმოვანფუძიანია. აღნიშნულ სახელებს სისტემურად ერთვით სხვათა სიტყვის -ო სუფიქსი. ანთროპონიმებზე დართულ სხვათა სიტყვის ნაწილაკს კონკრეტული დანიშნულება აქვს; იგი ემსახურება ანდაზების უმთავრესი მახასიათებლის – რითმულობისა და რიტმულობის მოწესრიგებას. როდესაც ანთროპონიმი ერითმება ანდაზაში წარმოდგენილ სხვა რომელიმე სიტყვას, ამით უზრუნველყოფილია ფრაზის ინტონაციური ერთიანობა და მონოლითურობაც[1].

სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის ზემოხსენებული ფუნქცია ქართული ანდაზების მაგალითზე შენიშნული აქვს შ. აფრიდონიძეს: „თუკი ანდაზა სინტაქსურად რთული შედგენილობისაა, სხვათა სიტყვის **-ო** ხმოვანი შეიძლება ანდაზის ორივე ნაწილის დამამთავრებელ სიტყვას დაერთოს და რითმის შექმნაშიც მიიღოს მონაწილეობა. მაგ.: ***რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო"*** (აფრიდონიძე 2023:157-158). ასეთივე ვითარება გვაქვს მეგრულშიც[2]. ქართულ და მეგრულ ანდაზებში

[1] სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ფუნქციურ დანიშნულებასა და როლზე ქართველურ ენათა ანდაზების მორფოსინტაქსური მექანიზმის გამოხატვაში ვრცლად იხ. პარაგრაფი 2.5.

[2] ზოგადად, მეგრულში, კერძოდ, ზღაპრის ენაში სხვათა სიტყვის ნაწილაკი წინადადებაში შეიძლება ერთდროულად რამდენჯერმე, სხვადასხვა წევრს დაერთოს: „მეგრული სინტაქსისთვის მკვეთრად დამახასიათებელია ე.წ. სხვათა სიტყვის ნაწილაკების ჭარბად ხმარება" (დანელია 1991:10). მიუხედავად იმისა, რომ ნარატიული ტექსტი და ანდაზა ჟანრობრივად მკვეთრად სხვაობს ერთმანე-

III პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკების სინტაქსური და პროსოდიული ფუნქციების შესახებ იხ. Kurdadze et al. 2024).

ანთროპონიმები, როგორც ანდაზის ენაში დეიქტური მიმართებების ამსახველი და რითმულობა-რიტმულობის შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ერთეულები, ძირითადად, ქართულშია წარმოდგენილი. მიმართვის ფორმით გამოყენებული ადამიანთა სახელები შეზღუდულად, თუმცა დანარჩენ ქართველურ ენებშიც, კერძოდ, მეგრულ ანდაზებშიც დასტურდება:

მეგრული

(18) **იკონია, კიკონია,** დუდიში ჭირი მიგონია „იკონია(ვ), კიკონია, თავს ჭირი მოუგონეო („...თავის ჭირი მოიგონეო“) (შეროზია, მემიშიში 1994:59)[1].

ამ ტიპის მაგალითები სვანურში საერთოდ არ აღმოჩნდა, რასაც თავისი ახსნა მოეპოვება; კერძოდ, ცნობილია, რომ სვანურ ენაში მესამე პირის ნათქვამის აღმნიშვნელი სხვათა სიტყვის ნაწილაკი ცალკე დგას, რითაც განსხვავდება დანარჩენი ქართველური ენების ვითარებისგან (ქართულში, მეგრულსა და ლაზურში სხვათა სიტყვის ნაწილაკი კლიტიკას წარმოადგენს). შესაბა-

თისგან, მსგავსი შემთხვევები ანდაზებშიც დასტურდება. მაგალითად, **მეგრული ანდაზა:** კოჩქი**ა** ბჟა ქორჩუ**ა**-და, სი**ა** ბჟაქ ვაგაჩინუ**ა**-და, მანგიორი წაქა ვარა ქოჩი**ა** „კაცმაო რძე თუ დაგალევინაო, შენო რძე თუ ვერ დაალევინეო, სამაგიეროდ, შრატი მაინც დაალევინეო“ (შეროზია, მემიშიში 1994:77).

[1] შდრ. იკონია მუს ორთგნი, კიკონია თის უხერხგ. „იკონია (სახ. ბრ.) რასაც აკეთებს, კიკონია იმას უხერხებს“ (შეროზია, მემიშიში 1994:59).

მისად, ლოგიკურია, რომ სვანურში, სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, სხვათა სიტყვის ნაწილაკი ანდაზისთვის დამახასიათებელი რითმულობა-რიტმულობის შესაქმნელად არ გამოიყენება. რაც შეეხება ლაზურს, ქართულთან და მეგრულთან შედარებით, ამ ტიპის ანდაზებში რითმულობა-რიტმულობა სუსტად არის გამოხატული.

როგორც უკვე აღინიშნა, ანდაზებში ანთროპონიმების, განსაკუთრებით კი არასტანდარტული საკუთარი სახელების გამოყენება ძირითად შემთხვევებში ემსახურება რითმისა და რიტმის შექმნას. გარდა ამისა, ქართველურ ენათა ანდაზებში გამოყენებული საკუთარი სახელების ფუნქცია-სემანტიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ანდაზებში დადასტურებული ანთროპონიმი უმრავლეს შემთხვევაში მიემართება არა ამ სახელის მატარებელ კონკრეტულ ადამიანს, არამედ, ზოგადად, აღნიშნული ხასიათისა და თვისებების მქონე ადამიანთა კრებულს. ზემოთქმულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ლ. ქამადაძე, რომლის მიხედვითაც ქართულ ანდაზებში გამოყენებული ანთროპონიმები „თითქოს უკვე აღარ განეკუთვნება თავის მატარებელს; კონკრეტული სახელები განზოგადებულ ხასიათს იძენს და წინა პლანზე წამოსწევს არა სახელწოდებას, არამედ მის შეფასებას, მოსაუბრის დამოკიდებულებას ობიექტისადმი, რომელიც ატარებს ამ სახელს, ასევე ახალი ობიექტისადმი, რომელზეც გადადის ეს სა-

ხელი“[1] (ქამადაძე 2016:107). ზემოთ აღწერილი სიტუაციისგან განსხვავებით (ანდაზები (1) – (18), ანდაზური სიბრძნის განზოგადების უნივერსალურობიდან გამომდინარე, ანდაზებში წარმოდგენილი ანთროპონიმ(ებ)ის ზოგადრეფერენტული შინაარსი ოთხივე ქართველურ ენაში დასტურდება:

ქართული

(19) სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო (https://idioms.tsu.ge/?p=17883).

მეგრული

(20) ნიკოლაში ხოჯიცალო ცუჩა სქანით ოკო მერთე „ნიკოლას ხარივით სახლში შენით უნდა მიხვიდე“ (შეროზია, მემიშიში 1994:105).

ლაზური

(21) აჲა დუნჲა სულთან სულეიმანის ვარ დოსქიდერენ დო სი დოგოსქიდუნია? „ეს ქვეყანა სულთან სულეიმანს არ შერჩენია და შენ შეგრჩებაო?“ (შეროზია, მემიშიში 1994:198)[2].

---

[1] აღნიშნული თეზა ვრცელდება ანდაზებში წარმოდგენილ საკუთარ სახელებზეც და ადამიანთა გვარებზეც (შდრ. 3.2 პარაგრაფში წარმოდგენილი მსჯელობა).

[2] ანდაზაში დადასტურებული ანთროპონიმი რეალურ ისტორიულ პირს აღნიშნავს, თუმცა ანდაზის შინაარსი დღეს განზოგადებულად გვეძლევა და თანაბრად ეხება ნებისმიერ ადამიანს. ზემოთქმულს ადასტურებს ისიც, რომ საანალიზო ანდაზის პარალელურად ლაზურში დასტურდება მისი გამარტივებული (ერთგვარად შეკვეცილი) ვარიანტი: აჲა დუნჲა მის დოსქიდერენ „ეს ქვეყანა ვის შერჩენია“ (შეროზია, მემიშიში 1994:198). შდრ. ქართული ანდა-

სვანური

(22) გეგი ლუმზურელ ი ბეგის ესერ ლგმზაუნელიხ „გეგი საჩხუბრად მიიწევდა და ბეგის აშველებდნენო“ (დავითიანი 1973:24).

ამგვარად, მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ ანდაზებში გამოყენებული კონკრეტული ანთროპონიმები ავლენენ საზოგადო სახელად ქცევის ტენდენციას და, მაშასადამე, საკუთარი სახელის რეფერენტი კონკრეტული სუბიექტის ნაცვლად განზოგადებული ხდება. ასეთივე ვითარებაა მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ ანდაზაში მოხსენიებული სახელი შეიძლება ისტორიულ პირს მიემართებოდეს (შდრ. მაგალითი (21).

ქართველურ ენათა ანდაზებში საკუთარ სახელებთან ერთად საზოგადო სახელთა მიმართვის ფორმებიც დასტურდება. ანდაზაში სემანტიკურად მრავალფეროვანი საზოგადო სახელები, მსგავსად ანთროპონიმებისა, ზოგჯერ სარითმო ერთეულადაც გამოიყენება. ასეთია, მაგალითად, რელიგიურ თემატიკასთან დაკავშირებული საზოგადო სახელები[1]:

ქართული

(23) მღვდელო, მოწმე ვინა გყავს და – დიაკვანიო (http://idioms.tsu.ge/?p=7347);

ზები: ქვეყანა არავის შერჩენიაო (https://idioms.tsu.ge/?p=9707); ერთი დრო არავის შერჩებაო (https://idioms.tsu.ge/?p=16581) და მისთ.

[1] სასულიერო პირთა სახელების შემცველი ანდაზების შესახებ იხ. აგრეთვე ომიაძე 2018:215.

(24) ა, ხუცესო, კორკოტიო, შენ ამისთვის მორბოდიო (ქართ. ანდ. III:13)[1].

მეგრული

(25) პაპა გურს იბირდუა დო, დიაკონი, ბანი მიწია „მღვდელი გულში მღეროდაო და, დიაკვანო, ბანი მითხარიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:114).

(26) პაპა, ჟამი ქომიწირი, – ნოწირიი ხოლო ქომუ „მღვდელო, ჟამნის წირვა აღასრულე ჩემთვის, – ნაწირევიც მომეცი“ (იქვე:114).

ქართველურ ენათა ანდაზებში მიმართვის ობიექტი შესაძლოა არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ცხოველი, ფრინველი და//ან რამე უსულო საგანი იყოს.

ქართული

(27) აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო (https://idioms.tsu.ge/?p=1180).

მეგრული

(28) ვო[2] ლაფშა ძურგუში დო გიოხუნალი ხუტუში „ლაფშავ ძურგუსი და დასაჯდომო ხუტუსი.“ ესიკელას ქორწილი, გოგისელას ხარჯიო (შეროზია, მემიშიში 1994:48).

---

[1] შდრ. ეგრე არა ჰქნა, ხუცესო, საქმე არა ჰქნა უწესო, თორემ ეგ შენი ნაქნარი შენს შვილიშვილსაც უწევსო (ქამადაძე 2016:110).

[2] მეგრულში საკუთარ და საზოგადო სახელებთან მიმართვისას დადასტურებული **ვო** ელემენტი გარკვეული სტილისტური ნიუანსის შემცველია და უფრო მეტად აძლიერებს მიმართვის რიტმულ-მელოდიკურ ელფერს. ეს დეტალი შენიშნულია *კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენის* სახელმძღვანელოშიც (2006:184).

ლაზური

(29) ეშელი ჩქიმი! აქ გელადგატი-ნა, ვარ მეჟოლაფტია „ჩემო ვირო! აქ რომ (ფეხი) დაგედგა, არ გადაიჩეხებოდიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:214).

სვანური

(30) ღუჰს ხოქუ̈ა: კუ̈ინჩ, მა̈ჲსოხუ̈ ესერ თხუ̈იმ ხაყა „ბუს უთქვამს: სკვინჩავ, რამოდენა თავი გაქვსო“ (დავითიანი 1973:158).

რაც შეეხება საკუთარი და საზოგადო სახელებით გადმოცემულ მიმართვის ადგილს წინადადებაში, ქართველურ ენათა ანდაზებში ისინი უმეტესად ანდაზის პირველ ფრაზაში გვხვდება, რაც ქართული და მეგრული ანდაზების შემთხვევაში განპირობებულია სარითმო ერთეულის შექმნის საჭიროებით; კერძოდ, წინადადების პირველ ნაწილში წარმოდგენილი ფორმა ერითმება ანდაზის დამამთავრებელ ნაწილში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულს. ამდენად, მთავარია ანდაზებში მოცემული საკუთარი თუ საზოგადო სახელი გაერითმოს სხვა რომელიმე წევრს, რაც, თავის მხრივ, ანდაზის ფრაზის ერთიანობის, მონოლითურობის შთაბეჭდილებას ქმნის. აღნიშნული უკავშირდება აგრეთვე ანდაზის ფრაზებად დაყოფის საკითხს, რასაც ქვემოთ განვიხილავთ[1].

[1] ანდაზებში მიმართვის ადგილთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ქურდაძე 2023.

2.4 და კავშირის ფუნქციური დანიშნულების საკითხი ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში[1]

ანდაზის წარმოთქმის სპეციფიკა – პაუზა, მახვილების სწორად დასმა, ინტონაციის გამოყოფა და ა.შ. ბუნებრივად ითხოვს მის ფრაზებად დაყოფასაც. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ანდაზის ფრაზის დაყოფის ზოგადი საფუძველი არის სინტაქსურ მთლიანობათა შექმნა მასში შემავალი წინადადების წევრთა დაჯგუფებისა და თითოეული ჯგუფის ინტონაციური ერთიანობის საფუძველზე (ლეჟავა 1959:204). ე.ი. ანდაზაში გამოყოფილი ფრაზები შესაბამისი ლოგიკური მახვილით, ინტონაციითა და პაუზით წარმოითქმის, მაგრამ ეს არ არღვევს წინადადების ერთიანობას, არ ირღვევა სინტაქსური მთლიანობა; პირიქით, მისი საშუალებით, შეიძლება ითქვას, უფრო მკაფიოდ გამოიხატება აზრი, ხაზი გაესმის ფრაზის შემადგენელ კომპონენტებს (ქაროსანიძე 2015:37). ანდაზის ფრაზებად დაყოფას, წინადადებაში სათანადო ლოგიკური მახვილების განაწილებას, ეკონომიურობის პრინციპის დაცვასა და, შესაბამისად, ფრაზის მოქნილად გადმოცემას ენაში არსებული ლექსიკურ-გრამატიკული და ინტონაციური საშუალებები უზრუნველყოფს. მათ შორის აღ-

[1] შეტანილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (შიფრი: FR-21-352) ფარგლებში მომზადებულ წიგნში „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2026.

სანიშნავია **და** კავშირის როლი რთული სტრუქტურის ელიფსურ[1] ანდაზებში.

ზოგადად, კავშირების ადგილი წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში დაწვრილებით არის შესწავლილი (როგავა 1948; ერთელიშვილი 1963 (ა); ძიძიგური 1989, 1973, 1959; აბესაძე 1965; კვაჭაძე 1988; ახალაია 1996; ლომია 2005 და სხვ.), ხოლო ქართული ანდაზების ენაში ***და*** კავშირის სინტაქსური ფუნქციის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ლ. ლეჟავა (ლეჟავა 1959:169-170); გარდა სინტაქსური დატვირთვისა, ***და*** კავშირის როლი ანდაზაში ზემოხსენებული თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას.

ლ. ლეჟავა ანდაზის ფრაზის შემოკლების ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად მიიჩნევს ელიფსურ გამარტივებას (ლეჟავა 1959:221-225)[2]. ქართული ანდაზების მაგალითზე მკვლევარი განიხილავს დიალოგის, სხვათა სიტყვისა და პოტენციალისის როლს ელიფსური

[1] ლინგვისტიკაში ელიფსისის დეფინიციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ერთი მოსაზრებით, ელიფსური წინადადება იგივე უსრული წინადადებაა, ხოლო სხვა თვალსაზრისით, ელიფსური წინადადება უსრული წინადადების ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ზმნა-შემასმენელი აკლია (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. კიზირია 1987:6-26). ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ვიზიარებთ ელიფსისის ზოგად განმარტებას და ელიფსურად მივიჩნევთ იმგვარ წინადადებას, რომელშიც ერთი ან რამდენიმე წევრია გამოტოვებული.

[2] ქართველურ ენათა ანდაზებში ელიფსისის მოვლენაზე იხ. ჭითაშვილი 1998. ამავე საკითხზე, მათ შორის, ქართულ ანდაზებში გამოტოვებული არსებითი სახელისა და ზმნა-შემასმენლის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ იხ. აგრეთვე ღამბაშიძე და სხვები 2017.

კონსტრუქციების შექმნაში[1]; განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ **დიალოგის[2]** ფორმით წარმოდგენილი ზოგიერთი ანდაზის ნაწილებს ***და*** კავშირი აერთებს. ასეთ შემთხვევებში ანდაზა „განსაკუთრებული ინტონაციით წარმოითქმის, მასზე ექსპირატორული მახვილი მოდის, მის შემდეგ კი საგრძნობი პაუზაა“ (ლეჟავა 1959:179)[3]. მაგალითად:

ქართული

(1) პაატავ, ბანი თქვი და – ქუსლი მტკივა, ბატონოო (ქართ. ანდ. III:90).

ზემოთ წარმოდგენილ და ამ ტიპის ანდაზებში ***და*** კავშირი მიჯნას დებს პირობითად გამოყოფილ პირველ და მეორე ფრაზას შორის. აღნიშნული ფრაზები ერთმანეთისგან გამოიყოფა პაუზით, რომელიც გამოტოვებული წევრის ადგილს იკავებს. ამის გათვალისწინებით, **და** კავშირი აწესრიგებს ანდაზის რიტმულ მთლიანობას და განაპირობებს ანდაზის ფრაზებად დაყოფის კანონზომიერებასაც; ამასთან, ***და*** კავშირი ყოველთვის პაუზ-

[1] გავრცელებული თვალსაზრისით, ქართველურ ენათა ანდაზებში „ძალზე ხშირია ელიფსური წინადადებები, რაც უნივერსალია ჩანს და საინტერესოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც“ (ჩანტლაძე, გულედანი 1997:284).

[2] მოყვანილ მაგალითებში, შეიძლება ითქვას, ანდაზები ერთგვარი „მონოლოგიზებული დიალოგის“ სახითაა გადმოცემული. ზოგადად, მიიჩნევა, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია, ფართო გაგებით, არის დიალოგური ბუნების. ამ მხრივ გამონაკლისი არც მონოლოგია, რომელიც ამავდროულად ადრესატზეცაა ორიენტირებული (ვრცლად იხ. ზექალაშვილი 2012).

[3] ამავე საკითხის ირგვლივ მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ლეჟავა 2008:32.

ის წინაა და აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, რომელიც ფრაზის დაუსრულებლობაზე მიანიშნებს და პასუხად მომდევნო ფრაზას ელოდება. მომდევნო ფრაზის ინტონაცია კი დამავალია; აღმავალი და დამავალი ინტონაციების მონაცვლეობა დამახასიათებელია განსხვავებული ინფორმაციებისთვის (Heusinger 1999; ასათიანი 2009 (ბ)). აღსანიშნავია, რომ ანდაზის პირველი ნაწილი მიმართვის ფორმისა და ***და*** კავშირის ხარჯზე მაქსიმალურად შეკუმშულია (შდრ. „პაატას უთხრეს...“, „ბატონმა პაატას უბრძანა...“ და მისთ.); ინფორმაციის ლაკონიურად//ეკონომიურად წარმოდგენას ხელს უწყობს ისიც, რომ „დიალოგში აღარაა საჭირო მთქმელის სიტყვა „... ამან უპასუხა“. საპასუხო წინადადება პაუზითა და ინტონაციით გაირჩევა“ (ლეჟავა 1959:164).

ანდაზის ზემოაღნიშნული ინტონაციური მახასიათებლები საპილოტე ხასიათის ექსპერიმენტულმა კვლევამაც დაადასტურა.

ექსპერიმენტის არსი ამგვარი იყო: ცდისპირებს მიეცათ წასაკითხად „და“ კავშირიანი, თუმცა ერთმანეთისგან სტრუქტურულ-შინაარსობრივად განსხვავებული ქართული ანდაზები:

ა) თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.


ბ) თავი ვინ მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

როგორც ვხედავთ, ორივე მათგანში ***და*** კავშირი დასტურდება, თუმცა პირველ ანდაზაში „და“, ჩვეულებრივ, წინადადებაში მაკავშირებელი სიტყვის როლს ასრულებს, ხოლო მეორეში – სპეციფიკური ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები აქვს და ინტონაცი-

ურადაც მარკირებულია. ცდისპირებისგან დიქტოფონზე ჩაწერილი მასალა გაანალიზდა სამეცნიერო სივრცეში აპრობირებული პროგრამა „**Praat**“-ის დახმარებით. მიღებული შედეგების საილუსტრაციოდ ქვემოთ წარმოვადგენთ ექსპერიმენტში მონაწილე ორი პირის აუდიოჩანაწერის დამუშავების შედეგად მიღებულ სქემებს (საპილოტედ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების ამსახველი სქემები, დანარჩენ ცდისპირთა მონაცემების გათვალისწინებით, სრულად იხ. ნაშრომის დანართ ნაწილში):

A1: თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო[1].


სქემა 1



[1] პირობითი ნიშანი **„A1“** მიუთითებს პირველი ცდისპირის მიერ წარმოთქმულ პირველ ანდაზაზე, **„A2“** – პირველი ცდისპირის მიერ წარმოთქმულ მეორე ანდაზაზე. შესაბამისად, **„B1“** და **„B2“** ნიშნებით აღნიშნულია მეორე ცდისპირის მიერ წარმოთქმული პირველი და მეორე ანდაზები. ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირები ნაშრომის დანართში წარმოდგენილია ასეთივე პრინციპით.


A2: თავი მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

სქემა 2




B1: თივა **და** ცეცხლი ერთად არ დაიდებაო.

სქემა 3



B2: თავი ვინ მომჭრა **და** – ჩემმა ენამო.

სქემა 4



სქემებიდან ნათლად ჩანს: პირველ ანდაზაში თხრობითი წინადადებისთვის დამახასიათებელი აღმავალი და დამავალი ინტონაციების მონაცვლეობა გვაქვს; მეორე ანდაზაში კი უმაღლესი ტონით პირველი ფრაზის დასასრული ნაწილი, კერძოდ, ***და*** კავშირისა და პაუზის მიჯნა ხასიათდება (იხ. სქემებზე მოცემული ტონის მაჩვენებელი ტეხილი). ანალიზის შედეგად, ელიფსური სტრუქტურის ანდაზებში თვალშისაცემია აგრეთვე ***და*** კავშირის შემდგომი პაუზის ხანგრძლივობა (შდრ. სქემა 2 და სქემა 4), რომელიც ანდაზის პირველი და მეორე ფრაზის შუაში ექცევა.

საინტერესოა ისიც, რომ ორ ფრაზად დაყოფილ ამგვარ ანდაზებში ***და*** კავშირის მომდევნო გამოტოვებული ერთ-ერთი წევრი აუცილებლად ზმნური ერთეულია. სწორედ გამოტოვებული წევრების საკომპენსაციოდ გამოიყენება პაუზა[1]:

ქართული

(2) ობოლო, ვის აგინებ **და** – ვინც გამზარდაო (ქართ. ანდ. III:87);
შდრ.: ობოლო, ვის აგინებ და, **[(იმას) ვაგინებ],** ვინც გამზარდაო.

მეგრული

(3) ტურაქ ღურა დაჭყუა **დო** – დუდი ოქოთომეშე ქომიღოლითია „ტურა კვდებოდაო **და** – თავი საქათ-

[1] საინტერესოა, რომ წინადადებაში **და** კავშირის სპეციფიკური გამოყენების ამგვარ შემთხვევებს, ქართული, მეგრული, სვანური და წოვათუშური ენების მაგალითზე, ე.წ. „ექოშეკითხვების“ (გერმ. „Echofragen“) კონტექსტში განიხილავს ი. გიპერტი (Gippert 2009).

მისკენ მიყავითო“ (შეროზია, მემიშიში 1994:129).

შდრ.: ტურაქ ღურა დაჭყუა დო, **[იჩიებუდუ],** დუდი ოქოთომეშე ქომიღოლითია „ტურა კვდებოდაო და, **[ამბობდა],** თავი საქათმისკენ მიყავითო“.

სვანური

(4) ციცუ̂ ფელიკს ესერ დეშ ლახკუ̂ეფხა **ი** – სურუ ლეგჯიმ ესერ ლი, მჳმ ესერ რ̄მი (ექსპ. მასალები) „კატა ბარკალს ვერ შეწვდა **და** – მლაშეა, არ იჭმევაო“.

შდრ.: ციცუ̂ ფელიკს ესერ დეშ ლახკუ̂ეფხა ი, **[ხოქუ̂ა],** სურუ ლეგჯიმ ესერ ლი, მჳმ ესერ რ̄მი „კატა ბარკალს ვერ შეწვდა და, **[უთქვამს],** მლაშეა, არ იჭმევაო“.

ელიფსურად ჩავარდნილი წევრი სხვა მეტყველების ნაწილიც შეიძლება იყოს. მაგალითად:

მეგრული

(5) ცვერეს ოსურიში ღურა მუთ შეუწამუანია **დო** – ვაძირგნცგნი, ვეჩინენციაო? „ბრმას ცოლის სიკვდილი როგორ აცნობონო („შეუცხადონო“) **და** – რომ ვერ ნახავს, ვერ გაიგებსო?“ (შეროზია, მემიშიში 1994:154).

შდრ.: ცვერეს ოსურიში ღურა მუთ შეუწამუანია დო, **[(თ)ინა//თის],** ვაძირგნცგნი, ვეჩინენციაო? „ბრმას ცოლის სიკვდილი როგორც აცნობონო („შეუცხადონო“) და, **[ის//იმას],** რომ ვერ ნახავს, ვერ გაიგებსო?“

ზემოაღნიშნული ფუნქციით ***და*** კავშირი დასტურდება რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოცემულ ისეთ ანდაზებშიც, რომელთა სტრუქტურა ასეთია: **ავ-**

ტორის ნათქვამი + ნაწილაკიანი პირდაპირი სხვისი ნათქვამი:

ქართული

(6) მშიერს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო **და** – მშიერი მუცელიო (ქართ. ანდ. III:83).

(7) ქაჩალს ჰკითხეს: ვინ უფრო გძულსო **და** – ვინც თავი დამვარცხნაო (იქვე:119).

(8) ერთმა კაცმა ნალი იპოვნა **და** – ღმერთო, სარკინე ამოაგდეო (იქვე:34).

მეგრული

(9) ბაღანა იგარდუა: მუშენი იგარქია **დო** – გუმალე დო თიშენია „ბავშვი ტიროდაო: რატომ ტირიო და – გამდის და იმიტომო“ (შეროზია, მემიშიში 1994:17)[1].

რაც შეეხება ამ ტიპის ანდაზებში ***და*** კავშირის ფუნქცია-დანიშნულების საკითხს, იგი ამოსავალი შინაარსისგან დაცლილია და ისეთ ფუნქციურ ელემენტადაა ქცეული, რომელიც მიჯნას დებს ანდაზის ნაწილებს (პირობითად დაყოფილ ფრაზებს) შორის.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ჩავარდნილი წევრის ადგილზე აუცილებლად უნდა დაიწეროს *ტირე.* როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბეჭდურად თუ ელექ-

[1] ქართველურ ენათა ანდაზებში ზემოთ წარმოდგენილი ელიფსისის ამსახველი მაგალითები შეიძლება იმ მოსაზრების დამატებით არგუმენტად გამოდგეს, რომლის მიხედვითაც ანდაზა ამოსავალში რთული წინადადებით იყო გადმოცემული და შემდეგ გამარტივდა (აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. მსჯელობა ამავე თავის 2.5.1 პარაგრაფში).

ტრონულად გამოცემულ ანდაზებში ეს ნიუანსი ხშირად გათვალისწინებული არ არის, რაც ანდაზური შინაარსის სხვაგვარი ინტერპრეტაციის (ან გაბუნდოვანების) საფუძველი შეიძლება გახდეს.

ამრიგად, ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ***და*** კავშირიანი ელიფსური სტრუქტურის ანდაზა დიალოგური მეტყველების ნაწილია. მისთვის გამოკვეთილად დამახასიათებელია ზოგადად ანდაზისთვის ნიშანდობლივი რითმულობა და რიტმულობა, ფრაზის სხარტად და ლაკონიურად ჩამოყალიბების უნარი, სათანადო ინტონაციებისა და ლოგიკური მახვილის არსებობა.

2.5 ევიდენციალობის ენობრივი ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში

ანდაზის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის წყაროზე მითითებას, რადგან ანდაზა კონკრეტული I პირის შექმნილი და შემდგომ განზოგადებული სპეციფიკური აგებულების ტექსტია; შესაბამისად, ქართველურ ენათა ანდაზების ანალიზი მჭიდროდ უკავშირდება ევიდენციალობას, როგორც ნათქვამის სემანტიკასთან უშუალოდ დაკავშირებულ უნივერსალურ კატეგორიას[1].

[1] ევიდენციალობის რაობისა და ინფორმაციის წყაროებთან მიმართების შესახებ დაწვრილებით იხ. მარგიანი და სხვები 2019:16-23.

2.5.1 ევიდენციალობის გამოხატვის მორფოსინტაქსური საშუალებები ქართველურ ენათა ანდაზებში

ევიდენციალობა ტექსტის კატეგორიაა. იგი მიემართება ინფორმაციის წყაროს, რომლის მიხედვითაც მთქმელი გადმოსცემს, უშუალოდ შეესწრო მოვლენას, უამბეს ამის შესახებ თუ თავად დაასკვნა საერთო ცოდნის ან ვიზუალური კვალის საფუძველზე (Aikhenvald 2004:1-10). ინფორმაცია შეიძლება იყოს ორი სახის – არაევიდენციალური და ევიდენციალური. პირდაპირი აღქმის შედეგად მიღებული ინფორმაცია არაევიდენციალურია, ხოლო სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია – ევიდენციალური[1]. რაკი ანდაზით გადმოიცემა განზოგადებული სიბრძნე, ჩვენი ინტერესის საგანი ანდაზების მიხედვით ევიდენციალური ინფორმაციის კვლევაა, რაც გულისხმობს კონსტრუქციით გამოხატული ვერბალური ევიდენციალობის განხილვას ქართველურ ენათა ანდაზებში. „ინფორმაციის ვერბალურ წყაროზე დაფუძნებული ევიდენციალობა ქართველურ ენებში არამარტო მორფოლოგიური კატეგორიაა (ზმნური ევიდენციალობა), არამედ მორფოსინტაქსურიც, ვინაიდან გადმოიცემა სპეციალური ნაწილაკებით მარკირებული კონსტრუქციით. ევიდენციალობის მორფოსინტაქსური გამოხატულების ნიმუშია ე.წ. „სხვათა სიტყვა“ (მარგიანი და სხვები 2019:266).

ცნობილია, რომ „ისეთ ნათქვამს, რომელიც სხვას

[1] შესაბამისი ტერმინების განმარტება დაწვრილებით იხ. ქურდაძე 2019-2020:260.

ეკუთვნის და ავტორს ჩართული აქვს თავის ნათქვამსა თუ ნაწერში, სხვათა სიტყვა ანუ სხვათა ნათქვამი ჰქვია. სხვათა სიტყვას განეკუთვნება აგრეთვე ავტორის მიერ წინათ ნათქვამი (თუ განაზრახი), რომელსაც ის იმეორებს და ჩაურთავს თავის ნათქვამში“ (კვაჭაძე 1988:440). სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ ორი ტიპის სხვათა სიტყვას: პირდაპირსა და ირიბს; კერძოდ, „თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვა სიტყვით (ე.ი. უცვლელად) არის გამეორებული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია... თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) ავტორის მიერ არ არის უცვლელად გამეორებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული, თავისი თვალსაზრისით, ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია“ (კვაჭაძე 1988:441).

პირდაპირი ნათქვამი ქართველურ ენებში მარკირებულია სხვათა სიტყვის ნაწილაკებით სამივე პირში.

ცხრილი 1

	I პირი	**II პირი**	**III პირი**
ქართული	-მეთქი	-თქო	-ო
მეგრული	-მაქ(ი)//-მაქ(გ)	-შო	-ა
ლაზური	-მა	-შო	-(ჲ)ა//დე(რ)ი
სვანური	-გჯ-//იჯ-	-გჯ-//იჯ-	-როქ(ჴ)//ესერ

ევიდენციალობა, ფართო გაგებით, მთქმელის თვალსაზრისით იხილავს ინფორმაციის წყაროსა და მი-

საწვდომობას (Tournadre, LaPolla 2014). ამის გათვალისწინებით, „მესამე პირის ნათქვამი, პირდაპირი თუ ირიბი, ყოველთვის ევიდენციალურია“ (მარგიანი და სხვები 2019:267). სხვათა სიტყვის პირველი და მეორე პირის ნაწილაკი, შეიძლება ითქვას, ანდაზის ენას არ ახასიათებს. ანდაზის ენისთვის ბუნებრივი მახასიათებელია სხვათა სიტყვის ნაწილაკით გაფორმებული III პირის ნათქვამი. ქართულში სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკიანი ფორმები ევიდენციალობის სემანტიკურად მსგავს კატეგორიათა ჯგუფში წარმოდგენილი აქვს ვ. ბოედერს (Boeder 2000:279-280). **-ო** ნაწილაკს, **-თქო** ნაწილაკთან ერთად, ევიდენციალობის მარკერად მიიჩნევს მ. ტოფაძეც (Topadze Gäumann 2011)[1]. „-ო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ასევე შეიძლება მიემართებოდეს განზოგადებულად ყველას (I, II, III პირს ორსავე რიცხვში) მაგალითად, ანდაზებში: „ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო“...; -ო ნაწილაკით გადმოცემული სხვათა სიტყვა ევიდენციალურია პირველი და მეორე პირებისათვის ორსავე რიცხვში და განზოგადებულად ყველასათვის, კონკრეტულად ანდაზებში“ (მარგიანი და სხვები 2019:222-223). ქართული ენის მასალაზე ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ეხება ყველა ქართველურ ენას.

სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკიანი ფორმები, ლ. კვაჭაძის აზრით, პირდაპირი ნათქვამია (კვაჭაძე 1988:458),

[1] იგივე თვალსაზრისია გატარებული მონოგრაფიაში „ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (მარგიანი და სხვები 2019).

ხოლო ა. არაბული მიიჩნევს, რომ სხვათა სიტყვის გადმოცემას ნაწილაკების მეშვეობით „ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან მიმართებით“ (არაბული 2008:174). რ. ზექალაშვილი იზიარებს ა. არაბულის მოსაზრებას სხვათა სიტყვის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა უნდა ჩაითვალოს ირიბი ნათქვამის სპეციფიკურ სახედ (ზექალაშვილი 2021-2022:34)[1].

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველურ ენათა ანდაზებში III პირის ნათქვამის გამომხატველი სხვათა სიტყვის ნაწილაკის გამოყენებას სისტემური ხასიათი აქვს, რადგან „ანდაზების მთქმელად მესამე პირი იგულისხმება“ (კვაჭაძე 1988:443). მესამე პირის ნათქვამის აღმნიშვნელი სხვათა სიტყვის ნაწილაკი ქართველურ ენათა ანდაზებში ხელს უწყობს აზრის კიდევ უფრო მეტად განზოგადებას, რითაც კონტექსტი იძენს მეტ დამაჯერებლობას; ე.ი. „ხალხი სიტყვასიტყვით იმეორებს ფრაზას და იმის აღსანიშნავად, რომ ეს ფრაზა სწორედ ამ სახით ვიღაც სხვას ეკუთვნის, სხვათა სიტყვის ო-ს უმატებს“ (ლეჟავა 1959:228). ამავე ფუნქციის ელემენტად მიიჩნევს ანდაზის ბოლოს მოცემულ -ო ნაწილაკს შ. აფრიდონიძეც: „ო ხმოვნის დართვა სარითმო

[1] რ. ზექალაშვილის სტატიაში ვრცლად არის განხილული სხვათა სიტყვის გადმოცემის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები თანამედროვე ქართულში, საკითხის შესწავლის ისტორია, ქართველ და უცხოელ ლინგვისტთა შეხედულებები სხვათა ნათქვამის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით (ზექალაშვილი 2021-2022:20-36).

სიტყვებზე[1] ხაზს უსვამს სხვის, ძირითადად მესამე პირის ნათქვამობას“ (აფრიდონიძე 2023:158). საერთოდ, შენიშნულია, რომ ფრაზაში „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკის ადგილი ბოლოშია და, როგორც წესი, ის ზმნა-შემასმენელს დაერთვის (სოსელია 2011:56); მით უფრო მყარად დგას ნაწილაკი[2] ანდაზაში, ვიდრე ციტატაში. ეს ნაწილაკი მნიშვნელოვანია ანდაზის სტრუქტურისათვის (Boeder 1991:145). არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ქართველურ ენებში „სხვათა სიტყვა უმთავრესად მესამე პირის ფორმით გადმოიცემოდა, ამიტომ მესამე პირის ნათქვამთან დაკავშირებული სხვათა სიტყვის ნაწილაკი ჩანს ადრე გაფორმებული“ (კაჭარავა 1950:257). ამავე თვალსაზრისს ავითარებს ი. ჩანტლაძეც: „სხვათა სიტყვა თავდაპირველად III პირის ნათქვამს გულისხმობდა, რაკიღა იგი სხვების ნათქვამია და, როგორც წესი, ვიღაც სხვას (და არა მე’ს ან შენ’ს), ე.ი. III პირს ეკუთვნის“ (ჩანტლაძე 1998:225).

2.5.2 ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურა ევიდენციალობის თვალსაზრისით

როგორც აღინიშნა, ანდაზისთვის დამახასიათებელია სხვისი, ძირითადად III პირის ნათქვამის გადმოცემა; შესაბამისად, იგი ევიდენციალურ (სხვა წყაროდან

[1] ავტორს მხედველობაში აქვს ანდაზური ფრაზის შუალედური და ფინალური მარცვლების გარითმვა -ო ხმოვნით „რაც მოგივა დავითა**ო**, ყველა შენი თავითა**ო**“ ტიპის ანდაზებში. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. 2.3 პარაგრაფი.

[2] იგულისხმება „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკი, რომელსაც ვ. ბოედერი „ციტირების ნაწილაკს“ უწოდებს (ბოედერი 1991:145).

მიღებულ) ინფორმაციას გადმოსცემს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ანდაზაში **„თქმის“** აღმნიშვნელი სიტყვის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება: **თქვა, უთქვამს, ნათქვამია**“ (აფრიდონიძე 2023:158), რომელთა საშუალებითაც ფორმდება ავტორის ნათქვამი. უნახაობის სემანტიკის ზმნური ფორმები (მაგ., **უთქვამს, ნათქვამია** და სხვ.) ევიდენციალობის გადმოცემის მორფოლოგიური საშუალებებია და ინფორმაციის სხვისგან მოწოდებას გახაზავენ[1].

ქართველურ ენებში, ავტორის ნათქვამისა და ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამის ურთიერთმიმართებით, პირობითად ორი სტრუქტურული მოდელი გამოიყოფა:

ავტორის ნათქვამი + ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი

ქართული

(1) ოქრომჭედელს უთქვამს: ნეტა მაჩვენა, რა ოსტატის ხელმა დაწნა გოდორიო (http://idioms.tsu.ge/?p=15437).

(2) ხეს უთქვამს: ცული მე ვერ მომჭრის, თუ ჩემი შიგ არ ერევაო (http://idioms.tsu.ge/?p=12442).

(3) ურემს უთქვამს: ჩქარა მომეშველეთ, დაღმართში მეც კი დავგორდებიო (http://idioms.tsu.ge/?p=9950).

(4) ბაყაყს უთქვამს: სათქმელი ბევრია, მაგრამ პირში წყალიაო (http://idioms.tsu.ge/?p=15321).

მეგრული

(5) ოსურქ თქუ: ემკინენ, თუთა ვორექ, დომკინენ – ტუ-

[1] საკითხის ანალიზი დაწვრილებით იხ. მარგიანი და სხვები 2019:70-135.

ტა ვორექია „ქალმა თქვა: რომ ამწიო (//„წარმომაჩინო“), მთვარე ვარ, რომ დამწიო (//„უკან დამხიო“) – ნაცარი ვარო“ (შეროზია, მემიშიში 1994:111).

(6) მუჭოთ ნარაგადუენი, ლანდღვირი წყარი წკონდა ტობაშე ვეგშუურსია „როგორც ნათქვამია, მღვრიე წყალი სუფთა ტბიდან არ გამოვაო (იქვე:102).

(7) ნარაგად რე – ყორან ყორანს თოლს დღას ველუღანსია „ნათქვამია – ყორანი ყორანს თვალს არასოდეს ამოკორტნისო (იქვე:104).

(8) ნარაგადუე: ჯვეშიშ დეჯერია „ნათქვამია: ძველისა დაიჯერეო“ (იქვე:104).

(9) ღურუქ თქუ: მუჟამს ოღურალქ დებადუნი, თიწკუმა დევბადია (ექსპ. მასალები) „სიკვდილმა თქვა: როცა მოკვდავი დაიბადა, მაშინ დავიბადეო“.

ლაზური

(10) ბუტკუჯიქ თქვერენ: მა-ნა მებუჭკომარე კოჩი დოღურატუკონ-ნა, არ კოჩიშენი არ ფუთი თოფური დობიქომტია „ფუტკარს უთქვამს: ჩემგან დაკბენილი კაცი რომ მომკვდარიყო, ერთი კაცისთვის ერთ ფუთ თაფლს გავაკეთებდიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:198).

(11) მთუთიქ თქვერენ: ბერეფე ნა მაყუჭკულე, პიჯის ნოსთონი ქემაზდუ-ჲა „დათვს უთქვამს: რაც შვილები შემეძინა, იმის შემდეგ პირში გემო დამეკარგაო“ (იქვე:233).

(12) ჲაუდიქ თქვერენ-ქი, ბირინჯი ხე მეჩია „ებრაელს უთქვამს, რომ პირველი ხელი მიეციო“ (იქვე:243).

(13) ჩხომიქ თქვერენ: ოთქუში დიდო მიღუნ, ჰამა პიჯი წკარითენ მიღუნ ჲოფშა-ჲა „თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“ (იქვე:260).

(14) ჰემშილიქ თქვერენ: ანწი მჩხუი დიდო მაყვენ-ჲა დო შავალი ვიჭაჲა დო ხაი იზიმერენ „ჰემშინს უთქვამს: წელს ცხვარი ბევრი მეყოლებაო, შარვალს შევიკერავო და ფეხები გაიზომა თურმე“ (იქვე:268).

სვანური

(15) გაბუს ხოქუა: „ანდუშშ ჭირდ ე დე ხშდეს გუი, აშუ ჴუამლისგ’ ესერ ჩუ იბზი „დოლა თხას უთქვამს: „მწყემსის წვალება რომ არ მინდოდეს, ერთ ბუჩქთან გავძლებოდიო“ (დავითიანი 1973:23).

(16) უოჴარს უოჴარდ ხოქუა: მინ ესერ ექგრდა უოჴრარ ლიხ „ობოლს ობლისათვის უთქვამს: ჩვენ ორივე ობლები ვართო“ (იქვე:40).

(17) უირიაჲს ესერ ხრქუა: ხამი ლელუს ესერ დემა იზბი, მარე ჩულეზუებ ესერ ესა ხარ – ლუგუარს ესერ იზბი „ურიას უთქვამს: ღორის ხორცს არ შევჭამ, მაგრამ თუ შევჭამე, მსუქანს შევჭამო“ (კორძაია 2000:64).

(18) მარაკს ესერ ხრქუა, ჩაჭ ესერ დესა ხორი, მარე ჭგხშუ ესერ დემთე მეჩდელი „გოდორს უთქვამს, ცხენი არა მყავს, მაგრამ ფეხით არსად წავსულვარო“ (იქვე:133).

(19) ნიჶრას ესერ ხრქჶა – ჶჳჲ მიშგუ მუზჶებ ჶიშკჶს, ნატლაჶ – ჯჳდს „ნიორს უთქვამს, ვაი იმ პირს, რომელმაც შემჭამა და ნეტავი მუცელსო (იქვე:172).

შებრუნებული წყობის სტრუქტურა: **ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი + ავტორის ნათქვამი**[1]

ქართული

(20) ტირილი ჩვენი ფარი და ხმალიაო, – უთქვამს ქალს (https://idioms.tsu.ge/?p=19908).

(21) მღვდელს თუ ერგება, მეც შემხვდებაო – უთქვამს დიაკვანს (ხალხ. სიბრძ. V 1965:129).

მეგრული

(22) მუმა დომღურუდუნ ქომიჩქუდუკონ, ჯიმშა ვარა გოფთირანდია, – შონიშ ნათქუელირე „რომ მცოდნოდა, მამა მომიკვდებოდა, მარილზე მაინც გავცვლიდიო – სვანის ნათქვამია (შეროზია, მემიშიში 1994:99).

ლაზური

(23) ჭუბური ფენცქაშენ გამალეენ-ში, „სო მეშაფხეტერე-ჲა," თქვერენ. „წაბლი ჩენჩოდან რომ გამოვარდნილა, „სად ვიჯექიო" უთქვამს" (შეროზია, მემიშიში 1994:263).

გამარტივებული კონსტრუქციის ანდაზები ქართველურ ენებში:

ზემოთ გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში ქართველურ ენათა რთული სტრუქტურის ანდაზებია წარ-

[1] აღნიშნული სტრუქტურის ანდაზები ქართველურ ენებში შედარებით იშვიათად დასტურდება.

მოდგენილი. ანდაზური ფრაზის რთულ სტრუქტურას ავტორის ნათქვამში დადასტურებული უნახაობის სემანტიკის ზმნური ფორმები განაპირობებს. წინადადება, რომლითაც ანდაზური სიბრძნეა გადმოცემული, შეიძლება გამარტივებული სახითაც იყოს წარმოდგენილი[1]. ამგვარ შემთხვევებში, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზები სწორედ ზემოთ წარმოდგენილი რთული წინადადების გამარტივების გზითაა მიღებული; კერძოდ, ჩავარდნილია წინადადების ერთერთი კომპონენტი – ევიდენციალობის გადმოცემის მორფოლოგიური საშუალება (ე.ი. თქმა-ბრძანების ჯგუფის ზმნა სხვადასხვა მწკრივის ფორმით).

ქართული

(24) [ნათქვამია][2], ანაბარი მგელმაც იცისო (ქართ. ანდ. III:8).

(25) რამდენი ვირიც არ ვიყიდე, ყველა ყროყინა გამოდგაო (http://idioms.tsu.ge/?p=11489).

(26) სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარიო (http://idioms.tsu.ge/?p=11537).

[1] ქართველურ ენათაგან, ანდაზებში საკუთრივ სინტაქსური მექანიზმის ანალიზი მოცემულია ქართული ენის მასალაზე (იხ. ღლონტი 1952; ლეჟავა 1959).

[2] აღსანიშნავია, რომ „ინგლისურში ანდაზის (განსაკუთრებით, თარგმნილი ანდაზის) მისანიშნებლად იხმარება გამოთქმა: ***it's said*** (< ***it is said*** = ნათქვამია), თუმცა ბევრ ენაში არც ***თქმის*** აღმნიშვნელი ზმნა და არც ***-ო*** ნაწილაკის ეკვივალენტი მსგავს მასალაში არ გვხვდება“ (აფრიდონიძე 2023:158 სქოლიო).

(27) ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო (http://idioms.tsu.ge/?p=8449).

(28) კაცმა რომ კაცი გაიცნოს, ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოსო (http://idioms.tsu.ge/?p=20037).

მეგრული

(29) [ნარაგადი რე] არძა პიორი ვამკილანსია „ყველა კვირტი არ გამოისხამსო“ (შეროზია, მემიშიში 1994:14).

(30) თოლი მუსგთ ძირგნსგნი, ჭკუაქ ოკო დოწონასია „თვალი რასაც ნახავს, ჭკუამ უნდა აწონოსო“ (იქვე:54).

(31) მუზმას გოვალუნსინი, თიზმა გოტყვაცასგნი, ქიანასი კოჩი ვადოსქიდუნია „რამდენსაც იელვებს, იმდენი რომ იქუხოს, ქვეყანაზე კაცი არ დარჩებაო“ (იქვე:97).

(32) ხართას ვეუმონკუენი ეში, მუ ინოძუნი, მუ გიჩქუნია „ხალთა თუ არ ასწიე, შიგ რა ძევს, რას გაიგებო“ (იქვე:182).

(33) ჯაშა მიდგა ეშურსგნ, თინა გითანთხუნია „ხეზე ვინც ავა, ის ჩამოვარდებაო“ (იქვე:187).

ლაზური

(34) [თქვე(რ)ენან][1] ზენგინიშ ქესე გუინწკეტა-შა, ფუკარას შური ქჲუხთეფს-ჲა „სანამ მდიდრის ხაზინა (ქისა) გაიხსნებოდეს//გაიღებოდეს, ღარიბს სული ამოხდებაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:215).

[1] ლაზურში დიალექტების მიხედვით შეიძლება შეგვხვდეს ***თქვესდორენ//თქვესდორონ(უ)*** ფორმებიც.

(35) ოძღუ ფუჯიქთი ქონაგნეფს-ჲა „გაძღომას ძროხაც მიხვდებაო“ (იქვე:246).

სვანური

(36) [ლუქუ̈ლი] დაუ̈ მგშკს ესერ[1] ახუ̈ფეთინენა „დევი ჭიანჭველას აჰკიდებიაო“ (დავითიანი 1973:30).

(37) დრეუ̈ჟი ლიშედურ მგჴფიას ჟ’ესერ ლისგუ̈რე ხა̈მთქუ̈ა „დროზე თუ არ უშველე, მკბენარმა დასევა იცისო“ (იქვე:35).

(38) ლახუ̈ ი ბა̈რ ჩუ და̈სმოშ ესერ ხოცადუნა „მთისა და ბარისათვის ადგილი არავის შეუცვლიაო“ (იქვე:52).

(39) მა̈ ლგმა̈რ ამსოლდ, მა̈გ ესერ გუ̈ი ლგმარ „ადამიანი რაც ყოფილა, ყველაფერი გული ყოფილაო“ (იქვე:74).

(40) ღოლაქა̈შ ჯეგიშ მულთხუ̈მი იმგუ̈ა ადსკინისგ, ჯეგ ესერი ეჯთე ა̈სკნე „ცხვრის ფარის მეთაური საითაც გადახტება, მთელი ფარაც იქ გადაჰყვებაო (იქვე:157).

(41) წელხენქა ლიწელსოუ̈ ა̈ნჭინდ „ვირისგან ვირობას მოელოდეო“ (იქვე:173).

---

[1] ბეჭდურად გამოცემული სვანური ანდაზების (დავითიანი 1973, კორძაია 2000) აბსოლუტურ უმრავლესობაში ნაწილაკოვანი სხვათა სიტყვა, კერძოდ, მესამე პირის ნათქვამის გადმომცემი ცალკე მდგომი **ესერ** „-ო“ ნაწილაკი დასტურდება. ცნობილია, რომ **ესერ** ნაწილაკი **როქუ̈** ნაწილაკთან შედარებით ბალსქვემოური დიალექტში უფრო პროდუქტიულია. ზოგადად, სვანური ზეპირმეტყველებისთვის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტილური მახასიათებელია აღნიშნული ნაწილაკების ჩართვა.

ამდენად, ევიდენციალობის ენობრივი ასახვის თვალსაზრისით ქართველურ ენათა ანდაზებში რამდენიმე ტიპის კონსტრუქცია გამოიყოფა. მორფოლოგიურ დონეზე (თურმეობითის ფორმებით) გამოხატული ევიდენციალობა ანდაზის რთულ სინტაქსურ მექანიზმს ქმნის, რადგან ასეთ შემთხვევაში ევიდენციალობა გამოხატულია როგორც ზმნური ფორმით, ისე სხვათა სიტყვის ნაწილაკითაც და ამ გზით სათქმელის განზოგადებაც მეტად ხდება[1]. რაც შეეხება გამარტივებული სტრუქტურის ანდაზებს, მათში გამოტოვებულია ავტორის ნათქვამი და ევიდენციალობა მორფოსინტაქსური საშუალებით – **კონსტრუქცია + სხვათა სიტყვის -ო** ნაწილაკითაა გადმოცემული.

[1] კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის ერთი ანდაზის ფარგლებში დადასტურებული ორზე მეტი სხვათა სიტყვის ნაწილაკი ან თურმეობითის მწკრივის ზმნა და სხვათა სიტყვის ნაწილაკების კომბინაცია, ქართველურ ენათა ანდაზებისთვის არატიპურია (ჯღარკავა 2023 (ბ):13-15), რის გამოც ამგვარი მასალის განხილვაზე აქ არ შევჩერდებით.

თავი III – ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური ანალიზის პრინციპები

3.1 ზოგადი მიმოხილვა

პრექართველური პოსტულირებული ენობრივი სისტემის არსებობა გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ საერთოქართველურ კულტურაზე (ცოდნებზე, წარმოდგენებზე, სტერეოტიპებზე და ა.შ.), რომელიც აერთიანებს ქართველ ერს. ცხადია, ეს მოსაზრება ემყარება იმ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვითაც ენა წარმოგვიდგება ეროვნულობის უმთავრეს განმსაზღვრელად. ბუნებრივი ენა უშუალოდ არის შეპირობებული აზროვნებით, ხოლო ეს უკანასკნელი ქმნის კულტურას. ამრიგად, გვაქვს მათ შორის ერთგვარი უკუგავლენა: კულტურისა აზროვნებაზე და აზროვნებისა – ენაზე (ჯორბენაძე 1997:14 და შმდგ.). ენა, რომელიც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს, ისევე მოქმედებს კულტურაზე, როგორც კულტურა – ენაზე. ამ ორი პლანის მჭიდრო კავშირით, ურთიერთგანპირობებულობით ყალიბდება ერის კულტურული სივრცე, სხვათაგან გამორჩეული თვითმყოფადი სისტემა. ენის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ცოდნის დაგროვება და თაობიდან თაობისათვის გადაცემა. დროისა და სივრცის ამგვარად გადალახვის შესაძლებლობა ენას წარმოგვიჩენს, როგორც ამა თუ იმ ერის კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელ ფენო-

მენს. ყოველივე ზემოთქმულს ერთგვარი ფორმულის სახეც შეიძლება მიეცეს: „ენა კულტურაში და კულტურა ენაში!“ (კიკვიძე 2015:124).

სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის განსხვავებული და გამორჩეული მსოფლხედვა განპირობებულია იმით, რომ ბუნებრივ ენაში უმთავრესად ეროვნული კულტურის ელემენტებია თავმოყრილი. სწორედ ენაშია უკუფენილი ხალხის შეხედულებები სამყაროზე, რადგან თითოეული ადამიანი არის იმ კულტურის ნაწილი, რომელსაც იგი დაბადებიდან აზროვნებით, ტრადიციით, ენით უკავშირდება. ამასთან, კულტურის მდგრადობა დიდად არის დამოკიდებული მეხსიერებაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კულტურა მხოლოდ წარსულზე ორიენტირებული, „გაქვავებული“ ოდენობაა. კულტურის ცნებაში მნიშვნელოვანია აგრეთვე რეინტერპრეტაციის, სხვადასხვა კულტურული ელემენტის ხელახლა შექმნის, მათი გადააზრებისა და სხვა ხალხთაგან სესხების მოვლენა.

ამა თუ იმ ენის ანდაზურ ფონდში კარგადაა ასახული ერის მსოფლხედვა და ეროვნულ-კულტურული თავისებურებები; ამის გათვალისწინებით, ანდაზების სემანტიკური ანალიზის პრინციპების თვალსაზრისით, რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა. პირველ რიგში, საინტერესოა ანდაზების ურთიერთშედარება სემანტიკური ეკვივალენტობის მიხედვით მონეთასავე და არამონათესავე ენებში. შედარებისას საინტერესოა: რა ძირითადი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები გვხვდება ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში; როგორ, რა

აზრობრივი ეკვივალენტით გადადის ერთი მონათესავე ენიდან მეორეში ესა თუ ის ანდაზა; რა განაპირობებს ანდაზების გარდაქმნილი ვარიანტების არსებობას და რა ტერმინით შეიძლება აღინიშნოს იგი; რა ძირითადი მახასიათებლები ქმნის ანდაზას, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტს; რა უმთავრესი სემანტიკურ-ფუნქციური მახასიათებლები აქვთ ანდაზებს პოლიტიკურ დისკურსში და სხვ.

3.2 ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი

ქართველურ ენათა ანდაზები მრავალფეროვანი თემატიკისაა და ეხმიანება ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით საყურადღებოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ გადადის ერთი მონათესავე ენიდან მეორეში ესა თუ ის ანდაზა. ვინაიდან ანდაზით გადმოცემული აზრი ადამიანთა უშუალო დაკვირვებასა და გამოცდილებას ემყარება, მასში ყურადღება გამახვილებულია ისეთ უნივერსალურ თვისებებსა და თემებზე, როგორებიცაა: სიმამაცე, მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, ბედის უკუღმართობა, სიცრუე, სულგრძელობა, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ურთიერთობა და სხვ. თითოეული მათგანი გამოხატავს იმ თვისებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს ან არ უნდა ახასიათებდეს ადამიანს. ზემოხსენებული საკითხები განსაკუთრებით საინტერესოა ქართვე-

ლურ ენათა ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის თვალსაზრისით.

ეკვივალენტობის ცნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში. ცნობილია, რომ თარგმანში დედნის ეკვივალენტობის შენარჩუნება ხშირად ვერ ხერხდება, რადგან „განსხვავებები ენებს შორის და ის, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია სოციოკულტურული კონტექსტის ნაწილია, ხშირად ხელს უშლის ამოსავალი ენის ყველა ელემენტისათვის ეკვივალენტური ვერსიის გადმოცემას ტექსტის ყველა დონეზე“ (ფარეშიშვილი 2013:41). სამეცნიერო ლიტერატურაში ანდაზების თარგმნასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომა. ერთი მოსაზრებით, დედნის ენაში წარმოდგენილი ანდაზა უნდა ჩავანაცვლოთ სათარგმნ ენაში არსებული ადეკვატური ცალით, ვინაიდან „ყოველ ანდაზას მოეპოვება თავისი შესატყვისი თითქმის ყველა ენაზე და ამგვარად მისი გადმოღების საშუალება ყოველთვის არსებობს“ (გაჩეჩილაძე 1966:284). ანდაზების თარგმნის ნაკლებად გავრცელებული გზა არის სიტყვასიტყვითი თარგმანი. ამ ხერხის არაპოპულარობა განპირობებულია იმით, რომ „სიტყვასიტყვითი თარგმანი ხშირ შემთხვევაში ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა“ (ღამბაშიძე 2016:12). კალკირების მეთოდს მაშინ იყენებენ, როცა ვერ ხერხდება სათარგმნ ენაში სემანტიკური ეკვივალენტის დაძებნა, თუმცა ასეთ დროს აუცილ-

ებელია თარგმანში დამატებითი კომენტარის დართვაც, რათა არ დაიკარგოს დედნის შინაარსი და სტილი.

არამონათესავე ენათა ანდაზების თარგმნის პრობლემატიკაზე საინტერესოა ე. კაციაშვილის კვლევა, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ ინგლისური ანდაზების ქართულად გადმოცემისას სამი შემთხვევა გამოიყოფა: 1) ანდაზები, რომლებიც სრულყოფილად ითარგმნება; 2) ნაწილობრივ თარგმნადი ანდაზები; 3) უთარგმნელი ანდაზები (Katsiashvili 2012:83-86). საინტერესოა, აგრეთვე ჰ. ჩიმქეს დაკვირვება; კერძოდ, ქართულ-თურქულ ანდაზათა შედარებითი ანალიზის შედეგად სტატიის ავტორი განიხილავს ორ ძირითად ჯგუფს: ა) ქართული და თურქული იდენტური ანდაზები; ბ) სემანტიკურად მსგავსი, სტრუქტურულად განსხვავებული ანდაზები. როგორც აღმოჩნდა, სტატისტიკურად უფრო ხშირია განსხვავებული სტრუქტურის მქონე ერთი და იმავე სემანტიკის გამომხატველი ანდაზები (ჩიმქე 2012:77-80). ინგლისური და ქართული ანდაზების თარგმანთან დაკავშირებული შეპირისპირებითი ანალიზისთვის იხ. ონიანი 2019.

რომ შევაჯამოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისები, „პარემიების თარგმნა ნებისმიერ ენაზე გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ორიგინალისა და თარგმანის ენა სხვადასხვა ოჯახებს განეკუთვნება“ (სიორიძე 2012:209). ანდაზების თარგმნა მოითხოვს არა მხოლოდ დედნის ენისა და მეორე ენის ზედმიწევნით ცოდნას, არამედ ამ ორი კულტურის

ცალკეულ მახასიათებელთა ღრმად, საფუძვლიანად გააზრებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის დადგენა მონათესავე ენებს შორისაც არ არის ადვილი, რადგან უნივერსალურთან ერთად ყოველ ენობრივ კოლექტივში მოიძებნება ადგილობრივი სპეციფიკური თავისებურებები[1].

ქართველურ ენათა ანდაზებს შორის არსებული განსხვავებები, უპირატესად, განპირობებულია კონკრეტული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობით, ტოპონიმიკით, ანთროპონიმიკით თუ სხვა ადგილობრივი თავისებურებებით. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ურთიერთმიმართებით შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი[2]:

I ჯგუფში გაერთიანდება ანდაზები, რომლებიც თითქმის ზედმიწევნით თანხვდებიან ერთმანეთს ლექსიკურ-შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით.

[1] ქართველურ ენათა ანდაზებს შორის იდეურ-შინაარსობრივი ეკვივალენტობის წარმოჩენისა და მასალის ამ თვალსაზრისით დაჯგუფების პირველი ცდა ეკუთვნის ლ. გულედანს (იხ. გულედანი 1998:89-93).

[2] ემპირიული მასალა, რომელიც სემანტიკური ეკვივალენტობის თვალსაზრისით ასახავს ქართველურ ენათა ანდაზებს შორის არსებულ მიმართებებს, მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის დანართ ნაწილში (ჯღარკავა 2024).

ტაბულა 1

ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო (ქართ. ანდ. III:33).	ართი თხირი-ში გური ჩხო-რო ჯიმა-ლეფქ გირ-თესია (შე-როზია, მემი-შიში 1994:10).	არ მთხირი ნჩხოვრო ჯუმაქ უკ-უირთერენ (შეროზია, მემიშიში 1994:200).	ეშხუ შდიხი გუ̈იგუ̈ ესერ ჩხ̌არა მუხუ̈ბეს ოთყუ̈რლახ (ექსპ. მასალე-ბი).
ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწვე-ლაო (https://idioms.tsu.ge/?p=14740).	გემუანი სიტყვათ// ნინათ ირემი გეჭვალესია (იქვე:24).	ლოყა ნე-ნათენ ხო-ჯითი ინ-ჭვალენ (იქვე:229).	ხოჩა ნგნჟი ლა̈ჩუ̈ ესერი ჩ'ოლგშგელი (დავითიანი 1973:192)[1].
კაცი კაცის წამალი-აო (https://idioms.tsu.ge/?p=16069).	კოჩი კოჩიში წამალი რე-ნია (იქვე:73).	კოჩი კოჩი-შენი ჭამი რენ (იქ-ვე:225).	ამსუ̈ა̈ლდა̈ ჟაგა̈რ ამსუ̈ა̈ლდ ესერ ლი (კორძაია 2000:19)[2].
ახალი ცოცხი კარ-გად გვისო (https://idioms.tsu.ge/?p=1185).	ახალი ოქოს-ალი ჯგირო ქოსგნცია (იქვე:17).	აღანი ოქ-ოსალექ კაი ქო-სუფს (იქ-ვე:202).	მახე ლანგა̈უ̈ ესერ ხოჩა̈მდ ხა̈ჭმინე//ა̈ჯე-ლუ̈ე (ექსპ. მა-სალები).

[1] შდრ. ვრცელი ვარიანტი: ხოჩა ნგნჟი ლა̈ჩუ̈ ესერი ჩ'ოლგშგელი, ხოლამშუ̈ ესერ ფირუ̈ი მა̈მა (ექსპ. მასალები) „ტკბილი ენით ირემ-იც მოიწველაო, ცუდი ენით ძროხაც კი ვერაო".

[2] შდრ. ვარიანტები: მა̈რე უ̈ობა̈შუნ მა̈რემ ღერმეთ ესერ ლი „კაცი ხშირად კაცის ღმერთიაო" (დავითიანი 1973:78); მა̈რემ ღერმეთ მარ' ესერ ლი „კაცის ღმერთი კაციაო" (იქვე:79).

ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დაალპობსო (https://idioms.tsu.ge/?p=1303).	ართი ცორადილი უშქური ოში უშქურც ცორიდუნცია (იქვე:12).	არ ელახცაფერი უშქირიქვით უშქირი ოხცინაფს (იქვე:199).	—
აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო (https://idioms.tsu.ge/?p=1172).	ცხენიში მახინჯი დო ლიშიში მახინჯი – ჟირიხოლო მახინჯი რენია (იქვე:169).	—	—

II ჯგუფის ანდაზები არსებითად ეკვივალენტური არიან ფორმის (სტრუქტურის) და შინაარსის მიხედვით, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ვარიანტულ სხვაობას ქმნის ლექსიკური ერთეულები.

> ***შენიშვნა 1:*** *ლექსიკურ-გრამატიკული ვარიაციები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ ანდაზებშიც. მაგალითისთვის: ა) ბრუდეთნა დაჟდე და სტორეთნა დეილაპარიკოო (ფუტკარაძე 1993:109); ბ) უდერდელი იმ დუნჲას არიანო (შიოშვილი 2016:183); გ) წაბლი ბურჯგელადან გამოიდა, ბურჯგელა არ მოწონდა (შიოშვილი 2017:220)*[1].

[1] ზოგადად, ცნობილია, რომ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ჩვენებურების მეტყველება კარგად აისახა ზეპირსიტყვიერებაში, მათ შორის, ანდაზებშიც (იხ. ფუტკარაძე 1993:109; შიოშვილი 2016:179-183, 288; შიოშვილი 2017:217-225, 399-401).

ტაბულა 2

ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
წყევლა მაწყევარს უბრუნდებაო (https://idioms.tsu.ge/?p=20350).	ჭყალა მაჭ-ყალს დართუ-ნია (ექსპ. მასა-ლები)[1].	ბედუა, ნა, იქ-იფს, ემუს გვა-კირენ (შერო-ზია, მემიშიში 1994:204).	ჭათა ესერ მგჭთემ (ექსპ. მა-სალები)[2].
ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში და-იჭირეო (https://idioms.tsu.ge/?p=12420).	ნგერს შინან-დესია დო კარს გერდუა (იქ-ვე:105).	ჯოღორი შინი დო ბიგა დიქა-ჩი (იქვე:266).	—
იმერელს მჭადის სახელი დაავიწყ-დაო (https://idioms.tsu.ge/?p=6971).	აფხაზას ცხე-ნიშ სახელქ გაჭყორდუა (იქვე:15).	—	ესუ̂ალ'ეს-ერ ჭკიდიშ ჟახე ლა-ხეშდგნენა (ექსპ. მა-სალები).
ცალ-ცალკე მომ-ჩივანი ბატონს მართალი ეგონაო (https://idioms.tsu.ge/?p=15868).	დადიას მოჩი-ვარე არძა მარ-თალი უჩქუდუ მოპასუხეში უმუშო (იქ-ვე:34).	—	—

[1] შდრ. ვარიანტი: ჭყალაქ თქუა: მართალი შარა მოძირი, ვარა სი დგგართუქია „წყევლამ თქვა: სწორი გზა მიჩვენე, თორემ უკანვე დაგიბრუნდებიო" (შეროზია, მემიშიში 1994:180).

[2] შდრ. ვარიანტი: ჭათას ესერ ხრქუ̂ა: შუკუ̂ ესერუ ლახთრ̂ნე, ადო მგჭთეს ესერ ხეტხენი „წყევლას უთქვამს: გზა მასწავლე, თორემ იმას მივუბრუნდები, ვინც იწყევლებაო" (კორძაია 2000:256).

შენიშვნა 2: *ცალკეულ ქართველურ ენაში (მაგ., ლაზურსა და სვანურში) არსებული „ჩავარდნა“, რომელიც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ასახული, ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვითაა მოცემული; თუმცა ეს შეიძლება ცალსახად არ მიუთითებდეს იმაზე, რომ შესაბამისი ანდაზა ამ ენებში საერთოდ არ მოიპოვება.*

III ჯგუფში მოცემულია ძირითადად მეგრულში, ლაზურში ან სვანურში დადასტურებული ანდაზები. მათი ეკვივალენტი ქართულში იშვიათად დასტურდება, რადგან ამ ჯგუფში შემავალი ანდაზების შექმნის მოტივაცია თითოეულ აქ დასახელებულ კუთხეს უკავშირდება და, ამავდროულად, ანდაზის შექმნის ადგილზე მიუთითებს[1]. მაგალითად:

მეგრული

(1) ახალაიაშ ოსურეფი პატარაიაშ ოსურეფს მიშარაგადანდესია[2] (შეროზია, მემიშიში 1994:16) „ახალაიას ცოლები პატარაიას ცოლებში [გაერეოდნენ და მათთან] ლაპარაკობდნენო“.

მოცემული ანდაზის შინაარსი ასეთია: ახალაიას

[1] საინტერესოა, რომ ლ. გულედანის დისერტაციაში გამოყოფილია ცალკე ქვეთავი სახელწოდებით „საკუთრივ სვანური ანდაზები“ (გვ.94-96). ნაშრომის ან ნაწილში მეცნიერი თავს უყრის იმგვარ მასალას, რომელშიც „ადგილობრივ მცხოვრებთა ისტორიული ყოფის ესა თუ ის დეტალია მინიშნებული“ (გულედანი 1998:94).

[2] სიტყვა **მიშარაგადი** მეგრულში ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით უკავშირდება სხვებთან ერთად//სხვებ შორის//სხვებში საუბარს (შდრ. მარაქაში გარევა).

ცოლები//ქალები[1] პატარაიას ცოლებთან//ქალებთან დაახლოებას ცდილობდნენო[2]. შინაარსობრივად მსგავსი კონტექსტია შემდეგ მეგრულ ანდაზაშიც:

(2) ახალაიაშ ჯოღორი გოშუაშ ჯოღორენს მიშალალანდუა „ახალაიას ძაღლი გოშუას ძაღლებთან ერთად ყეფდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:16).

აღსანიშნავია, რომ თ. სახოკია ანდაზა (2)-თან იდეურ-სემანტიკურად ახლოს მდგომად შემდეგ მეგრულ ანდაზას მიიჩნევს:

(3) სონ ჩიქახე, სო მიშახე „სადაური ჩიქავას ქალი სადა (ვის შორის) ზისო“ (სახოკია 1989:243), ანუ: სად გარეულაო მარაქაში.

დამოწმებულ ანდაზებში გვარებს შორის მიმართება და შინაარსობრივად ერთ-ერთის უპირატესობა ერთ შემთხვევაში (და ერთი შეხედვით!) შეიძლება სოციალური სტატუსით აიხსნას (მაგალითად, ახალაია – გოშუა[3]), თუმცა სხვა შემთხვევაში ამგვარი სხვაობა არ

---

[1] ლექსემა **ოსური** მეგრულში ომონიმურია და შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ქალს, ისე ცოლს (*ცოლის* საკუთრივ მეგრული შესატყვისია *ჩილი*), თუმცა ეს არ ცვლის ანდაზის იდეურ მხარეს.

[2] დამოწმებული ანდაზის ამგვარ შინაარსობრივ ინტერპრეტაციას ადასტურებენ მთქმელებიც.

[3] **გოშუა** დაწინაურებული გვარი იყო სამეგრელოში. როგორც ცნობილია, მეგრული გვარი ***გოშუა*** მომდინარეობს ***გოშაძე//გოშოძე*** გვარისგან. ეს უკანასკნელნი XVIII საუკუნის დამდეგს ძლიერი თავადები იყვნენ; „ძველი გოშაძეების შთამომავალნი არიან მერმინდელი სამთავრო აზნაური გოშუები“ (სოსელია 1973:289). ამავე თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე პ. ცხადაია. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „1905 წლის აღწერის მონაცემებით, კირცხში მცხოვრები გოშუები (11 კომლი) აზნაურები იყვნენ“ (ცხადაია 2000:75).

ჩანს (მაგალითად, ახალაია – პატარაია) (ჭუმბურიძე და სხვები 2013); შესაბამისად, უფრო მართებული იქნება ამ და მსგავს შემთხვევებს სხვაგვარი ახსნა მოვუძებნოთ; კერძოდ, ანდაზის სემანტიკური სტრუქტურის დასადგენად, კონტექსტუალური და პრაგმატიკული პარამეტრების გარდა, არსებობს კულტუროლოგიური პარამეტრები[1], ფაქტობრივად, ფონური ცოდნის შრე, რომელიც კონკრეტულ ანდაზაში აქტუალიზდება. ფონური ცოდნა თავის დროზე „მე“-ს მიერ აღქმული და შეფასებული კონკრეტული შემთხვევა თუ სიტუაციაა. დღეს მისი გადამოწმების არც საშუალებაა და არც საჭიროება, რადგან ანდაზაში ფაქტი უკვე განზოგადებულია, რაც კონკრეტული გვარების ზოგადრეფერენტულობაზე მიუთითებს. აღნიშნული მსჯელობის სისწორეს ადასტურებს მსგავსი სემანტიკის ანდაზებში გვარების მონაცვლეობაც[2].

საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: ჭუმბურიძე და სხვები 2013:214; ჯომიდავა 1996:54.

[1] ანდაზის სემანტიკური სტრუქტურის სამ პარამეტრზე (შრეზე) მსჯელობა ვრცლად იხ. Dundes 1980; რუსიეშვილი 1999, 2005. ამავე საკითხზე მსჯელობა მოცემულია წინამდებარე მონოგრაფიის I თავშიც.

[2] შდრ. ქართული ანდაზა: ***ავალიანის*** სუფრაზე ***ასათიანი*** ცეკვავდაო (ხალხ. სიბრძ. 1965:23). ამგვარ შემთხვევებში ანდაზისეული მორალი ხშირად ერთგვარი უნივერსალური ფორმულის, შაბლონის სახითაა გადმოცემული, რის გამოც, ყურადღება ექცევა არა იმდენად ამა თუ იმ კონკრეტულ გვარსა და მის წარმომადგენლებს, არამედ – ანდაზურ სიბრძნეს.

ლაზური

(4) თურჩა ქოდიგუი-ნა, თურქ ბორე-ჲა, მო ზოპონ „თურქული თუ გისწავლია, თურქი ვარო, ნუ იტყვი“ (შეროზია, მემიშიში 1994:219).

შენიშვნა 3: *არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე, ლაზურ ანდაზებში ხშირია თურქი ხალხის ხსენება, თურქული ლექსიკისა და თურქული კულტურისთვის დამახასიათებელი თემატიკის გააქტიურება. ზოგადად, შენიშნულია, „ლაზურ ანდაზებს ახასიათებს სატირა და იუმორი; ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ზოგ ანდაზაში ერთი სოფლის მცხოვრებნი მეორე სოფლის მცხოვრებთ დასცინიან; ზოგჯერ – სხვა ეროვნების ხალხსაც, ვისთანაც ახლო ურთიერთობა აქვთ და იციან მათი თვისებები და წეს-ჩვეულებები“ (ჩოხარაძე და სხვები 2015:426).*

სვანური

(5) წორჳშ მგჳდემ ნაბდიშოუ̈ ლჳრტყ ლჳიბ „სისხლის საზღაურის გადამხდელმა ქეჩის სარტყელი მოირტყასო“ (დავითიანი 1973:174).

შენიშვნა 4: *(5) მაგალითში ასახულია სვანეთში ისტორიულად არსებული სისხლის აღების ტრადიცია.*

ქართველურ ენათა ანდაზებში ადგილობრივი თავისებურებები ხშირად ტოპონიმებითაც გამოიხატება. მაგალითად:

მეგრული

(6) არძა ართი ჯვარალეფი რენანია (შეროზია, მემიშიში 1994:13). „ყველანი ერთი = სულერთია ჯვარე-

ლები არიანო“[1].

(7) მარტვილს ნახარებუთ ქელუშენესია „მარტვილის ტაძართან ნახარებავოც ააშენესო“ (იქვე:83).

(8) ხორგას კოჩი გოლახეს დო ხეთას გურქ მურთუა „ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“ (იქვე:185).

შდრ. ქართული ანდაზა: ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცხინვალში მოუვიდაო (ჯორჯანელი 2003 (ა):81).

(9) ჯვარული კოჩქ თქუუა: ზარაზანქ მობხვადასგნ, იშა დობღურე ქომისხუნუნია „ჯვარელმა კაცმა თქვაო: ზარბაზანი რომ მომხვდეს, იმას მოვკვდე მირჩევნიაო“ (იქვე:192).

(10) ჟირი ჩიჩიექ ხონც ვაშენტირუა „ორი გლახაკი ხონში ვერ დაეტიაო“ (კვირტია 2019:219).

ლაზური

(11) პოლის ჯუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი იკვანტერენან „სტამბოლში ძმარი დაელვარათ და

[1] ანდაზა დაკავშირებული უნდა იყოს უტუ მიქავას ხელმძღვანელობით დაწყებულ გლეხთა აჯანყებასთან; კერძოდ, „როცა აჯანყების მეთაურის შეპყრობა მოუნდომებიათ, ჯვარში მცხოვრებლებს უთქვამთ: აჯანყების მოთავეები ყველანი ერთად, ანუ „არძა ართო“, ვიყავითო“ (ქართ. ხალხ. სიტყვ. II 1991:525). ამის შემდეგ მეთაურის გამორჩევა და დასჯა შეუძლებელი იქნებოდა. ანდაზაში ასახულია შესიტყვების სემანტიკური გადაწევა: არძა ართო → არძა ართი = „ყველანი ერთად“ → „ყველანი ერთი“, ანუ: სულერთი. ამოსავალში ანდაზის შექმნის მოტივაცია კეთილშობილური მიზნით არის ნაკარნახევი, ხოლო ანდაზაში შეცვლილმა სემანტიკურმა ნიუანსმა ერთგვარი გამკილავი ელფერი შეიძინა.

ჩხალაში ხარჯს ითხოვდნენო“ (შეროზია, მემიშიში 1994:249).

(12) ხოფას ლაზი ღურუ, პოლის ბგარა დოდგეს „ხოფაში ლაზი მოკვდა, სტამბოლში ტირილი გამართეს“ (იქვე:264).

სვანური

(13) იუალადეღ ხუნ ესერ ლახმგლ ი ზეგირ ჩუბენეუ „ოდიდანვე საძირკველი ლახამულა, სახურავი ჩუბეხევიო“ (დავითიანი 1973:43).

(14) ნაბეჩუ ი ნაჴაიშდ მაიდს ესერ უშხუარ ხამშერალახ „ბეჩოში ნამყოფი და ხაიშში ნამყოფი შიმშილს ერთმანეთს შესჩიოდნენო“ (იქვე:107).

იშვიათად, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ანდაზაში ტოპონიმ(ებ)თან ერთად წარმოდგენილია ანთროპონიმ(ებ)იც.

მეგრული

(15) ართ სენ ფაფირს ონოღია გიოდინუ ხინტკირიაქია „ერთი თეფში ფაფისათვის ონოღია დაეკარგა ხინტკირიასაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:11).

სვანური

(16) ჲერუალე ჴენის ესერ ესფეშუდა ი გადრანარს კაცხთე ხაწრალა „ვიღაც ჴენის ღელეში დაცემულა და გადრანების გვარს სოფ. კაცხამდე აგინებდაო“ (დავითიანი 1973:123).

ამრიგად, საკითხის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ქართველურ ენათა ანდაზები სემანტიკური ეკვივალენტობის თვალსაზრისით ძირითადად იდენტურია; სხვაობები ადგილობრივი ხასიათისაა.

3.3 ანდაზების სახეცვლილი ვარიანტები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

ანდაზათა უმრავლესობა თაობიდან თაობას თით-ქმის უცვლელად გადაეცემა, თუმცა ისიც უნდა აღინიშ-ნოს, რომ „ცხოვრების პირობების შეცვლა, ახალი სა-ზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება და მასთან დაკავშირებით თვალსაზრისთა და შეხედულებათა გარ-დაქმნა იწვევს რიგ ანდაზათა დაძველებას და უარყო-ფას“ (ლეჟავა 1959:140). ერთი მხრივ, ანდაზის მონოლი-თურობა და საყოველთაოდ გავრცელებულობა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ხალხური ბუნება და ყოველდღიურ მეტყველებასთან სიახლოვე განაპირობებს ენაში ტრა-დიციულად არსებული ანდაზების გვერდით მათი ტრანსფორმირებული ვარიანტების წარმოქმნასაც. ან-დაზათა ამგვარი გარდაქმნის უმთავრესი მიზეზი საზო-გადოებაში არსებული ღირებულებათა სისტემის ცვლი-ლებაა. ასეთი „გადასხვაფერებული“ ანდაზები, რომელ-თა ცვლილებას კონკრეტული მიზანი და მოტივაცია გა-ნაპირობებს, სპეციალურ ლიტერატურაში **„ანტიანდა-ზის“** სახელითაა ცნობილი[1]. აღნიშნული ტერმინი (გერმ. Antisprichwort) დაამკვიდრა ცნობილმა პარემიოლოგმა ვოლფგანგ მიიდერმა 1982 წელს. მეცნიერის განმარტე-ბით, „ანტი-ანდაზები ძველი ანდაზების პაროდიას წარ-

[1] ცხადია, აქ არ იგულისხმება ანდაზის ვარიანტულობა, რომელიც მისი არსებითი მახასიათებელია (მაგალითისთვის, შდრ.: მკვდარ-ზე ძვირს არ იტყვიანო//მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო და მისთ.).

მოადგენს და მათ სატირულ-იუმორისტული ბუნება გააჩნიათ“ (შავლაძე 2015:52)[1].

ტრადიციული ანდაზის ტრანსფორმირებულ ვარიანტს, რომელიც განსაკუთრებით თანამედროვე ინგლისურ ენაშია გავრცელებული, გარდა ანტიანდაზისა, სხვა ტერმინებითაც მოიხსენიებენ. მათ შორის აღსანიშნავია „გრეხილი სიბრძნე“ (Twisted wisdom), „სილიკონის ანდაზები“ (Silicon proverbs), „ველერიზმი“ (Wellerism)[2], „ინტერტექსტური ხუმრობები“ (Intertextual jokes), „პერვერბი“ (Perverb←Perverse proverb), „კუკიზმი“ (Кукизм – განზრახ სახეცვლილი ანდაზა), „სხვაგვარი ანდაზა“ (Инопословица – ანდაზური ოკაზიონალიზმი), „ანდაზის საპირისპირო“ (Противословица – ანდაზური თქმა), „ანდაზური ახალწარმონაქმნები“ (Пословичные новообразования) და სხვ[3].

როგორც ქართულ, ასევე ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული ხალხური ანდაზების

[1] ორიგინალში: “Anti proverbs are parodied, twisted, or fractured proverbs that reveal humorous or satirical speech play with traditional proverbial wisdom” (Mieder 2004:28).

[2] სპეციალურ ლიტერატურაში ველერიზმი განმარტებულია როგორც „კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფა, [რომელიც] მიგვითითებს, რომ აღნიშნული ანდაზა ან გამონათქვამი ყველა სიტუაციაში არ ამართლებს; დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში კრახი განიცადოს“ (ცინცაძე 2016:67).

[3] წარმოდგენილი ტერმინოლოგიის ცალკეული ქართული ვერსიები დაზუსტებულია ასოც. პროფესორის სალომე ომიაძის რეკომენდაციით, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

გარდაქმნილ ვარიანტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური სიჭრელე გამოწვეულია თვით ცნების დენოტატიური მნიშვნელობის დაუზუსტებლობით. მკვლევართა ნაწილი შენიშნავს, რომ „ანტი“ პრეფიქსის ძირითადი მნიშვნელობის მიუხედავად, ანტიანდაზა არ წარმოადგენს ანდაზის საპირისპირო ფენომენს. ანტიანდაზა მოდერნიზებული ანდაზაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ძველ ანდაზებში ფიქსირებულ ტრადიციულ სიბრძნეს“ (შავლაძე 2015:52). ცხადია, რომ **„ანტი-“** პრეფიქსის დართვით მიღებული ლექსიკური ერთეული მთლად ადეკვატურად ვერ გადმოსცემს იმ შინაარსს, რაც აღნიშნულ ცნებაში დევს, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე კვლევებში (Mieder 1997; Militz 1999; შურღაია 2008; Litovkina 2014; Pavlović 2014; Anand 2014; შავლაძე 2015; ქამადაძე 2016; ცინცაძე 2016, თუზჯუ 2021 და სხვ.) ყველაზე გავრცელებულ ტერმინად მაინც „ანტიანდაზა“ რჩება.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, „ანტიანდაზის“ ნაცვლად შედარებით ნეიტრალური ტერმინის – **„კვაზიანდაზის“** – გამოყენება[1]. აღსანიშნავია ისიც, რომ **კვაზიანდაზა** (რუს. Квазипословица; ინგლ. Quasi-proverb) ანტიანდაზის სინონიმური მნიშვნელობით დასტურდება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც (Береговская 2001; Бров-

[1] ტერმინოლოგიური საკითხის დაზუსტებაზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

кина 2006; Мед 2015), თუმცა ნაკლებადაა წარმოდგენილი მსჯელობა, რომელ ტერმინს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რატომ. რუსული ენისთვის ამ უკანასკნელ წლებში შექმნილი ლექსიკონის (Мокиенко 2006) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსული ტერმინოლოგია „ანტიანდაზას“ ანიჭებს უპირატესობას[1]. ვფიქრობთ, რომ „ანტიანდაზის“ ნაცვლად „კვაზიანდაზის“ გამოყენებით დაიძლევა ის შინაარსობრივი უხერხულობა, რომელსაც პრეფიქსული ელემენტი („ანტი-“) სძენს „ანტიანდაზას“ და ახალ მონაცემს ანდაზის საწინააღმდეგო, მასთან დაპირისპირებულ, ნეგატიური შინაარსის ფრაზად წარმოაჩენს.

„ანტისგან“ განსხვავებით, თავსართი **„კვაზი-“** (ლათ. Quasi) ნიშნავს „თითქმის“, „ახლოს“ და ტერმინი „კვაზიანდაზა“ აღნიშნავს ტრადიციულ ანდაზასთან ახლოს მდგომ, თუმცა მასთან მოჩვენებითი მსგავსების მქონე ახალ ანდაზას; ამასთან, კვაზიანდაზა ტრადიციული ანდაზის საპირისპირო ყალიბს კი არ იყენებს, არამედ პირიქით – მიმართავს უკვე არსებულ ანდაზურ მოდელს და მიჰყვება მის ლოგიკურ სტრუქტურას. სიახლეს მასში ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა ქმნის.

[1] უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა ახალი ტერმინი **ფსევდოანდაზა (Pseudo-proverb).** იგი განიმარტება, როგორც ანდაზის მსგავსი გამონათქვამი, რომელსაც აქვს ტრადიციული სტილისტური მარკერები და ეფუძნება პარემიულ სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელს (Konstantinova 2014; Mandziuk 2016; Fernández 2023).

ამდენად, **კვაზიანდაზა არის ძველი, კარგად ცნობილი ანდაზის არა დაპირისპირებული ცალი, არამედ მისი ახალი ვარიანტი, რომელშიც ტრადიციული სიბრძნე გადამუშავებულია და მისადაგებულია თანამედროვე ყოფის აქტუალურ საკითხებსა თუ მოვლენებს.** ტრადიციული ხალხური ანდაზისგან განსხვავებით, კვაზიანდაზა ნაკლებად შეიცავს რაიმე განზოგადებულ სიბრძნეს. იგი მორგებულია კონკრეტულ სიტუაციას. კვაზიანდაზა არსებობს არა ცალკე აღებული, არამედ იმ ტრადიციული ანდაზის გვერდით, რომლის ტრანსფორმაციასაც იგი წარმოადგენს და სწორედ ამ უკანასკნელთან კონტრასტი სძენს კომიკურ, ხშირად ირონიულ შეფერილობასაც კი. კვაზიანდაზა აზრობრივად გასაგები სწორედ ტრადიციული ანდაზის მიხედვით ხდება[1]. აღსანიშნავია, რომ კვაზიანდაზები სალიტერატურო ენაზე იქმნება; ქართულ სივრცეშიც იგი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, რის გამოც სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

როგორც აღინიშნა, კვაზიანდაზები საფუძვლიანად გამოკვლეულია ინგლისურ ენაში[2]. უნდა შევნიშნოთ, რომ ნელ-ნელა კვაზიანდაზები სხვა ენებშიც იკიდებს

[1] ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. ჭიქაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „კონტექსტში ერთი ანდაზის ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური ცვლილებების დროს მთელი ერთეულის აზრი არ იცვლება, ე.ი. [ანდაზის] ლოგიკური შინაარსი ყველანაირი მოდიფიკაციის დროს იდენტური, იგივე რჩება“ (ჭიქაძე 2001:290).

[2] ინგლისურში არსებული კვაზიანდაზების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქამადაძე 2016:125-134; Pavlović 2016:129-136; Litovkina 2014:326-353.

ფეხს[1], მათ შორის ქართულშიც. ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემწყობი ფაქტორი არის ინტერნეტსივრცე, რის გამოც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ კვაზიანდაზები გვხვდება ინტერნეტში, სარეკლამო ლოზუნგებში, წიგნებისა და სტატიების სათაურებში, ჟურნალ-გაზეთებში; არ არსებობს ცხოვრების სფერო, სადაც ისინი არ გამოიყენება (Litovkina 2014:1). კვაზიანდაზების ესოდენ გავრცელებულობას ხელს უწყობს მათი კომიკური ელფერი და სტრუქტურულ-სემანტიკური თუ ინტუიციური სიახლოვე ტრადიციულ ანდაზებთან. საინტერესოა ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდი: ის გამოთქმები, რომელთაც დღეს ჩვენ კვაზიანდაზებს ვუწოდებთ, შეიძლება მომავალი თაობებისთვის ჩვეულებრივი ანდაზები გახდნენ (Anand 2014:32).

ქვემოთ გაანალიზებულია სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ ფორუმზე განთავსებული კვაზიანდაზების სტრუქტურა და სემანტიკა; ასევე ნაჩვენებია ის ხერხები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება კონკრეტული კვაზიანდაზა.

ცნობილია ტრადიციული ანდაზების გარდაქმნის რამდენიმე ხერხი; მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ტრადიციული ანდაზის მეორე ნაწილის, კერძოდ, დასასრულის შეცვლა. უმრავლეს შემთხვევაში, პირველი ნაწილის უცვლელობას

[1] ცნობილია, რომ თურქეთში შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი კვაზიანდაზები (ვრცლად იხ. თუზჯუ 2021).

პრინციპული მნიშვნელობა აქვს; კერძოდ, კვაზიანდაზის მკითხველი//მსმენელი დასაწყისში ისმენს ტრადიციულ, მისთვის ცნობილ ანდაზას, ხოლო მეორე ნაწილის ცვლილება ერთგვარ მოულოდნელობის ეფექტს ქმნის; ამასთან, შესაძლებელია, რომელიმე კონკრეტულ ანდაზას დროთა განმავლობაში რამდენიმე ვარიანტი გაუჩნდეს; ე.ი. ერთი ანდაზის განსხვავებული ტრანსფორმაციების შედეგად სხვადასხვა კვაზიანდაზა მივიღოთ; მაგალითად,

(1) **სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების** (https://idioms.tsu.ge/?p=18220).

შდრ.:

(1ა) *სწავლის ძირი მწარე არის კენწერომდე ვინ ასულა (https://www.facebook.com)*[1].

(1ბ) *სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში ვინ აგიშვებს (http://answers.ambebi.ge).*

(1გ) *სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში ტაქსისტდები (http://answers.ambebi.ge).*

(2) **ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო** (ქართ. ანდ. III:145).

შდრ.:

(2ა) *ხარი ხართან რომ დააბა, ორი ხარი იქნებაო (http://anegdotebi.mcvane.ge).*

(2ბ) *ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის ან მოკვდება (http://anegdotebi.mcvane.ge).*

[1] აქაც და ქვემოთაც (ამ ქვეთავის ფარგლებში), ყველა მაგალითში, კვაზიანდაზების სემანტიკურ-სტილური მონაცემები დაცულია.

(3) **დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო** (https://idioms.tsu.ge/?p=11990).
შდრ.:

(3ა) *დედის წინ მორბენალი კვიცი დედაზე სწრაფი გამოვაო (https://www.facebook.com).*

(4) **ცდა ბედის მონახევრეაო** (https://idioms.tsu.ge/?p=8568).
შდრ.:

(4ა) *ცდა ბედის მესამედიაო (http://http//geocanabis.com).*

(5) **ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწევარი** (ქართ. ანდ. III:6).
შდრ.:

(5ა) *ადრე ამდგარსა კურდღელსა 5 წუთში ჩაეძინებაო (https://www.facebook.com).*

(6) **კუმ ფეხი გამოყო, – მეც ნახირ-ნახირაო** (ხალხ. სიბრძ. V 1965:108).
შდრ.:

(6ა) *კუმ ფეხი გამოყო, ჯარში წამიყვანეთო (https://forum.ge).*

(6ბ) *კუმ ფეხი გამოყო, პენალტი [მეც] დამარტყმევინეთო (https://www.ambebi.ge).*

კვაზიანდაზებში შესაძლებელია რიტორიკული შინაარსის ამოკითხვაც (იხ. (1ა), (1ბ) და მსგავსი სტრუქტურა-შინაარსის მაგალითები); ამასთან, კვაზიანდაზებში იკითხება თანამედროვე ვითარებით გამოწვეული ერთგვარი სკეპტიციზმი (იხ. (1გ) და მისთანანი). ამრიგად, კვაზიანდაზებში შესაძლებელია ამოვიკითხოთ, ერთი მხრივ, ტრადიციული ანდაზით გადმოცემული შეგონების გაუფასურება, მასში ეჭვის შეტანა, ხოლო, მე-

ორე მხრივ, ის სატირულ-იუმორისტული თუ ირონიული ელფერი, რომელიც ანდაზის გარდაქმნილ ვარიანტებს დაჰკრავს.

კვაზიანდაზაში საჭირო ეფექტი ერთ სემანტიკურ ველში მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა მონაცვლეობითაცაა შესაძლებელი: მონახევრე (=ნახევარი) → მესამედი (იხ. 4ა), ადრე → 5 წუთში (იხ. 5ა), რაც შეიძლება კვაზიანდაზების შექმნის ერთ-ერთ საშუალებადაც განიხილებოდეს.

კვაზიანდაზა იქმნება სიტყვათა თამაშის პრინციპითაც:

(7) **მადლი ჰქენი – ქვას დადევი, გაიარე – წინ დაგხვდება** (https://idioms.tsu.ge/?p=20029).

შდრ.:

(7ა) *ქვა ქვა ზე დადე, ორი გახდებაო (https://www.facebook.com).*

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვაზიანდაზის შექმნა განპირობებულია არა შემთხვევითობით, არამედ რაიმე კონკრეტული ფაქტით, მოვლენით, თემით და ა.შ. ხალხის მიერ გარდაქმნილი ანდაზები ეხმიანება თანამედროვე ცხოვრების წესს, საზოგადოებაში არსებულ ამა თუ იმ აქტუალურ საკითხს. თანამედროვე ყოფაში ერთერთი ასეთი აქტუალურია პოლიტიკის თემა.

კვაზიანდაზების თემატიკაზე საუბრისას დგება სინქრონიულ მოვლენებზე, სიტუაციურობაზე დაფუძნებული და კონკრეტულ კონტექსტს მორგებული კვაზიანდაზების სიცოცხლისუნარიანობის საკითხიც. პოლიტიკური თემატიკის შემცველი კვაზიანდაზები რო-

მელიმე პერიოდს თუ ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკურ ფიგურას უკავშირდება; ამიტომ, ნაკლებადაა მოსალოდნელი ენაში მათი ხანგრძლივად შემონახვა. კონკრეტულ დროს, ადგილსა თუ პირს მორგებული კვაზიანდაზები საზოგადო ჭეშმარიტებას ვერ გადმოსცემენ; შესაბამისად, მათი განზოგადებაც შეუძლებელია და სიცოცხლისუნარიანობითაც შეზღუდულია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვაზიანდაზებს პირობითად შეიძლება **„სიტუაციური კვაზიანდაზებიც“** ეწოდოს, რადგან მათი შექმნის პრინციპი კონკრეტულ სიტუაციას ეფუძნება; განსაკუთრებით ხშირია კონკრეტული პოლიტიკოსების სახელების გამოყენება.

კვაზიანდაზის სტრუქტურა, როგორც აღვნიშნეთ, ანდაზის მსგავსია და არსებითად უცვლელი რჩება, რათა არ დაირღვეს ფრაზის რითმული და რიტმული მთლიანობა. არსებული ანდაზური მოდელის ძირეული გარდაქმნა-გადასხვაფერება არ ხდება იმიტომ, რომ არ გართულდეს იმის ამოცნობა, თუ რომელი ტრადიციული ანდაზიდან მომდინარეობს ესა თუ ის კვაზიანდაზა და რისი გამოხატვა სურს მთქმელს; ამდენად, პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერი სახის ცვლილება-ინტერპრეტაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს კვაზიანდაზის ბმულობას ტრადიციულ ანდაზასთან. აღნიშნული მნიშვნელოვანია აგრეთვე ძირითადი მიზნისთვისაც, რაც მოიაზრებს კომიკური, ირონიული ელფერის შექმნას და რისთვისაც წარმოიქმნება საზოგადოდ კვაზიანდაზა.

კვაზიანდაზების შექმნა, აქამდე დასახელებულ

მიზნებთან ერთად, კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის დისკრედიტაციასაც ემსახურება:

(8) **დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის ფერიო** (ქართ. ანდ. III:29).
შდრ.:

(8ა) *ავლაბრის წინ მოხტუნავე მარგველაშვილს ან ბიძინა შეჭამს, ან ბიძინასფერი ირაკლიო* (https://www.facebook.com).

(9) **სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო** (https://idioms.tsu.ge/?p=17606).
შდრ.:

(9ა) *ვანოს ჭირი – მიშას ჩხირიო...* (https://www.facebook.com).

(10) **მხედარი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევაო** (https://idioms.tsu.ge/?p=8281).
შდრ.:

(10ა) *სააკაშვილს ვერ მოერივნენ და წიკლაური დაამტვრიესო* (https://www.facebook.com).

(11) **მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო** (https://idioms.tsu.ge/?p=11419).
შდრ.:

(11ა) *ხადურს მშიერიც ხადური ჰგონიაო* (https://www.facebook.com).

(12) **ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს გაყრა ეგონაო** (https://idioms.tsu.ge/?p=15883)
შდრ.:

(12ა) პარლამენტარების ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო (https://www.facebook.com).

(13) **თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო** (https://idioms.tsu.ge/?p=12041).

შდრ.:

(13ა) *შენ გორის მეროპა თქვი და, ოქრუაშვილი პარიზიდანაც მოვაო* (https://www.facebook.com).

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, გარდა პოლიტიკური თემატიკისა, კვაზიანდაზების შესაქმნელად აქტუალურია ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერთან დაკავშირებული თემატიკა. აღნიშნული დარგის მიხედვით შექმნილი კვაზიანდაზები მრავლად არის ინტერნეტსივრცეში. მსგავსად პოლიტიკური თემატიკის კვაზიანდაზებისა, აქაც, ტრადიციული ანდაზების ტრანსფორმირების პრინციპი არის შინაარსობრივი ცვლილება, ხოლო სტრუქტურა უცვლელი რჩება:

(14) **სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო** (https://idioms.tsu.ge/?p=8394).

შდრ.:

(14ა) *საიტის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო* (http://file.pirveli.ge).

(15) **ქურდს ქუდი ეწვისო** (https://idioms.tsu.ge/?p=12031).

შდრ.:

(15ა) *ჰაკერს*[1] *კლავიატურა ეწვისო* (http://file.pirveli.ge).

[1] ჰაკერი – ის, ვინც საჭირო მონაცემების მოპოვების მიზნით საკუთარი კომპიუტერის მეშვეობით არალეგალურად აღწევს საბანკო, საფინანსო, საწარმოო ან სხვა დაწესებულებების საინფორმაციო ქსელებში (http://www.nplg.gov.ge).

(16) **აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი - ორივე ქურდიაო** (https://idioms.tsu.ge/?p=1172).
შდრ.:

(16ა) *ბანკის ჰაკერი და 4$ის ჰაკერი ორივე ჰაკერიაო* (http://file.pirveli.ge).

(17) **თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო** (https://idioms.tsu.ge/?p=1414).
შდრ.:

(17ა) *ჰაკერმა თხარა თხარაო, ინტერპოლი[1] გამოთხარაო* (http://file.pirveli.ge).

(18) **მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო** (https://idioms.tsu.ge/?p=15484).
შდრ.:

(18ა) *ჰაკერმა თავისი კლავიატურა მოწმედ მოიყვანაო* (http://file.pirveli.ge).

(19) **კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო** (https://idioms.tsu.ge/?p=8087).
შდრ.:

(19ა) *კარგი კომპი ჰაკერს არ დაირტყამსო*[2] (http://file.pirveli.ge).

(20) **ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო** (https://idioms.tsu.ge/?p=1297).

---

[1] ინტერპოლი – 1923 წელს შექმნილი კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოკლებული დასახელება (http://www.nplg.gov.ge).

[2] შესაძლებელია აღნიშნულ კვაზიანდაზაში დადასტურებული ეს ზმნური ფორმა ჟარგონული მნიშვნელობითაც იყოს გამოყენებული. შდრ.: **დაირტყა** – იშოვა, მოიპოვა, შეიძინა (ბრეგაძე 2005:56).

შდრ.:

(20ა) *ერთი ტეგი ჰაკერსაც შეეშლებაო* (http://file.pirveli.ge).

(21) **შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო** (https://idioms.tsu.ge/?p=8546).

შდრ.:

(21ა) *პაროლი დაასკანირე და შინ მშვიდობით მიდიო!* (http://file.pirveli.ge)

როგორც აღინიშნა, კვაზიანდაზები უმეტესად ინტერნეტსივრცეში ვრცელდება, თუმცა იშვიათად ბეჭდურადაც გამოსცემენ. ზ. ჭიჭიკოშვილს წიგნში „სიცილის წამალი“ (III, გვ. 70) შეტანილი აქვს კვაზიანდაზები სახელწოდებით: „გადაკეთებული ანდაზები“ (იხ. მაგალითები: (22ა), (23ა), (24ა)).

(22) **ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო** (https://idioms.tsu.ge/?p=1137).

შდრ.:

(22ა) *კარგი კოოპერატორი თვითონაც სჭამს და სხვასაც აჭმევს.*

(23) **ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო** (https://idioms.tsu.ge/?p=17944).

შდრ.:

(23ა) *ძმა ძმისთვისაო – შავი დღე არა ჩანდაო.*

(24) **არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი** (https://idioms.tsu.ge/?p=18312).

შდრ.:

(24ა) *არა იჯდა მწყერი ხესა – ძალით შესვეს იგი ზედა.*

კვაზიანდაზები ხშირად გამოიყენება მხატვრულ

ლიტერატურაშიც. მაგალითისთვის, საინტერესოა გიორგი კეკელიძის ავტორობით გამოქვეყნებული ლექსების ციკლი „ბატონი პის ანტიანდაზები“. ლექსები ტრადიციული ქართული ანდაზების ქარგაზეა აგებული, თუმცა მხატვრული ეფექტი მიღწეულია სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, ე.წ. „სიტყვათა თამაშით“:

ბატონი პის ანტიანდაზა №2

(25) ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს
(https://idioms.tsu.ge/?p=5334).
შდრ.:

(25ა) *მე შემოგფიცე სიყვარული – რომ ბოლომდე მეყვარებოდი.*
შენ მითხარი:
ბოლო მწამს, ფიცი მაკვირვებს (კეკელიძე 2013:61).

ბატონი პის ანტიანდაზა №6

(26) რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო (ქართ. ანდ. III:94).
შდრ.:

(26ა) *მზე ჩადგა. ქარი გამოვიდა, ოლონდ ეგ არის, ხან ქარს ვთესავთ და ნიავს ვიმკით* (კეკელიძე 2014:23).

მხატვრული ეფექტის მისაღწევად გამოყენებულ კვაზიანდაზებს სხვა ავტორებთანაც ვხვდებით. მაგალითები იხ. ნ. გელაშვილის რომანში „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ (2010 წ.):

(27) ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარიაო (https://idioms.tsu.ge/?p=8592).

შდრ.:

(27ა) *ქალი ქალია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცოლიაო* (გელაშვილი 2010:379).

ანდაზების მსგავსად, აფორიზმებსაც გარდაქმნიან, რასაც შემდეგი კვაზიაფორიზმები მოწმობს:

(28) **რასაცა გასცემ, შენია; რას არა – დაკარგულია!** (ვეფხ. 1957:50)[1].

შდრ.:

(28ა) *რასაცა გასცემ შენია, რაც არა, მაინც შენია* (https://mymaika.ge).

(28ბ) *რასაცა გასცემ შენია, რაც არა, ხომ შენია და შენია* (https://www.facebook.com).

(28გ) *რასაც მოასწრებ, შენია, რასც არა – დაკარგულია (https://www.facebook.com)*[2].

(29) **გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი** (ვეფხ. 1957:901).

შდრ.:

(29ა) *გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი მოკაუჭებული* (https://www.facebook.com).

---

[1] (28), (29), (30) და (31) მაგალითებში აფორიზმები დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემის მიხედვით (რედაქტორები: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). ნაშრომში „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყვანილ ამ და სხვა მაგალითებთან, გამოცემის წელთან ერთად ფრჩხილებში მითითებული გვაქვს არა გვერდის, არამედ სტროფის ნომერი.

[2] იგულისხმება: აქციის პერიოდში რის ყიდვასაც მოასწრებ. კვაზიაფორიზმი გამოყენებულია ერთ-ერთი ჰიპერმარკეტის სოციალური ქსელის პირად გვერდზე.

(29ბ) *გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი შეჩხიკინებული* (https://saertogazeti.wordpress.com).

(29გ) *გველსა ხვრელით ამოიყვან ჯოხისა შეჩხიკინებით?* (http://answers.ambebi.ge)[1].

(30) **ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია** (ვეფხ. 1957:854).
შდრ.:

(30ა) *ვინც ფასდაკლებას არ ეძებს, იგი საფულის მტერია* (https://www.facebook.com)[2].

(31) **არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა** (ვეფხ. 1957:798).
შდრ.:

(31ა) *არდაზარება მოსვლისა აროდეს გიზამს ზიანსა* (https://www.facebook.com)[3].

როგორც ვხედავთ, კვაზიაფორიზმები აქტიურად გამოიყენება სარეკლამო ტექსტებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, კვაზიანდაზების მსგავსად, მხატვრულ ლიტერატურაში კვაზიაფორიზმებიც არის ჩართული; მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ მ. ჯავახიშვი-

[1] როგორც კვაზიანდაზების შემთხვევაში, აქაც, აფორისტული სიბრძნე ეჭვქვეშაა დაყენებული. ამიტომ, კონკრეტულ კვაზიაფორიზმში რიტორიკული შეკითხვაა გამოყენებული.

[2] კვაზიაფორიზმი გამოყენებულია ერთ-ერთი ჰიპერმარკეტის სოციალური ქსელის პირად გვერდზე, კონკრეტული პროდუქციის ეფექტური რეკლამისათვის.

[3] იგულისხმება მაღაზიაში პროდუქციის საყიდლად მისვლა. კვაზიაფორიზმი, როგორც სარეკლამო ტექსტის თანმხლები ელემენტი, გამოყენებულია ჰიპერმარკეტის ფეისბუქგვერდზე.

ლის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი“ (2018 წ.):

(32) **რასაცა გასცემ, შენია; რას არა – დაკარგულია!**
(ვეფხ. 1957:50)
შდრ.:

(32ა) *რასაც წაჰგლეჯ – შენია, რაც არა – დაკარგულია*
(ჯავახიშვილი 2018:25).

ამასთან, კვაზიაფორიზმების გვერდით დასტურდება კვაზიიდიომებიც. ამის მაგალითად გამოდგება ამონარიდი ერთ-ერთი კომპანიის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული რეკლამის ტექსტიდან: „გამოიძახე სიგრილე ონლაინ! კურიერი თქვენს პროდუქციას **თბილ ნიავს არ მიაკარებს.** შეუკვეთე სასურველი პროდუქტები და ისარგებლე უფასო მიტანით“.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე საფეხბურთო მატჩის კომენტატორის მხრიდან ერთ-ერთი გუნდის მეკარის (კერძოდ, ედერსონ მორაესის) მისამართით ნათქვამი სიტყვები მაშინ, როდესაც მას გოლი გაუტანეს: **„ხელში ჩალაგამოვლებული ედერსონი“.**

ამდენად, ტრადიციული ხალხური ანდაზების გვერდით ჩნდება სატირულ-იუმორისტული ხასიათის ვარიანტები, რომელთაც შეგვიძლია კვაზიანდაზები ვუწოდოთ. აღნიშნული ტერმინის უპირატესობა „ანტიანდაზასთან“ შედარებით ისაა, რომ „კვაზიანდაზა“ არის არა ნეგატიური, არა ხალხური ანდაზის საპირისპირო მნიშვნელობის, არამედ მასთან მიახლოებული, მისნაირი სტრუქტურის, თუმცა შეცვლილი შინაარსის მატარებელი.

ქართულში დასტურდება სხვადასხვა თემაზე შექმნილი კვაზიანდაზები. განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური თემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვ. კვაზიანდაზების ტრანსფორმაციის ხერხებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ტრადიციული ანდაზის ტექსტის მეორე ნაწილის შინაარსობრივი ცვლილება, რაც მთლიანად ცვლის ანდაზის იდეურ გააზრებას. კვაზიანდაზებში დასტურდება აგრეთვე სიტყვათა თამაში. კვაზიანდაზები დღითი დღე იძენენ აქტუალურობას. მათ გავრცელებას ხელს უწყობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ინტერნეტი და სხვ.

3.4 ანდაზა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი

ანდაზა კულტურული ინფორმაციის შემცველია და გამოხატავს მისი შემქმნელი ენობრივი კოლექტივის ფსიქოლოგიასა და სოციალურ ჩვევებს. ანდაზებში ასახულია ეთნოსისთვის დამახასიათებელი საერთო ზნეობრივი თვისებები; მაგალითად, სიმამაცე, პატიოსნება, შურიანობა, სიზარმაცე და სხვ.

ლინგვოკულტუროლოგიისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები და სხვა მხატვრული ენობრივი ერთეულები, ვინაიდან ისინი „შეიცავენ ინფორმაციას ხალხის წარმოდგენებზე მითების, ადათ-ჩვევების, რიტუალების, ქცევის, ზნეობის, ყოფის, საერთოდ კულტურისა და ისტორიის შესახებ“ (ომიაძე 2009:116). ლინგვოკულტუროლოგიის ფარ-

გლებში „მკვლევართა ყურადღების ცენტრში დგება ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ხალხის მენტალიტეტის ურთიერთმიმართებათა შესწავლა და აღწერა“ (ომიაძე 2009:13). ლინგვოკულტუროლოგია, როგორც დარგთაშორისი სამეცნიერო დისციპლინა, „შეისწავლის ენის, კულტურისა და აზროვნების ურთიერთობასა და ურთიერთქმედებას“ (კიკვიძე 2021:87). ლინგვოკულტუროლოგიისთვის მეტად მნიშვნელოვანია ხალხის ისტორიული მეხსიერებისა და კოლექტიური ინტელექტის ფორმირების საკითხი; ამ უკანასკნელს განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს ენის ის უბანი, რომელსაც ანდაზური ფონდი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით აქტუალურია აგრეთვე იმაზე დაკვირვება, თუ რა ძირითადი ეროვნულ-კულტურული კონცეპტებია მოცემული ანდაზებში და, ზოგადად, რა მიზანს ემსახურება ანდაზაში მათი წარმოდგენა[1].

ქართულ დისკურსში ეროვნულ-კულტურული კონცეპტების შესწავლის აქტუალობის საკითხი დასმულია ს. ომიაძის ნაშრომში „ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა“ (2009 წ.). ავტორს ზემოხსენებულ და სხვა ნაშრომებში აღწერილი და გაანალიზებული აქვს

[1] ცნობილია, რომ ენობრივი ნიშანი არის „შინაარსისა და გამოხატულების პლანების სიმბიოზური მთლიანობა, ფუნქციონირებს მხოლოდ სოციუმში, რომელიც ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა საერთო დისკურსს ქმნის“ (Asatiani 2023:1). ვფიქრობთ, რომ ანდაზაც, როგორც დეკოდირების თვალსაზრისით რთული და კომპლექსური ენობრივი ერთეული, უპირველესად სწორედ დისკურსულ-პრაგმატიკულად წარმოადგენს განსაკუთრებით ღირებულ ნიშანს.

რამდენიმე კონცეპტი, კერძოდ: **„ქარი“, „ნათლის სვეტი“, „ბედი“** (ომიაძე 2009:78-109), **„ქართული ენა“** (ომიაძე 2010 (დ):132-136; ომიაძე 2015 (ბ):133-141), **„ქართული ხასიათი“** (ომიაძე 2010 (ე):308-311), **„საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“** (ომიაძე 2013:362-367) და სხვ.[1]

„ლინგვოკულტუროლოგია ეროვნული ხასიათის შემსწავლელი მეთოდოლოგიაა, რომლის გარეშეც მრავალი ენობრივი ფაქტის სრულყოფილი აღწერა შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონათესავე ენების დისკურსთა ანალიზი, სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის ენობრივ მექანიზმთა გამოვლენა, რათა კვლევის შედეგების შედარებით დადგინდეს ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განისაზღვროს საერთო-ქართველური ლინგვოკულტურული სივრცე და აღიწეროს საერთო-ქართველური კონცეპტოსფერო, როგორც ქართული იდენტობის ქვაკუთხედი“ (ომიაძე 2015:115); შესაბამისად, აქტუალურია ქართველური ლინგვოკულტურული სივრცის დახასიათებისას ქართულთან ერთად სხვა ქართველური ემპირიული მასალის ჩართვაც[2].

[1] ამ მიმართულებით მუშაობა დღესაც აქტუალურია ქართულ სამეცნიერო სივრცეში; იხ. ყურაშვილი 2007; Goshkheteliani 2011; ბარბაქაძე 2012; ერაგია 2012; ბერიაშვილი 2016; კაკაჩია და სხვები 2018; ჯიჯავა, ახვლედიანი 2018:92-95; ბერკაცაშვილი 2020; გელდიაშვილი 2023:95-101 და სხვ.

[2] უდავო ფაქტია, რომ ოთხივე ქართველური ენა და მათზე მეტყველი ენობრივი კოლექტივი ქმნის ერთ – საერთო და მრავალფეროვან ქართულ კულტურას და თანაბრად მონაწილეობს მის ფორმირებასა თუ რეფორმირებაში.

ლინგვოკულტუროლოგია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია; შესაბამისად, „მას ახალი ცნებები და კატეგორიები დასჭირდა, რომლებშიც ადეკვატურად აისახა როგორც ლინგვისტური, ასევე, კულტუროლოგიური საწყისი“ (ბერიაშვილი 2016:10). ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ საკვანძო ცნებას **კონცეპტი** წარმოადგენს. იგი არის აზროვნების გარკვეული ფორმა, მენტალური კატეგორია, რომელიც სამყაროში მიმდინარე მოვლენებს წარმოგვიდგენს ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, „ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლაღქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა, ერთობლიობა“ (ომიაძე 2009:70); ამიტომ, კონცეპტის, როგორც აზრის ვერბალური გამოვლინების, გაგება შეუძლებელია მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზის გარეშე.

ეროვნულ-კულტურული კონცეპტი განეკუთვნება საზოგადოების სულიერი ერთობის სფეროს, წარმოადგენს ენისა და აზრის ერთიანობას, რომელიც „ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით“ (ბარბაქაძე 2012:1). ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში კონცეპტი მოიაზრება, როგორც „იდეალური“ ობიექტი, რომელიც წარმოაჩენს ადამიანის კულტურულ-ღირებულებით წარმოდგენებს სამყაროზე. ვინაიდან კონცეპტი ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესში იქმნება, ამიტომაც აისახება

მასში ერის გამოცდილება და დაგროვილი ცოდნა. კონცეპტი სამყაროს ენობრივი სურათის ძირითადი ერთეულია, ერთგვარი „გასაღები სიტყვაა“, რომლის მეშვეობითაც ხდება კულტურის, საზოგადოების ცხოვრების წესის, ხალხის აზროვნების გადმოცემა (ყურაშვილი 2007:1). საბოლოოდ, კონცეპტი განისაზღვრება, როგორც ადამიანის ცნობიერებაში კონცენტრირებული კულტურა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს განუყოფელ ნაწილს. ესაა რთული, მრავალგანზომილებიანი მენტალური ერთეული, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასპექტს და გამოირჩევა ნაციონალური სპეციფიკით[1]. შესაბამისად, „[კონცეპტის] შესწავლის აუცილებლობის აღიარება ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის ფორმირების გზაზე გადადგმული კანონზომიერი ნაბიჯია“ (თავიდაშვილი 2014:19). ამიტომაც არის, რომ „ენა ადამიანებს ეროვნებად კრავს იმ კონცეპტთა და პრეცედენტულ სახელთა მეშვეობით, რომლებიც იძლევიან გარკვეულ ღირებულებითს პარადიგმასა და ქცევის იმ მოდელებს, რომელთა მიბაძვა რეკომენდებული ან აკრძალულია“ (ომიაძე 2010 (ბ):144).

კონცეპტის დეფინიციურ ნიშანთა შორის (*სემიოტიკური სიმჭიდროვე, აბსტრაქცია, განცდითობა, ეტიმოლოგიური მეხსიერება* და სხვ.) მონათესავე ლინგვოკულტურათა კონცეპტების შესადარებლად ყველა-

[1] „ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით, რომელშიც ყალიბდება ეროვნული ენობრივი პიროვნება“ (ერაგია 2012:60).

ზე მოსახერხებლად სემიოტიკური სიმჭიდროვე ითვლება (ომიაძე 2015:115 და შმდგ.). მაღალი ხარისხის სემიოტიკური სიმჭიდროვის მქონე კონცეპტი „გამოხატულების პლანში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ანდაზებით, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებით" (ომიაძე 2009:69). სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება ***„ბედის"*** კონცეპტიც, რომელიც, როგორც „ცნობიერებების უმნიშვნელოვანესი კატეგორია" (ომიაძე 2009:96), ამავდროულად, ბაზისურ კონცეპტთა რიგში მოიაზრება (ბერკაცაშვილი 2020).

3.4.1 „ბედის" კონცეპტი ქართულ ენაში

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა „ბედი" ამგვარადაა განმარტებული:

ბედ-ი (ბედისა) – 1) განგება, სვე, წერა. 2) მომავალი ხვედრი, იღბალი. 3) კარგი ხვედრი, – იღბალი, ბედნიერება. 4) არსებული მდგომარეობა, ყოფა, პირობები. 5) გადატ. საცოლე ან საქმრო, – საბედო (ქეგლ-ი 2008:984-986)[1].

ბედ ძირ-ფუძის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ბ. გიგინიეიშვილს, რომელიც თავდაპირველ სახედ ვარაუდობს **„ბად"** ძირს

[1] როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ძველ რედაქციაში ლექსემა **ბედი** ცრურწმენასთან არის დაკავშირებული (ქეგლ-ი 1950:1114-1115). ასეთივე კავშირი ჩანს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა (ქსე 1977:265) და ფილოსოფიურ ლექსიკონშიც (1987:65).

(შდრ. მეგრული უ-ბად-ო „ბოროტი“, „ცუდი“) და აღნიშნავს მის მიმართებას „ძვ. სლ. **беда**-სთან („ბედისწერა“), ლიტ. **bêda**-სთან („უბედურება“), გუთ. **baidjan**-თან („იძულება“)“ (გიგინეიშვილი 2016:46).

ნ. ბერკაცაშვილი სადისერტაციო ნაშრომში „ბედის“ კონცეპტს აანალიზებს მითოლოგიური ფატალიზმის[1], რაციონალისტური[2] და თეოლოგიური[3] თვალსაზრისით და ასკვნის, რომ ბედის ფენომენის ინტერპრეტაციები კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს (ბერკაცაშვილი 2020). ერთი რამ ცხადია: „ქართველის ენობრივ ცნობიერებაში ბედი არსებობს როგორც სავსებით რეალური – ადამიანი გრძნობს მის თვისებებს, მის გამოვლინებას, რასაც გამოხატულება აქვს ქართულ ენასა და დისკურსში“ (ომიაძე 2009:96).

ქართულში *ბედს* უამრავი სინონიმი აქვს (*წერა, ბედისწერა, იღბალი, ბედ-იღბალი, სვე*[4]*, სვე-ბედი, გან-*

---

[1] იგულისხმება წინასწარგანსაზღვრულობა, როგორც გაუცნობიერებელი ქმედება.

[2] ავტორს მხედველობაში აქვს წინასწარგანსაზღვრულობა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კონტექსტში.

[3] აღნიშნული თვალსაზრისით „ბედის“ კონცეპტი დაკავშირებულია ყოვლისშემძლე ღვთის ნებასთან გაიგივებულ აბსოლუტურ წინასწარგანსაზღვრულობასთან.

[4] შდრ. ძვ. ქართული **სუე** (უფროჲს ხოლო ესე განგებისა არს საქმე, ვიდრეცა **სჳსა** *(ნემეს., პეტრ., 146, 13)* (მელიქიშვილი და სხვები 2010:72). შდრ. აგრეთვე ამავე სიტყვისგან ნაწარმოები დადებითი კონოტაციის ლექსიკური ერთეულები: **სვესვიანი, სვესრული, სვეტკბილი** (ჯორჯანელი 2003 (ბ):87).

გება, ხვედრი, წილი, ეტლი[1], ფატუმი[2], დავლათი[3], დორანი[4], ყისმათი[5], ნასიბი[6], უღური[7], აჯალი[8], რუზღი[9]

---

[1] **ეტლი** 2. ძვ. ცთომილი, ვარსკვლავი. || ცრურწმენით – ბედის ვარსკვლავი. რა ეტლზე დაბადებულა!... (რა ვარსკვლავზე დაბადებულა, რა ბედი ჰქონია). 3. პოეტ. გადატ. ბედი, ბედისწერა (http://www.ena.ge).

[2] **ფატუმი** [ლათ. Fatum ბედი, ბედისწერა] გარდუვალი ხვედრი, იღბალი, ბედისწერა (http://www.ena.ge). შდრ. აგრეთვე მითოლოგიური ლექსიკონი: **ფატუმ** – ლათ. „სიტყვა“, განაჩენი – ღმერთების; გარკვეული ბედი, ბედისწერა, იუპიტერის ნება, რაც უსათუოდ აღსრულდება. ლათინურად ეს სიტყვა ბედისწერასაც ნიშნავს, ბედის განჩინებასაც, სიკვდილის ჟამსაც... (გელოვანი 1983:495). შდრ. აგრეთვე **ფორტუნა** [ლათ. Fortuna] 1. რომაულ მითოლოგიაში: ბედ-იღბლის ღვთაება. 2. ბედნიერი შემთხვევა, იღბალი (http://www.nplg.gov.ge).

[3] ალ. ჭინჭარაული შენიშნავს, რომ **დავლათი** ვაჟასთან ყოველთვის ბედს, იღბალს, სვეს აღნიშნავს. შესაბამისად, **დავლათიანი** განმარტებულია როგორც „დავლათის, იღბლის მქონე, სვებედნიერი“ (ჭინჭარაული 1969:109).

[4] შდრ. ქეგლ-ი: **დორანი** მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზები თავმოყრილი არიან (თ. სახოკ.). ვატყობ, დორანი ვნახე კალმახთა! (კ. კალ.). || გადატ. ბედი, იღბალი. ვისაც ეშინოდა, ისინი იყვნენ დორანში! (გ. ბუთხ.). ◊ დორანი დაეცემა საუბ. იხ. დაეცემა. ◊ დორანში ჩავარდება საუბ. კარგი ბედი ექნება, კარგ ცხოვრებასა და სიმდიდრეში ჩავარდება (http://www.ena.ge). შდრ. აგრეთვე ზემოიმერული: **დორანი** – გადატ. ბედი, იღბალი. **დორანი დეეცემა** ბედი ეწვევა (ძოწენიძე 1974:142).

[5] შდრ. ჯავახური **ყასმათი** ბედი, იღბალი (ზედგინიძე 2014:298).

[6] **ნასიბი** კუთხ. (ფშ.) «ბედი, იღბალი» (http://www.ena.ge).

[7] **უღური** (თურქ) იღბალი, ბედი. „შენი **უღური** რაც იქნება, ის შეგხვდება“ (ზედგინიძე 2014:274).

[8] ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ მითითებულია: „ეს სიტყვა ერთ საფლავის ქვაზე ამოვიკითხე. ამბობენ: რის ავადმყოფობა, რა ავადმყოფობა, **აჯალი** მოუვიდა და მოკვდაო, ე.ი. შუბლზე ეგრე ეწერაო“ (გრიშაშვილი 2023:39).

[9] **რუზღი** – ბედი, ყისმათი, იღბალი, აჯალი, წერა (გრიშაშვილი 2023:186).

და სხვ.). სინონიმური ერთეულების სემანტიკურ-სტილური ნიუანსების განსაზღვრა შესაძლებელია მათი ძირითად ლექსემასთან (ბედთან) მიმართებით. ამგვარი ანალიზისთვის პირველ რიგში სიხშირული მონაცემების გათვალისწინებაა საჭირო.

ადამიანთა რწმენით, ***ბედი*** და ***ბედისწერა*** – ორივე წინასწარ განსაზღვრული გარდაუვალი აუცილებლობაა; ამით ჰგვანან ისინი ერთმანეთს, მაგრამ ***ბედი***, ცალკე აღებული, ნეიტრალურია; ის შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც (შდრ. ატრიბუტივმსაზღვრელიანი შესიტყვებები: *კარგი ბედი, ცუდი ბედი, შავი ბედი და მისთ.;* აფიქსებდართული ძირები: *უბედო, ბედნიერი* და სხვ.[1]), ამიტომ ბედს ეძებს ადამიანი (მაგ., „ბედის საძებნელად სად არ წავიდა!“), მისი იმედი აქვს და, თუ გაუმართლებს, ემადლიერება კიდეც („ბედი მქონია“)[2].

ქართულში „ბედის“ მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვები და ხატოვანი გამოთქმები:

(1) **ბედ-ბოლო** – ბედი და ბოლო, საბოლოო ხვედრი (http://www.ena.ge).

---

[1] საინტერესოა, რომ ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ დადასტურებული ლექსემა **ბედხეირი//ბეთხეირი** განმარტებულია როგორც **უხეირო, უბედური** (გრიშაშვილი 2023:48), მაშინ, როდესაც ცალკე აღებული სიტყვა ***ხეირი*** დადებითი სემანტიკისაა (არაბ. „სიკეთე“, „წარმატება“; იხ. ქეგლ-ი: http://www.ena.ge) და, შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ „ბედხეირსაც“ კარგი ბედის შინაარსი ექნებოდა.

[2] ბედი პერსონიფიცირებულია შემდეგი სახელწოდების ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც: „ბედი და იღბალი“, „ბედი“, „ბედის ჩამოსვლა დედამიწაზე“ და სხვ. (ჩოხარაძე და სხვები 2015:443).

(2) **ბედგადაწყვეტილი** – ვისი ბედიც, ხვედრიც გადაწყვეტილია (http://www.ena.ge).

(3) **ბედგადახლართული** – ვისაც ბედი ვინმესთან (რამესთან) აქვს გადახლართული, გადაჯაჭვული (http://www.ena.ge).

(4) **ბედგამოცვლილი**[1] – მეორედ დაქორწინებული, ბედნაცვალი (http://www.ena.ge).

(5) **ბედდაკარგული** – ვინც ბედნიერება დაკარგა, გაუბედურებული (http://www.ena.ge).

(6) **ბედდამწვარი** – ცუდი ბედის მქონე, უბედო, გაუბედურებული (http://www.ena.ge).

(7) **ბედგამრუდებული** – ვისაც ბედი გაუმრუდდა, საქმე ცუდად წაუვიდა (http://www.ena.ge).

(8) **ბედგამწარებული** – ვისაც ბედი გაუმწარდა, უბედური, ბედგამწყრალი, ბედუკუღმართი (http://www.ena.ge).

(9) **ბედგამწყრალი** – ვისაც ბედი გაუწყრა, ბედუკუღმართი (http://www.ena.ge).

(10) **ბედგანამწარი** – ხელოვნ. ბედით გამწარებული, მწარე ბედის, ხვედრის მქონე (http://www.ena.ge).

(11) **ბედგანწირული** – ბედისაგან განწირული, უბედური (http://www.ena.ge).

(12) **ბედგატეხილი** – ვისაც ბედმა უმტყუნა, ვისაც ცხოვრება ცუდად წაუვიდა (http://www.ena.ge).

---

[1] შდრ. საპირისპირო მნიშვნელობის **ბედგამოუცვლელი** – ვისაც მეუღლე არ შესცვლია, პირველშერთულ მეუღლესთან ცხოვრობს (ზედგინიძე 2014:40).

(13) **ბედგაშავებული** – ბედშავი, უბედური (http://www.ena.ge).

(14) **ბედგაცუდებული** – ვისაც ბედი გაუცუდდა, ვისაც ბედმა უმუხთლა (http://www.ena.ge).

(15) **ბედდაწყევლილი** – საუბ. ბედისაგან დაწყევლილი, ბედუკუღმართი (http://www.ena.ge).

(16) **ბედისმიერი** – ბედით განსაზღვრული, ბედით განპირობებული (http://www.ena.ge).

(17) **ბედკეთილი** – ძვ. კარგი ბედის მქონე, ბედნიერი, სვიანი, ბედიანი (http://www.ena.ge).

(18) **ბედკრული** – ბედისგან დაწყევლილი, ბედშავი, უბედური (http://www.ena.ge).

(19) **ბედმოიეფე** – სიკეთის უხვად მომნიჭებელი (http://www.ena.ge).

(20) **ბედმოძულებული** – ბედით დაჩაგრული, უბედური (http://www.ena.ge).

(21) **ბედნავსი** – საუბ. 1. ნავსი ბედის პატრონი, მარცხიანი ბედის კაცი. 2. გადატ. რაიმე ცუდი, ნავსიანი (http://www.ena.ge).

(22) **ბედსვიანი** – იღბლიანი, ბედნიერი (http://www.ena.ge).

(23) **ბედუკეთური** – ძვ. ცუდი ბედის პატრონი, ბედუკუღმართი (http://www.ena.ge).

(24) **ბედუკუღმართი** – უკუღმართი ბედის პატრონი, ბედშავი, უბედური (http://www.ena.ge).

(24) **ბედყოფნა** – ინდ. ასეთ თუ ისეთ ბედში ყოფნა, რაიმე ხვედრის მქონეობა (http://www.ena.ge).

(25) **ბედშავი** – 1. ბედკრული, ბედუკუღმართი, უბედური. 2. საცოდავი, ბეჩავი (http://www.ena.ge).

(26) **ბედშეკრული** – 1. ვისაც ბედი შეეკრა, ბედი არ სწყალობს. ვისაც საბედო (საქმრო ან საცოლე) არ გამოუჩნდა (http://www.ena.ge)[1].

(27) **ბედშემომწყრალი** – ვისაც ბედი შემოსწყრა, ბედი არ სწყალობს, არ უმართლებს (http://www.ena.ge).

(28) **ბრმის ბედი აქვს** – ბედნიერია, ყველაფერში ხელი მომართული აქვს (https://idioms.tsu.ge/?p=2378).

(29) **ბედის ტრიალი** – უიღბლობა (https://idioms.tsu.ge/?p=2224). შდრ. **ბედის ბორბალი** (ცხოვრების ჩარხი, წუთისოფელი – ქეგლ-ი).

(30) **ბედი უღიმის** – საქმეში იღბლიანია (https://idioms.tsu.ge/?p=2232).

(31) **ბედის გაჭრა** – ბედნიერება, მოგება, გამარჯვება (https://idioms.tsu.ge/?p=2211).

ზემოთ დამოწმებულ მაგალითებში ზოგჯერ *ბედს* შეიძლება ჩაენაცვლოს ***იღბალი, ყისმათი;*** განსაკუთრებით მაშინ, როცა „ბედი“ დადებითი კონოტაციისაა; შდრ.: „იღბალი მქონია“, „იღბლიანი ვარ“, „ყისმათიანი ვარ, არ მეშინია“ და სხვ. ამის გამო, სემანტიკურად ყველაზე მეტად ბედს სწორედ ეს ორი ლექსემა უახლოვდება.

---

[1] შდრ. აგრეთვე ქართლურ დიალექტში: **ბედდაძვირებული –** ასაკს გადაცილებული გასათხოვარი ქალი (ან საქორწილო კაცი); **ბედი დაუძვირდება** – ბედი დროზე არ ეწევა, ბედი შეეკვრება (ქართლ. დიალ. ლექს. 1981:56-57). ჯავახურში: **ბედდამძვირებული** – ვისაც ბედი არ ეხსნება, მეუღლე არ ეძლევა, შინაბერა ან ბერბიჭა (ზედგინიძე 2014:41).

ბედთან//იღბალთან//ყისმათთან შედარებით ***ბედისწერა*** შეიძლება მკაცრი, მეტიც, შეუბრალებელი და სასტიკიც იყოს; შდრ. ქეგლ-ის ახალ რედაქციაში „ბედისწერის“ მეორე მნიშვნელობა: „2) გადატ. გარდაუვალი ხვედრი, აუცილებელი ბოლო, აღსასრული“ (http://www.ena.ge). ამიტომ ეშინიათ ადამიანებს ბედისწერის, რაც ენობრივად ასე გამოიხატება: *„საბედისწერო ნაბიჯი გადადგა“, „საბედისწერო შეცდომა დაუშვა“* და სხვ. ამ თვალსაზრისით, ბედისწერასთან ყველაზე ახლოს ***წერა*** დგას: *„მისი წერა (= მსხვერპლი) გახდა“; „წერამ აიტანა“.* ***წერა*** ყოველთვის ავისმომასწავებელია; საგულისხმოა, რომ მისი შინაარსობრივი გაგება მყარია და ამას აღწევს დამოუკიდებლად, ატრიბუტული მსაზღვრელის გარეშე; სემანტიკურად ამავე რიგში დგას ***ხვედრი;*** აღნიშნული ლექსემაც ხშირად მძიმე შედეგზე მიგვითითებს, მათ შორის დამოუკიდებლადაც („ეგ ყოფილა ჩემი//მისი ხვედრი“), თუმცა მსაზღვრელიც სჭირდება კონკრეტული მნიშვნელობის კონტექსტის შესაქმნელად: *„მწარე ხვედრი“, „მძიმე ხვედრი“ „ცუდი ხვედრი“, „კარგი ხვედრი“* (http://www.ena.ge).

ბედისა და ***ბედისწერის*** ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვება აქვს ს. ომიაძეს: „ბედი აუცილებლად ბედისწერა არ არის. ... ბედს თითქოს განაჩენი გამოაქვს, ხოლო ბედისწერა ამ განაჩენს აღასრულებს. აღასრულებს იმას, რაც „ბედის წიგნში ჩაწერეს“ წარსულში“ (ომიაძე 2009:97). „ბედის წიგნის მწერალს“ ვაჟა-ფშაველასთან **წერა-მწერელი** ჰქვია: „დაეფარება სანახავს / წერა-მწერელის წერითა“

(ვაჟა-ფშაველა 2011:141-142)[1]. ალ. ჭინჭარაულის აზრითაც, ვაჟა-ფშაველას **წერა-მწერელი** ადამიანის ბედიღბლის იმთავითვე განმსაზღვრელია (ჭინჭარაული 1969:325). გ. ხორნაულის ფშაური დიალექტის ლექსიკონში აღნიშნული ლექსემა განმარტებულია შემდეგნაირად: „ის (ღმერთი თუ ანგელოზი), ვინც ადამიანს დაბადებიდანვე „დაუწერს“ თავის ბედ-იღბალს, სიკვდილის დღეს და იმასაც, თუ რითი ან როგორ უნდა მოკვდეს“ (https://ice.tsu.ge/liv/fshauri.php#). საინტერესოა ისიც, რომ ბედისმწერალს ზემოიმერულში **მებედისწ(ე)რე** ეწოდება: „მევიდა სამი მებედისწრეი; გადუწყვიტეს მებედისწრეებმა ბედი“ (ძოწენიძე:237)[2].

ერთი შეხედვით ალოგიკურია, *წერას//ბედისწერას,* რომელიც ხშირად მსხვერპლთან, დაუნდობლობასთან ასოცირდება („ულმობელი ბედისწერა“) და ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებენ, რა საერთო უნდა ჰქონდეს აზრობრივად ***განგებასთან[3],*** რომელიც ბიბლიის მიხედვით, ღვთის ნებას განასახიერებს („განგება ღმრთისა“) და აღნიშნავს ღვთის განუწყვეტელ ზრუნვას ყველა თავის საქმეზე: მთელი ქვეყნიერების დაცვას, თავის ქმნილებათა დაცვა-შენახვას, ბოროტების სიკეთედ

[1] ბედისწერის წიგნი **ბედისწერის დავთრის** სახელითაც არის ცნობილი (იხ. ჯორჯანელი 2003 (ბ):87).

[2] შდრ. აგრეთვე ქართლურში: **ბედიმწერელი (ბედიმწერლად) გაუხდება –** რაიმე ცუდის, უბედურების მიზეზი გაუხდება (ქართლ. დიალ. ლექს. 1981:57).

[3] ამავე კონტექსტში საინტერესოა, რომ ***განგება*** მეგრული ზეპირსიტყვიერების ტექსტების მიხედვით უშუალოდ ღმერთთანაა დაკავშირებული: **ღორონთობა –** ღვთის განგება (სამუშია 1990:17).

გარდაქმნას და ა.შ. (ბიბლ. ლექს. 2000:70-72). საინტერესოა, რომ ზემოთქმულთან ერთად, *განგება* ბიბლიაში დაკავშირებულია: „ხალხების მიმართ თავისი სამსჯავროთი სასჯელის მიცემასთან“ (იქვე:70). შესაბამისად, „მორწმუნენი უნდა ხედავდნენ ღმრთის განგებას ბედნიერებაში... უბედურებაში... საყოველთაო უბედურებებში... ყველა შემთხვევაში“ (იქვე:72); ხოლო რაც შეეხება ბოროტ, უარყოფით ძალებს: „ბოროტნი უარყოფენ ღმრთის განგებას... წარმოადგენენ ღმრთის განგების აღსრულების ერთ-ერთ საშუალებას“ (იქვე:72)[1]. ღმერთს, როგორც უზენაეს ძალას, წარმოგვიდგენს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ასახული მითოლოგიური აზროვნებაც, რომლის მიხედვითაც „ბედის მწერლები“ (resp. „წერამწერლები“) „ღვთისგან მომდინარეობენ, უმაღლესი ღვთაების „სან-

[1] **ბედისწერაც** ხომ ერთგვარად განაჩენის აღმსრულებელია. აქვე საინტერესოა სულხან-საბასეული განმარტება ბ ე დ ი ს ა , რომელიც **ღვთის წყალობით** ბოროტების სიკეთით შეცვლაა: „ეგევითარნი კაცი ვინმე ბოროტის ღირსი **ღმერთმან შეიწყალოს** და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესევითართა სახელად ბ ე დ ი ეწოდების“ (სულხან-საბა ორბელიანი 1991:100). ზეპირსიტყვიერებაში განგებისა და ბედის ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესო თვალსაზრისს ავითარებს ბ. მოსია: „ხალხურ ლექსებში განგება უფლის ფარდი ცნებაა, ამავე დროს უფლის ნების გამომხატველი ტერმინი, ხოლო ეპოქათა მიხედვით, სავარაუდოდ ქრისტიანობის ეპოქაში, განგებასთან გაიგივებულია ბედი, რომელიც ადრინდელ, უძველესი წარმოდგენების მიხედვით, სამყაროს, ადამიანის შესაძლებლობებზე აღმატებული ძალაა“ (მოსია 2004). ბედისწერასთან და „ბედის მწერლებთან“ დაკავშირებული ხალხური წარმოდგენების შესახებ ფოლკლორული მასალების მიხედვით იხ. აგრეთვე არაბული 2002; კაპანაძე-გაფრინდაშვილი 2006; გოგიაშვილი 2020.

ქციას“ მორჩილებენ, მის ბრძანებასა და დავალებას ასრულებენ და ამით თავიანთ უფლებრივ შეზღუდულობას დასტურყოფენ“ (არაბული 2002:27)[1].

3.4.2 „ბედის“ კონცეპტი დანარჩენ ქართველურ ენებში

ლექსემა **ბედი** სხვა ქართველურმა ენებმა (მეგრულმა, ლაზურმა და სვანურმა) ქართულიდან შეითვისეს. ქართულის მსგავსად, ამ ენებშიც „ბედი“ კარგია თუ ცუდი, უმეტესად ატრიბუტული მსაზღვრელის ან პრედიკატის საშუალებით განისაზღვრება. **მეგრულს** ქართულთან საერთო აქვს აგრეთვე „ბედის“ სინონიმი **იღბალი//ელბალი**, თუმცა იგი, „ბედთან“ შედარებით, ნაკლებად გამოიყენება. „ბედის“ მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვები და იდიომები მეგრულშიც მრავლადაა; საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე მათგანს.
მეგრული მასალა:
(32) **ბედგუმნათირა** – ბედნაცვალი (ქობალია 2010:60).
(33) **ბედდალიური** – ბედდალეული (იქვე:60).
(34) **ბედ დო ორთა** – სვე-ბედი, წილ-ხვედრი (იქვე:60).

[1] „ბედის“ კონცეპტი ცალკე კვლევის საინტერესო საკითხია „ვეფხისტყაოსანში“. აღნიშნული კონცეპტის სემანტიკური ანალიზი და ***„ბედის“, „უბედობის“, „განგების“, „სოფლისა“*** და ***„საწუთროს“*** მონაწილეობით შექმნილი კონტექსტები „ვეფხისტყაოსანში“ სპეციალურად შესწავლილი აქვს ს. ომიაძეს (იხ. ომიაძე 2016:254-261). რუსთველისეული მსოფლმხედველობის კონტექსტში ბედის სემანტიკური ველის („ასტროლოგიური განგება“, „ფათერაკი“, „მოწევნადი“ და სხვ.) რელიგიურ-ფილოსოფიური ანალიზი ვრცლად იხ. ნოზაძე 1963; ხინთიბიძე 1975, 2018.

(35) **ალალ ბედ(ი)შა** – ალალ ბედზე. **უკმელას ალალ ბედშა მიშუ** „უკუნეთში ალალ ბედზე მიდიოდა“ (ხალხ. სიბრძ. II:16).

(36) **ბედი აკოსქვილი** – ბედშეკრული, უბედური. **ბედ მაფგ აკოსქვილი, მუთუნ საქმეშა ხექ ვემმათხინგ** „ბედი არა მაქვს, ვერაფერ საქმეს ხელი ვერ მოვკიდე“ (იქვე:21)[1].

(37) **ბედი აკოჭვილი** – ბედდამწვარი = უბედური, უიღბლო. **ბედი აკოჭვილ აფგ თე ცოდაშ სქუას, მითინქ ვეცუნგ** „ბედდამწვარია, „ბედი დამწვარი აქვს“ ეს ცოდვის შვილი, არავინ წაიყვანა, „ვერ გათხოვდა“. **ჯგირ ცირა უფარეთი – ბედი აკოჭვირი რე** „კარგი გოგო უფულოდ – ბედდამწვარია“ (იქვე:21)[2].

(38) **ბედის გინასქიდგ** – ბედზე გადარჩა, ხიფათს ასცდა. **ბედის გონოსქილადგ მიტუშაშ ბაღანა, ეთი მართუშე ეკულირ კოს ვაუძირგ მითინ** „ბედზე გადარჩენილა მიტუშას ბავშვი, იმ მორევიდან ამოსული კაცს არ უნახავს არავინ“ (იქვე:21)[3].

(39) **ეღბალი ნორღვე დო გაგიმართლუ** (ექსპ. მასალები) – კარგი ბედი გქონია და გაგიმართლა[4].

---

[1] შდრ. მსგავსი მნიშვნელობის კომპოზიტები: **ბედელასქვილი** (ქობალია 2010:60); **ბედაკოხართილი, ბედაჭუ//ბედაჭი** (ქობალია 2020:74).

[2] შდრ. **სო მითიჭუ თე ძღაბიშ ბედიქ**?! (ექსპ. მასალები) – „სად ჩაიწვა ამ გოგოს ბედი?!“

[3] შდრ. **იღბალს გესქიდუ** (ექსპ. მასალები) – იღბალზე (ძლივს//ბედად) გადარჩა [ხიფათს].

[4] შდრ. **ეღბალი ვანორღვე, სი ცოდა** (ექსპ. მასალები) – ბედი, იღბალი არ გქონია, შე საცოდავო (თანაგრძნობის გამოხატვა).

(40) **ბედიქ განწყგ** – ბედი გაეხსნა. **ბედიქ განწყგ თე ძღაბის, ომბოლი რე დო ცოდა რე** (ექსპ. მასალები) „ბედი გაეხსნა ამ გოგოს, ობოლია და ცოდვაა“.

(41) **ბედ(ი)ქ დაკილგ** – ბედი გადაეკეტა, ბედი არ სწყალობს. **ბედ(ი)ქ დაკილგ თე ძღაბის, – მაზაკვალიშ ძირაფილ ოკო რდას** „ბედი არ სწყალობს ამ გოგოს, – გათვალული უნდა იყოს“ (ხალხ. სიბრძ. II:21).

(42) **ბედიქ კარს ქგმადირთგ** – ბედი კარზე მოადგა, ბედს ეწია. **ბედიქ კარს ქგმგოდირთგ დო ვარიას იჩიებუქო, სი ხვამელსქუა!** „ბედი კარს მოგადგა და უარს ამბობ, შე დალოცვილის შვილო!“ (იქვე:22).

ამასთან, მეგრულში დასტურდება „ბედ“ ძირზე უარყოფის აფიქსებით ნაწარმოები ლექსემები, რომლებიც შესიტყვებებშიც მონაწილეობენ:

(43) **უბადო**[1] – ბედითი, ავბედი, უბედური; ბოროტი, უკეთური (ქობალია 2010:607).

(44) **ბედუდური** – უბედური, ბედმკვდარი (იქვე:60).

(45) **უბადო თოლი** – ბოროტი თვალი (იქვე:607); **უბადო თოლიში** – ავთვალი (იქვე:607); **თოლუბადო** – ავთვალი (იქვე:319).

[1] შდრ. საბასთან: **უბადო** – ძვ. «ცუდი, ავი» (საბა). «რადგან ეგრე უბადოს საქმესა მავალ იყავ, მამამან შენმან შიკრიკად რად არ დაგადგინა?» (http://www.ena.ge). ***უბადო//უბადობა*** მსგავსი მნიშვნელობით („უბედური“, „საწყალი“, „საცოდავი“; „უბედურება“) დასტურდება ძველ ქართულშიც (იხ. ძვ. ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის ელექტრონული ვერსია: http://www.nplg.gov.ge).

(46) **უბადო შური** – ავი სული (იქვე:607); **უბადო შური-ში** – ავსული (იქვე:607)[1].

(47) **უბადო გური** – ბოროტი გული (იქვე:607); **უბადო გურიში** – ავგული (იქვე:607).

(48) **უბადო დღა** – ავდარი (იქვე:607)[2].

(49) **უბადო ზოთონი** – მძიმე ზამთარი, დიდთოვლობა (იქვე:607).

(50) **უბადო კუჩხი** – ცუდი ფეხი (იქვე:607); **უბადო კუჩ-ხიში** – ცუდი ფეხისა (იქვე:607).

(51) **უბადო მიკალი** – სახიფათო მოსახვევი (იქვე:607).

(52) **უბადო შარა** – სიკვდილის გზა, ავბედითი გზა (იქ-ვე:607).

(53) **უბადო წანა** – უბედური წელი (ომიანობის, სტიქი-ური უბედურების, შიმშილობის წლებზე იტყვიან (იქვე:607).

(54) **უბადო ჭირი** – ჟამი, შავი ჭირი, უკურნებელი სენი; აბეზარი კაცი, გადაუჭრელი პრობლემა (გადატ.). (იქვე:607).

(55) **უბადოშ მოუნე** – ავის მოსურნე, ავსიტყვა (იქ-ვე:607).

(56) **ჟამუბადო** – ავი ჟამი, დროება (იქვე:566).

(57) **ცუჯუბადო** – ავყური (იქვე:657).

(58) **ხეუბადო** – ხელთარსი, ხელმრუდი (იქვე:722).

---

[1] შდრ. **შურუბადო//შურბადო** – ავსული, ბოროტი, სულმდაბალი“ (ქობალია 2010:665).

[2] შდრ. **ტაროზუბადო//ტაროზბადო** – ავდარი (ქობალია 2010:600).

(59) **ჯარუბადო//ჯარბადო** – ავისმზრახველი, შურიანი (იქვე:735).

მეგრულში *ბედისწერის* ზუსტი ფორმობრივ-შინაარსობრივი შესატყვისია ქართულის მიხედვით შექმნილი შესიტყვება **ბედიშ ჭარა** (ქობალია 2010:60):

(60) მა მუში იმენდო ქოპუუ, „მე მისი იმედის (ანაბრად) დამტოვა („მყო“),
გეკომიჭუ ბედიშ ჭარა... დამიწვა ბედისწერა...“
(ქართ. ხალხ. სიტყვ. I 1975:83).

ამავე სემანტიკურ რიგში დგას აგებულებითა და ლექსიკური მნიშვნელობით მსგავსი **ცვაიჭარა** (← **ცვაში ჭარა**) **ცვაჭარა,** რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შუბლის წერას“ ანუ „შუბლზე დაწერილს“, ბედისწერის ნიშანს შუბლზე, ე.ი. ბედს, როგორც წინასწარ განჩინებულს, განგებას (ჩიქობავა 1938:49; ქართ. ხალხ. სიტყვ. II 1991:629). ხალხური წარმოდგენით, ბედი შეიძლება „იწერებოდეს“ ბეჭის ძვალზე ან ფრჩხილზე (ქობალია 2010:707). შდრ.: **ცვაიჭარუ** – წერამწერალი, შუბლზე ბედის მწერალი (ქობალია 2010:653)[1] და აქედან ნაწარმო-

[1] საინტერესოა, რომ სამეგრელოში **ეფუთი** ჰქვია „ბედის წიგნს“, რომელსაც უფროსი თაობის მთქმელები ბედისწერაზე საუბრისას აუცილებლად ახსენებენ. შდრ. ლექსიკონის განმარტება: **ეფუთი//ეფურთი** ეფრემ ვერდი, ასტროლოგიური წიგნი (ქობალია 2010:286).

ები **უცვაიჭარე** (← **უცვაშიჭარე**) – უბედო, უშუბლწერო, უანაწერო (იქვე:617)[1].

(61) მუქ გაღოლუ სი **უცვაიჭარე,** მუში მამალას მედინი (ექსპ. მასალები) – „რა დაგემართა შე საწყალო// უბედურო (სიტყვასიტყვით: „უშუბლწერო“//„უანაწერო“), რა მალე დაიკარგე (=როგორ უდროოდ წახვედი [ამ ქვეყნიდან]).

(62) **თაში იმუშუუ თიში ცვაიჭარაქ** (ექსპ. მასალები) – ასე იმუშავა მისმა ბედისწერამ (ასე მოექცა ბედისწერა).

(63) **ცვაიჭარაშა სოლე გარტინე**?! (ექსპ. მასალები) – განგებას//ბედისწერას საით გაექცევი?!

მეგრულში რამდენადაც *ცვაიჭარა „ბედისწერა“* ცუდი განაჩენის მომასწავებელია, იმდენად საპირისპირო მნიშვნელობისაა *ცვამურიცხ-* ფუძისგან ნაწარმოები ქონების სახელი: ***ცვამურიცხ-ამ-ი*** სიტყვასიტყვით: „შუბლვარსკვლავ-იან-ი“; გადატ. „ბედნ-იერ-ი“, შდრ.: ცაგ., I, 26; ყიფ., 284“ (ხალხ. სიტყვ. II 1991:628); შდრ.: ქართული ***ქუდბედ-იან-ი*** *ვისაც ქუდბედი დაჰყვა იღბლიანი* (http://www.ena.ge), (აღნიშნული კომპოზიტის

[1] თ. სახოკიას ცნობით, „რაიმე უბედურობისგან უდღეოდ მკვდარ კაცზე იტყვიან ხოლმე: „ეტყობა, ასე სწერებია (შუბლზე)“. ცნების „უბედურ კაცის“ გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს – „უყვაშჭარე“, ე.ი. კაცი, რომელსაც შუბლზე არაფერი (კარგი) აწერია, ანუ „უანაწერო“ (სახოკია 1956:113). ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით **უცვა(შ)იჭარე** არის უბედური, გარდაცვლილი ადამიანი, რომელსაც შუბლზე არ ეწერა დიდი ხნის სიცოცხლე (სახოკია 1956:141).

თხზვის მოტივაციაზე ვრცლად იხ. ომიაძე 2009:106-108). *იღბლიანის, ბედნიერის* შინაარსს ატარებს აგრეთვე ლექსემა ***ცვარჩე*** (იხ. ყიფშიძე 1994:418). ბედისა და ვარსკვლავის კავშირი (შდრ. ქართული: **„ბედის ვარსკვლავი"; „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული")** მეგრულისთვისაც არ არის უცხო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. ყიფშიძის თვალსაზრისი, რომლის თანახმად **მასქური** ლექსემა რთულია და ორ ფუძეს აერთიანებს: ***მასკულავ-*** (←ვარსკვლავი) + ***სქური*** → მა-სქური. მეგრულში ლექსემა „მასქური" ორი ძირითადი მნიშვნელობითაა ცნობილი: ა) კარგი ამინდის მაუწყებელი ქარი, რომელიც სქურის ხეობიდან ქრის[1]; ბ) ვარსკვლავი // განთიადის ვარსკვლავი (ყიფშიძე 1994:488; ქაჯაია 2002:226; ქობალია 2010:393; ქობალია 2020:168, 330, 455)[2].

ამგვარი განმარტებების მიუხედავად, **მასქური** „ვარსკვლავის, „ბედის" მნიშვნელობით არ გამოიყენება დადებით კონტექსტში; პირიქით, იგი **წერას** უტოლდება[3].

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ქობალიას ლექსიკონში გვხვდება ამ ლექსემის სრულიად საპირისპირო მნიშვნელობაც, კერძოდ: **მასქური** – წყლით მობერილი სიო, საწვიმარი ღრუბლის მომრეკი ქარი (ქობალია 2010:393).

[2] ს. მაკალათიას მიხედვით, **მასკური** მეგრულში ზოგადად მთის ნიავის აღმნიშვნელია (მაკალათია 1941:232).

[3] ***მასქური*** *„ვარსკვლავი"* და ***ჭარას*** *„წერა"* სინონიმური ურთიერთკავშირის საილუსტრაციოდ ი. ყიფშიძე იმოწმებს მაგალითს მეგრული ზღაპრიდან (ყიფშიძე 1994:482).

მეგრული **ცვაიჭარა** კომპოზიტის მეორე კომპონენტი **ჭარა** ზუსტი ფონეტიკურ-ლექსიკური შესატყვისია ქართული ლექსემისა **წერა**. მსგავსად ქართულისა, მეგრულშიც ცალკე აღებული *ბედი* თუკი ნეიტრალური მნიშვნელობის მატარებელია (შდრ. **ჯგირი** ბედი „კარგი ბედი“, **გლახა** ბედი „ცუდი ბედი“), *ჭარა „წერა“* უმრავლეს შემთხვევაში უარყოფითი შინაარსის კონტექსტებს ქმნის[1]:

(64) **ჭარა მარე** – ბედისწერა მოსდგომია, ხიფათი, უბედურება ელის (ხალხ. სიბრძ. II:102).

(65) **ჭარამორინელი** – ბედისწერამოწეული; წერასაყოლილი (ქობალია 2010:707).

(66) **ჭარაჭვილი** – ბედდამწვარი (იქვე:707).

(67) **ჭარას რე ეცუნელი** (ექსპ. მასალები) – სიტყვასიტყვით: „წერას არის აყოლილი“ შდრ.: ქართ. წერასაყოლილი.

(68) **თენა გერჭარუდუო, სკუა?!** (ექსპ. მასალები) – „ეს გეწერა, შვილო?!“ (დატირების დროს იტყვიან).

---

[1] შდრ. მეგრ. **საჭარა** – საბედისწერო (ქობალია 2010:589). აღსანიშნავია ისიც, რომ მეგრულში ცალკე აღებული ***ჭარა*** „წერა“ ლექსემის უარყოფითი სემანტიკის პარალელურად, ა. ქობალიას ქართულ-მეგრულ ლექსიკონში დასტურდება მაგალითები, რომელთა მიხედვითაც ***ბედი*** და ***ჭარა*** სინონიმურ რიგში განიხილება და მსგავს, ერთგვარ ნეიტრალურ შინაარსს ატარებს. შესაბამისად, კომპოზიტის მეორე ნაწილი ან შესიტყვების სხვა წევრი განსაზღვრავს დადებით და უარყოფით მიმართებებს: **ჭარაჭვილი** „ბედდამწვარი“, **ჭარაშ ნდურია** „ბედის მდურვა“ (ქობალია 2020:74).

(69) **თენა გენორჭარუე დო მუს იქუნქ?!** (ექსპ. მასალები) – „ეს გეწერა თურმე და რას იზამ?!“ (თანაგრძნობის გამოხატვის დროს იტყვიან).

აღსანიშნავია, რომ მეგრულში დასტურდება *ჭარას* მნიშვნელობის ***ანაწერი***[1] ფორმაც; ა. ქობალიას ლექსიკონში მოცემულია პარალელური ***ანაწერე*** – *განწირული, უბედო, წერას აყოლილი, წერაატანილი* (ქობალია 2010:37); შდრ.: ფშაური ***ანაწერი, ანაწერა*** – *წერა, ბედისწერა; მსხვერპლი* (http://www.ena.ge). გარდა ამისა, მეგრული ***ჭარუ,*** გარდა მისი ძირითადი მნიშვნელობისა („მწერალი“), ქართული „წერამწერლის“ შესატყვისადაც გამოიყენება (ქობალია 2010:707).

მეგრულში ცალკე უნდა გამოიყოს ***ჭარ*** *„წერ“* ძირისგან ნაწარმოები ლექსემა **ჭარაფა** ღირსება, ღირსყოფა, წყალობა (ქობალია 2010:707):

(70) **ღურა იჭარუ** – სიკვდილი ინატრა, სიკვდილი დაიბედა (ქობალია 2010:707).

(71) **სქანი დუდი მოჭარე** „შენი თავი მაღირსე“ (ქართ. ხალხ. სიტყვ. I 1975:114).

(72) **ვამაჭარუ ჯგირი დღაქ ორჩინელშე** (ექსპ. მასალები) – არ მეღირსა კარგი დღე (=კარგი ბედი) სიბერეში.

[1] ჩვენი აზრით, ანაწერი (← ქართ. ჩანაწერი) არის ის, რაც ხალხის რწმენით „ბედის წიგნში ჩაწერეს“ წარსულში (იხ. მსჯელობა ზევით **ბედისა** და **ბედისწერის** მიმართებასთან დაკავშირებით).

ლაზურში „ბედის“ გარდა ვხვდებით თურქულიდან ნასესხებ **„ისთერაჭი“**[1] და **„კისმეტი“//„კისმეთი“**[2] ლექსიკურ ერთეულებს. კომპოზიტებსა და ხატოვან გამოთქმებში აქაც ხშირია „ბედი“, იშვიათად დასტურდება „კისმეტი“ და „ისთერაჭი“:

(73) **ბედიგოჭვერი** – უბედური (ბედდამწვარი) (კალანდია 2005:14).

(74) **ბედიხამანწა**[3] – უიღბლო (ბედშეკრული) (იქვე:14).

(75) **ბედი დიქთირუფს//დიქთურამს** – ბედს იცვლის, მეორე ცოლი მოჰყავს (ხალხ. სიბრძ. II:136).

(76) **ბედი მუში გორუფს** – მის ბედს ეძებს (იქვე:137).

(77) **ბედი მუში ჩუმერს//ჩვამს** – მის ბედს უცდის; მოწიფულ ასაკშია და არ // ვერ თხოვდება (იქვე:137).

(78) **ბედი მუჭიშუნ//მუნჭუშუნ** – ბედი [მო]უსწრებს, ხელი ეწყობა, იღბალი აქვს, უმართლებს (იქვე:137).

(79) **ბედი ნაჭარენ** – ბედი [მი]ეწერება, იღბლიანია, ბედი აქვს (იქვე:137).

---

[1] **ისთერაჭი** (თურქ.) იღბალი: „ღნოსი დო ისთერაჭიქ მელეშენ ქომუკიწკედეს“ – ჭკუამ და იღბალმა გაღმიდან გადმოიხედეს (თანდილავა 2013:318).

[2] **კისმეტი//კისმეთი** (თურქ. Kismet) წილი, ბედი, იღბალი: ფადიშაი ღურუტუ-შ-კულე ბიჭეფე მუშის ჰეშო უწუ-ქი: თქვანი კისმეთი-ა მცხულს მეჩანს-ჲა“. ხელმწიფე რომ კვდებოდა, მის შვილებს ასე უთხრა: თქვენი ბედი მსხალს აბია (ასხია) (თანდილავა 2013:375).

[3] ეს ლექსიკური ერთეული **ბედიხამწა** ფორმით წარმოდგენილია ლექსიკონში, რომელიც ლაზური ზღაპრების კრებულს დაერთვის (იხ. ლაზური პარამითეფე 1982:39).

(80) **ღნოსი დო ისთერაჭიქ მელეშენ ქომუკიწკედეს** – ჭკუამ და იღბალმა გაღმიდან გადმოიხედეს (თანდილავა 2013:318).

(81) **ელე-მელე კისმეტიში რენ** (**ონ**) – ელა-მელა ბედისაა, უიღბლოა, ბედი არ სწყალობს (ხალხ. სიბრძ. II:198).

(82) **ვაჲბედითენ აღოდენ** – ვაი-ბედით ემართება, უცაბედად ემართება (იქვე:206).

(83) **ვაჲბედიში რენ** (**ონ**) – ვაი-ბედისაა, უბედურია, ბეჩავია, უიღბლოა (იქვე:206).

ბედისწერის გარდუვალობაზე მოგვითხრობენ შემდეგი სახელწოდების ლაზური ზღაპრები: „კისმეტი“ (=ყისმათი), „იგბალი“ (=იღბალი). ლაზურში ასეთი გამოთქმაც არსებობს: „კისმეტი ვარ ნიჭკიეტენია“ (=ბედი არ დაიჭრება//შეიცვლება) (ჩოხარაძე და სხვები 2015:443-444).

სვანურში *ბედი,* მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, დადებითი მნიშვნელობითაც დასტურდება და უარყოფითითაც. ამასთან, მაგალითების მიხედვით ნათელია, რომ ლექსემა „ბედი“ სვანურში აქტიურია პერსონიფიცირებულ სინტაგმებში[1]:

(84) **ბედუ ჯჯაცხ** (ბზ.) – ბედი გექნებათ (ბედიმც გქონდეთ) (თოფურია, ქალდანი 2000:149).

[1] აღსანიშნავია, რომ სვანურში ლექსემა *ბედი* სხვა მნიშვნელობითაც დასტურდება, კერძოდ: **ბედ²** – მიზეზი, ბრალი (თოფურია, ქალდანი 2000:149).

(85) **ა’სერ ლუცხუ̃ლე ნიშგე ბედ!** (ბქ.) – ვაი ჩვენს დამწვარ ბედს („შეტრუსული ჩვენი ბედი“) (იქვე:149).
(86) **ალ დინა აშმა̃რ ლი ბედიშ** (ლშხ.) – ეს გოგო მადლიერია ბედის[ა] (იქვე:149).
(87) **ბედს ლოქ დაგწეუ̃** (ლნტ.) – ბედს გწევო (იქვე:149).
(88) **ღე̃რბეთდ ხოჩა ბედ ამჲე** (ლშხ.) – ღმერთმა კარგ ბედს მწია (იქვე:102).
(89) **ოჲ, ლგკჩეუ̃ ლი ბედი მიშგუ!** (პოეზ.) – ოი, ნეტავ ჩემს ბედს (ნეტარი არის ჩემი ბედი)! (იქვე:149).
(90) **ამჟი ლი მიშგუ გუ̃ეშიბედ** (ბზ.) – ასეა ჩემი ბედ-იღბალი (იქვე:181).
(91) **ჟეღი ბედ** (ექსპ. მასალები) – ძაღლის ბედი.
(92) **ლგშიხ ბედიშ** (ექსპ. მასალები) – ბედდამწვარი.
(93) **უბა̆დ ანჯად** (ექსპ. მასალები) – გაუბედურება, უბედური გამოდგა.
(94) **ბედ ხაზარენა//ბედ ხაშხუ̃ნენა** (ექსპ. მასალები) – ბედი შენახული ჰქონია.
(95) **ბედ ლეხოდან** (ექსპ. მასალები) – ბედი მიეცა.
(96) **ეზერ ბედისგა ხორი** (ექსპ. მასალები) – კარგ ბედში ჰყავს (მაგალითად, საქონელი, შინაური ცხოველი, რომელსაც კარგად კვებავს პატრონი).
(97) **ხოლა ბედიშ ლგმა̆რ** (ექსპ. მასალები) – ცუდი ბედისა ყოფილა.
(98) **ლა̆დი ხოჩა ბედ გუ̃არ ბაცს** (ექსპ. მასალები) – დღეს კარგი ბედი გველოდება (იტყვიან მოსალოდნელ პურმარილზე).

(99) **ამიშ ბედჟი და̃რ ანფაშ** (ექსპ. მასალები) – ამისთვის//ამის გულისთვის („ამის ბედზე“) არავინ შეწუხდა.

(100) **ამი̃ ბედჟი ბა̃ჴს მა̃მ ხუგემ** (ექსპ. მასალები) – ამისთვის//ამის გულისთვის ნაბიჯს არ გადავდგამ.

ბედთან სემანტიკურად ახლოს დგას სვანურში დადასტურებული ლექსემები **იღბა̃ლ//იღბალ** „იღბალი“, **სუ̃ეუ̃//სუ̃ეი//სუ̃ი//სეუ̃//სოუ̃//სოი** „სვე“, **ფა̃ედა//ფაედა//ფა̃ედა**[1] „ბედი“. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

(101) **ზურა̃ლს თეურ იღბალ ეთთხანა̃ნ** (ლშხ.) – ქალს ცუდი (უთვალო) ბედი შეხვდა (თოფურია, ქალდანი 2000:258).

(102) **იღბა̃ლ ესერ ქა ხეტხუნი** (ბზ.) – იღბალი წაერთმევაო (იქვე:308).

(103) **ლახუ̃ბას ხახგრგნხ ხოხრა მუხუ̃ბემ ხოჩა იღბალ** (ბქ.) – ძმებს შურდათ უმცროსი ძმის კარგი ბედი (იქვე:308).

(104) **იღბა̃ლ ეშიი დემ ლოქ ჯითუ̃ეფენი** (ლნტ.) – ბედი მაინც არ დაგეკარგებაო (იქვე:308).

(105) **ოხურშუ̃ენ ჯგგრა̃გ – სუ̃ეუ̃ი მუჰუ̃დი** (ბზ.) – ვახსენე წმინდა გიორგი – სვე-ბედის მომცემი (იქვე:711).

(106) **ქა ლოქ ხაყა შის ედ სოი, ედ ბედ** (ლშხ.) – ან სვე, ან ბედი ხელს გაჰყვებაო (იქვე:817).

---

[1] საინტერესოა, რომ ეს ლექსემა სვანურში აღნიშნავს **ბარაქასაც** (თოფურია, ქალდანი 2000:754).

(107) **ალ ზურალს ხოლა ფაჲდა ლაჰოდენა** (ბქ.) – ამ ქალს ცუდი ბედი ჰქონია (მისცემია) (იქვე:754).

სვანურში *წერა//ბედისწერა* გადმოიცემა პარალელური **ნაწერ//ნაწერ//ბედინაწერ** ერთეულებით; შდრ.: მეგრულსა და ქართული ენის დიალექტში არსებული ამავე მნიშვნელობის *ანაწერი* ფორმა. ემპირიული მასალით დასტურდება, რომ სვანურში აღნიშნული ლექსიკური ერთეული მხოლოდ უარყოფითი შინაარსით გვხვდება. მეტიც, სვანურში **ნაწერ//ნაწერ** ზოგჯერ სიკვდილის სინონიმიცაა:

(108) **ნაწერ ახჯედა** (ექსპ. მასალები) – წერამ უწია.

(109) **ნაწრიშოღ აჯჯედა** (ექსპ. მასალები) – ნაწერიმც („ნაწერისამც“) მოგსვლია.

(110) **ბედიშ[ი] ნაწერი თხუმთე ლრ̄ზი** (ლშხ.) – ბედისწერის შესრულება (თოფურია, ქალდანი 2000:149).

(111) **დემ ხოჯედენი ნაწერ** (ლნტ.) – სიკვდილი არ აკითხავს (მოსდის) (იქვე:622).

წყევლის ფორმულებში ლექსემა *ბედი წერის//ბედისწერის* მნიშვნელობისაა. თავისთავად, წყევლა მიანიშნებს ნეგატიურ შინაარსზე, თუმცა *ბედს ამ კონტექსტში* დამატებით ხშირად ახლავს უარყოფითი კონოტაციის მსაზღვრელები:

(112) **მიჩა მჳნწერიდოუ̄ ოლსიპელი!** (ექსპ. მასალები) – მის წერად გადაქცეულიყოს („წერადამც გადაქცეულა“)!

(113) **მუბირ ისგუ ბედ!** (ბქ. ექსპ. მასალები) – ვაი, შენი ბრალი! (ზედმიწ. „ბნელი შენი ბედი!“ – ერთგვარი მუქარაა).

(114) **მგნჩხრიაშ ბედიშ სი!** (ექსპ. მასალები) – შანთის წერა(ვ) („ბედისავ“) შენ!//**მგნჩხრიაშ ბედიშოღ სი!** (ექსპ. მასალები) – შანთის წერამც ხარ!

(115) **ცხუმი ბედიშ ალ მარე!** (ექსპ. მასალები) – ტყვიის წერამც არის ეს კაცი.

(116) **თხეროლე ბედიშდოღ ოლსყელი!** (ექსპ. მასალები) – მგლების წერამც („ბედისამც“) გამხდარა!

(117) **ბოგრიშ ბედიშ!** (ბქ.) – დიდბატონების[1] ბედისა! (წყევლაა) (თოფურია, ქალდანი 2000:157).

(118) **სი ფანცალაა[შ][2] ბედიშ!** (ბზ.) – შე ბანდალას ბედისავ! (ასე წყევლიან ძაღლებს) (იქვე:750).

(119) **ქელეფენიშ ბედიშ!** (ბქ.) – კეთრის მსხვერპლო (წყევლაა) (იქვე:782).

(120) **ქუშიში ბედიშ!**[3] (ბზ.) – ქვიშის ბედისა (ქვიშის კერძი)! (იქვე:790).

(121) **ხუარცაშ ბედიშ!** (ბქ.) – ქეცის ბედისა! (თხებს ასე წყევლიან) (იქვე:877).

„ბედის“ კონცეპტის სემანტიკური ანალიზის შედეგად არასალიტერატურო ქართველურ ენებშიც, ქართულის მსგავსად, საერთო რწმენა-წარმოდგენებზე დამყარებული მრავალფეროვანი მასალა გამოიკვეთა და ცნობიერების სხვადასხვა ტიპი გამოიყო.

---

[1] იგულისხმება ყვავილი, ყვავილბატონები.

[2] **ფანცალაა** – ბანდალა, ფანცალა, ბანცალა (ძაღლის ავადმყოფობაა) (თოფურია, ქალდანი 2000:750).

[3] **ქუშ** – ცხენის ავადმყოფობაა (თოფურია, ქალდანი 2000:790).

3.4.3 „ბედის“ კონცეპტი ქართველურ ენათა ანდაზებში

ბედის კონცეპტის სემანტიკური ველი ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებით მოტივირებული ყოფითი და რელიგიური ცნობიერების მიხედვით ქართველურ ენათა ანდაზებში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ყველაზე ხშირია ლექსემა *ბედი;* შედარებით იშვიათად გვხვდება *იღბალი, ბედისწერა;* საკუთრივ *წერა* მხოლოდ ქართულ და სვანურ („ნაწერ“) ანდაზებში დადასტურდა.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველურ ენათა ანდაზებში ასახულია რწმენა იმის შესახებ, რომ ბედი ბრმაა, წინასწარ განსაზღვრული და გარდაუვალია; მისგან კარგსაც შეიძლება ელოდო და ავსაც, შესაბამისად, ანდაზების შინაარსში ადამიანთა სიფრთხილე ჩანს; ამის დასტურია *ბედის* მონაწილეობით შექმნილ ანდაზათა პარალელურ ვერსიებში იშვიათად, მაგრამ მაინც *ღმერთის* შემოყვანა[1]; როგორც ჩანს, ადამიანი მხოლოდ ბედის იმედად არ არის, რადგან იგი ბრმაა (ან გაგიმართლებს, ან – არა), ამიტომ ევედრება ღმერთს; ღმერთის ბოძებული კი ყოველთვის გაამართლებს. ასე იკვეთება ადამიანის დამოკიდებულება უფალთან, რომელიც უზენაესია და ყოველთვის სიკეთის შემოქმედია;

[1] შდრ. მეგრული ანდაზები: ა) **ბედი** ქომუჩი დო წყარს გიმოცოთია „ბედი მომეცი და წყალში ჩამაგდეო“ (შეროზია, მემიშიში 1994:18). იგივე ქართული: **„ბედი** მომეცი და ნეხვთა დამფალო“ და ბ) **ღორონთი, ბედი** ქომუჩი დო წკვარამც გიმოცოთია (კვირტია 2019:225) „ღმერთო, ბედი მომეცი და უფსკრულში ჩამაგდეო“.

ამიტომაც ადამიანი ფრთხილობს ბედთან, მაგრამ ენდობა ღმერთს.

ემპირიული მასალა:

ქართული

(122) **ბედისწერას** ვერავინ გაექცევაო (http://idioms.tsu.ge/?p=20579).

(123) ყველა **თავის ბედს** თვითონ ჭედსო (http://idioms.tsu.ge/?p=20197).

(124) **უბედოდ** არაფერი იქნებაო (http://idioms.tsu.ge/?p=17118).

(125) **თავის ბედს** კაცი ვერ შემოუვლისო (http://idioms.tsu.ge/?p=16671).

(126) **ბედი** მომეც და ქვაზე დამსვიო (http://idioms.tsu.ge/?p=12641).

(127) მგელს რომ **წერა** მოუვა, შუა გზაზე დადგებაო (ხალხ. სიბრძ. V 1965:115).

მეგრული

(128) **ბედი** მუში ქოგიღუნ – სქანი რენია „ბედი რისიც გაქვს, შენი არისო“ (შეროზია, მემიშიში 1994:18).

(129) **იღბალი** ქოიღუდა, ვადინუქია „იღბალი თუ გაქვს, არ დაიკარგებიო“ (იქვე:18).

(130) **ბედშა** მითინს ვანტინენია//**ბედიშა** კოს ვამდაართენია „კაცი ბედს ვერ გაექცევაო“ (იქვე:18). შდრ.:

(131) კოს **ცვაიჭარაშა** ვემდაართე (იქვე:70) „ადამიანი ბედისწერას ვერ გაექცევაო“.

(132) კოს **ცვაიჭარაშა** ვარტინენია (ექსპ. მასალები) „კაცი შუბლზე დაწერილს//ბედისწერას ვერ გაექცევაო“[1].

ლაზური

(133) **ბედიშ** ოსთერუ დო იხიშ ობარუ არ რენ „ბედის თამაში და ქარის დაბერვა ერთია“ (შეროზია, მემიშიში 1994:203).

(134) კოჩის **იგბალი** მუში ყვას ნოჭარუნ „კაცს თავისი ბედი შუბლზე აწერია“ (იქვე:225)[2].

(135) კოჩის **ისთერაჭი** ვარ უღუტაში, ღნოსითე მუთუ ვარ ივენ „კაცს თუ ბედი არა აქვს, ჭკუით არაფერი გამოვა“ (იქვე:225).

(136) სქანი **კისმეტი** ვა ენ-ნა, ლუკმა ხეშენ მეგილაფს „შენი ბედი თუ არ არის, ლუკმა ხელიდან გაგივარდება“ (იქვე:250).

(137) ჩქიმი **კისმეტი** თრანგიქ[3] ოხოი-ჩქიმიშა ქომოიმერს! „ჩემს იღბალს ღმერთი ჩემს სახლში მომიტანს!“ (იქვე:259).

---

[1] შდრ.: მუთ გერჭარუნ, თიშა სოთინ ვაგარტინენია „რაც გაწერია, იმას ვერსად გაექცევიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:98).

[2] შდრ.: ნა მეგოჭარუნ, ემუს ვარ გოგაქთინენ „რაც გიწერია, იმას ვერ გაექცევი“ (შეროზია, მემიშიში 1994:239).

[3] ანდაზაში ღმერთის მოტივზე მსჯელობა იხ. ზემოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზურში თურქულიდან ნასესხები ***თრანგი//თანგრი//თანრი*** ლექსიკური ერთეულის გვერდით დასტურდება საერთოქართველური ***ღორმოთი//ღორმოტი*** ფორმაც (ქუთელია 2001). საინტერესოა მათი დიფერენცირების ფაქტი ლაზურ წყევლაში: ***თრანგიქ გოხელას დო ღორმოთიქ ვა გოხელას*** „თრანგიმ გაგახაროს და ღმერთმა არ გაგახაროს“ (ქუთელია 2001:247).

სვანური

(138) **ბედიშ** ნამ̈ტ̌ჳნ ჴაცას ესერ ლახგენა „ბედს გაქცეული დაღუპვას მისდგომიაო“ (დავითიანი 1973:21).

(139) **ლირდე-ბედიშ** მგსყი ამსოლდ თხუმდ ჯი ესერ ლი „ბედის მომწყობი თავად ადამიანი არისო“ (იქვე:58).

(140) **ნ̈წერიშ** მ̈შედ დ̈ს ესერ ხოთხა „ბედისწერის წამალი ვერავის უპოვნიაო“ (იქვე:115).

(141) **ნ̈წერიშდ** ღეჳ̈რ ი მაწ̌დი ეშ̌ი ესერ ლი „ბედისწერისათვის დამნაშავე და მართალი ერთი არისო“ (იქვე:115).

(142) **ნ̈წერს** ჩუ დ̈რ ესერ მოშ ხ̈პჟა „ბედისწერას ვერავინ ვერ დამალვიაო“ (იქვე:116).

(143) კუჳ̈ჩხ̈ჲ დაჴგლ ჲედ ესერ გ̈ჩი **ბედიშ** ლი, მრდჳ თხერემიშ „კოჭლი თხა ან დანის წერაა, ან მგლისაო“ (კორძაია 2000:90).

(144) ქათალ ესერ ლახ მრმა ანგრე, გ̈ჩ̈ **ბედიშდ** ესერ ჴედნი „ქათამი კვერცხს თუ არ დებს, დანის წერა გახდებაო“ (იქვე:214).

ამრიგად, ქართველური ენების ემპირიული მასალის სისტემურმა ანალიზმა წარმოაჩინა „ბედთან“ დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ენობრივი გამოხატულება და დააზუსტა ანდაზებში „ბედის“ კონცეპტის სემანტიკურ-დისტრიბუციული ველი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში გაცილებით პროდუქტიულია „ბედი“, ვიდრე ამავე სინონიმურ წრეში შემავალი სხვა ლექსემა. ამას-

თან, ის ანდაზები, რომლებშიც „ბედის“ კონცეპტია წარმოდგენილი, გაფრთხილების შინაარსს შეიცავენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბედი ბრმაა; შესაბამისად, ანდაზის დამრიგებლური შინაარსი პრაგმატიკული დანიშნულებითაც არის განპირობებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველურ ენათა ანდაზებზე ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით დაკვირვება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, რაც საბოლოოდ საერთოქართველური ლინგვოკულტურული სივრცის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

3.5 ანდაზები ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

დისკურსის აქამდე არსებული განმარტებები არაერთგვაროვანია. ხშირად დისკურსს ტექსტის სინონიმად ან ტექსტისა და ინტერტექსტის ერთიანობად მიიჩნევენ: „დისკურსად გაიგება ყოველგვარი გაბმული ტექსტი, გადმოცემული (ფიქსირებული) ქაღალდზე, ნაწერსა თუ ინფორმაციის მატარებელ ელექტრონულ ფაილში ან ცოცხალი მეტყველება, მისი ყველა სპეციფიკური ელემენტით ე.წ. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთიანობაში“ (მსახურაძე 2013:17). ერთმანეთისგან განასხვავებენ დისკურსის ფართო და ვიწრო გაგებას. ფართო გაგებით, დისკურსი არის „ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია, რო-

გორც წერის მეშვეობით ფიქსირებული მასალა“ (ომიაძე 2009:24)[1]. სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონის (2021 წ.) მიხედვით, დისკურსი არის „ფუნქციურად დასრულებული და მწყობრი საკომუნიკაციო ერთეული, გამონათქვამთა ერთობლიობა, რომელიც განიხილება ექსტრალინგვისტურ (სოციოკულტურულ, პრაგმატულ, ფსიქოლოგიურ და მისთ.) ფაქტორებთან ერთად, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, რომელიც როგორც კომპონენტი, მონაწილეობს ადამიანებისა და მათი კოგნიტური პროცესების მექანიზმების ურთიერთქმედებაში. ენათმეცნიერებაში ეს ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ენათმეცნიერმა ზელიგ ჰარისმა (Zellig Harris) 1952 წელს“ (კიკვიძე 2021:43).

პოლიტიკური დისკურსი განიხილება როგორც პოლიტიკოსის მიერ ან პოლიტიკური ინსტიტუციის (პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების, პარლამენტის ან პოლიტიკური პარტიების) დაწერილი ან წარმოთქმული ტექსტი როგორც ლოკალურ, ისე ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეებზე (Van Dijk 1997:12)[2]. პოლიტიკურ დისკურსში ერთიანდება პოლიტიკური პარტიების პროგრამები, დებატები, პოლიტიკოსთა გამოსვლები, ინტერვიუები ამა

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ომიაძე 2009:18-32.

[2] ორიგინალში: “The vast bulk of studies of political discourse is about the text and talk of professional politicians or political institutions, such as presidenta and prime ministers and other members of government, parliament or political parties, both at the local, national and international levels” (Van Dijk 1997:12).

თუ იმ აქტუალურ თემაზე და სხვ. პოლიტიკურ დისკურსს, როგორც დისკურსის ერთ-ერთ მიმართულებას, აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა თვალსაზრისით; განსაკუთრებით ეს ითქმის უცხოენოვან სამეცნიერო სივრცეზე (Dunmire 2012; Jones 2016; Elimadi, Benhima 2023 და სხვ.), თუმცა პოლიტიკური დისკურსისადმი ინტერესი საქართველოშიც უფრო და უფრო იზრდება (კირვალიძე 2009; გაგოშიძე 2016; ბახტაძე 2021 და სხვ.).

პოლიტიკურ დისკურსში, როგორც კონკრეტული მიზნით წარმართულ საკომუნიკაციო აქტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიზნის მიღწევის ენობრივი და გარეენობრივი საშუალებები. უმეტესად მსმენელის დარწმუნებასა და მასებზე ზემოქმედებისკენ მიმართული პოლიტიკური დისკურსი ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მკვეთრად მარკირებულია, რადგან მისი ავტორი პოლიტიკოსი, ერთი მხრივ, ცდილობს საკუთარი თავი ელექტორატთან იდეოლოგიურად ახლოს მყოფად წარმოაჩინოს, ხოლო მეორე მხრივ – საკუთარი კომპეტენტურობის ხაზგასასმელად და მსმენელის ნდობის მოსაპოვებლად გარკვეული დისტანცირებაც მოახდინოს მათგან. მაშასადამე, „პოლიტიკური ლიდერის დისკურსი თანადროულად როგორც მოსახლეობასთან იდენტიფიკაციას, ასევე მასთან დისტანციურობას უნდა გამოხატავდეს“ (ადეიშვილი 2013:54-55). პოლიტიკოსმა, ამ ერთგვარად ურთიერთსაპირისპირო გზით, უნდა შეძლოს განსხვავებული ასაკის, სქესის, ეთნოსის, რელიგიისა და შეხედულებების მქონე ადამიანებზე ეფ-

ექტური ზემოქმედება. ამდენად, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები ერთობლივად აყალიბებს პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციულ სტრუქტურას, რაშიც გარკვეულ როლს ანდაზებიც თამაშობს.

აღნიშნულია, რომ ანდაზები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის, როგორც ტექსტის ან მეტყველების ფორმაში წარმოქმნილი საკომუნიკაციო აქტის, ფორმირებაში, არგუმენტაციული ტექნიკებისა და სტრატეგიების შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ (Gándara 2004; Mieder 2009; Orwenjo 2009; Rusieshvili 2011; მსახურაძე 2013; Glonti 2020). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანთა დისკურსი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსისა და მიზნის თვალსაზრისით. ამგვარ დისკურსულ განსხვავებებზე უდიდეს გავლენას ახდენს აგრეთვე ელექტორატი ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც არის გამიზნული კონკრეტული დისკურსი; ამიტომ ნებისმიერი პროფესიული დისკურსის და, მით უფრო, პოლიტიკური დისკურსის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს; ისეთებს, როგორიცაა: მოსაუბრისა და მსმენელის ფონური ცოდნა, საერთო კულტურული სივრცე, ერის იდეოლოგია, კონკრეტული დრო-სივრცული მოცემულობა და სხვ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის შესწავლა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ტექსტისა და მეტყველების სტრუქტურული თავისებურებებით. საჭიროა აგრეთვე კონტექსტის გათვალისწინება და დის-

კურსულ სტრუქტურებთან მისი მიმართებების წარმოჩენა (Van Dijk 1997:15).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დისკურსის კვლევა აქტუალურია როგორც საკუთრივ ლინგვისტიკისთვის, ისე სხვა ჰუმანიტარული დარგებისთვისაც, ვინაიდან დისკურსანალიზი გულისხმობს ინტერდისციპლინურ მეცნიერულ სფეროს და ენათმეცნიერებასთან ერთად მოითხოვს კვლევაში ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, სოციოლოგიისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინათა ჩართვას.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურასა და შინაარსს ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განსაზღვრავს, თუმცა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ქსოვილი სწორედ ის უმთავრესი მასალაა, რითიც იგი საკუთარ გამოსვლებს აგებს, ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზანს და მიიმხროს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური დისკურსი უპირველესად ლინგვისტიკის საკვლევი ფენომენია, ვინაიდან „სწორედ ლინგვისტური ხერხებისა და ჩარჩოების საშუალებით პოლიტიკოსები ცდილობენ სასურველი მიზნების მიღწევას“ (გაგოშიძე 2016:9).

როგორც ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციულ სტრუქტურაში მსმენელების დარწმუნების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება გამორჩეულად მაღალი მე-

ტაფორულობის მქონე ისეთი უნივერსალური ენობრივი ერთეული, როგორიცაა ანდაზა. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ანდაზებში ასახულია ეროვნული კულტურის მრავალფეროვნება, ერის მენტალიტეტი, მისი სპეციფიკურობა; შესაბამისად, ანდაზა არამარტო აზრის მხატვრულად გამოხატვას ემსახურება, არამედ მასში მოცემულია ერის ისტორია, გამოცდილება, მსოფლხედვა, მისწრაფება და ა.შ.

პოლიტიკოსთა მეტყველებაში ზოგადი სიბრძნის მატარებელი ანდაზების გამოყენებას კონკრეტული დანიშნულება აქვს: საკუთარ დისკურსში ანდაზის გამოყენებით ერუდიციის ხაზგასმასთან ერთად პოლიტიკოსი ცდილობს ადრესატს აგრძნობინოს, რომ მათ საერთო ინტერესი და ღირებულებათა სისტემა აქვთ. იმის გამო, რომ ანდაზას ამა თუ იმ ხალხის ყოველდღიურ ყოფაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ადამიანთა უშუალო დაკვირვებას, მათ გამოცდილებას ემყარება, ანდაზით შეპირობებული და შემაგრებული სათქმელი დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე; ამიტომ, როდესაც პოლიტიკოსი საკუთარ დისკურსში ანდაზებს იყენებს, ფაქტობრივად, ხალხს მათივე ენით ესაუბრება.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დისკურსი პოლიტიკოსის მიერ ან პოლიტიკური ინსტიტუციის სახელით შემუშავებული ტექსტია. რადგან საზოგადოების წინაშე გამოსვლისას სახელმწიფო ენაზე საუბრობენ, ანდაზის შემცველი პოლიტიკური დისკურსი მხოლოდ ქართულ ენაზე მოგვეპოვება. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, მაგალითებს ვიმოწმებთ ქართული ენის ერ-

ოვნული კორპუსიდან (http://gnc.gov.ge/gnc/page) და სხვა ელექტრონული რესურსიდან.

ჩვენი დაკვირვებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სადავო იყოს, პოლიტიკოსის მიერ მოხმობილი ანდაზა ესადაგება თუ არა არსებულ კონტექსტს; შესაბამისობის დადგენა ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არ არის. მოხმობილ საილუსტრაციო მაგალითებში პოლიტიკოსთა ტექსტის სტილი და გრამატიკულ-პუნქტუაციური მონაცემები დაცულია:

(1) ჩვენ ბრალს გვდებენ, თითქოს სახელმწიფო საბჭოს ტანკებს ვაწოდებდით, რათა მას წესრიგი დაემყარებინა დასავლეთ საქართველოში, და უცებ ეს ტანკები, ტ-72-ები, აღმოჩნდნენ სამხრეთ ოსეთში, როგორ მოხდა ეს? ერთი სიტყვით, ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, **ქურდი დღეში სამჯერ გამოტყდებაო** (http://gnc.gov.ge).

(2) ჩვენ ასდღიანი შესვენება, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის წესები ითვალისწინებს, გავაკეთეთ, და ვაცალეთ ახალ მთავრობას, შეესრულებინა დაპირებების თუნდაც მცირედი პროცენტი. აეხლა მე უყურებდი დებატებს და გამახსენდა ჩვენი ბრძენი ხალხის შესანიშნავი ანდაზა – **ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო...** ერთმანეთს ედავებოდა ერთიანი პოლიტიკური ჯგუფი (http://gnc.gov.ge).

(3) წუხელ რუსთავი-მა კვლავ გამოგვიცხადა ბარიერგადალახულად 4 ე.წ პოლიტიკური პარტია რო-

მელთა, მინიმუმ ნახევარს, ამომრჩეველი როგორც ასეთი საერთოდ არ გააჩნია და არც არასოდეს ყოლია. გამახსენდა ბრძნული ქართული ანდაზა **„არ გათეთრდების ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა“** (http://gnc.gov.ge).

(4) მე ვიცი, რომ ბევრი საყვედური გაისმის ჩემს მიმართ, კანონიერი ხელისუფლების მიმართ თვით ჩვენს მომხრეებშიც, რომ ამ დრომდე არ ავლაგმეთ თურმე ეს ბანდები და დავუშვი ამ მოღალატური ხელისუფლების დამყარება საქართველოში. მეგობრებო, **მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო** – ქართული ანდაზაა. ფაქტობრივად, მე დამტოვეს მარტო. გაიხსენეთ ჩემი მოწოდებები დეკემბრის პუტჩის წინ. მიტინგზეც აღარ მოდიოდა ხალხი (http://gnc.gov.ge).

(5) თუმცა მაინც ვერ ჩავთვლი ვერც (...)[1] და ვერც მის პარტიას პრორუსულად. იმ პარტიას კი, რომელიც მას უტევს, მაგრამ აშშ-ზე უარს ამბობს და ნატოს აკრიტიკებს, ვერ დავარქმევ პროდასავლურს. ასეთი ბრალდებები მაგონებს ქართულ ანდაზას, **გაღმით შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო.** ამას აჯობებს გავიგოთ, რას აპირებენ ეს პარტიები „ქარბორბალების“ მოწყობის შემდგომ, რას გააკეთებენ. ჯობს ამაზე იფიქრონ, ვიდრე ხალხის ქუჩაში გამოყვანასა და რევოლუციაზე (https://kvirispalitra.ge).

[1] დამოწმებულ მასალაში კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის სახელისა და გვარის ნაცვლად მრგვალ ფრჩხილებში ჩასმულია სამწერტილი.

(6) ქართული ანდაზაა, **„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“.** საქართველოში, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში ეს ანდაზა არ მუშაობს. ათასჯერ გვითხრეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა... საქართველოს არ აქვს შანსი ნატოში გაწევრიანების, რა ენაზე უნდა გვითხრან მეტი. ინგლისურად გვითხრეს, ფრანგულად გვითხრეს, გერმანულად გვითხრეს, ამდენი ხანია მე ქართულად ვამბობ ამას, კიდევ რა ენაზე უნდა გვითხრან? (https://www.timer.ge).

ნათელია, რომ ხალხური სიბრძნის მოშველიების კვალდაკვალ, პოლიტიკოსი ცდილობს ხაზი გაუსვას ხალხთან სიახლოვეს და საკუთარი თავი მის ნაწილად მოიაზროს; აგრეთვე, აქცენტი გააკეთოს ისეთ კონცეპტებზე, როგორებიცაა „ქართული“, „ჩვენებური“ და სხვა ***(„ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს..“; „ჩვენი ბრძენი ხალხის შესანიშნავი ანდაზა...“),*** მთქმელი ცდილობს, მეტი დამაჯერებლობა შესძინოს ნათქვამს. ექსპლიციტურად იმის საგანგებო აღნიშვნა, რომ ესა თუ ის თვალსაზრისი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას არ ეკუთვნის, არამედ გამყარებულია სხვათა მოსაზრებებითაც, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად საუკეთესო გზაა.

გარდა საკუთარ შეხედულებათა მნიშვნელობის წარმოჩენისა, წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ პოლიტიკოსი ანდაზას მოწინააღმდეგეთა შეხედულებების ნეგატიურად წარმოჩენისა და ამ შეხედულებათა მნიშვნელობის გაფერმკრთალებისთვისაც იყენებს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ დისკურსში ანდაზის

გამოყენების მიზანი ხშირად პოლიტიკური მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია და საკუთარი პოზიციების გამყარებაა.

პოლიტიკოსისთვის მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია, თუკი პოლიტკორექტულობის ფარგლებს არ სცდება, ერთ-ერთი წარმართველი არგუმენტაციული ტექნიკაა. იგი პოლიტიკური მოწინააღმდეგის მოსაზრებათა გაბათილებას, ოპონენტის იდეების სისუსტის არგუმენტაციასა და საკუთარი უპირატესობების ხაზგასმას ემსახურება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკური ოპონენტის მისამართით გამოთქმულ განსაკუთრებულად მძაფრ განცხადებებსაც ვხვდებით. პოლიტიკოსები მკაცრი და კრიტიკული ტონით ამჟღავნებენ საკუთარ უარყოფით, ხშირად სატირულ-იუმორისტულ დამოკიდებულებას მათი ოპონენტების, ცალკეული პოლიტიკოსების მიმართ, გამოირჩევიან მკვეთრად ნეგატიური ლექსიკით. ამ კონტექსტში გამოყენებული ანდაზა, რომელსაც მთქმელი საგანგებოდ არჩევს, კიდევ უფრო მეტ სიმძაფრესა და, ამავდროულად, მეტაფორულობას სძენს ნათქვამს; მაგალითად,

(7) „ნაცმოძრაობა“ განგაშის ზარებს არისხებს, პერმანენტული აქციებისთვის ქუდზე კაცს ითხოვს და იმუქრება, რომ ცივ შემოდგომას პოლიტიკურ ცეცხლს შეუნთებს, რომ... რუსთაველზე „მაიდანი“ არაა გამორიცხული. აკი, „თბილისობას“, „რუსთავი 2“-ის ეთერში, (...) ღიადაც განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნებს აღარ დაელოდება. მოკლედ, „შავი პრინცი“ მორიგ რე-

ვოლუციას გეგმავს! ქართული ანდაზა გვასწავლის: **„გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“,** მაგრამ პოლიტიკაში უკვე იმდენი გიჟი გვყავდა, რომ დავიღალეთ (https://for.ge).

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ანდაზა ზოგჯერ მთქმელის ინტერპრეტაციით და, მაშასადამე, გარკვეული სახეცვლილებითაც გვხვდება. ტრადიციული ანდაზის გარდაქმნის მიზეზი შეიძლება იყოს შემთხვევითობა//უნებლიობა//ანდაზის ზუსტი ფორმულირების არცოდნა ან დავიწყება. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი მაგალითის განხილვა:

(8) მთავრობა ბიუჯეტის შევსებისა, თუ განკარგვის საკითხეფს ცალმხრივათ განიხილავს და ამას მოჰყვება სწორედ ის, რომ ბიუჯეტის გადახედვისას იმ ციფრების იქით … აა.. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ქართული ანდაზა: **„შინ, რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რას უნდა … რა უნდაო“** სწორედ ამაზეა მორგებული (http://gnc.gov.ge).

პოლიტიკოსის მიერ დამოწმებული ანდაზა სინამდვილეში ასეთია: *„შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“,* თუმცა საინტერესოა, რომ ამგვარი უზუსტობები ძირითადად ხელს არ უშლის პოლიტიკურ ფიგურას მიზნის მიღწევაში; მისი ელექტორატი, რომლისთვისაც ანდაზის დედააზრი კარგად ნაცნობია, მთქმელის პოზიციასა და ჩანაფიქრსაც სწორად ამოიცნობს და ხშირ შემთხვევაში შეიძლება ყურადღება არც მიაქციოს ზემოაღნიშნული ტიპის დარღვევებს.

ანდაზის გავრცელებულობა და საყოველთაოობა განაპირობებს იმასაც, რომ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ანდაზა ეფექტურია მაშინაც, როდესაც იგი მთქმელის მიერ ნაწილობრივ შეკვეცილია:

(9) პარლამენტის პირველმა პირმა და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა გვითხრა, რომ არსებობს ქართული სახელმწიფოს შენებასა და გაძლიერებაზე უფრო მნიშვნელოვანი პროექტი. ვიტყოდით **„არა შეჯდა მწყერი ხესაო...“** მაგრამ მისივე პოლიტიკური საგვარეულოდან ისეთი გამოარჩიეს – ტატამს იქით რომ არ უნდა გაუშვა და ისიც მხოლოდ გოგონებთან საჭიდაოდ (https://formulanews.ge/News/62231).

(10) როგორც დედამიწა ვერ მოწყდება მზის ორბიტას, ისე ვერ მოწყდება (...) ვერასდროს (...). ეს არის მარტივი დასკვნა. ეს არის მათი შიდა ომი და კიდევ უამრავი კომპრომატი და თავსლაფდასხმა იქნება როგორც ერთის, ისე მეორის მხრიდან. მოკლედ, როგორც ქართული ანდაზა იტყვის – **„არა შეჯდა მწყერი ხესაო“** (http://kvira.ge/663628).

ნათელია, რომ (9) და (10) ანდაზებში მეორე ნაწილი ***(„...არა იყო გვარი მისი“)*** მოყვანილი არ არის, თუმცა ეს არ ქმნის პრობლემას; პოლიტიკურ დისკურსში ცნობილი და გავრცელებული ტრადიციული ანდაზების გამიზნული თუ უნებლიე სახეცვლით გამოყენება მსმენელისთვის არ აბუნდოვანებს ნათქვამს და პოლიტიკოსიც მიზანს ადვილად აღწევს. პოლიტიკოსის მხრიდან ანდაზის ტრანსფორმაცია ზოგჯერ შეგნებულადაც

ხდება. ქვემოთ მოყვანილ კონტექსტებში, სავარაუდოდ, სწორედ ზემოხსენებული შემთხვევა გვაქვს:

(11) დიდი სახელმწიფოები შეთახმდენ და ქვეყანა გაინაწილეს. და რომ ეს განაწილება მისაღებათ გამოეტანათ, მას სახელი გამოუცვალეს, დაპყრობის და ანექსიის მაგიერ დაარქვეს გავლენის სფერო. ამით ვითომ მშვიდობიანობა დამყარდა. ნათქვამია: **კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო.** ამ ეშმაკის როლს ასრულებს იგივე იმპერიალიზმი, იგივე ნაციონალიზმი, რომელიც თავის საზღვრებში ვერ ისვენებს, არ ისვენებს და მუდამ ხელის მოსათბობს ეძებს (http://gnc.gov.ge).

(12) მიუხედავად იმისა, რომ არაფერზე არ ნერვიულობენ ძალაუფლების დაბრუნების გარდა და კარგად იციან, რომ არჩევნებით ვერ დაბრუნდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანა როგორ აურიონ. ასეთი ქართული ანდაზა, არის, – **„მღვრიე წყალში თევზი დაიჭირეო“** აი, ასე არიან ისინი, იქნებ ამ არეულობის დროს რაღაცას გამოჰკრან ხელი. ეს არის მათი მიზანი პარლამენტს გარეთ და შიგნითაც (https://gtmedia.ge).

(13) პროცესი გაჭედილია, პარტიების ნაწილს უნდა რომ **მღვრიე წყალში თევზი დაიჭირონ,** ეს არის (...) პარტია, ჩემდა გასაოგნებლად, ეს არის პარტია ლელო, რომელიც (...) რადიკალია, ვერ ვიჯერებ (...) რატომ აქვს ასეთი პოზიცია, ვერ ავხსენი და არის ერთი-ორი უპასუხისმგებლო პარტია (https://on.ge).

ქართულში ცნობილი და გავრცელებულია ანდაზა „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“, თუმცა მოყვანილ (11) მაგალითში ამ ანდაზის ტრადიციულისაგან განსხვავებულ ვარიანტს ვხვდებით. ვფიქრობთ, რომ ***ღმერთის*** ჩანაცვლება ***ეშმაკით*** შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს, რადგან ორატორის კონკრეტულ მოტივაციას განსაზღვრავს ის, რომ „ეშმაკი“ მისი ძირითადი ლექსიკური ერთეული, ერთგვარი „გასაღები სიტყვაა“ მოწინააღმდეგის დასახასიათებლად (შდრ. შემდგომი ტექსტი: „ამ ეშმაკის როლს ასრულებს იგივე იმპერიალიზმი, იგივე ნაციონალიზმი...“). რაც შეეხება შემდგომ (12), (13) მაგალითებს, აქ მთქმელი ცდილობს ცნობილი ქართული ანდაზის ***(„მღვრიე წყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო“)*** პირიანი ზმნური ფორმები შეცვალოს, რათა ამ გზით დააკონკრეტოს ადრესატი და ანდაზა მოარგოს კონტექსტს.

ამდენად, ქართული პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციული სტრუქტურის ანალიზი თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ პოლიტიკოსების მეტყველებაში ანდაზების გამოყენება განპირობებულია, ერთი მხრივ, ზოგადად პოლიტიკური დისკურსის, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ჟანრის, მახასიათებელთა ერთიანობით, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ ანდაზის მეტაფორული ბუნებით. ჩვენი დაკვირვებით, პოლიტიკურ გამოსვლებში ანდაზების გამოყენების უმთავრესი მოტივი სწორედ ანდაზის ალეგორიული და მეტაფორული ხასიათია. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ენაში არსებული კოგნიტური მეტაფორები უპირველესად ერის ცნობი-

ერებით, ღირებულებათა სისტემით, სოციალურ-კულტურული თავისებურებებით იკვებება, ხოლო ანდაზები, როგორც კულტურულად მარკირებული ერთეულები, მეტაფორულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან (კირვალიძე 2009). პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულობის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია ის არის, რომ პოლიტიკოსი ხშირად ცდილობს საკუთარი სათქმელი ადრესატს არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ შეფარვით, შესაბამისი ქვეტექსტებით მიაწოდოს. ამავე კონტექსტში საინტერესოა, რომ, „პოლიტიკური დისკურსი სხარტად იყენებს და ითვალისწინებს ადამიანის გონებრივ ისეთ ძირითად მონაცემებს, როგორიცაა შემოქმედებითობა და წარმოსახვის უნარი“ (გაგოშიძე 2016:39).

გარდა ზემოთქმულისა, პოლიტიკურ დისკურსში ანდაზების არსებობას განსაზღვრავს აგრეთვე მეტყველის მიზანი, აუდიტორიის ფონური ცოდნა და სხვა. სათანადო ემპირიულ მასალაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ პოლიტიკოსის მიერ ანდაზ(ებ)ის გამოყენება ძირითადად ემსახურება არსებული პოლიტიკური სიტუაციის დრამატიზებას, პოლიტიკური მოწინააღმდეგის ნეგატიურად წარმოჩენას, მის დისკრედიტაციას და ამ გზით საზოგადოების მიმხრობას, საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა-ხაზგასმას.

პოლიტიკოსის მხრიდან კონკრეტული ანდაზის გამოყენების გზით მისი პოლიტიკური დისკურსი ელექტორატზე მკვეთრად ორიენტირებული და დასამახსოვრებელი ხდება. ამასთანავე, ანდაზის ხალხურობა პოლიტიკოსს საშუალებას აძლევს საკუთარ გამოსვლაში

ყველაზე დიდი ავტორიტეტი – ხალხი დაიმოწმოს. ამ გზით ერთგვარად პასუხისმგებლობის გადანაწილებაც ხდება, რადგან პოლიტიკოსი არა მხოლოდ საკუთარ ორიგინალურ შეხედულებებზე საუბრობს, არამედ ხალხის ენითაც მიმართავს მსმენელს, ხალხური სიბრძნის მოხმობით ცდილობს სხვათა დარწმუნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანდაზის საშუალებით სათქმელის მეტაფორიზაცია პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი არგუმენტაციული ტექნიკის ერთერთი სახეა, რომელიც აუდიტორიაზე ზემოქმედების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

თავი IV — ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკა

4.1 ზოგადი მიმოხილვა

ფორმობრივ-აზრობრივად შეკრული ფრაზის კვლევისას ლექსიკას გამორჩეული ადგილი უჭირავს[1]. ანდაზური ლექსიკა წარმოაჩენს იმ ხალხის ფსიქოტიპს, რომლის წიაღშიც ეს ანდაზები ოდესღაც შეიქმნა და დღესაც აგრძელებს არსებობას. ანდაზების ლექსიკური ფონდი ასახავს ყოველდღიურობას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ხალხურობას. ანდაზის დედააზრს მასში შემავალი სიტყვების შინაარსიც განსაზღვრავს. ანდაზის ენაში დასტურდება მრავალფეროვანი, თავისებური და საინტერესო ლექსიკა, რაც განსაკუთრებულ ელფერს სძენს მთლიანად ფრაზის აზრობრივ დატვირთვას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ანდაზისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-თემატური ჯგუფების გამოყოფა; ანდაზაში მოცემული რიცხვითი სახელების, ფონოსემანტიკური ლექსემების, გენდერული სტერეოტიპების გამომხატველი ლექსიკუ-

[1] ქართული ანდაზების ლექსიკურ თავისებურებებზე საგანგებოდ მსჯელობს ლ. ლეჟავა (1959 წ.). ანდაზის ლექსიკის სემანტიკური ასპექტების შესახებ იხ. აგრეთვე ღამბაშიძე და სხვები 2017. ლაზურ ანდაზებში გამოყოფილ ლექსიკურ-თემატურ ჯგუფებზე ყურადღებას ამახვილებს ც. ნარაკიძე (2010:63-69).

რი ჯგუფების ფუნქციურ-სტილურ დანიშნულებათა განსაზღვრა.

4.2 ქართველურ ენათა ანდაზების თემატური ასპექტები და ლექსიკური მახასიათებლები

მსოფლიოს ხალხთა ანდაზების თემატიკა მრავალფეროვანია. ცხადია, არსებობს უნივერსალური, ანდაზური ფონდებისთვის საერთო ზოგადსაკაცობრიო თემები, თუმცა, ამავდროულად, ანდაზებში ასახულია კონკრეტულ ხალხთა დომინანტური მიმართულებებიც. ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში ლექსიკის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თემატური ჯგუფი[1];

ოჯახის ძირითადი (მშობლების, შვილის, დედმამიშვილების) და **შემომატებული** (სიძის, რძალ-დედამთილის, დედინაცვლის) წევრების მონაწილეობით შექმნილი ანდაზები:

ქართული

(1) დედინაცვალი თვალში ნაცარიო (ჯორჯანელი 2003 (ა):70).

(2) ერთიმეორის ცქერით ძმებს სახლი დაეწვათო (იქვე:82).

[1] ერთ-ერთი მოსაზრებით, ქართულ ანდაზებში უნდა გამოიყოს ორი ძირითადი თემატური ჯგუფი: „1) საწუთისოფლო და 2) საღმრთო-სასულიერო (რელიგიურ-სარწმუნოებრივი, ბიბლიური, კატეხიზისური, სათნოებითი, სიბრძნითი, მკრეხელური)“ (ღლონტი 2022:30). ვფიქრობთ, რომ ანდაზების შემოფარგვლა ამგვარ სემანტიკურ ჯგუფებად ნაკლებად გამართლებულია.

(3) ინდიშვილი, მინდიშვილი, რაც დედ-მამა, იგივ შვილი (იქვე:131).
(4) პაპას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო (იქვე:196).
(5) სიძემა თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო (იქვე:232).
(6) ზოგს რძალი ტყუოდა, ზოგს – დედამთილი (https://idioms.tsu.ge/?p=6822).

მეგრული

(7) ბაბუს დო მოთას ართ ჭკუა უღუნია „ბაბუასა და შვილიშვილს ერთი ჭკუა აქვსო“ (შეროზია, მემიშიში 1994:17).
(8) და ჯიმაში სინწარეს გეგენსგნი, თექ დოლო ვეფალუნცია „სადაც და ძმის სიკვდილს გაიგონებს, იმ ადგილას ბალახი არ ამოვაო“ (იქვე:34).
(9) დიანთიქ ნოსა იმოწმუა დო ნოსაქ მუშ დუდია „დედამთილმა რძალი იმოწმა და რძალმა თავისი თავიო“ (იქვე:37).
(10) დიდას ქაფუნია ნასხაპა და სქუათ ქოსხაპუნსია „დედას თუ უცეკვია [=გაუკეთებია], შვილიც იცეკვებსო [=გააკეთებსო]“ (იქვე:38).

ლაზური

(11) ჯუმაკალა მწკუფისთი კაი გოჲლენ „ძმასთან ერთად სიბნელეშიც კარგად ივლი“ (შეროზია, მემიშიში 1994:266).
(12) პაპული დო ნანდიდიში რდელი ბერე ელამცქვერი იყვენ „ბაბუისა და ბებიის გაზრდილი ბავშვი განებივრებული იქნება“ (იქვე:249).

(13) მწკუფი სეის თუთა უნონ, სეჭილი ქომოლის ღნოსაი ოხორჯა უნონ „წყვდიად ღამეს მთვარე უნდა, სულელ ქმარს – ჭკვიანი ცოლი“ (იქვე:238).

(14) ჲა კაი სიჯა გიყოონტასინონ, ჲა კაი ეშელია „ან კარგი სიძე უნდა გყავდეს, ან კარგი ვირიო“ (იქვე:243).

(15) ნანაშანტეში გიყოონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყვენ „დედინაცვალი თუ გყავს, მამაც მამინაცვალი იქნება“ (იქვე:240)[1].

სვანური

(16) ბაბაშ გუ̈ი ნიბა̈შინს ესერ ესსედა „პაპის გული შვილიშვილს გაჰყოლიაო“ (დავითიანი 1973:19).

(17) დამბა̈ლ მუეშ გეზალი დამბა̈ლ ესერ ლი „დაბალი მამის შვილიც დაბალიაო“ (იქვე:31).

(18) დი გეზლიშ ბედჟი ლემასგუ̈ ესერ ჟი ესჩიდი ე, გუ̈ი დემის ხებზი „დედა შვილისათვის ცეცხლში რომ დაიწვას, გული არ გაუძღებაო“ (იქვე:32).

(19) მუხუ̈ბე მუხუ̈ბემ ესერ ლაჭგდ შიყ ლი „ძმა ძმის საყრდენი ზურგიაო“ (იქვე:103).

(20) ხოჩა თელღგრა გიგას დინაგეზალდ ესერ ხესპი (იქვე:190) „კარგი რძალი დედამთილს ქალიშვილად გადაექცევაო“.

ქართველურ ენათა ანდაზებში ცალკე თემატურ ჯგუფს ქმნის **შრომის, სამუშაო იარაღებისა** და, ზოგა-

[1] როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველურ ენათა ანდაზებშიც *დედინაცვალი* უარყოფითი პერსონაა. ამ თვალსაზრისით ანდაზა ეხმიანება ზღაპარს.

დად, **გლეხის ყოფასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის თემატიკა,** აგრეთვე, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი **შინაური ცხოველებისა** და **ფრინველების, მცენარეების** დასახელება. ცხადია, ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების ნაცვლად, ალეგორიულად ადამიანი იგულისხმება და ანდაზის დამრიგებლური შინაარსიც მას მიემართება; ამასთან, ამგვარ მიდგომას დიდაქტიკური ხასიათის ანდაზებში მხატვრული დატვირთვაც აქვს: იგავური კონტექსტით აზრი განზოგადებულია და მას კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს:

ქართული

(21) შენ რას იკვეხი, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო (ჯორჯანელი 2003 (ა):282).

(22) მუშა კაცის სასჯელი უქმად ყოფნა არისო (იქვე:182).

(23) კარგი მეურნე მარხილს ზაფხულში გააკეთებს და ურემს კი ზამთარშიო (იქვე:138).

(24) მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო (იქვე:169).

(25) ვისაც სიმინდი უყვარს, თოხიც უყვარდესო (იქვე:105).

(26) ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო (იქვე:84).

(27) თაგვს უთქვამს: ყანას ისე ვერ მომკით, ჩემი სამყოფი აღარ დაგრჩეთო (იქვე:115).

მეგრული

(28) ბერგი დიხას ვადაჩირთგნია (ვეჲოჩირთუნია) (შეროზია, მემიშიში 1994:19). „თოხი მიწას არ დასცილდებაო (აცდებაო)“.

(29) ბრიგადირი დო გუგული ართი რენია – ჟირხოლო შხვას მუშაობას უძახჷნია „ბრიგადირი და გუგული ერთი არისო – ორივე სხვას მუშაობისკენ ეძახისო“ (იქვე:20).

(30) ბულიშა სხული ვეგიცონუნია „ბალზე მსხალი არ დაიმყნობაო“ (იქვე:21).

(31) გირინიში ნახადი ცხენქ ოჭკომუა „ვირის ნაშრომი ცხენმა შეჭამაო“ (იქვე:28).

(32) ღუ ინაჯინალო ვერგ, ვარა გური ჯგირი უღუნია „ბუ შესახედავად არ ვარგა, თორემ გული კეთილი აქვსო“ (იქვე:151).

ლაზური

(33) ბაშქაში ბერგითენ ყონა ვარ იხაჩქენ „სხვისი თოხით ყანა არ მოიხვნება, არ დაითესება“ (შეროზია, მემიშიში 1994:203).

(34) ფუჯიქ ყონა ძირუ დო ღობერი ვარ ძირუ „ძროხამ ყანა ნახა და ღობე კი – ვერაო“ (იქვე:203).

(35) ეშელის ფალანი მუში მონკა ვარ აყვენ „ვირს თავისი უნაგირი არ დაამძიმებს“ (იქვე:214).

(36) ზდეი წკარითენ ქარმატექ ვა მქუმს „მოზიდული წყლით წისქვილი არ ფქვავს“ (იქვე:215).

(37) მენჩხომე ონჯირეს ვა ღურუნ „მეთევზე საწოლში არ კვდება“ (იქვე:231).

(38) უსთას ოხორი ვარ უღუნ „ხუროს სახლი არა აქვს“ (იქვე:253).

სვანური

(39) აშუ̈ ლა̈დღიშ სგებნაუ̈ ნაჯანუ̈ აშუ̈ ნაგზოშუ̈ სგებინჩუ ესერ ითი „ერთი დღით ადრე მოხნული ერთი კვირით ადრე მოიმკებაო“ (დავითიანი 1973:17).

(40) კეცნემ ნამა̈ტუ̈ინ ჭგმინს ესერ ლახშდეხა „პურს გაქცეული ქერს მიაკვდაო“ (იქვე:46).

(41) მედგა̈რი ჩაჟუ̈ მერ ესერ ხეჭუ̈ა̈დი „მომაკვდავ ცხენს ბუზი ესევაო“ (იქვე:87).

(42) მიჩ’ ა̈დგიჟი ბერგიშ ნამჯიჩუ̈ ესერი ხოჩა ლი „თავის ადგილზე გაცვეთილი თოხიც კარგიაო“ (იქვე:95).

(43) ფედლიშ დაბ ლამშა̈შ ესერ სეუდდ გარი ხოჩა ლი (იქვე:143) „ახლო ყანა მონატრებული მუშაობის მოსაკლავადაც კარგიაო“.

ქართველურ ენებში ხშირია აგრეთვე **რელიგიური თემატიკის** ანდაზები. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის პარემიოლოგიური ფონდი, რომელიც ხალხის მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ ცოდნის მდიდარი წყაროა, უხვად შეიცავს ერთეულებს, რომელთა შინაფორმაში სარწმუნეობრივი შრე იკვეთება“ (ომიაძე 2018:212).

ქართული

(44) ღმერთსაც კარგი უნდა თავისთვისო (https://idioms.tsu.ge/?p=20620).

(45) ღვთისმოშიშის ნუ შეგეშინდებაო (https://idioms.tsu.ge/?p=20480).

(46) თუ ღმერთი მწყალობს, მისი ანგელოზი რას დამაკლებსო (https://idioms.tsu.ge/?p=12655).

მეგრული

(46) ღორონთი მუში გგნარჩქინას ლუკმას დღას ვე-
მუცოთანცია „ღმერთი თავის გაჩენილს არასოდეს
ლუკმას არ დაუკარგავსო“ (შეროზია, მემიშიში
1994:150).

(47) ყაზახიქ ხატის ქემიარჩქვანუა დო ნახაფულიშ
ცოთამა დუჭყუა „გლეხი ხატს შეეჩვია და ნაფოტის
სროლა დაუწყოო“ (იქვე:153).

(48) ხვამაში კეთებული დო ჭყალაში ჭყვადილი კოჩი
დიო მითინს ვაუძირუნია „ლოცვით აშენებული და
წყევლით დაქცეული კაცი ჯერ არავის უნახავსო“
(იქვე:184).

ლაზური

(49) ღორმოთი ნა ხვამარათენ ბაგენი ვარ ოგაფშენ
„ღმერთის ლოცვა-კურთხევით ნალია არ გაგევსება“
(შეროზია, მემიშიში 1994:256).

(50) სქირიში დერდი თრანგიქ ვარ გოწირას „შვილის გა-
ჭირვება (დარდი) ღმერთმა არ გაჩვენოს“ (იქვე:
251).

(51) მოლლა ცხენიშენ მელუ-ში: – ზათთან ცხენიშენ გეფ-
ტამინტუ-და „მოლა ცხენიდან რომ ჩამოვარდა –
მაინც ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავიო“ (იქვე:235)[1].

[1] როგორც ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალიდან ჩანს, დანარჩენ ქართველურ ენებთან შედარებით, ლაზურში უფრო აქტიურად შემოდის მაჰმადიანური რელიგიური ნაკადი ცალკეული ლექსიკური ერთეულების სახით (მოლა და სხვ.); ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ ლაზურში საერთოქართველური ***ღორმოთი***

სვანური

(52) ᲫოᲴᲐრს ღერბეთ ესერ ირდი „ობოლს ღმერთი ზრდისო“ (კორძაია 2000:67).

(53) Დერხის ჭათა ლიმზგრდ ესერ ხეზᲐზ „ზოგს წყევლა დალოცვად მიეგებებაო“ (იქვე:181).

ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზები უმეტესად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მონათესავე ენათა ოჯახის ფარგლებშიც შეიძლება გამოჩნდეს **თემატურ-შინაარსობრივად საერთო ხაზის მაჩვენებელი, თუმცა განსხვავებული ლინგვისტური ინვენტარით გაფორმებული, საკუთრივ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის საქმიანობითა და გეოგრაფიული გარემოთი მარკირებული (ნიშანდებული) ანდაზა.** ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დადასტურებული ის ანდაზები, რომლებიც ცალკეული ლექსიკური ერთეულების მიხედვით უშუალოდ ამ კუთხეებში შექმნილად შეიძლება ჩაითვალოს:

მეგრული

(54) გიორგი ცხონდია[1] – ირკოჩიში მორდია „გიორგი

„ღმერთი“ ლექსემის პარალელურად დასტურდება თურქულიდან ნასესხები ***თრანგი*** „ღმერთი“ ლექსიკური ერთეულიც. აღნიშნულ სიტყვა-ფორმათა დისტრიბუციული განაწილების შესახებ ლაზურში ვრცლად იხ. ქუთელია 2001. ჩვენი დაკვირვებით, საერთოქართველური **ღორმოთი** ლაზურ ანდაზებში უფრო ხშირია.

[1] მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ანდაზისთვის არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ პერსონალიებს, ამ ანდაზაში წარმოდგენილი ანთროპონიმი შესაძლებელია აღნიშნავდეს 1823 წელს ლ. და-

ცხონდია – ყველას („ყველა კაცის“) ნათლია (შეროზია, მემიშიში 1994:28)[1].

(55) დადიაქ ყაზახის – ოშმეში ღულა გაფუნია დო – ხოჯი ოგაფუუა „დადიანმა გლეხს – ულვაში სწორად არა გაქვსო („მოღუნული გაქვსო“) და – ხარი გადაახდევინაო“ (იქვე:35).

(56) სონი ჩიქახე, სო მიშახე „სადაური ჩიქავას ასული სად ჩამჯდარაო“ (იქვე:124).

(57) სონი მიქახე, სო დიშახე (ექსპ. მასალები) „სადაური მიქავას ასული სად ჩამჯდარაო“ (იქვე:124).

(58) სონი ჯიქახე, სო მიშახე „სადაური ჯიქიას ასული სად ჩამჯდარაო“ (ქართ. ხალხ. სიტყვ. II 1991:526).

(59) უჭირო საჭირო ჩანგელიაშ კარსია „უჭირო [=გაუჭირვებელი//დაუგეგმავი] გაჭირვება ჩანგელიას კარზეო“ (შეროზია, მემიშიში 1994:138)[2].

(60) უტუში ნინა მუში ნაჭკადაში უჯგუშო ჭკირუნცია „უტუს ენა მის ნაჭედზე უფრო კარგად სჭრისო“ (იქვე:137)[3].

დიანის მიერ ცხონდიებისადმი ბრძანებულ ტექსტში მოხსენიებულ აზნაურ გიორგი ცხონდიას (ქუთაისის ცენტრალური არქივი, №4856). საარქივო მასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ახალგაზრდა მკვლევარს, ისტორიკოს იოსებ შენგელიას.

[1] შდრ. ბოშიკა ცხონდია – ირკოჩიშ მორდია „ბოშიკა ცხონდია – ყველას ნათლიაო“ (სახოკია 1989:243).

[2] ანდაზის შინაარსი კრებულში ამგვარადაა ახსნილი: „გლეხმა ჩანგელიამ ენგურის ნაპირას ორაგული იპოვა და დადიანს მიართვა. დადიანი გაუჯავრდა, – აქამდე რატომ არ მოგქონდა ასეთი საჩუქარიო და ბეგრად დაადო ყოველ წელს ორაგულის მოტანა“ (შეროზია, მემიშიში 1994:138).

(61) ჭილაიაშ ხოჯი ეკოხონს ხონუნსია „ჭილაიას ხარი აღმართში ხნავსო“ (იქვე:175).

(62) სუჯუნა მის უტიბუნი, ღუმუ თის აცინია „სუჯუნა ვისაც წყალობს, ღომიც იმას ექნებაო“ (ბებია 2003:111)[1].

ზემოთ წარმოდგენილი მეგრული ანდაზების ერთი ჯგუფისთვის დამახასიათებელია ზოგადად ანდაზებისთვის ნიშანდობლივი **რიტმულობა-რითმულობა;** კერძოდ, ანდაზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს დადასტურებული ცალკეული სიტყვები ერთმანეთს ერითმებიან; მაგალითად: 1) **-ია – -ია:** *ცხონდია – მორდია;* 2) **-ხე – -ხე:** *ჩიქახე – მიშახე* და მისთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სამეგრელოში ქალთა გვარებს დართული **-ხე** სუფიქსის საკითხი (იხ. (56), (57) და (58) ანდაზები). სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მეგრულ ენასა და ქართული სალიტერატურო ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული სუფიქსი *-ხე* „ქალის მამისეულ გვარს დაერთვის და მასში „ასულის“ მნიშვნელობა შეაქვს“ (ლომია 2019-

[3] ქართული ხალხური სიტყვიერების II ტომში (მეგრული ტექსტები) აღნიშნული ანდაზის ქვეშ ასეთი განმარტება გვხვდება: „პროფესიით მჭედელი უტუ მიქავა, სამეგრელოს გლეხთა 1858 წლის მეთაური, ცნობილი იყო ორატორული ნიჭითაც“ (ქართ. ხალხ. სიტყვ. II 1991:446).

[1] „მეგრელთა რწმენით, მოსავლიანობის მფარველი იყო სუჯუნის ხატი, ამიტომ კარგ ყანაზე სუჯუნა ნატიბ ცვანა-ს იტყოდნენ“ (ბებია 2003:111).

2020:217)[1]. აღნიშნული სუფიქსი მეგრულ გვარებს, სხვადასხვა ფონეტიკური ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, სარითმო ერთეულებად აქცევს ანდაზაში და ამ გზით რითმულობა-რიტმულობის მოწესრიგებას ემსახურება (შდრ. ჯიქა-ხე←ჯიქი-ხე←*ჯიქია-ხე[2]).

ზოგჯერ ანდაზებში ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელი ყოფითი რეალიების გამომხატველი ლექსიკაა გააქტიურებული, როგორიცაა მაგალითად, ლაზურში ზღვა და წყალი, მეთევზეობა, თურქული წარმომავლობის ადამიანთა სახელები, ტოპონიმები, აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული ლექსიკა და ა.შ., ხოლო ქართულში, მეგრულსა და სვანურში – აგრეთვე ანთროპონიმებით, სხვადასხვა ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლებით ნიშანდებული ანდაზები. ეს ყველაფერი განსაზღვრავს კონკრეტული ანდაზის ამა თუ იმ კუთხისთვის მიკუთვნებულობას, თუმცა, ამასთანავე ცხადია, რომ ანდაზა არ კარგავს განზოგადებულ ხასიათს და გადმოგვცემს იმგვარ სიბრძნეს, რომელიც ყველგან და ყველასთვის გამოსადეგია. ამრიგად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ადგილობრივი ნიშნით არის შეფერილი; შესაბამისად, მიუხედავად ცალკეული ლექსიკური ერ-

[1] -ხე სუფიქსის წარმომავლობასა და ფუნქციურ-სემანტიკურ მახასიათებლებზე იხ. ჩიქობავა 1942:25-26; ლომთათიძე 2000:72-74.

[2] შესაძლებელია ფონეტიკურ ცვლილებათა გარდამავალი ეტაპის („ჯიქიხე“ ფორმის) გარეშე ამგვარი გზის არსებობაც: ჯიქა-ხე←ჯიქიახე.

თეულების მონაცვლეობისა, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების საერთო შინაარსი და მორალი საერთოქართველურ ჩარჩოში განიხილება და ყველასთვის გასაგებია. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში საჭიროებს ესა თუ ის ანდაზა დამატებით ახსნა-განმარტებას (მაგალითისათვის იხ. (59), (60) ანდაზები შესაბამისი სქოლიოებით).

ლაზური

(63) აჯარალიქ დაღიკელე იწკენ, ლაზიქ მზოღაკელე „აჭარელი ტყისკენ იყურება, ლაზი ზღვისკენ“ (შეროზია, მემიშიში 1994:202).

(64) ზუღაკალა ნა სქიდუნს ომჩვირუთი აჩქინენ „ზღვასთან მცხოვრებს ცურვაც ეცოდინება“ (იქვე:216).

(65) წყარიშ მომალერი წყარიქ ნიმერს „წყლის მოტანილს წყალი წაიღებს“ (იქვე:262)[1].

(66) პოლის ჯუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი იკვანტერენან „სტამბოლში ძმარი დაეღვარათ და ჩხალაში ხარჯს ითხოვდნენო“ (იქვე:249)[2].

(67) ხოფას ლაზი ღურუ, პოლის ბგარა დოდგეს „ხოფაში ლაზი მოკვდა, სტამბოლში ტირილი გამართეს“ (იქვე:264).

---

[1] შდრ. ქართული ანდაზა: „**ქარის** მოტანილს **ქარივე** წაიღებსო“.

[2] შდრ. ქართული ანდაზა: ერთი კაცი **გორში** გალახეს და გული **ცხინვალში** მოუვიდაო (ჯორჯანელი 2003 (ა):81); მეგრული ანდაზა: **ხორგას** კოჩი გოლახეს დო **ხეთას** გურქ მურთუა „ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:185); სვანური ანდაზა: ჲერუალე **ჴენის** ესერ ესფეშუდა ი გადრანაწრს **კაცხთე** ხაწრალა „ვიღაც ჴენის ღელეში დაცემულა და გადრანების გვარს სოფ. კაცხამდე აგინებდაო“ (დავითიანი 1973:123).

სვანური

(68) ბაჩუ̈ ბაჩუ̈ჟი ლგგს მურყუ̈ამ ესერ ახფასა „ქვა ქვაზე დადებული კოშკი გამოსულაო“ (იქვე:20).

(69) იუ̈ალა̈დელ ხუნ ესერ ლახმგლ ი ზეგირ ჩუბეჴეუ̈ „ოდითგანვე საძირკველი ლახამულა, სახურავი ჩუბეხევიო“ (იქვე:43).

(70) მა̈მანდრე გადან მეზგალისგა ზისხ ესერ ლი „ყველაზე უარესი ვალი ოჯახისათვის სისხლიაო“ (იქვე:74)[1].

(71) ნა̈ბეჩუ̈ ი ნაჴა̈იშდ მა̈იდს ესერ უშხუ̈არ ხა̈მშერალახ „ბეჩოში ნამყოფი და ხაიშში ნამყოფი შიმშილს ერთმანეთს შესჩიოდნენო“ (იქვე:107).

(72) ხოჩა მა̈რე მურყუ̈ამშა̈ლ ესერ ლი, ჩი̈ჲხა̈ნ ესერ ქათერა „კარგი კაცი კოშკივითააო, ყოველმხრიდან ჩანსო“ (კორძაია 2000:279).

(73) ჰა̈ნწჟი ყგრმა̈ კუ̈ეცენ[2] ესერ ანღრი „ნაკელზე ყირიმული ხორბალი ამოდისო“ (იქვე:292).

ცალკეა განსახილველი იმგვარი შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ანდაზებში დადასტურებული

[1] ჩვენი დაკვირვებით და მთქმელების ცნობითაც, ანდაზა ეხმიანება სისხლის აღების ტრადიციას, რომელიც ძველად სვანეთში იყო გავრცელებული. შდრ. აგრეთვე: მა̈რემ დაგრაღა ჰედ ესერ ლიწური ლი წეს, მოდეჲ წორ „კაცის სიკვდილისათვის ან სისხლის აღება არის წესი, ან საზღაურიო“ (დავითიანი 1973:79).

[2] როგორც ცნობილია, „თეთრ პურს სვანეთში „ყგრმა̈ კუ̈ეცენს“ ეძახიან“ (კორძაია 2000:292).

ცალკეული ლექსიკური ერთეულების განმარტება, რათა ზოგადი შინაარსი გასაგები იყოს[1]:

(74) ერთი კოჭობი[2] კუპრი ყოველ ოჯახში დუღსო (http://idioms.tsu.ge/?p=1307).

(75) ჰამქარი[3] ჰამქარს შორიდანვე იცნობსო (http://idioms.tsu.ge/?p=11118).

(76) ხარაზი[4] რომ ხაბაზობას[5] დაიწყებს, პური კუტი[6] გამოვაო (http://idioms.tsu.ge/?p=8641).

(77) როგორიც ალაგიო, ისეთი ალაბიო[7] (http://idioms.tsu.ge/?p=11509).

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ზოგჯერ ერთი სიტყვის მნიშვნელობა ხსნის მთელი ანდაზის შინაარსს. ამ შემთხვევაში მისი სემანტიკური სტრუქტურის სიმძიმის ცენტრი სწორედ მასზე გადადის“ (ფაჩულია 2015:86). ამავე კონტექსტში საინტერესოა აგრეთვე თ. ზვიადაძის აზრი, რომლის მიხედვითაც „ანდაზებში ხშირად იცვლება საყრდენი სიტყვა ან სხვა რომელიმე კომპონენტი. შეიძლება ცვლილება არ მოხდეს, მაგრამ ლექსიკური ერთეულის არქაულობისა თუ დიალექტური წარმოშობის გამო გაბუნდოვანდეს აზრი“ (ზვიადაძე 2009:200). აღნიშნული მსჯელობის შემდეგ მეცნიერი განიხილავს იმ ქართულ ანდაზებს, რომლებშიც დადასტურებული ესა თუ ის ლექსემა (***საციქველი, დიბა, ჯინჯილი*** და მისთ.) დღეს შეიძლება ხელს უშლიდეს ანდაზის შინაარსის გაგებას.

[2] კოჭობი – პატარა ქოთანი (http://www.ena.ge).

[3] ჰამქარი//ამქარი – ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება, ამხანაგობა (http://www.ena.ge).

[4] ხარაზი – წუღა-ჩუსტების მკერავი (http://www.ena.ge).

[5] ხაბაზი – პურის მცხობელი, მეპურე (http://www.ena.ge).

[6] კუტი – თონეში ჩავარდნილი (და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი) პური (http://www.ena.ge).

[7] ალაბი – იგივეა, რაც ადლი (http://www.ena.ge).

(78) შუბი ხალთაში[1] არ დაიმალებაო (http://idioms.tsu.ge/?p=8548).

(79) ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ ხორას[2] გადაწვავსო (http://idioms.tsu.ge/?p=14887).

(80) რაც არ ექნეს მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა[3] (http://idioms.tsu.ge/?p=11495).

(81) რწყილს ტყავს გახდის, რუმბად[4] იხმარსო (http://idioms.tsu.ge/?p=11525).

(82) დაადარე მსხალი პანტას, მალაჩინი[5] – მაჟალოსა[6] (http://idioms.tsu.ge/?p=11211).

ამდენად, ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატურ მახასიათებლებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ანდაზაში ასახული უნივერსალური თემატიკის (ნათესაობა, გეოგრაფიული გარემო, ფლორა, ფაუნა და მისთ.) გვერდით გამოიყოს საკუთრივ ერთ რომელიმე ენობრივ კოლექტივში გავრცელებული, ადგილობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი, რაიმე ნიშნით გამორჩეული ანდაზები, რომელთა შინაარსის გაგება (მი-

[1] ხალთა – ტყავის ტომარა, გუდა (http://www.ena.ge).

[2] ხორა – ერთად დაწყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. (http://www.ena.ge).

[3] მარმაში – თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი (http://www.ena.ge).

[4] რუმბი – ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი (http://www.ena.ge).

[5] მალაჩინი – კომში (ნეიმანი 1978:237).

[6] მაჟალო – [Malus orientalis] საშუალო ან მაღალი ტანის ხე; აქვს მთლიანი ფოთლები და მოთეთრო ან მოვარდისფრო ყვავილები; ისხამს პატარა ზომის მომჟავო ნაყოფს, – ტყის ვაშლი (http://www.ena.ge).

უხედავად მათში გადმოცემული სიბრძნის უნივერსალურობისა) ზოგჯერ დამატებით განმარტებას ითხოვს.

4.3 რიცხვით სახელთა ფუნქციური დანიშნულება ქართველურ ენათა ანდაზებში

მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში დიდი ადგილი უჭირავს რიცხვების საკრალური მნიშვნელობით გამოყენებას. რიცხვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შუამდინარულ მითოლოგიაში, ანტიკურ სამყაროში, შუასაუკუნეების მეცნიერულ აზროვნებაში და სხვ. რიცხვები საკრალური მნიშვნელობით ჯერ კიდევ ბიბლიის ტექსტებშია გამოყენებული, საიდანაც ფართოდ გავრცელდა ლიტერატურასა და ფოლკლორში. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა კულტურის ხალხში გაჩნდა საკრალური მნიშვნელობის რიცხვები, როგორიცაა: ***სამი, შვიდი, ცხრა***[1]***, თორმეტი...*** ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართველური ენობრივი სივრცე აღმოჩნდა; მასში მეტ-ნაკლები პროდუქტიულობით, თუმცა სიმბოლური დატვირთვით წარმოდგენილია სხვადასხვა რიცხვი, რომელთა საკრალური გაგება კარგად ჩანს ანდაზებშიც.

საკრალური რიცხვებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია **ცხრა.** ეს ლექსემა ქართულში ხშირად განუსაზღვრელ სიმრავლესაც აღნიშნავს (განმარტების-

[1] ***სამს, შვიდსა*** და ***ცხრას*** განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ შელოცვის ტექსტებშიც (საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ხაჭაპურიძე 2004:345-351).

თვის იხ. ქეგლ-ი: (http://www.ena.ge). ცნობილია, რომ რიცხვის სიმბოლიკა უცხო არ არის ონომასტიკისთვისაც; კერძოდ, „ქართულ ტოპონიმიაში ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად თითქმის მხოლოდ **ცხრა** იხმარება. სხვა რიცხვით სახელთაგან ყველაზე ხშირია **სამი** (ზოგჯერ გვხვდება **შვიდი** და **ხუთიც**). იგი შეიძლება რეალური აღმნიშვნელიც იყოს ობიექტის რაოდენობისა და ირეალურიც, მაშინ როცა **ცხრა** თითქმის ყოველთვის გადატანითი მნიშვნელობითაა საგულვებელი“ (აფრიდონიძე 1989:236).

ცხრა რიცხვის საკრალურ მნიშვნელობაზე ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში, ტოპონიმიკაში, ხალხურ პოეზიასა და ანდაზებში ჯერ კიდევ თ. სახოკიას მიუქცევია ყურადღება; კერძოდ, ხელნაწერთა ინსტიტუტში[1] ინახება თ. სახოკიას ხელნაწერი „რიცხვ ცხრა’ზე ნახმარი თქმანი თუ ანდაზანი“ (თ. სახოკიას ფონდი №127), რომელიც მოგვიანებით კომენტარებითურთ გამოსცა შ. აფრიდონიძემ (აფრიდონიძე 1989:227-272).

ცნობილია, რომ რიცხვითი სახელი მიეკუთვნება ძირეულ ლექსიკას და ქართულ **ცხრა-**საც კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები ეძებნება დანარჩენ ქართველურ ენებში; კერძოდ, „ქართ. **ცხრ-** (<***ც, ხარ-**) **ცხრ-**ა; მეგრ. **ჩხორ-, ჩხორ-**ო; ლაზ. **ჩხორ-, ჩხორ-**ო[2];

[1] დღევანდელი „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“.

[2] ამ სიტყვაფორმის ფონეტიკურ ნაირსახეობად ლაზურ ენაში დასტურდება **(ნ)ჩხოვრო**//**ჩხოლო** ლექსიკური ერთეულები (იხ. ა. თანდილავას ლაზური ლექსიკონის ელექტრონული ვერსია შემდეგ მისამართზე: https://www.ice.ge).

სვან. **ჩხარ-, ჩხარ-**ა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:604). რიცხვი **ცხრა** ოთხივე ქართველური ენის ანდაზურ ფონდში გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება და ზოგად სიმრავლეს გამოხატავს[1].

ქართული

(1) კაცმა რომ კაცი გაიცნოს, ცხრა[2] ფუთი მარილი უნდა შეჭამოსო (http://idioms.tsu.ge/?p=20037).

(2) დაშინებული ძაღლი ცხრა წელიწადს ხეს შეჰყეფდაო (http://idioms.tsu.ge/?p=19969).

(3) არ მინდას ცხრა თეფში ფაფა შემოეჭამაო (http://idioms.tsu.ge/?p=18348).

(4) მარტმა თქვა: დღეში ცხრაჯერ გატირებ და ცხრაჯერ გაცინებო (http://idioms.tsu.ge/?p=16884).

(5) ენას ცხრა საბრუნავი აქვსო (https://idioms.tsu.ge/?p=9499).

მეგრული

(6) ჩხოროშა დონათენი, ხოლო (იშენ) მუთუნი ვახვარუნია „ცხრაჯერ რომ მონათლო, მაინც არაფერი შველისო“ (შეროზია, მემიშიში 1994:166).

---

[1] აღნიშნული ლექსემის გადატანითი მნიშვნელობა, ქართულის გარდა, მითითებულია მეგრულის ლექსიკონებში: **ჩხორო** (ჩხოროს) ცხრა//გადატ. მრავალი. **ჩ ხ ო რ ო გვალაშ აშო მობრხინი თოფი:** კ. სამუშ., ქხპს, გვ. 167 – ცხრა მთის აქეთ შევმართე თოფი. **ჩ ხ ო რ ო ხატიქ გოგაჭყორუ:** თ. სახოკ., გვ. 265 – ცხრა ხატი გაგიწყრეს (ქაჯაია 2002:336); **ჩხორო** ცხრა; ცხრათითა (მცენ.); მრავალი, ბევრი (გადატ.) (ქობალია 2010:649).

[2] ხაზგასმა ანდაზებში, აქაც და ქვემოთაც (ნაშრომის ამ ნაწილის ფარგლებში), ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

(7) კოჩი გეჩინებაფუე, ჩხორო ფუთი ჯიმუ ოკო ოჭკომენია (ექსპ. მასალები) „კაცი (რომ) გაიცნო, ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოო“.

(8) შქურინაფილი ჯოღორი ჩხორო წანას მუშ ლანდის ულალუნდუა (ექსპ. მასალები) „შეშინებული ძაღლი ცხრა წელი თავის ჩრდილს უყეფდაო“.

ლაზური

(9) ნჩხოვრო მთუგიქ კატუ დოკორეს „ცხრა თაგვმა კატა შეკრა, გაკოჭა“ (შეროზია, მემიშიში 1994:242).

(10) შკუინეი ჯოღოიქ ჩხოვრო წანას ლანდე მუშის ულალაპტუ (ექსპ. მასალები) „შეშინებული ძაღლი ცხრა წელი თავის ლანდს უყეფდაო“.

(11) კოჩი ოჩინუშენი ჩხოვრო ფუთი ჯუმუ ჭკომაგიონ (ექსპ. მასალები) „კაცის გასაცნობად ცხრა ფუთი მარილი ჭამო უნდა“.

სვანური

(12) მეგუნებაშ ლეთს ჩხარა ლეთ ესერ ახფასა „დარდიანის ღამე ცხრა ღამე გამოსულაო“ (დავითიანი 1973:87).

(13) ნაცლგრთე ღემალ ჩხარა ლადღიშს ესერ ანღრი „ნადირის მიერ დაგლეჯილ მძორთან ყორანი ცხრა დღის სავალიდან მოდისო“ (იქვე:115).

(14) ჩხარა ტუფ დაშ ესერ ხეტუმენი „ცხრა ტყავი არავის აეცლებაო“ (იქვე:169).

(15) ციცუს ჩხარა ქუინ ესერ ხრგ (კორძაია 2000:246) „კატას ცხრა სული უდგასო“.

ამდენად, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში რიცხვი **ცხრა** გამოხატავს არა კონკრეტულ რაოდენობას, არამედ ზოგად სიმრავლეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზოგადი სიმრავლის გამომხატველად „ცხრის“ გარდა დასახელებულია რიცხვითი სახელი **ათასი** (http://www.ena.ge). ანდაზებში დადასტურებული სხვა რიცხვითი სახელების შესახებ ქეგლ-ში ამ თვალსაზრისით არაფერია ნათქვამი; ვარაუდს მათ მეორეულ მნიშვნელობაზე, საკუთრივ ანდაზის შინაარსის გარდა, განამტკიცებს რიცხვით სახელთა მონაცვლეობა ერთი ანდაზის შიგნით და პარალელური ვერსიების წარმოქმნა; მაგალითად, **ცხრას** ენაცვლება **ასი** ან **ათასი**.

მეგრული

(16) ართი ცოდა მახინჯის უღუნია დო ჩხორო – მინჯესია „ერთი ცოდვა ქურდს აქვსო და ცხრა – პატრონსო“ (შეროზია, მემიშიში 1994:12).

შდრ. პარალელური ვერსიები:

(17) ართი ცოდა მაქიმინალს უღუნია დო ოში მარაგადესია „ერთი ცოდვა მქნელსა აქვს და ასი კი მთქმელსაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:12).

(18) ართი ცოდა მაქიმინალს უღუნია დო ანთასი – მორაგადესია (ექსპ. მასალები) „ერთი ცოდვა მქნელს აქვსო და ათასი – დამბრალებელსო (მოლაპარაკესო)“.

ჩვენი დაკვირვებით, არსებითად ასეთივე მნიშვნელობისაა ქართველურ ენათა ანდაზებში შედარებით ნაკლები სიხშირით წარმოდგენილი სხვა – მარტივი და

რთული რიცხვითი სახელები: **ხუთი, შვიდი, ათი, თორმეტი** და სხვ.

ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული მარტივი რიცხვითი სახელების რეგულარული შესატყვისობები ქართველურ ენებში:

ა) ქართ. **ერთ-, ერთ-**ი; მეგრ. **ართ-, ართ-**ი; ლაზ. **ართ-/არ-/ცარ-** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:190)[1];

ბ) ქართ. **ხუთ-, ხუთ-**ი; მეგრ. **ხუთ-, ხუთ-**ი; ლაზ. **ხუთ-, ხუთ-**ი//**ხუ**; სვან. **ხუშდ-//ხუ̂იშდ** (იქვე:704);

გ) ქართ. **შუიდ-, შჳდ-**ი, **შვიდ-**ი; მეგრ. **შქვით, შქვით-**ი; ლაზ. **შქვით-//შქით, შქვით-**ი//**შქით-**ი; სვან. **შგუ̂იდ//შგუ̂დ-, ი-შგუ̂იდ**“ (იქვე:554-555);

დ) ქართ. **ათ-ი;** მეგრ. **ვით-ი;** ლაზ. **ვით-ი;** სვან. **ჲეშდ-//ჲეშტ-**; ე) ქართ. **ას-ი;** მეგრ. **ოშ-ი;** ლაზ. **ოშ-ი;** სვან. **ჳშ-ირ//აშ-ირ;** (იქვე:80-81).

მაგალითები ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზებიდან:

ქართული

(19) კაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენას შვიდი ეშმაკიც ვერ უზამსო http://idioms.tsu.ge/?p=19881).

(20) გველს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც გველიაო (http://idioms.tsu.ge/?p=15176).

(21) ქურდს რომ კაცმა ყური უგდოს, დღეში ათჯერ გამოტყდებაო (http://idioms.tsu.ge/?p=10151).

[1] ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000) მითითებულია, რომ **ერთ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისი სვანურში არ ჩანს.

(22) სოფლის ჭირს ასი ხარი და ურემი ვერ ზიდავსო (ხალხ. სიბრძ. V 1965:158).

მეგრული

(23) სოდგარენი ვირი აბაზი ღირუდუა, მარა თიში მოცუნაფა – ხუთი აბაზია „სადღაც ვირი აბაზი ღირდაო, მაგრამ მისი მოყვანა – ხუთი აბაზიო“ (შეროზია, მემიშიში 1994:43).

(24) შვიდი (კოჩი) შქვითიშ უფრაშ რენია „მშვიდი (კაცი) შვიდის (კაცის) უარესიაო (თუ გული მოუვიდა)“ (სახოკია 1989:263).

(25) ზესქვიქ თქუუა: ოში გალობა ქომიჩქდ, მარა თირიგი შიშიქ ეკმოდგრთ, არძაქ ქაშმოჭყორდუა (შეროზია, მემიშიში 1994:49) „შაშვმა თქვაო: ასი გალობა ვიცოდი, მაგრამ ისეთი შიში გამოვცადე, ყველა დამავიწყდაო“.

ლაზური

(26) ცანას ვით ნენა უჩქიტუ, ოჲჭოფუში, ირითი გოჭკონდუ „გულწითელამ ათი ენა იცოდა, რომ დაიჭირეს, ყველა დაავიწყდა“ (შეროზია, მემიშიში 1994:260).

სვანური

(27) ცგგინს დეშდ ლაბნ’ ესერ ხარ „ზღაპარს ათი დასაწყისი აქვსო“ (კორძაია 2000:247).

(28) აშირს ქ’ოუ ლახჭედიუ ი მიჩა ჩ’ოუ ჩემინ „ასს ჰკითხე და შენი ჰქენო“ (დავითიანი 1973:18).

(29) მალსუ აშირ ცგგინ ესერ ხახლაენა ი მაგ ქათლა ბედჟი „მელამ ასი ზღაპარი იცოდა და ყველა ქათმის შესახებო“ (კორძაია 2000:126).

(30) პაწკერლეგნე სტამჳნ აშირ ზაუ ესერ ჲმგეჭ „გაბზარულმა დოქმა ასი წელი გაძლოო“ (იქვე:185).

ზემოდასახელებულ რიცხვით სახელთა ზოგად სიმრავლეს ანდაზაში უკეთ წარმოაჩენს მათი დაპირისპირება **ერთთან,** როგორც ამგვარ შემთხვევებში კონკრეტული მნიშვნელობის რაოდენობით რიცხვით სახელთან; შესაბამისად, **ერთი** და **ცხრა, ერთი** და **ასი** და ა.შ. ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც *ერთი* და *ბევრი* ან *ერთი* და *მრავალი*[1]. ქართველურ ენათა ანდაზებში უფრო ხშირად სწორედ ამ ტიპის მაგალითები დასტურდება:

ქართული

(31) ერთი სულელი წყალში ქვას ჩააგდებს და შვიდი ბრძენი ვერ ამოიღებსო http://idioms.tsu.ge/?p=6687).

(32) შვიდჯერ თვალი გადაავლე, ერთხელ ხმალი გადაავლე (http://idioms.tsu.ge/?p=14867).

(33) ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო (http://idioms.tsu.ge/?p=1141)[2].

(34) ერთი კაცის შრომით ასი კაცი ცხოვრობსო (http://idioms.tsu.ge/?p=20454).

(35) ერთმა ჭუჭყიანმა ღორმა ასი სუფთა ღორი გასვარაო (http://idioms.tsu.ge/?p=11261).

---

[1] ანდაზაში სხვა რიცხვით სახელთა დაპირისპირება ერთთან ყოველთვის არ იძლევა კონკრეტულისა და ზოგადის მიმართებათა შინაარსს. მაგალითად, მეგრული ანდაზა: კოჩქ **ართი** ნალი ქოძირუა დო ასე **სუმი** ნალი, ცხენი დო ონანგერი მორკუნია, თქუუა „კაცმა **ერთი** ნალი იპოვაო და ახლა **სამი** ნალი, ცხენი და უნაგირი მაკლიაო, თქვაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:76).

[2] შდრ.: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“ (http://idioms.tsu.ge/?p=1170).

მეგრული

(36) <u>ართი</u> თხირიში გური <u>ჩხორო</u> ჯიმალეფქ გირთესია „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“ (შეროზია, მემიშიში 1994:10).

(37) <u>ართი</u> მატახალც <u>ოში</u> მუმაგებელი ვეიალენია „ერთ მტვრეველს ასი მომგები ვერ აუვაო“ (იქვე:10).

(38) <u>ართი</u> წიკვილ ღეჯქ <u>ოში</u> ღეჯი დოწიკუა „ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო (იქვე:12).

(39) <u>ართი</u> ცორადილი უშქური <u>ოში</u> უშქურც ცორიდუნცია „ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დაალპობსო“ (იქვე:12).

ლაზური

(40) ხოჯას[1] ქორბა <u>ხუთ</u> უღუნ, <u>ართელი</u> დაიმა ბოში უღუნ! „ხოჯას ხუთი მუცელი აქვს, ერთი ყოველთვის ცარიელი აქვს“ (შეროზია, მემიშიში 1994:264).

(41) <u>არ</u> ნენაქ – „ვარ მიჩქინ“ – თიშენ <u>შქვით</u> ბელა მუიწკიფს „ერთი სიტყვა – „არ ვიცი“ – თავიდან შვიდ ხიფათს აგაცილებს“ (იქვე:199).

(42) <u>არ</u> მთხირი <u>ნჩხოვრო</u> ჯუმაქ უკუირთერენ „ერთი თხილი ცხრა ძმას გაუყვია“ (იქვე:200).

(43) <u>არ</u> ელახცაფერი უშქირიქ <u>ვით</u> უშქირი ოხცინაფს „ერთი დამპალი ვაშლი ათ ვაშლს დაალპობს“ (იქვე:199).

(44) <u>არ</u> ნთომა მუთუ ვარ, ამა <u>ვით</u> ვარ ნიჭკვიდენ (იქვე:200) „ერთი თმა [თმის ღერი] არაფერი, მაგრამ ათი არ გაიწყვიტება, არ გაწყდება“.

[1] **ხოჯა** (არაბ.-თურქ. hoca) (https://www.ice.ge/liv/liv/lazur.php).

(45) არ ზენგინიშ ოძღუს ოშ ჭუკარაში ოძღუ უჯგინ „ერთი მდიდრის გაძღომას ასი ღარიბის გაძღომა აჯობებს“ (იქვე:199).

სვანური

(46) აშჭ ნეზჭიშ თელ ჩხარა ზურალს ესერ ოთგთალახ „ერთი ნეზვის ჭკუა ცხრა ქალს გაუნაწილებიაო“ (დავითიანი 1973:18).

(47) აშჭ ჭიშხმეკჭშა ტიშს ჩხარა ესერ ლაყურა ოთზელალა „ერთ ფეხმოტეხილ ტილს ცხრა ლოგინი დაუვლიაო“ (იქვე:18).

(48) ეშჭი გჭი ჩხარამდ დემ ესერ იბჯური „ერთი გული ცხრად არ დაიჭრებაო“ (იქვე:36).

(49) ეშჭი კინჩხ შგურ ჩხარამუნ ესერ ოხქჭიცა „ერთი კისერი სირცხვილს ცხრაჯერ მოუჭრიაო“ (იქვე:37).

(50) ეშჭი ესერ ლგწჰე ი ჲეშდ ლგწჰემ ლგწჰე „ერთი წვეული და ათი წვეულის წვეულიო“ (იქვე:36).

(51) აშირ მგკარქა ეშჭი მგჯმარი ესერ ხჳსრე „ას მშოვნელს ერთი მხარჯველი სჯობნისო“ (იქვე:18).

(52) ეშჭი ესერ მგჩემ ი აშირ მგსგიდარი „ერთი გამკეთებელი და ასი გამსინჯველიო“ (იქვე:36).

ქართველურ ენათა ანდაზებში დასტურდება შემდეგი რთული რიცხვითი სახელები:

ა) ქართ. **თორმეტ-ი;** მეგრ. **ვითოჟირ-ი;** ლაზ. **ვითოჟურ-ი;** სვან. **(ჲ)ეშდჲიორი;**

ბ) ქართ. **ორმოც-ი;** მეგრ. **ჟა(ა)რნეჩ-ი;** ლაზ. **ჟურენეჩ-ი;** სვან. **ჭორმოც;**

გ) ქართ. **ათას-ი;** მეგრ. **ანთას-ი;** ლაზ. **ვითოშ-ი//ვიტოშ-ი;** სვან. **ათას//ათᲐს**.

მეგრულში გავრცელებული **ანთას(ი)** ფორმა შესულია ქართულიდან, თ-ს წინ „ნ“ განვითარებულია. ლაზურში ასეთივე პროდუქტიულია თურქულის გზით დამკვიდრებული ბერძნული **შილდა** „ათასი“ ლექსემა. *ათასი* ქართულთან საერთო აქვს სვანურსაც; **ათას//ათᲐს** მიღებულია ბრუნვის ნიშნის დაკარგვისა და უმლაუტის შედეგად (Кипшидзе 1914:037; თანდილავა 2013:278; შანიძე 1981:321-374; ჭუმბურიძე და სხვები 2007:110-120).

ზემოაღნიშნული რიცხვითი სახელები იშვიათად დამოუკიდებლად, უფრო მეტად **ერთთან** შეპირისპირებით გამოხატავენ ზოგად სიმრავლეს.

ქართული

(53) შაშვმა თქვა: თორმეტი გალობა ვიცოდი, მიმინომ სულ დამავიწყაო (http://idioms.tsu.ge/?p=8891).

(54) თორმეტ კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, თორმეტ მთას გადაივლისო (http://idioms.tsu.ge/?p=11343).

(55) ათასი მტერი სჯობია ერთ უმსგავსო მოყვარესა (http://idioms.tsu.ge/?p=11107).

(56) ვაჭარი ათასიდან ერთს იტყვის მართალსო (http://idioms.tsu.ge/?p=20470).

მეგრული

(57) დედგბის ვითოჟირი სოფელი ოცოდგდუა დო დედგბი მითინც ვაცოდგდუა „დედაბერს თორმეტი სოფელი ეცოდებოდაო და დედაბერი არავის ეცოდებოდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:36).

(58) ჯგირი გურით ვითოჟირი ჯიმაქ ართი ჩიტი ირთუა „კარგი გულით თორმეტმა ძმამ ერთი ჩიტი გაიყოო“ (იქვე:188).

(59) ართ დღაშ მეტებულ საქმექ ჟარნეჩ დღაშა გინიდუა „ერთ დღეს მიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდაო (ორმოცი დღით გადაიდოო“ (იქვე:9).

ლაზური

(60) არ მცუდელაში ნენათენ ჟურენეჩი კოჩი დიყვილერენ „ერთი მატყუარას ენით ორმოცი კაცი მოკლულა“ (შეროზია, მემიშიში 1994:200).

(61) ირი კოჩიში თის ჟურენეჩ ბელა იყვენ „ყოველი კაცის თავზე ორმოცი ხიფათი იქნება“ (იქვე:219).

(62) შილჲა მცუდის არ მთინი უჯგინ „ათას ტყუილს ერთი მართალი ჯობია“ (იქვე:258).

(63) ხამიქ არ კოჩი ილუ, ნენაქ – ვიტოში „დანამ ერთი კაცი მოკლა, ენამ – ათასი“ (იქვე:263).

სვანური

(64) მუხუ̂ბათე ცოდ ჲეშდჲარუ̂ პაპს ესერ დეშ ოთხუ̂აშნა „ძმისადმი ძმის ცოდვა თორმეტ მღვდელს ვერ შეუნდვიაო“ (დავითიანი 1973:103).

(65) ჭილექ მეზგალისგა ეშდჲარუ̂ ზაუ̂ ესერ ხაპიჟ „ჭლექი ოჯახში თორმეტ წელიწადს იმალებაო“ (იქვე:175).

(66) ეშდჲარუ̂ მგგემს ეშუ̂ი მურღუ̂’ ესერ ჟი ხა̂სრე „თორმეტ მშენებელს ერთი მნგრეველი აჯობებსო“ (იქვე:36).

(67) ათჳს ბჳქს ეშჯი ტკიც ესერ ახხოჩა „ათას ტყუილს ერთი მართალი სჯობიაო“ (იქვე:8).

ამრიგად, ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული რიცხვითი სახელები, **ერთის** გარდა, ძირითადად ზოგადი სიმრავლის გამომხატველია. რიცხვით სახელთა მეორეული მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინოა ***ერთისა*** და სხვა რიცხვითი სახელების შეფარდებისას[1].

4.4 ფონოსემანტიკურ ერთეულთა ფუნქციური დანიშნულება ქართველურ ენათა ანდაზებში

ენათა უმრავლესობის ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ისეთი ერთეულები, რომლებიც ავლენენ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებულ არა პირობით, არამედ მოტივირებულ კავშირს (გამყრელიძე და სხვები 2008). ლექსემათა ამგვარი ჯგუფი ორ დიდ ნაწილად იყოფა: ერთია საკუთრივ ხმაბაძვის // ხმიანობის (ბერძნ. ონომატოპეა) გამომხატველი სიტყვები, ხოლო მეორე – ფონოსემანტიკური (ბგერწერითი) ლექსიკა. ხშირად ეს ორი სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, რაც, თავის მხრივ, ტერმინოლოგიურ სიჭრელესაც იწვევს[2]. ზოგჯერ ფონოსემანტიკას ხმაბაძვის სახეობადაც მიიჩნევენ: „მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამო-

[1] ქართულ და რუსულ ანდაზებში რიცხვის გამოხატვის ტიპოლოგიური მიმართებების შესახებ იხ. ღამბაშიძე 2022.

[2] ტერმინოლოგიის საკითხებზე ვრცლად იხ. გერსამია და სხვები 2016:18-32.

ხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას „ბგერწერა“ შეიძლება ვუწოდოთ“ (გუდავა 1958:15)[1].

სიტყვათა ზემოხსენებული ჯგუფების საერთო მახასიათებლებზე საინტერესო მოსაზრება აქვს ი. მელიქიშვილს: „ბგერწერით ლექსიკას ჩვეულებრივ ყოფენ ხმაბაძვით და ბგერითი სიმბოლიზმის გამომხატველ სიტყვებად... მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის... მათი ერთგვაროვნება ვლინდება იმაში, რომ 1. ხმაბაძვითი სიტყვები იმავე ყალიბებში თავსდებიან, რომლებშიც ბგერითი სიმბოლიკისადმი მიკუთვნებული ლექსიკა; 2. ხმაბაძვითი სიტყვები ხშირად ერთდროულად იმ მოძრაობასაც ასახავენ, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ; 3. ხმაბაძვითი ლექსიკა ხშირად იმ ემოციასაც ასახავს, რომელიც ამ ხმის გამოცემას ახლავს თან... სინთეზის მოვლენა შლის ზღვარს საკუთრივ ხმაბაძვით და სხვა სახის ბგერწერით ლექსიკას შორის. მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (მელიქიშვილი 1999:78-79).

რომ შევაჯამოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით გამოთქმული მოსაზრებები, ცხადი ხდე-

[1] შდრ. აგრეთვე ენციკლოპედია „ქართულ ენაში“ სიტყვა-სტატია „ონომატოპეას“ განმარტება (ქართული ენა 2008:350).

ბა, რომ „ქართველური ენებისათვის ბგერათა სიმბოლიზმის ანალიზი და სათანადო დასკვნები ემყარება ხმაბაძვითი და ბგერწერითი ხასიათის ექსპრესივების შესწავლას, პოეტური შემოქმედების ანალიზს, ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებს და ეყრდნობა ტერმინთა და ცნებათა სამ ტიპს, ესენია: ა) უცხოური ტერმინები, რომლებიც ქართულმა კარგად შეითვისა და ჩასვა საკუთარ მორფოლოგიურ ყალიბში (ხმაბაძვა, ბგერათა სიმბოლიზმი); ბ) ქართული ტერმინები და ცნებები (ბგერწერა, გარეგანი სახეობის ლექსიკა, ბგერათა უტოლფუნქციო სახესხვაობათა სემანტიზაცია, პირველადი მასდარები); გ) უცხოური ტერმინები (ფონოსემანტიკა, სინესთეზია, ინტენსივები, ექსპრესივები)“ (გერსამია და სხვები 2016:32). სამეტყველო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების გარკვეულ მნიშვნელობასთან კავშირის აღსანიშნავად წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ ტერმინს „ფონოსემანტიკა“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფონოსემანტიკურ სიტყვებში ცალკეული ფონემები გარკვეული სემანტიკური ელფერის მატარებლები არიან და კონკრეტულ ასოციაციებსაც ქმნიან: მსოფლიოს ყველა ენაში ამა თუ იმ ფონემის შემცველ თითოეულ სიტყვას აქვს მნიშვნელობის სპეციფიკური ელემენტი, რომელსაც მოკლებულია ის სიტყვა, რომელშიც აღნიშნული ფონემა არ გვხვდება. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ფონემა არის გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი. ფონემის კონკრეტული მნიშვნელობა ჩადებულია მის არტიკულაციაში (Magnus 2001:4). მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერა-

ტურაშიც (გუდავა 1958; ფოჩხუა 1974; ასათიანი 1979; ქობალავა 1980; აფრიდონიძე 1993; მელიქიშვილი 1999; კიზირია 2003; დავითიანი 2008; გერსამია და სხვები 2016).

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ანდაზისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაზის ლაკონიურობა და მონოლითურობა, რითმისა და რიტმის მოწესრიგება, რადგან იგი მოქნილი და ტევადი შინაარსის, სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელი ენობრივი ერთეულია. აღნიშნულ მიზანს ანდაზა აღწევს ენაში არსებული სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფონოსემანტიკურ ლექსიკას. საინტერესოა, როგორი სტრუქტურისა და სემანტიკის ფონოსემანტიკურ ლექსიკასთან გვაქვს საქმე ქართველურ ენათა ანდაზებში და რა დატვირთვას იძენენ ისინი ანდაზის ენაში.

ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ქართველურ ენათა ანდაზებში ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია **მოქმედების ინტენსიფიკაციაა**[1]**.** ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ერთი ანდაზის ფარგლებში მოცემულია ფონოსემანტიკური სიტყვა და მის გვერდით იგივე მნიშვნელობა გამოხატულია ნეიტრალური ლექსემით. სწორედ ამ ორი ლექსიკური ერთეულის შედარებით იქმნება კონტრასტის ეფექტი, რის შე-

[1] პროფ. შ. აფრიდონიძე ტერმინ „ხმაბაძვას“ რუსულის კალკად მიიჩნევს და ამგვარი ლექსიკის სახელდებისთვის უპირატესობას ანიჭებს **„ინტენსივებს“** (აფრიდონიძე 2023:136 და შმდგ.).

დეგადაც ანდაზა იძენს მეტ გამომსახველობით ძალას და მასში ჩადებული აზრი ექსპრესიულად გადმოიცემა:

ქართული

(1) **დაჟეჟილს** გატეხილი სჯობიაო (ჯორჯანელი 2003 (ა):66).
შდრ.: დაჟეჟილი – გატეხილი.

(2) **ჩათრევას** ჩაყოლა სჯობიაო (იქვე:290).
შდრ.: ჩათრევა – ჩაყოლა.

(3) ზოგის ვერცხლი ჩუმად არის, ზოგის ბამბაც **ჩხრიალებს** (http://idioms.tsu.ge/?p=15305).
შდრ.: ჩუმად არის – ჩხრიალებს.

მეგრული

(4) **გოჟაჟილც (გოჯღანჯღილს)** გოკვათილი (გოტახილი) უჯგუნია (შეროზია, მემიშიში 1994:31) „გაჟეჟილს (დაბეგვილს) გაჭრილი (გატეხილი) სჯობიაო“.
შდრ.: გოჟაჟილი (გოჯღანჯღილი) – გოკვათილი (გოტახილი).

(5) დონთხაფა დო **დობაზაფა** ართი ენია „დაცემა და დაბერტყება ერთი არისო“ (იქვე:39).
შდრ.: დონთხაფა – დობაზაფა.

(6) კურდღელქი მუსხით **იკვანკუ,** თისხით ირულუა „კურდღელმა რამდენი იგრიხა (თავი აარიდა), იმდენი ირბინაო“ (იქვე:77).
შდრ.: იკვანკუ – ირულუ.

(7) მეჭვილს **მეგიბილი** უჯგუნია „დამწვარს დადაგული სჯობიაო“ (იქვე:90).
შდრ.: მეჭვილი – მეგიბილი.

(8) მუ გოხარცქა დო მუ **გონჯილაკავა** // მუ გოხარცქუა დო მუ **გობულაკავა** „რა გაფხრეწა და რა გაგლეჯაო“ (იქვე:97).
შდრ.: გოხარცქა – გონჯილაკა // გოხარცქა – გობულაკა.

(9) მუ დანთხი დო მუ **დაჟგართი** „რა დაეცი და რა დაებერტყე“ (იქვე:97).
შდრ. დონთხაფა – დოჟგართაფა.

(10) სკაქ ოკო **ტუტინას,** ოსურქ ოკო რაგადუას (იქვე:123) „ფუტკარმა უნდა იზუზუნოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს“.
შდრ. ტუტინი – რაგადი.

სვანური

(11) **ახცხულა** – ახტყაბა (ექსპ. მასალები) „[რა] შეგიტრუსავს და [რა] შეგიწვავს“.
შდრ. ლიცხუ̂ლე – ლიტყბე.

საყურადღებოა ანდაზაში ნეიტრალური და ფონოსემანტიკური ფუძეებით გადმოცემული ზმნური ფორმების ურთიერთმიმართების საკითხი **რიგის მიხედვით.** როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ისინი პოზიციურად მონაცვლეობენ და ორივე შემთხვევაში კონტრასტი შენარჩუნებულია, რაც ხელს უწყობს ანდაზაში ჩადებული სიბრძნის ხაზგასმასა და მის ადვილად დამახსოვრებას.

ექსპრესიულობა ნარჩუნდება იმ დროსაც, როცა ფონოსემანტიკური ზმნური ფუძე ანდაზაში ცალად, შესაბამისი საოპოზიციო წყვილის გარეშეა წარმოდგენილი:

ქართული

(12) თუ კვერცხი გინდა, ქათმის **კაკანიც** უნდა აიტანოო (http://idioms.tsu.ge/?p=20007).

(13) ბევრმა **ჩურჩულ-კურკურმა** ქვეყანა ამოაგდოო (http://idioms.tsu.ge/?p=16374).

(14) დათვს თავში სცემდნენ, – ეს რა **ბრაგაბრუგიაო** (ჯორჯანელი 2003 (ა):65).

(15) ენამ რა გიყო და – თავში **რაკუნიო** (იქვე:77).

(16) ვინც არ გიყვარს, მისი სიარული **ბრაგაბრუგია** და ჭამა **ხრაშახრუშიო** (იქვე:95).

(17) **ტკაცატკუცი** ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანსო (იქვე:240).

მეგრული

(18) ვაიცორსჷნ ფერ კოჩიში ჭკუმუა **ჭკიპ-ჭკაპუ**[1] რენია დო ულა – **ძიგვ-ძაგვი**[2] (შეროზია, მემიშიში 1994:45)[3]

---

[1] მეგრ. „ჭკიპ-ჭკაპუ“ გადმოსცემს ხმაურით ჭამას (გერსამია და სხვები 2016:215).

[2] მეგრ. „ძიგვ-ძაგვი“ გადმოსცემს მოუქნელად, დონდლოდ, უშნოდ სიარულს (გერსამია და სხვები 2016:215).

[3] შდრ. რჯოგჷნი ი კოჩიში ულა **ჩარხი-ჩარხით** ალგასჷმენია დო ჭკუმუა – **ჭკაპი-ჭკაპით** (შეროზია, მემიშიში 1994:119) „რომ გძულს ისეთი კაცის სიარული **ჩლახუნად** ჩაგესმის და ჭამა – **წკლაპუნადო“.** აღსანიშნავია, რომ ამგვარ მაგალითებში მოცემულია იდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია, რითიც „გამოიხატება ის შინაარსი, რომელიც გვაქვს, მაგალითად, ინგ. ping-pong-სა და გერმ. zick-zack-ში: მოძრაობის მიმართულების ცვლა. შდრ. მეგრ. ზიკუზაკუ „საქანელა“ (მელიქიშვილი 1999:86). ამ და სხვა მსგავსი ტიპის ანდაზებში წარმოდგენილი გაორკეცებული ფუძეები ატარებენ მოქმედების განმეორებადობის, რიტმულობის სემანტიკას (ფუძეგაორკეცებულ

„რომ არ გიყვარს ისეთი კაცის ჭამა წკლაპუნი არისო [წკლაპუნად გესმისო] და სიარული – მოუქნელი, დონდლოაო“.

(19) კიბირიშ **ელნაღინტკორა** კუჭის ვარძღანსია (ველაფშანსია) „კბილიდან ამონაფხეკი კუჭს ვერ გააძღობსო (ვერ აავსებსო)“ (იქვე:67).

(20) ძვალც ძელქ ვადელიასგნი, ეში **ვაგუხიტონუანცია** კოჩი „ძვალს რბილი რომ არ დაელიოს, ისე კაცი არ დაუწყებსო ხვრას“ (იქვე:170).

ლაზური

(21) ჯიხა დოლოხეშენ **ტკვაცუნ** „ციხე შიგნიდან ტყდება“ (შეროზია, მემიშიში 1994:265).

(22) ხოჯაფეში დულაფე კერემულისთერი **კირკოლერი**[1] რენ „ხოჯების საქმე ჯაჭვივით დაგრეხილია (იქვე:264).

(23) ბაშქაში ნეკნას ნა **ნოკანკა**[2]**,** სკანი ნეკნასთი **ნოკანკეფან** „სხვის კარზე რომ დააკაკუნებ, შენს კარზეც დააკაკუნებენ“ (იქვე:203).

სვანური

(24) ამფხუს ამფხუდ ლოხუსაყუდრა: ჯი ესერ **ყგრყნაჳ** „ბაყაყმა ბაყაყს უსაყვედურა: შე ყიყინაო“ (დავითიანი 1973:13).

ფონოსემანტიკურ ძირებთან დაკავშირებით გერმანულსა და ქართულში იხ. აგრეთვე მოდებაძე, გელდიაშვილი 2012:101).

[1] ოკირკოლუ – დაკლაკნვა (თანდილავა 2013:609).

[2] კანკაფა – კაკუნი (https://www.ice.ge).

(25) დრეუ̆ნიდრეუ̆ნ დეც ესერი **ირხგნა̆ლ** „დროდადრო ცაც გრუხუნებსო“ (იქვე:35).

(26) მა̆ჲდა̆რ ჟელ **ლაჰაუ̆შუ̆** ესერ ოთთგრახ მშიერი ძაღლი ყეფით უცვნიათო“ (იქვე:76).

(27) ჲესუ̆ა̆ს **ლაჩხანკუნა** ხა̆ბ, მაგ მეთხუ̆არ მოდმ’ ესერ ლი „ვისაც საჩხაკუნებელი (იარაღი) ჰკიდია, ყველა მონადირე არ არისო“ (იქვე:125).

(28) ქორს ნაუ̆ღენი ესერ დემ ოთკუ̆ეჰნი, ეჯღა დიხსა̆ლ ესერ ჯა̆რს **ხაფხკგნნა** „სახლს უქონლობა რომ არ გაეთქვას, დიასახლისი ვარცლს უფხაკურებდაო“ (იქვე:135).

(29) შყა̆ჟუ̆ს ესერ დეცე **გურგუნ** ქა ფხიჟე „მწყერი გრგვინვას მოჰყვებაო“ (იქვე:163).

(30) ჩა̆ჟ ესერ **ოლტგრტანელ** ი ჭგმნიშ ფათქთე ომშყედ „ცხენი დატორტმანდა და ქერის ორმოში ჩავარდაო“ (იქვე:164).

ერთი ანდაზის ფარგლებში შესაძლებელია ორმა ფონოსემანტიკურმა ერთეულმა **შიშინა** და **სისინა** რიგის დაპირისპირება შექმნას, რაც შემთხვევითი არ არის; როგორც წესი, შიშინა ბგერა გამოხატავს დაბალ ტონს, დიდს, უხეშსა და მძიმეს[1], ხოლო სისინა – მაღალ ტონს, სიპატარავეს, სიმსუბუქეს (გუდავა 1958:15-16). მაგალითად მოვიყვანთ მეგრულ ანდაზას:

[1] შდრ. მეგრული ანდაზა: ჯოლას **ვაჩერჩელუნ,** თინა ნინაქ **მოლაჩერჩელუა** „მსხვილმა ჯაჭვმა რომ ვერ გაათრია, ის ენამ წამოათრიაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:193).

(31) მუ **ჩერჩელაფა** დო მუ **სერგელაფავა** „რა გაჩოჩება და რა გათრევაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:97).

გარდა სისინა და შიშინა რიგის თანხმოვნებისა, გამოყოფენ ფონემათა ზოგად სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს. მაგ., „მჟღერი უფრო დიდ და უხეშ საგანსა და მოძრაობა-მოქმედებას აღნიშნავს, – ყრუ კი უფრო მცირესა და დახვეწილს. ამასთან, ფშვინვიერს შუალედური ადგილი უჭირავს, მკვეთრი კი ყველაზე ინტენსიურად ასახავს **პატარას, წვრილს, დახვეწილს“** (მელიქიშვილი 1999:82). ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ანდაზა:

(32) <u>ხამის</u> **მიკაცუნუანცგნი,** თექ <u>არგუნც</u> **მუკონწყგნცია** (შეროზია, მემიშიში 1994:181) „დანას რომ მიარჭობს, იქ ნაჯახს ჩამოხსნისო“.

წარმოდგენილი ანდაზიდან ჩანს, რომ დანის, როგორც ნაჯახთან შედარებით მცირე, ბასრი, წვრილი და მახვილპირიანი საგნის მოქმედება **„ცუნ“** (შდრ. საწყისი: მიკო-**ცუნ**-აფ-ა) ძირისგან აგებული ფონოსემანტიკური ერთეულით გადმოიცემა. ამასთან, წარმოდგენილ C (სისინა, ფშვინვიერი) + V + S[1] მიმდევრობაში მთავარი როლი ფშვინვიერ **„ც“** ბგერას ეკისრება, რომელიც გადმოსცემს საგნის მოძრაობის იმიტაციას და მიუთითებს „ზედაპირულ, მსუბუქ, ჰაერში შესრულებულ მოქმედებას“ (მელიქიშვილი 1999:82). ამ კუთხით საინტერესოა

[1] ფონოსემანტიკური სიტყვების ფორმირებაში სონორების როლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათ შეშოაქვთ მოქმედების დინამიკა (ასათიანი 1979:19).

ის ანდაზებიც, რომლებშიც ყრუ მკვეთრისა და ყრუ ფშვინვიერის დაპირისპირებით შექმნილი ფონოსემანტიკური ერთეულები დასტურდება. მაგალითად:

ქართული

(33) **ც**აც**ც**უნს **კ**აკ**კ**უნი მოჰყვებაო (ჯორჯანელი 2003 (ა):295).

სვანური

(34) Ӓ̈რჱ̈ყიშ **ხ̂ლიპ-ხ̂ლიპს** ყიაჟი **ჴლიფ-ჴლიფ** ესერ ხჱ̈მთქ̂ჳა (დავითიანი 1973:14) „არყის ყლაპვამ [ხვლეპამ] ყელიდან რწყევა [ჴლიფ-ჴლიფ ძახილი] იცისო“[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ანდაზის ფარგლებში დადასტურებულ ფონოსემანტიკურ ლექსემებში, რომლებიც ოპოზიციურ ცალებს ქმნიან, დაპირისპირება შეიძლება გადმოცემული იყოს საწარმოთქმო ადგილის მიხედვით განსხვავებული ბგერების ხარჯზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა **ყ** და **კ** თანხმოვანთა ოპოზიცია შემდეგ ანდაზაში: ჩვენსას **ყ**ლაპე-**ყ**ლაპე, თქვენსას **კ**აპე-**კ**აპეო (ჯორჯანელი 2003 (ა):292). აქვე შევნიშნავთ, რომ **„კაპე“** ქეგლში განმარტებულია ამგვარად: კაპე! ყლაპე-ს საპირისპიროდ ხმარებული სიტყვა (ანდაზაში); უდრის: «ღეჭე!» «ნელა ჭამე!» «ცოტა ჭამე!» (http://www.ena.ge)[2].

---

[1] მართალია, ამ ანდაზაში წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსემები ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი ბგერების გარდა სხვა ბგერებითაც სხვაობენ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ოპოზიციური წყვილის შექმნაში მთავარი მაინც მკვეთრი და ფშვინვიერი **პ ~ ფ** ბგერების დაპირისპირებაა.

[2] ბგერის სიმბოლურ მნიშვნელობასა და ასოციაციებზე საუბარი შეიძლება არა მხოლოდ თანხმოვნების, არამედ ხმოვნების შემთხვევა-

ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული ფონოსემანტიკური ლექსიკა ხშირად ხელს უწყობს რითმისა და რიტმის მოწესრიგებას:

ქართული

(35) სადაც ფული ჩხრიალებს, იქ სიმართლე ხრიალებსო (http://idioms.tsu.ge/?p=16999).

(36) არ ჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბუკიოტისა ბღვერასა (ჯორჯანელი 2003 (ა):22).

(37) ბუზი ბევრი ბზუისო, მაგრამ ფუტკართან ყველა ტყუისო (იქვე:43).

(38) ენატარტალა – ხელებპატარა (იქვე:78).

მეგრული

(39) ალაყურტის ხოლო ყირტუა ოკონია „მსმელს (მყლაპველს) ისევ სმა (ყლაპვა) უნდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:7)[1].

(40) ვართი მოკო ოხოხია, ვართი იში ბოხოხია (იქვე:46) „არც „ოხოხია“ მინდა, არც მისი ბოხოხიაო“.

(41) მაჭირჭინალი ჯა დიდხანს ჭირჭინუნსია (იქვე:84) „მოჭრიჭინე ხე დიდხანს ჭრიჭინებსო“.

(42) მენძელი ვახანია, დიდი ხარკალია დო ჭიჭე „კამპა-

შიც. მაგ., ცნობილია, რომ **ა,** როგორც ფართო ხმოვანი, დაკავშირებულია „დიდის“ იდეასთან, ხოლო **ი,** როგორც ვიწრო ხმოვანი, ქმნის „პატარას“ ასოციაციას და ა.შ. (გუდავა 1958; მელიქიშვილი 1999).

[1] ლექსიკონებში „ალაყურტი“ ამგვარადაა განმარტებული: 1) **ალაყურტი** ფაფა (ბურღულისა ან ნიგვზისა), ბაჟა; ფაფაჭამია (დოყლაპია); სმის მოყვარული https://www.ice.ge/liv/liv/megr.php# 2) **ალაყურტი, აჲაყურტი** ფაფა ტკბილი; ღომისღომის (ფეტვის) ფქვილი რძეში მოხარშული. შდრ. იმერ. **ალაყურტი, ალაყურტა** დანაყილი ნიგვზით გაკეთებული ფაფა https://titus.uni-frankfurt.de

ნია“ (იქვე:88) „მასპინძელი ვახანია (გვარია), დიდი ფაციფუცი (ხმაური) და ცოტა „კამპანია“ (=სასმელ-საჭმელი).

(43) სოლე-სოშა სოჲშა მეხორხოშა (იქვე:124). „საიდან სადაო, საით მიხორხოცებ“[1].

ლაზური

(44) გელახთი ღარღალაშა, ელახთი მაძღალაშა „ჩადი სალაპარაკოში, ადი ფარღალალაში“ (შეროზია, მემიშიში 1994:206).

სვანური

(45) „ჩიჴუ-ჩიჴშჴუ“ ციცჴუს ესერ იშნჳრიხ ი „ქჴითი-ქჴითიშჴუ“ – ჟაღჴუ „ციბუ-ციბუთი“ კატას იშინაურებენ და „ქუცი-ქუცითი“ – ძაღლსაო“ (დავითიანი 1973:165).

ამდენად, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში ფონოსემანტიკური ლექსიკის ფუნქციური დანიშნულებაა მოქმედების ინტენსიფიკაცია, მთლიანად კონტექსტის ექსპრესიულობის გამოხატვა. ეს კარგად ჩანს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნეიტრალური ფორმა და ექსპრესიულად აქტიური ფონოსემანტიკური ერთეულები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი. გარდა მნიშვნელობის გაძლიერებისა, ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ფონოსემანტიკური ლექსიკა ანდაზაში რითმისა და რიტმის მოსაწესრიგებლადაც გამოიყენება.

[1] აღნიშნული ანდაზის ეკვივალენტად გამომცემლებს მიუჩნევიათ „საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“

4.5 გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართველურ ენათა ანდაზებში

გენდერული კვლევები აქტუალურია მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის. გენდერულ თემატიკას იკვლევს როგორც საკუთრივ ლინგვისტიკა, ისე სოციოლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ანთროპოლოგია და სხვა მომიჯნავე დისციპლინები. გენდერულ კვლევათა ამგვარი ინტერდისციპლინურობა განპირობებულია იმით, რომ „გენდერი რთული კომპლექსია, რომელშიც გადაჯაჭვულია კულტურული, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები. ეს ასპექტები კი, თავის მხრივ, განაპირობებს ეროვნული ენობრივი პიროვნების ქცევას“ (ომიაძე 2010 (გ):109). ენისა და გენდერის მიმართებათა კვლევისას გამოყოფენ რამდენიმე ძირითად პერსპექტივას, რომელთა შორის ერთერთი მნიშვნელოვანია „გენდერული სხვაობის გამოვლენა ენის სხვადასხვა დონეზე“ (ომიაძე 2010 (ა):110).

მსოფლიოს ხალხთა ანდაზები განსხვავებულ კულტურებზე დაკვირვებისა და მათი ურთიერთშედარების საუკეთესო საშუალებაა. ანდაზებში წარმოდგენილი გენდერული ასპექტების წინ წამოწევა და მასზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა საანალიზო მასალაში გამოკვეთილად ჭარბობს მამაკაცური (resp. მასკულინური), ან ქალური (resp. ფემინური) ტენდენციები. ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების რეპრეზენტაციის მნიშვნელოვან საშუალებად შეიძლე-

ბა ანდაზები მივიჩნიოთ, ვინაიდან სწორედ ანდაზა ასახავს ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში ამ მიმართულებით დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ანდაზებში თავმოყრილია ადამიანთა სიბრძნე და შეხედულებათა სისტემა, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტული კულტურის ძირითად ბირთვს. ამგვარად, გენდერული თვალსაზრისით ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი გამოკვეთს ზოგად სურათს, რომელიც კონკრეტული საზოგადოების საერთო რწმენა-წარმოდგენებზე, მსოფლხედვასა და დამოკიდებულებებზეა აგებული.

სპეციალურ ლიტერატურაში გენდერი გათანაბრებულია სოციალურ სქესთან, რომელიც „ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს“ (ქურდაძე 2008:109). როგორც ქართულ, ისე ევროპულ სამეცნიერო სივრცეში დღეისთვის არაერთი ნაშრომია შექმნილი არსებული გენდერული სტერეოტიპების, ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების შესასწავლად და გამოსავლენად (Lakoff 1975; Keener 1994; Bellis 1996; Agbemabiese 2005; ქურდაძე 2008, 2011; კიკვიძე 2010; ომიაძე 2010 (ა), (გ), 2014; ნაპირელი 2015; Rasul 2015; Totibadze 2017, 2021; Zheng 2018, დევაძე 2019, Guchua 2023). მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ჩვენში, დღემდე არ არის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სათანადოდ, ყველა შესაძლო ასპექტით გამოკვლეული

საზოგადოების შეხედულებები ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლებზე, არსებული შეზღუდვები თუ პრიორიტეტები და სხვ. ცნობილია, რომ მონათესავე ქართველურ ენებში სქესი გრამატიკულად არ გამოიხატება და მდედრობითისა და მამრობითის განმასხვავებელი მხოლოდ რამდენიმე ლექსიკური ერთეული დასტურდება[1].

როგორც აქამდე არსებული კვლევები გვიჩვენებს, სხვადასხვა ენაში განსხვავებული სქესის ადამიანები ხშირად არათანაბრად, უთანასწოროდ არიან წარმოდგენილი, რასაც **გენდერულ ასიმეტრიას** უწოდებენ. ამ კუთხით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: „მიჩნეულია, რომ სამყაროს სურათი ენაში მამაკაცის თვალსაზრისის მიხედვითაა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო ანთროპოცენტრული, ე.ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ ანდროცენტრული, ე.ი. მამაკაცზე ორიენტირებულიც; კერძოდ, ენა ქმნის მამაკაცის თვალსაზრისზე დამყარებულ დაფუძნებულ სურათს, სადაც მამაკაცი სუბიექტია, რომლის პერსპექტივა აშკარაა; ხოლო ქალი ობიექტია, ის „სხვის“, „უცხოს“ როლში გამოდის, ან საერთოდ იგნორირებულია... ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გენდერული ასიმეტრიისა და, საერთოდ, გენდერული კუთხით კვლევისათვის მეტად სპეციფიკურ მიდგომას და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს“ (ქურდაძე 2011:77).

ენაში გენდერული ასიმეტრიის უნივერსალურო-

[1] ამ საკითხზე დაწვრ. იხ. დანელია 1998:94-108.

ბას ამტკიცებს ქართველურ ენათა ანდაზებიც[1]. როგორც ზემოთაც აღინიშნა, საერთოქართველურ სივრცეში გენდერული თვალსაზრისით საინტერესო ანდაზათა უმრავლესობა სწორედ ანდროცენტრულ ტენდენციებს და, შესაბამისად, მამრობითი სქესის დომინანტურობას ავლენს, რასაც რამდენიმე ჯგუფად წარმოდგენილი მასალა ადასტურებს.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ანდაზები, რომლებშიც ჩანს მამრობითი სქესის წარმომადგენელთა უპირატესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით. აქ პირობითად სამი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

(Ia). მამაკაცის უპირატესობა წარმოჩენილია კაცისა და ქალის როლების/შესაძლებლობების შედარება-შეპირისპირებით:

ქართული

(1) ვაჟი სახლის ბურჯია, ქალი – სხვათა ლუკმაა (http://idioms.tsu.ge/?p=16609).

(2) ცოლი ქმრის ფეხის ქალამანიაო (http://idioms.tsu.ge/?p=12732).

ლაზური

(3) ბაბაში ნენა ნანაქ ვა გოგუაფს „მამის დარიგებას (ენას, სიტყვას) დედა არ გასწავლის“ (შეროზია, მემიშიში 1994:202).

[1] ქართულ და ინგლისურ ანდაზებში დადასტურებული გენდერული სტერეოტიპების შესახებ შეპირისპირებითი კვლევა წარმოდგენილია თ. შავლაძის სამეცნიერო სტატიაში (შავლაძე 2017:595-600).

სვანური

(4) სიმაქს მახელღუ̈ჯიშ ნასგურჟიოღი ლახყალღუნიღ „ქალიშვილს ვაჟკაცის ნაჯდომისაც შეეშინდესო“ (დავითიანი 1973:132).

(5) ფიშირ დინა ლაჭთა̈რ ესერ ლი ი ფიშირ ნაღუ̈ჟურ – ლა̈ზიგარ „ბევრი ქალიშვილი საწყევარიაო და მრავალი ვაჟი კი – დამსახლებელიო“ (იქვე:144).

(Iბ). მამაკაცის უპირატესობა წარმოჩენილია შეფარვით: ქალის როლის/შესაძლებლობის შესუსტებით, კაცის დასახელების გარეშე:

ქართული

(6) ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო (http://idioms.tsu.ge/?p=17206).

(7) ქალი სხვისი საქონელიაო (ქართ. ანდ. I:133).

(8) ცხრა ქალის ჭკუა ერთ თხილის ნაჭუჭში ჩაიდება და კიდევ ადგილი დარჩებაო (ქართ. ანდ. II:214).

მეგრული

(9) ოსური შხვაში კებურიშ ტუტა რენია „ქალი სხვისი კერის ნაცარიაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:110).

(10) ოსურც გვერდი გიდელი ჭკუა უღუდუა დო ინა ხოლო თხაქ უჭკომუა „ქალს ნახევარი გიდელი ჭკუა ჰქონდა და ისიც თხამ შეუჭამაო“ (იქვე:112).
შდრ. აჭარული:

(11) ქალის ჭკუა ბარდის ფურცელზე იყო და ისიც თხას მუ̈კნეტიაო“ (მსხალაძე 1967:104).

(12) ძღაბი მილარენი თი ცუდეს ოთხოლო კუნთხუს ონტუნია „ქალიშვილი რომ ცხოვრობს იმ სახლში

ოთხივე კუთხეს ცეცხლი უკიდიაო“ (იქვე:171).

(13) ძღაბიში ერჩქინას ღორონთი ვანოკათუენია „ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო“ (იქვე:171).

ლაზური

(14) კულანიში ხე-ფორჩათი ბელა რენ „გოგოს ხელმკლავიც შარია“ (შეროზია, მემიშიში 1994:228).

(15) ოხორჯალეფეშა კაპულა ვარ ნიდვენ „ქალებზე ზურგი არ მიიდება“ (იქვე:247).

(16) ოხორჯას-ჲა, მტკობაშა მუთუ-ნა გიღუტას, მო უწუმეთჲა (იქვე:247) „ქალსაო, დამალული (საიდუმლო) თუ რამე გაქვს, ნუ ეტყვითო“.

სვანური

(17) აშუ̈ ნეზუ̈იშ თელ ჩხარა ზურალს ესერ ოთგთალახ „ერთი ნეზვის ჭკუა ცხრა ქალს გაუნაწილებიაო“ (დავითიანი 1973:18).

(18) ქორთე ნა̈მტეხუ̈ ჰასუ̈იშ მაშენ კაჩუქა̈შ ციცუ̈ს ესერ ხა̈სისგ „სახლში დაბრუნებული ასული ყველაზე მეტად კერიის ქვეშ მყოფ კატას სძულსო“ (იქვე:152).

(19) ხოლა ზურალ ნაჭუ̈ლაშუ̈დ ესერ დეშ ხა̈ჯეშ „ცუდი ქალი ურვადად არ ღირსო“ (იქვე:180).

(20) ჲერხი ზურა̈ლს თუ̈ელ ფათუ̈ა̈რთ ე̈სერ ხრ̈ზი „ზოგ ქალს ჭკუა თმებში მისდისო“ (კორძაია 2000:179).

(Ig). მამაკაცის უპირატესობა წარმოჩენილია შეფარვით: კაცის შექებით, ქალის დასახელების გარეშე:

ქართული

(21) ვაჟკაცი გაჭირვებაში არ ატირდებაო (ხალხ. სიბრძ. V 1965:247).

მეგრული

(22) ქომოლკოჩი ცუდეს ვარენ, კიდალეფი ინგარანია „მამაკაცი როცა სახლში არ არის, კედლები ტირიანო“ (შეროზია, მემიშიში 1994:144).

ლაზური

(23) ბაბაში ნენაფეში ჟინ ოხთიმუ უნონ „მამის სიტყვებით (სიტყვებზე) უნდა იარო“ (იქვე:202).

სვანური

(24) ქორლისგა̈ ლეღუჟმა̈რიშ (ღუაჟმარემ) მგნჩალ ესერი ხოჩა ლი „სახლისთვის მამაკაცის ჩრდილიც კარგიაო“ (დავითიანი 1973:152).

ცხადია, საილუსტრაციოდ მოყვანილი ანდაზების უმრავლესობა დღეს მოძველებული, აქტუალურობას მოკლებულია და ამიტომ სიხშირითაც არ გამოირჩევა; თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი სტერეოტიპული წარმოდგენები და მკვეთრად გამოხატული გენდერული ასიმეტრია არ არის მხოლოდ ქართველურ ენათა ანდაზებისთვის დამახასიათებელი[1]. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით შეიძლება დავასახელოთ სხვა

[1] ამ თვალსაზრისით საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს მ. ნაპირელის „გერმანული და ქართული გენდერული ანდაზები ინტერკულტურულ ჭრილში“ (2015 წ.). წიგნში ქართული და გერმანული მასალის შეპირისპირებით განხილულია ქალისა და მამაკაცის სოციალურ როლებთან დაკავშირებული ანდაზები, გამოყოფილია სხვადასხვა თემატური ჯგუფი. საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ცისკარიშვილი და სხვები, „გენდერულ ფასეულობათა კონოტაციური მოდელები (ქართული და ინდოევროპული ანდაზების მიხედვით“ (2012 წ.).

ენათა ანდაზებიც: 1) როდესაც გოგონა დაიბადება, ნუ იზრუნებთ მასზე, ის კაქტუსივით გაიზრდება; როდესაც ბიჭი დაიბადება, გაუფრთხილდით მას, როგორც ვარდის ხეს (რაჯასტანული ანდაზა)[1]; 2) ქალები სულელები და ამპარტავნები არიან; მათ სილამაზე ურჩევნიათ ჭკუას (ინგლისური, ამერიკული)[2]; 3) ქალები სახელმწიფო საქმეებში იგივეა, რაც მაიმუნები ვიტრინაში (ინგლისური)[3]; 4) ქალები ეშმაკის მახეები არიან (ინგლისური)[4]; 5) რაც უფრო მეტად იყურება ქალი სარკეში, მით ნაკლებად უვლის იგი სახლს (ინგლისური)[5]; 6) ფარშევანგზე მეტი სილამაზე, მაგრამ ხის კუნძის ჭკუა (მონღოლური)[6]; 7) თოჯინას თავი და ცარიელი ტვინი (პოლონური)[7] (Rasul 2015:53-62).

აღსანიშნავია, რომ დღეს ნაკლებად აქტუალური და მოძველებული მორალის ანდაზების მიმართ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ორგვარი მიდგომა არსებობს; ერთი მოსაზრებით, ამგვარი ნიმუშები არ უნდა იყ-

[1] When a girl is born, don't take care of her, she will grow like a cactus; when a boy is born, take good care of him, as you would with a rose tree" (Rajasthani proverb). თარგმანი ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

[2] Women are wacky, women are vain; they'd rather be pretty than have a good brain (English, USA).

[3] Women in state affairs are like monkeys in glass-shops (English).

[4] Women are the devil's nets (English).

[5] The more women look in their glass the less they look to their house (English).

[6] More beauty than a peacock, but the intelligence of a block of wood (Mangolian).

[7] A doll's head and an empty brain (Polish).

ოს შეტანილი ანდაზების კრებულში[1]; სხვა თვალსაზრისით, მათი აღნუსხვა და გაანალიზება საჭიროა[2].

ზემოთ წარმოდგენილი მასალის საპირისპიროდ, ქართველურ ენათა ანდაზებში დასტურდება მდედრობითი სქესის უპირატესობის გამომხატველი, მისი ყოვლისშემძლეობის მაჩვენებელი ანდაზებიც. აქაც პირობითად ორი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

(IIა). მდედრობითი სქესის უპირატესობა წარმოჩენილია მამაკაცთან შედარება-შეპირისპირების გ ზით:

ქართული

(25) ქალის აშენებული საყდარი ღმერთმა ვერ დაანგრია, კაცის აშენებული საყდარი ქალმა დაანგრიაო (http://idioms.tsu.ge/?p=8916).

(26) ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურაო, ქალის გაუბედურებული კაცი ღმერთმა ვერ გააბედნიერაო (http://idioms.tsu.ge/?p=15397).

ლაზური

(27) ნანაშანტეში გიყოონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყ-

[1] მაგალითისთვის, „რჩეული ქართული ანდაზების“ შემდგენელი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „კრებულში ვერ მოხვდა აგრეთვე: «ქალის ჭკუა თხამ შეჭამა», «ქალს თმა გრძელი აქვს, ჭკუა მოკლე» და მსგავსი მოძველებული მორალის, აქტუალობადაკარგული ანდაზები“ (ჯორჯანელი 2003 (ა)).

[2] აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისი: „ზოგი ანდაზა დღეს საერთოდ მოძველებულად და ჩვენი მორალისთვის შეუფერებლად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათი წარმოშობის ახსნა შესაძლებელია ისტორიული ყოფის უკუღმართობით; ამიტომ, მათი აღნუსხვა და შესწავლა მაინც საჭიროა“ (ჭუმბურიძე 1965:3).

ვენ „დედინაცვალი თუ გყავს, მამაც მამინაცვალი იქნება“ (შეროზია, მემიშიში 1994:240).

(IIბ). მდედრობითი სქესის უპირატესობა წარმოჩენილია შეფარვით: ქალის შექებით, კაცის დასახელების გარეშე:

ქართული

(28) ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ველარ დააკავებსო (http://idioms.tsu.ge/?p=10048).

მეგრული

(29) ოსური ქოთი ქიდგოხორუანს დო ქოთი ერჭყვიდუნსია (შეროზია, მემიშიში 1994:110) „ცოლი (ქალი) კიდეც დაგასახლებს და კიდეც დაგაქცევსო“.

(30) ჯგირი ოსურიში მენდულს შარას ორზოლი ვაკონია „კარგი ცოლის მოიმედეს გზაში საგზალი არ უნდაო“ (იქვე:190).

(31) ჯგირი ოსური ეკოცგმილ ოჯახის აშენენსია (ექსპ. მასალები) „კარგი ქალი დანგრეულ ოჯახს ააშენებსო“.

ლაზური

(32) ნოსეი ნანაშ ბერეფე ნოსეი იყვენან-ჲა „ჭკვიანი დედის შვილები ჭკვიანები იქნებიანო“ (შეროზია, მემიშიში 1994:242).

სვანური

(33) დინაგეზალ მეზგემ ესერ მგჭრენი ლი „ქალიშვილი ოჯახის მაკავშირებელიაო, ოჯახის მოყვრად მომკიდებელიაო“ (დავითიანი 1973:33).

(34) ზურალ ისგ’ ათეშური, ეჯი კოჯ ესერი ჩუ კეშნი „ქალი რომ შეენთება, ის კლდეც გატყდებაო“ (იქვე:40).

(35) მეზგემ ურელთე მგჴდე ქორაშ ზურალ ესერ ლი „ოჯახის სახელის გამთქმელი სახლის დედაკაციაო“ (იქვე:88).

განხილული ემპირიული მასალის ფონზე ერთგვარად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ქართველურ ენათა ანდაზების სხვა ჯგუფები იმ თვალსაზრისით, რომ

III. მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები თანაბრად პოზიტიურად არიან წარმოდგენილი:

ქართული

(36) დედაკაცი ღრმად იხედება, მამაკაცი ვრცლადაო (ჯორჯანელი 2003 (ა):69).

(37) ვაჟიშვილი ოჯახის საყრდენია, ქალიშვილი სიმშვენე (იქვე:92).

(38) მამაკაცისათვის ქვეყანა გულია, დედაკაცისთვის კი გული – ქვეყანააო (იქვე:161).

სვანური

(39) დინა ი ნაღუჟურ ექგრდ’ ესერ გეზალ ლიხ „გოგო და ვაჟი ორივე შვილიაო“ (დავითიანი 1973:34).

(40) ჲახუმ ნასგიდუ ჭაშუ ესერ ხეთრა, ჭაშუმ – ჲახუ „ცოლისაგან მოვლა ქმარს ეტყობაო, ქმრისა კი – ცოლსაო“ (იქვე:121).

IV. მდედრობითი და//ან მამრობითი სქესის წარმომადგენლები დახასიათებულია მათი ძირითადი საქმიანობისა თუ ხასიათის ნიშან-თვისებათა მიხედვით:

ქართული

(41) ქალი – მორცხვი, ვაჟი – ხასი: ორივენი ქვეყნის ფასი (ქართ. ანდ. I:133).

(42) ტირილი ქალის საქმეა, გაძლება – ვაჟკაცისაო (http://idioms.tsu.ge/?p=17112).

მეგრული

(43) ოსურკოჩიში იარაღი კიჟინი) ჩილამური რენია „ქალის (დედაკაცის) იარაღი კივილი (ცრემლი) არისო“ (შეროზია, მემიშიში 1994:111).

(44) ქომოლკოს დუდიში ცქვაფა ვაუცორსია „ვაჟკაცს თავის ქება არ უყვარსო“ (იქვე:144).

ლაზური

(45) ქიმოლი კოჩის თი ომცქუ ვარ უჩქინ „ვაჟკაცმა კაცმა თავის ქება არ იცის“ (შეროზია, მემიშიში 1994:255).

სვანური

(46) ლაკუ̂ცანი ესერ ზურალს ხესგუ̂იუ̂, ფაყუ̂ – ღუ̂აჟმარა „თავსაფარი ქალს შვენისო, ქუდი კი – მამაკაცსო“ (დავითიანი 1973:49).

(47) ლანან ესერ – ქორჳშ ბუას, ჯჳრ ი კიბდენ – ქორჳშ დიას „საბძელი – სახლის მამასო, გობ-კიდობანი – სახლის დედასო“ (იქვე:50).

(48) ლაფცხირ ესერ – ზურალს ი მერჩილ – ღუაჟმარა „ფოცხი – დედაკაცს და ცელი – მამაკაცსო“ (იქვე:51).

(49) ღენწიშ ესერ ღუაჟმარემ ნამურჯუი ლი ი ღუარჩინ – ზურალაშ „გუთანი მამაკაცის საქმეა და ფქვილის ასაღები – ქალისო“ (იქვე:155).

ამდენად, როგორც სათანადო ემპირიული მასალის კლასიფიკაციამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, ქართველურ ენათა ანდაზურ ფონდში ასახული გენდერული სტერეოტიპები არ არის მხოლოდ ანდროცენტრული ტენდენციების გამომხატველი. ანდაზებში მოცემული გენდერული ასიმეტრიის პარალელურად ვხვდებით გენდერული გათანაბრების ტენდენციასაც. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მიზნით შეიქმნა ესა თუ ის ანდაზა, როდის გავრცელდა და დამკვიდრდა იგი ხალხში, რა სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი უდევს მის წარმოშობას და სხვ.[1]

[1] ამ კონტექსტში საყურადღებოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ქალისა და მამაკაცის გენდერული განსხვავებულობის სოციალური საფუძველი თავდაპირველად ბიჭისა და გოგოს განსხვავებული აღზრდის წესში ვლინდება, ხოლო შემდეგ მამაკაცის გარე, მძიმე ფიზიკური შრომითა და ქალის საოჯახო საქმიანობით განისაზღვრება. ფაქტობრივად ეს სოციალური საფუძველი განაპირობებს მამაკაცის გენდერულ დომინირებას“ (ქურდაძე 2008:110).

თავი V – ქართველურ ენათა ანდაზების კვლევის პერსპექტივები თანამედროვე პარემიოლოგიის ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით

5.1 ზოგადი მიმოხილვა

ემპირიული მასალის მოპოვება და დამუშავება თანამედროვე სამყაროში მჭიდროდ უკავშირდება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას, რამაც, არსებული სამეცნიერო მოთხოვნების გათვალისწინებით, ტრადიციულ მიდგომებთან ერთად კვლევის ახალი მეთოდების დანერგვაც განაპირობა; ცხადია, „ინფორმაციული ტექნოლოგიების „აფეთქებამ“ ბუნებრივად მოიტანა ადამიანის არსებობისა და საზოგადოებაში მისი ფუნქციონირების თვისებრივი ცვლილება“ (თანდაშვილი, გიპერტი 2023:X). ამგვარმა მნიშვნელოვანმა გარდაქმნებმა შექმნა აგრეთვე წინაპირობა XXI საუკუნეში ახალი დისციპლინების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში. დიგიტალური ბაზების შექმნისა და კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ვრცელ ემპირიულ მასალაზე დამყარებული ლინგვისტური კვლევებიც ახალ ეტაპზე გადადის; კერძოდ, ენობრივი მასალის ციფრულ ფორმატში გადაყვანის შემდგომ მისი სათანადო დამუშავებისა და დოკუმენტირება-არქივირებისათვის არაერთი პროგრამული თუ სხვადასხვა

სახის რესურსი არსებობს (Himmelmann 1998, Gippert et al. 2006, Drude 2016)[1]. ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანილი და სათანადო ტექნოლოგიური მხარდაჭერით მომზადებული ტექსტური მონაცემები და//ან აუდიო-ვიდეო მასალა თავს იყრის ერთიან ციფრულ ბაზაში – **კორპუსში,** რომელიც მონაცემთა კორპუსლინგვისტური დამუშავების საშუალებას იძლევა და სისტემურობითა და გამართული მეთოდურობით ხასიათდება. თავის მხრივ, კორპუსების არსებობა განაპირობებს ახალი სამეცნიერო დისციპლინების ჩამოყალიბებას; მათ შორის კი გამორჩეული ადგილი უჭირავს ***კორპუსლინგვიტიკას.***

ქართველურ ენათა ანდაზების შესწავლა თანამედროვე მეთოდებითა და საშუალებებით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კორპუსლინგვისტური კვლევების ახალ პერსპექტივებს აჩენს, რისთვისაც პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი საძიებო სისტემით აღჭურვილი ანდაზების კორპუსის შექმნაა. კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსპექტივად ქართველურ ენათა ანდაზების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა გვესახება, რაც, თავის მხრივ, თანამედროვე პარემიოლოგიაში აქტუალური საკითხების განსხვავებული კუთხით შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

[1] ქართულ სამეცნიერო სივრცეში ენის ციფრული (resp. დიგიტალური) დოკუმენტირების შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად შექმნილია ტერმინი ***„დოკულინგვისტიკა“*** (თანდაშვილი 2016 (ა)).

5.2 მონაცემთა ბაზები, თანამედროვე ტექნოლოგიები და ქართველურ ენათა ანდაზები კორპუსლინგვისტიკის პერსპექტივიდან

უკანასკნელ ხანებში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში გადადგმულმა რევოლუციურმა ნაბიჯებმა „დააჩქარა მეცნიერების განვითარება და მისი ტრანსფორმაცია გამოიწვია... როგორც პირველადი, ისე მეორეული რესურსების ხელმისაწვდომობამ და თავისუფალმა გამოყენებამ სრულიად ახალი შესაძლებლობები შეუქმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს“ (თანდაშვილი, გიპერტი 2023:X-XI). ამის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ჰუმანიტარული დარგების, პირველ რიგში, „დიგიტალური ჰუმანიტარიის წარმოშობის აუცილებლობა თავად ჰუმანიტარული მეცნიერების შიგნით მიმდინარე კვლევითი პროცესების ტექნოლოგიზებით იყო განპირობებული, რამაც **კვლევის რაოდენობრივი (კვანტიტატიური)** და **თვისებრივი (კვალიტატიური) ასპექტები** ერთ სიბრტყეში მოაქცია“ (იქვე:XIII). სწორედ დიგიტალური ჰუმანიტარიის განვითარების კვალდაკვალ შექმნილი ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა დღეს კორპუსლინგვისტიკა.

კორპუსლინგვისტიკა თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში საფუძველჩაყრილი ინტერდისციპლინური სამეცნიერო დისციპლინაა, რომლის უპირველესი ამოცანა კორპუსების (დიდი მოცულობის ციფრული მონაცემთა ბაზების) აგება, მათი მართვა და გამოყენების მეთოდების შემუშავებაა. ჩვეულებრივ, ცალკეული

კვლევების მასშტაბებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, კორპუსების არსებობა ენისა და კულტურის დოკუმენტირების, მისი არქივირების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ჩვენს შემთხვევაში, ქართველურ ენათა მასალების დამუშავება სათანადო მეთოდური და ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით მით უფრო აქტუალური და საშურია, რადგან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ***(„იუნესკოს“)*** მიხედვით, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ნუსხაში შეტანილია სამივე არასალიტერატურო ქართველური ენა: მეგრული, ლაზური და სვანური. „იუნესკოს“ შეფასებით, ამ ენებს გაქრობის საფრთხე სულ უფრო მეტად ემუქრებათ, რადგან ენობრივი კომპეტენცია აღნიშნული ენების შემთხვევაში საგრძნობლად დაქვეითდა მოზარდებში, რაც სულ მალე გამოიწვევს ტრანსმისიის შეფერხებას და, საბოლოოდ, ამ ენათა გაქრობას. „იუნესკოს“ ატლასზე[1] მონიშნულ ენებს გაქრობის საფრთხის დონეებიც აქვთ მითითებული და ზემოხსენებული სამივე ქართველური ენა კვალიფიცირებულია როგორც *„უდავოდ გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი“* (Definitely endangered)[2]. შესაბამისად, ამ ენათა დიგიტალური დოკუმენტირება და არქივირება, განსაკუთრებით თემა-

[1] საფრთხეში მყოფი ენების მსოფლიო ატლასი (მესამე გამოცემა, 2010 წ.) და სათანადო ინფორმაცია იხ. „იუნესკოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე: https://unesdoc.unesco.org (ბოლო წვდომა: 10.12.2024).

[2] იუნესკოს მიხედვით, გაქრობის საფრთხის ამ დონეზე მყოფ ენებს ძირითადად მშობლების (ან უფრო ძველი) თაობა იყენებს.

ტური კორპუსების შექმნა, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

„კორპუსმშენებლობისას“ უპირველესი ნაბიჯი ტექსტის ელექტრონული ვერსიის მომზადებაა, რომელიც შემდგომ სათანადოდ უნდა დამუშავდეს, დაერთოს მეტამონაცემები და ა.შ. კორპუსის ჯეროვანი ფუნქციონირება კვლევის პროცესში დიდწილად განპირობებულია კორპუსის მართვის მენეჯერის (resp. კორპუსმენეჯერის) გამართულობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ძიების პროცესს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (მაგ., კორპუსში ძიება შესაძლებელია მორფოლოგიური მახასიათებლების მითითებით, მეტამონაცემების საშუალებით და ა.შ.). ქართული ენის ეროვნული კორპუსისა (http://gnc.gov.ge) და სხვა, მათ შორის, თემატური კორპუსების შექმნა, ამასთანავე, მათი გამოყენებით კორპუსლინგვისტური კვლევების განხორციელება ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია[1].

ვინაიდან კორპუსი დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისთვის სწრაფი, ეფექტური, დრო-სივრცული თვალსაზრისით ხელმისაწვდომი და სანდო საშუალებაა, კორპუსლინგვისტური კვლევები სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. კორპუსის მნიშვნელობა და კორ-

[1] ***„კორპუსული მოძრაობის“*** ისტორია საქართველოში და კორპუსლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, როლი დიგიტალური ქართველოლოგიის კონტექსტში გაანალიზებულია მ. თანდაშვილისა და მ. ყამარაულის მონოგრაფიაში „შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში“ (2021 წ.).

პუსული კვლევების პერსპექტიულობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანდაზებთან მიმართებით, ვინაიდან ანდაზების თემატური კორპუსების არსებობა არა მარტო ლინგვისტური კვლევების საშუალებას იძლევა, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც. სწორედ ამიტომ, თანამედროვე პარემიოლოგიური კვლევების დიდი ნაწილი სწორედ კორპუსზე დამყარებულ (Corpus-based studies) და//ან კორპუსით განპირობებულ (Corpus-driven studies) კვლევებს წარმოადგენს[1].

ანდაზების კორპუსული კვლევა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი ფენომენის შესასწავლად, როგორიცაა ***ანდაზების ვარიანტულობა.*** მიუხედავად იმისა, რომ ანდაზა, როგორც უძველესი კოდური ინფორმაციის მატარებელი ერთეული, არსებითად მყარი და ნაკლებად ცვალებადი მთლიანობაა, პარემიოლოგები დღესაც ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად ანდაზის ვარიანტულობას ასახელებენ (Steyer 2014). ზემოთქმულის გარდა, ანდაზების კორპუსული კვლევები **სტატისტიკურ** და **კოლოკაციურ ანალიზსაც** უზრუნველყოფს, რაც არაერთი მიმართულებითაა ღირებული.

სტატისტიკური მონაცემები, ზოგადად, არსებულის ვერიფიცირებასთან ერთად თვისობრივად ახალი

[1] მაგალითისთვის იხ. 2014 წელს გამოსულ კრებულში („შესავალი პარემიოლოგიაში: სრული (ყოვლისმომცველი) გზამკვლევი ანდაზების შესასწავლად“ (Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies) მოცემული კვლევები.

დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა. თანამედროვე კვლევებში ტექნოლოგიების როლის საილუსტრაციოდ, **საპილოტედ** შევარჩიეთ იდეურ-სემანტიკურად ახლოს მდგომი (resp. თემატურ-შინაარსობრივად ეკვივალენტური) ქართული და მეგრული ანდაზები. მასალის მოცულობა განისაზღვრა 100 ქართული (ჯამში: 503 ტოკენი და 411 ტიპი) და 100 მეგრული (ჯამში: 485 ტოკენი და 391 ტიპი) ანდაზით. ანდაზები სპეციალური პროგრამული რესურსებისა და ხელსაწყოების (Voyant tools[1] და Kwic[2]) გამოყენებით დამუშავდა. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგები: სტატისტიკური მონაცემების ვიზუალური გამოსახულება; კერძოდ, ***ფიგურა 1*** და ***ფიგურა 2*** წარმოადგენს საანალიზოდ აღებული ქართული ანდაზების მახასიათებლებს, მათ ლექსიკურ შედგენილობასა და სიხშირულ განაწილებას, ხოლო ***ფიგურა 3*** და ***ფიგურა 4*** ასახავს იდეურ-სემანტიკურად შესატყვისი მეგრული ანდაზების იმავე მონაცემებს[3].

[1] იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://voyant-tools.org/ (ბოლო წვდომა: 24.10.2023). აღნიშნული რესურსის შესახებ ინფორმაცია იხ. აგრეთვე 1.7 პარაგრაფში.


[2] იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://nuchs-corpus.japanwest.cloudapp.azure.com (ბოლო წვდომა: 24.10.2023).

[3] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ რესურსებს გამოყენების გაცილებით მეტი არეალი აქვთ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მცირე მოცულობის ტექსტური კორპუსის შექმნა, მასში კოლოკაციების ძიება, შედარებითი სიხშირის დადგენა ტექსტის სხვადასხვა სეგმენტის მიხედვით და ა.შ.

ფიგურა 1




ფიგურა 2



ფიგურა 3 *ფიგურა 4*






შესადარებელ ენათა ანდაზების ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება იყოს საინტერესო, რაც სამომავლო კვლევის საქმეა, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთ თავისებურებაზე გავამახვილებთ ყუ-

რადღებას: მოყვანილ სტატისტიკურ სურათში იკვეთება ქართულ და მეგრულ ანდაზებში ტოკენებისა და ტიპების ურთიერთმიმართების საკითხი, ე.წ. Type-Token Relation (resp. **TTR.** იხ. ფიგურა 2 და ფიგურა 4). TTR ასახავს ტექსტში ტიპების რაოდენობრივ შეფარდებას ტოკენებთან და მიიღება ტიპების ტოკენებზე გაყოფის შედეგად.


ერთი შეხედვით, ლოგიკური იქნებოდა იმის განზოგადება, რომ, რაც უფრო მაღალია TTR-ის მაჩვენებელი//კოეფიციენტი (შესაბამისად, რაც უფრო მეტია ტიპების რაოდენობა), მით უფრო ორიგინალურ, თავისთავად და მდიდარი ლექსიკურ-გამომსახველობითი ინვენტარის მქონე ტექსტთან გვაქვს საქმე, თუმცა ყოველთვის ასე არ არის, რადგან ტექსტების ამგვარი ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ენის მახასიათებლებს, საანალიზოდ აღებული ტექსტის მოცულობას, ჟანრობრივ თავისებურებებს და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში, კვლევის ინტერესების შესაბამისად, ამა თუ იმ ტექსტში მნიშვნელოვანია სტატისტიკურად არა ყველაზე გავრცელებული, არამედ ყველაზე დაბალი სიხშირის მქონე ლექსემების ანალიზი. ამ თვალსაზრისით, ჩვენს მასალაში არსებული შედარებითი სურათი, ნაკლები სიხშირის მქონე პირველი ათი სიტყვის მაგალითზე, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ფიგურებში:

ფიგურა 5



ფიგურა 6



გარდა ამისა, ხშირად კვლევისთვის მოსახერხებელია სიტყვების დალაგება არა ანბანთრიგზე, არამედ ე.წ. ინვერსიული ლექსიკონის პრინციპით. ამგვარად სტრუქტურირებული მასალა განსაკუთრებით საინტერესოა აფიქსებით მდიდარი ისეთი ენების კვლევისას, როგორიცაა ქართველური ენები. საანალიზოდ აღებულ ქართულ და მეგრულ ანდაზებში წარმოდგენილი ლექსემების ინვერსიული სია (რამდენიმე ლექსიკური ერთეულის მაგალითზე), რომლის გენერირება მარტივადაა შესაძლებელი Kwic-ის დახმარებით, წარმოდგენილია ფიგურა 7-სა და ფიგურა 8-ში:

ფიგურა 7 *ფიგურა 8*



ამდენად, თანამედროვე პროგრამული და ტექნოლოგიური რესურსები, როგორც დამხმარე საშუალება, მოხერხებულია სხვადასხვა სახის კვლევის ჩასატარებლად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი მასალის პროგრამულად დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები (მაგ., ფიგურა 2-სა და ფიგურა 4-ში წარმოდგენილი ინდექსის მონაცემები) სა-

ბოლოო დასკვნების გასაკეთებლად საკმარისი არ არის. ჩატარებული კვლევის სარწმუნოობისთვის აუცილებელია ვრცელი ემპირიული მასალა და ენის ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინება.

5.3 ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზა: რესურსების შექმნის ძირითადი პრინციპები

თანამედროვე თეორიული და ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ, დიგიტალური ჰუმანიტარიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დიდი მონაცემთა ბაზების (big data) შექმნა ტექსტური კორპუსების სახით; აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც დამწერლობის მქონე, ისე დამწერლობის არმქონე ენებს (თანდაშვილი, გიპერტი 2023). აქედან გამომდინარე, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ელექტრონული ბაზა, რომელშიც ბეჭდურად გამოცემული და საველე სამუშაოებისას მოპოვებული და//ან დაზუსტებული მასალა გარკვეული პრინციპით იქნება კლასიფიცირებული და კვალიფიცირებული, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს ქართველურ ენათა ემპირიული მასალის ჩართვას კორპუსლინგვისტურ კვლევებში და, ზოგადად, ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზაციასაც.

ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის შექმნა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

პირველ რიგში, ქართულ ანდაზებს უნდა დაეძებნოს შესაბამისი სემანტიკური ეკვივალენტები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში და დაჯგუფდეს შინაარსობრივ-თემატურად, რის შემდეგაც უნდა შეიქმნას ქართველურ ენათა ანდაზების დიგიტალური კორპუსი, რომელიც ღია რესურსის სახით უნდა განთავსდეს ინტერნეტში. თანამედროვე ვითარების საჩვენებლად და არსებული ბეჭდური მასალის გადასამოწმებლად აუცილებელია ველზე მუშაობაც, რომლის დროსაც დამატებით გამოიკვეთება ანდაზების ტრანსფორმაციის მიმართულება, დინამიკა და სხვ. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულებული სამუშაო ხელს შეუწყობს საბოლოო პროდუქტად სანდო და რელევანტური რესურსის შექმნას.

ოთხივე ქართველური ენის ანდაზების მონაცემთა ელექტრონული ბაზისთვის, რომელიც მომავალში შეიქმნება, საყრდენი (ამოსავალი) საკვლევი ემპირიული მასალა ბეჭდურად გამოცემული ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზებია, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი შეიძლება შეივსოს და დაზუსტდეს საარქივო და ველზე მოპოვებული მასალებითაც. ბაზა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ქართველურ ენათა შინაარსობრივად ეკვივალენტური ანდაზები, რაც გამოკვეთს საერთოქართველურსა და თითოეული ქართველური ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებებსაც.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქტმა რამდენიმე მიმართულებით უნდა შეავსოს საერთოქართველური ენობრივი სუ-

რათი პარემიოლოგიაში. რაც ყველაზე მთავარია, სიახლე იქნება ერთი მხრივ ის, რომ ერთ სივრცეში განთავსდება ოთხივე ქართველური ენის ანდაზები, ხოლო მეორე მხრივ – დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება რომელიმე კონკრეტული ქართული ანდაზის მეგრული, ლაზური და სვანური ეკვივალენტი მარტივად მოიძიოს ბაზაში.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ელექტრონული ბაზის შექმნის გამოცდილება ქართულ სამეცნიერო სივრცეში უკვე არსებობს; კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერვერზე განთავსებულია ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების მონაცემთა ბაზა (იხ. შემდეგი ელექტრონული მისამართი: http://idioms.tsu.ge/) ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით (ხელმძღვანელი: პროფ. მანანა რუსიეშვილი). აღნიშნული პროექტის მიზანი არ იყო დანარჩენი ქართველური ენების მასალის დამუშავება, თუმცა არსებული რესურსი გვიჩვენებს, რომ ამგვარი სამუშაოს ჩატარება მთლიანად ქართველურ ენათა მასალაზეც გადაუდებელი საქმეა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველურ ენათა ანდაზების მონაცემთა ელექტრონული ბაზა იქნება ჩვენში „კორპუსმშენებლობის“ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. ამასთანავე, იგი გახდება რესურსი, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს და მოუმზადებს ნიადაგს პარემიოლოგიაში ქართველურ ენათა მასალაზე კორპუსლინგვისტური კვლევების სამომავლოდ დაგეგმვასა და განხორციელებას.

ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის პირველადი კონცეპტუალური ჩარჩო ასეთია: პირველ რიგში, აუცილებელია ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის კვალიფიცირება და კლასიფიცირება; კერძოდ, ქართველურ ენათა ანდაზების დალაგება:
ა) იდეურ-სემანტიკური ეკვივალენტების მიხედვით;
ბ) თემატური პრინციპით (კონცეპტების მიხედვით).

ანდაზების კლასიფიკაცია კონცეპტების მიხედვით მოითხოვს შემდეგი ძირითადი ჯგუფების გამოყოფას:

1. ადამიანური თვისებები:
    ა. დადებითი: მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, მეზობლობა, პატიოსნება და მისთ.
    ბ. უარყოფითი: ბოროტება, შური, გაუტანლობა, სიზარმაცე, ღალატი და მისთ.
2. ოჯახის წევრთა ურთიერთობა;
3. თავისუფლება;
4. მშვიდობა;
5. ბედი;
6. იმედი;
7. შრომა/მუშაობა;
8. ჯანმრთელობა, ავადმყოფობა;
9. სილამაზე/მშვენიერება;
10. სტუმარმასპინძლობა და სხვ.

რაც შეეხება ქართველურ ენათა ანდაზების მონაცემთა ბაზის ტექნოლოგიურ მხარეს[1], საწყის ეტაპზე, ბაზაში შესაძლებელი იქნება მარტივი ძიების პარამეტრების გამოყენება. ამგვარი საბაზისო ძებნის სისტემა საშუალებას იძლევა საძიებო ველში დაინტერესებულმა პირმა შეიტანოს როგორც სრული სახით ანდაზა, ისე მასში შემავალი ცალკეული ფრაზა ან სიტყვა. ამასთან, ბაზაში ძიება შესაძლებელი იქნება ე.წ. „ნებისმიერი ნიშნის“ პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუსტი სიტყვა-ფორმების გარდა შესაძლებელია ბაზაში მოვიძიოთ ლექსემა ნებისმიერი დაბოლოებით. მაგალითისთვის, გამოსახულება **კაც*** იქნება ბრძანება, რომლის ჩაწერის შემდეგაც ბაზამ უნდა შემოგვთავაზოს ყველა ის ანდაზა, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ფუძე ნებისმიერი დაბოლოებით//სუფიქსით (*კაც-**მა**, კაც-**ით*** და მისთ.) ამის პარალელურად, ***კაც** ბრძანებით ძიება შესაძლებელი იქნება სიტყვის პრეფიქსული პოზიციის ნებისმიერობის პრინციპითაც (***უ**-კაცური, **არა**-კაცი* და ა.შ.). ამასთან, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის მომხმარებელს შეეძლება ძიების შეზღუდვა გარკვეული პარამეტრების მიხედვით (მაგალითად, სიტყვაფორმების ძიება მხოლოდ რომელიმე ქართველური ენის ანდაზურ ფონდში).

გარდა ამისა, ქართველურ ენათა ანდაზების ელექ-

[1] ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის ტექნოლოგიურ ჩარჩო-მოდელთან დაკავშირებული მსჯელობისთვის გამოყენებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსის მაგალითი (იხ. http://gnc.gov.ge).

ტრონულ ბაზაში მასალის მოძიება იდეურ-თემატური პრინციპითაც იქნება შესაძლებელი, რაც ანდაზებში წარმოდგენილ კონცეპტებს დაემყარება (ნიმუშისათვის იხ. ანდაზებში ზემოთ გამოყოფილი 10 ძირითადი ჯგუფი). მაგალითად, წინასწარ დამუშავებულ, საგანგებოდ მარკირებულ და ბაზაში თავმოყრილ მასალაში მომხმარებელს საშუალება ექნება მოძებნოს ყველა ის ანდაზა, რომლის კონცეპტუალური პარადიგმა ეხება ადამიანის ბედს, იღბალს, ხვედრს და სხვ.

ზემოთქმულთან ერთად, სამომავლოდ, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის განვითარება საინტერესო იქნება რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ბაზაში რთული ძიების შესაძლებლობის დამატება (მაგ., ძიება მეტყველების ნაწილების მიხედვით). ამასთან, ელექტრონული ბაზის „სამომხმარებლო ნიღბის“ გაუმჯობესება სასურველია ტრანსლიტერაციის პრინციპების მიხედვით საძიებო სისტემის ჩართვით, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული რესურსის ფართო მოხმარების თვალსაზრისითაც იქნება ღირებული.

5.4 ანდაზა საგანმანათლებლო სივრცეში: გამოწვევები და ტენდენციები

ანდაზების დიდაქტიკური ხასიათი საგანმანათლებლო სივრცეში, პირველ რიგში, სასკოლო სახელმძღვანელოებში უნდა აისახოს და ამ გზით გავრცელდეს მოზარდ თაობაში, თუმცა გლობალიზაციისა და

თანამედროვე ციფრული სამყაროს პირობებში ახალგაზრდები ნაკლებ ყურადღებას იჩენენ ამ მიმართულებით; შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ანდაზების, როგორც ხალხური სიბრძნის უმთავრესი წყაროს, პოპულარიზაციის გააქტიურება. ზემოთქმულთან ერთად, ნათლად იკვეთება მხატვრულ ტექსტებში, უპირველესად, კლასიკოსთა ნაწარმოებებში, ანდაზის გამოყენების ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც, თავის მხრივ, ანდაზური შინაარსის სწორ დეკოდირებასაც მოითხოვს. ეს უკანასკნელი ბევრად არის დამოკიდებული მისი შრეობრივი სტრუქტურული დონეების გაგება-გააზრებასთან, ვინაიდან ანდაზის არქეტიპული სტრუქტურა და სემანტიკური თავისებურებები სწორედ ექსპლიციტურ, იმპლიციტურ და პრესუპოზიციულ დონეებზე წარმოჩნდება (რუსიეშვილი 2005).

ანდაზური სიბრძნისა და მისი ძირითადი იდეის ამოცნობა, ამ ანდაზათა შემქმნელი ხალხის ისტორიული და კულტურული ფონის გათვალისწინებით, ხშირად კომპლექსურ დიაქრონიულ ანალიზს მოითხოვს; მაგალითად, ყველასთვის ცნობილია ქართული ანდაზა – **„თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“**, თუმცა მისი იმპლიციტური მნიშვნელობა და დღევანდელი გაგება ერთმანეთისგან სხვაობს. სინქრონულ დონეზე აღნიშნული ანდაზის იდეურ-სემანტიკური ინტერპრეტაცია, რაც ჩვენმა საპილოტე ექსპერიმენტმაც დაადასტურა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: *თუკი ადამიანი გულით მოინდომებს, დასახულ მიზანს აუც-*

ილებლად მიაღწევს[1]*;* თუმცა სინამდვილეში, ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით, ამ ანდაზაში საუბარია არა ადამიანის, არამედ ქადის გულზე; კერძოდ, კარგად მომზადებული ქადის შიგთავსი იმდენად ფხვიერია (ანუ: იმდენად კარგად არის გაკეთებული), ჭამისას რომ არ დაგებნეს, ორივე ხელი უნდა შეაშველო (ლეჟავა 1959; ფოჩხუა 1974); ამის მიხედვით, ისტორიულად აღნიშნული ანდაზა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება და, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს მისი ანდაზურობაც ეჭვქვეშ დგას, თუმცა ფრაზამ დროთა განმავლობაში გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა (რაც, თავის მხრივ, ანდაზისთვის არსებითი მახასიათებელია) და სწორედ ამგვარად რეინტერპრეტირებული დამკვიდრდა ენაშიც. იმას, რომ ზემოთ წარმოდგენილი ანდაზა დროთა განმავლობაში სწორედ ასე იქნა გააზრებული, ადასტურებს ჩვენში ნაკლებად გავრცელებული შემდეგი ვარიანტის არსებობაც: „თუ გული გულობს, ადამიანი ქადას ერთი ხელით ორს აიღებსო“ (https://idioms.tsu.ge/?p=12057).

ამავე კონტექსტში საინტერესოა შევჩერდეთ სხვადასხვა ვარიაციით წარმოდგენილ კიდევ ერთ ქართულ ანდაზაზე*: „როგორიც ალხანაო, ისეთი ჩალხანაო“ // „ალხანას ჩალხანა არ დაელევაო“ // „ალხანას ჩალხანა უნდაო“.* აღნიშნულ ანდაზაში ეჭვს არ იწვევს სარითმო ერთეულად გამოყენებული მეორე სიტყვის – *„ჩალხა-*

[1] ექსპერიმენტის ფარგლებში, განსხვავებული ასაკისა და სქესის ცდისპირებს ვთხოვეთ, რომ მოცემული ანდაზის იდეურ-შინაარსობრივი განმარტება მოეწოდებინათ. ცდისპირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ ამგვარი ინტერპრეტაცია წარმოადგინა.

ნას“ მნიშვნელობა, რომელიც საბასთან შემდეგნაირადაა განმარტებული: **ჩალხანა** სხვათა ენაა, კარდალას ჰქვიან; მცირე, მომცრო ქვაბი (ორბელიანი 1993: 314)[1]; რაც შეეხება ***ალხანას,*** ამ ლექსემის განმარტება „სიტყვის კონაში“ მოცემული არ არის; აღნიშნული სიტყვა არც ქეგლშია განმარტებული[2]. ერთი შეხედვით, „ალხანა“ კონკრეტული შინაარსისგან დაცლილი, სარითმო წყვილად გამოყენებული ლექსემაა, ერთგვარი „უთარგმნელი“ ერთეულია, თუმცა სინამდვილეში, სიტყვის ეტიმოლოგიის გათვალისწინებით, სხვაგვარი ვითარება გვაქვს.

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მონაცემებით, „ალხანა“ იგივეა, რაც „ლახანა“, ხოლო ეს უკანასკნელი ავტორს განმარტებული აქვს როგორც „თავდახვეული კომბოსტო, ხვიტი“; აქვეა მითითებული მისი არაბული წარმოშობა (ჩუბინაშვილი 1984:22, 645). დ. ჩუბინაშვილის დეფინიციას მხარს უჭერს ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიც“, რომელშიც **ლახანა** განმარტებულია როგორც „თავხვეული კომბოსტო“ (მაყაშვილი 1961:43).

„ლახანას“ შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვ-

---

[1] შდრ. აგრეთვე ქეგლი-ს მონაცემები: **ჩალხანა** – მომცრო, ყურიანი ქვაბი, ცეცხლზე ჩამოსაკიდებელი, თუჯისა ან სპილენძისა (http://ena.ge). აღსანიშნავია, რომ შუაცეცხლზე ჩამოსაკიდებელ თუჯის ქვაბს გურულში ***ჩახანას*** ეძახიან (იხ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა: http://www.nplg.gov.ge).

[2] **ალხანა** გამოთქმაში: როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო! ერთი როგორიცაა, ისეთივეა მეორეც (http://ena.ge).

დის ივ. ჯავახიშვილი, რომლის ნაშრომშიც „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (წიგნი მეორე, 1935) ცალკე თავი ეძღვნება კომბოსტოს კულტურას საქართველოში (გვ. 168 და შმდგ.). ივ. ჯავახიშვილს ქართული „ლახანა“ ბერძნულიდან შემოსულად მიაჩნია: „ქართული „მხალი“ ბერძნულ „ლახანას“ უდრის, მაგრამ ბერძნულში τά λάχανα „ტა ლახანა“ მარტო ბოსტნეულს, მწვანილს კი არ ჰნიშნავს, არამედ კომბოსტოსაც. კომბოსტოს გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ქართული სახელი „ლახანაც“, რომელიც ამჟამად თითქმის ლიხთიმერეთშიღა ყოფილა დაცული, ბერძნული სიტყვა და სახელწოდებაა“ (ჯავახიშვილი 1935:177).

ცხადია, ***„ლახანას“*** ეტიმოლოგიის გარკვევა ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა ერთი რამ კი ნათელია: აღნიშნული ლექსიკური ერთეული საქართველოში სწორედ კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა და, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი ანდაზის თავდაპირველ ვერსიაში „ალხანას“ ნაცვლად „ლახანა“ უნდა ყოფილიყო. ამგვარი დაშვების შემთხვევაში ანდაზის შინაარსის ახსნაც მარტივდება (შდრ. როგორიც//რამხელაც კომბოსტოა, ქვაბიც ისეთი//იმხელა უნდაო). დროთა განმავლობაში, ანდაზის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის, რიტმულობა-რითმულობის გათვალისწინებით[1], მეტათეზისის შედე-

[1] ცნობილია, რომ „ქართული ანდაზები აზრობრივად და რიტმულად მტკიცედ შეკრული ნაწარმოებებია, რომლებშიც, ისევე როგორც სხვა პოეტურ ჟანრებში, გამოვლენილია მაღალი პოეტური

გად უნდა მიგვეღო ***ალხანა*** ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, გაერითმა ფრაზის ბოლოკიდურ ***ჩალხანა*** ლექსემას და აღნიშნული ცვლილებები მოყვანილი ანდაზის სტრუქტურული ქსოვილისთვისაც მეტად ორგანული გახდა.

ამგვარად, ერთი მხრივ, ანდაზის სტრუქტურული თავისებურებებისა და სემანტიკური მახასიათებელებ-ის გათვალისწინება, ხოლო, მეორე მხრივ, ანდაზური ფონდის კომპლექსური კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხების შესწავლა, სამომავლოდ ხელს შეუწყობს ანდაზების პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას საგან-მანათლებლო სივრცეში.

კულტურა და დიდი მხატვრული ალღო. ანდაზების რიტმული წყო-ბა ზეპირსიტყვაობის საუკუნეობრივი ტრადიციის შედეგია და ამ-იტომ არის იგი ასე მყარი და ურღვევი“ (ბარდაველიძე, 1979, გვ. 7).

ძირითადი დასკვნები

ქართველურ ენათა ანდაზების ენობრივი (სტრუქტურულ-სემანტიკური) ანალიზი, კვლევის პერსპექტივები, ერთ-ერთი საინტერესო და, ამავე დროს, აქტუალური საკითხია. ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს:

ა) **ემპირიული მასალის სისტემურობა,** კერძოდ, საერთოქართველური ენობრივი მსოფლხედვის დახასიათება ოთხივე ქართველური ენის (ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის) მიხედვით; მათ შორის მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა;

ბ) **ანდაზის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის, გააზრება,** კერძოდ: ფორმისა და შინაარსის ერთიანობის გათვალისწინებით ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ანალიზი სტრუქტურულ-სემანტიკურ და ლექსიკურ დონეზე;

გ) **კვლევის პერსპექტივა** სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით.

სტრუქტურული ანალიზის ძირითადი საკითხების კვლევამ წარმოაჩინა შემდეგი თავისებურებანი:

1. ქართველურ ენათა ანდაზებში I, II და III პირების დეიქსისი რეფერენციულად ნეიტრალიზებულია; აქედან:
   ა) განზოგადების უნარი აქვთ ორივე რიცხვის ფორმით გადმოცემულ გრამატიკულ პირებს და ისინი ქმნიან **განზოგადებულპირიან** სტრუქტურულ მოდელს;

ბ) განუსაზღვრელობის უნარი აქვს III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემულ პირს და იგი ქმნის **განუსაზღვრელპირიან** სტრუქტურულ მოდელს.

2. პირთა მიმართება **პრაგმატიკული** თვალსაზრისით განიხილება, თუკი ანდაზაში პირი ორი მორფოლოგიური ოდენობით (პირის ნაცვალსახელი და ზმნური ფორმა) არის მარკირებული.
3. პრაგმატიკულ კონტექსტს ძირითადად I და II, იშვიათად I და III პირების მიმართება ქმნის, რომლის დროსაც წარმოჩენილია ქართველი კაცის ეროვნული სამეტყველო ეტიკეტი, კერძოდ:
   ა) „მე“ არასოდეს არ არის უპირატეს მდგომარეობაში, მხოლოდ გატოლებული შეიძლება იყოს II ან III პირის შესაძლებლობებთან;
   ბ) „მე“-ს ნათქვამი ყოველთვის მოზომილია; იგი ერიდება სხვის შეურაცხყოფას და//ან გულისტკენას.
4. ქართველურ ენათა ანდაზებში სახელური მიმართვის ფორმები გადმოცემულია საზოგადო და საკუთარი სახელებით; თუმცა ისინი თანაბრად ავლენენ **განზოგადების** ტენდენციას.
5. სახელური მიმართვის ფორმები ერითმებიან ანდაზის ბოლოკიდურ ზმნურ ფორმებს; სარითმო მარცვალთრაოდენობას აწესრიგებს III პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკი. ეს მოვლენა ძირითადად ქართულისთვის არის დამახასიათებელი (*თაყა-ო – გაყა-ო*).

6. ქართველურ ენათა ანდაზებისთვის ნიშანდობლივია ***„და“*** კავშირიანი ელიფსური სტრუქტურის მოდელი, რომელიც იმავდროულად **დიალოგური** მეტყველების ნიმუშიცაა („ქურდს რა უნდა და – ბნელი ღამეო“ ტიპის ანდაზები).
7. ამგვარი აგებულების ანდაზაში ფრაზის ნაწილებს შორის მიჯნას დებს „და“ კავშირი, რომელიც, ამავდროულად, აწესრიგებს ანდაზის რიტმულ მთლიანობას **ინტონაციითა** და **პაუზით,** კერძოდ:
   ა) „და“ კავშირი აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის;
   ბ) მის მომდევნოდ ხანგრძლივი პაუზაა, რომელიც გამოტოვებული წევრ(ებ)ის (მაგ., ზმნური ერთეულის) საკომპენსაციოდ გამოიყენება.
8. საანალიზო მოდელში „და“ კავშირის **სპეციფიკურ-სტილური** ფუნქციით გამოყენება დაადასტურა სპეციალურად ჩატარებულმა ექსპერიმენტმა.
9. ანდაზაში ევიდენციალური ინფორმაციის კვლევა მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყაროზე მითითების თვალსაზრისით.
10. ქართველურ ენათა ანდაზებში ევიდენციალობის გადმოსაცემად გამოიყენება მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური საშუალებები, რომლებიც ქმნიან ორი ტიპის სტრუქტურულ მოდელს:
    ა) ავტორის ნათქვამი + ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი;
    ბ) ოდენ ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი.

11. (ა) სტრუქტურულ მოდელში **ავტორის ნათქვამი** უნახაობის გამომხატველი ზმნური ფორმით არის გადმოცემული (მორფოლოგიური საშუალება). ავტორის ნათქვამს მოსდევს **კონსტრუქცია + სხვათა სიტყვა** (მორფოსინტაქსური საშუალება).
12. (ბ) სტრუქტურული მოდელი გამარტივებულია; მასში ავტორის ნათქვამი იგულისხმება, ხოლო ევიდენციალობა რეალურად ოდენ მორფოსინტაქსური საშუალებით **(კონსტრუქცია + სხვათა სიტყვა)** არის გამოხატული.
13. ქართველურ ენათა ანდაზებში III პირის გამომხატველი სხვათა სიტყვა შეიძლება ყველა პირს (I, II, III) დაერთოს ორსავე რიცხვში, რაც ხელს უწყობს ანდაზური სიბრძნის **განზოგადებას.**
14. ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების **სემანტიკური ანალიზის** პრინციპები საერთოქართველურ ენობრივ-კულტურულ მსოფლხედვას, საერთო რწმენა-წარმოდგენებსა და სამყაროს აღქმის მსგავს მოდელს ემყარება.
15. ქართველურ ენათა ანდაზები **სემანტიკური ეკვივალენტობის** თვალსაზრისით ძირითადად იდენტურია, სხვაობები ადგილობრივი ხასიათისაა, გამოიყოფა სამი ჯგუფი:
    ა) ზედმიწევნით თანხვდენილი ანდაზები (სტრუქტურა-შინაარსის, ლექსიკის მიხედვით);
    ბ) ოდენ ლექსიკური ვარიაციით განსხვავებული ანდაზები;

გ) ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ანდაზები, შედგენილი ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული თუ ყოფითი მოვლენების, ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მიხედვით.

16. დროთა განმავლობაში, საზოგადოებაში არსებული ღირებულებათა სისტემის ცვლილების პარალელურად, ტრადიციული ანდაზის გვერდით წარმოიქმნება იდეურად სახეცვლილი, სატირულ-იუმორისტული ხასიათის, თანამედროვე ყოფის აქტუალურ საკითხებს მისადაგებული ვარიანტები; მათ **კვაზიანდაზები** ეწოდებათ.
17. კვაზიანდაზები სალიტერატურო ენაზე იქმნება; იგი დასტურდება ინტერნეტსივრცეში, სარეკლამო ტექსტებში, წიგნებისა და სტატიების სათაურებში, ჟურნალ-გაზეთებში.
18. საერთოქართველური ლინგვოკულტურული სივრცის სრულყოფილად აღსაწერად ძალზე მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა ანდაზების შესწავლა. ანდაზების სემანტიკური ანალიზი საყურადღებოა ეროვნულ-კულტურული კონცეპტების მიხედვითაც. ეს საკითხი ნაშრომში განხილულია **„ბედის“ კონცეპტის** მაგალითზე. იგი ბაზისურ კონცეპტთა რიგში მოიაზრება და ცნობიერების უმნიშვნელოვანეს კატეგორიად არის მიჩნეული.
19. ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში გაცილებით პროდუქტიულია „ბედი“, ვიდრე მის სინონიმურ წრეში შემავალი სხვა ლექსემა; ქართველურ ენათა ანდაზებში ასახულია რწმენა იმის შესა-

ხებ, რომ ბედი ბრმაა; შესაბამისად, ანდაზებში ადამიანთა სიფრთხილე ჩანს, რაც განპირობებულია ანდაზის, როგორც დამრიგებლური შინაარსის მქონე ფრაზის, პრაგმატიკული დანიშნულებითაც.

20. ანდაზას, იდეურ-შინაარსობრივი და პრაგმატიკული თავისებურებების გათვალისწინებით, ხშირად იყენებენ პოლიტიკურ დისკურსშიც; ამ დროს ანდაზა შეიძლება განვიხილოთ პოლიტიკოსისთვის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად.

ლექსიკას გამორჩეული ადგილი უჭირავს ანდაზის ენობრივი მონაცემების კვლევისას.

21. ქართველურ ენათა ანდაზებში **ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები** ასახავენ:
    ა) ოჯახის ძირითადი და შემომატებული წევრების მონაწილეობას;
    ბ) გლეხურ ყოფასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობას;
    გ) შინაურ ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, რომელთა მიღმა ალეგორიულად ადამიანი მოიაზრება;
    დ) რელიგიურ თემატიკას.

22. ქართველურ ენათა ანდაზებში გააქტიურებულია ცალკეული კუთხისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, კერძოდ:
    ა) ზღვა, წყალი, მეთევზეობა... ლაზურში;
    ბ) გეოგრაფიული სახელებით ნიშანდებული ანდაზები ქართულში, მეგრულში, ლაზურსა და სვანურ-

ში (*გორი – ცხინვალი; ხორგა – ხეთა; სტამბოლი – ჩხალა; ჯენის ღელე – კაცხი*);

გ) რიტმულობა-რითმულობის გამომხატველი ანთროპონიმები მეგრულში (*ცხონდია – მორდია, მიქახე – დიშახე* და სხვ. შდრ.: სახელური მიმართვის შემცველ სტრუქტურულ მოდელს ქართულში: *თაყაო – გაყაო*).

23. ამგვარი მაგალითები მიუთითებენ კონკრეტული ანდაზის შექმნის ადგილზე, რის შედეგადაც ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ადგილობრივი ნიშნით არის შეფერილი.
24. ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული **რიცხვითი სახელები** (სამი, შვიდი, ცხრა, ათი, თორმეტი, ასი, ათასი), ერთის გარდა, ძირითადად **ზოგადი სიმრავლის** გამომხატველია.
25. რიცხვით სახელთა სიმრავლეს ანდაზაში უკეთ წარმოაჩენს მათი დაპირისპირება **ერთთან,** როგორც კონკრეტული რაოდენობის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთან.
26. ქართველურ ენათა ანდაზებში *ერთი* და *ცხრა, ერთი* და *ასი...* ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც *ერთი* და *ბევრი, ერთი* და *მრავალი,* რაც **აზრის განზოგადებას** უწყობს ხელს.
27. ქართველურ ენათა ანდაზებში **ფონოსემანტიკური ლექსიკის** ფუნქციური დანიშნულებაა **მოქმედების ინტენსიფიკაცია** და მთლიანად ფრაზის **ექსპრესიულობის** გამოხატვა.

28. ექსპრესიულობა განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, როცა ნეიტრალური და ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი (*გატეხილი – გაჟეჟილი; დონთხაფა „დაცემა“ – დობაზაფა „დაბერტყება“; ახტყაბა „შეწვა“ – ახცხულა „შეტრუსვა“* და სხვ.).
29. ქართველურ ენათა ანდაზებში ფონოსემანტიკური ლექსიკა **რითმისა** და **რიტმის** მოსაწესრიგებლადაც გამოიყენება (ერთი ანდაზის ფარგლებში *შიშინა* და *სისინა* რიგის დაპირისპირება; *ყლაპე – კაპე, ჩხრიალებს – ხრიალებს* ტიპის ოპოზიციურ ერთეულთა თავმოყრა და სხვ.).
30. ქართველურ ენათა ანდაზებში **გენდერული სტერეოტიპები** არ არის მხოლოდ ანდროცენტრული ტენდენციების გამომხატველი. **გენდერული ასიმეტრიის** პარალელურად შეინიშნება **გენდერული გათანაბრების** ტენდენციაც. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, როდის შეიქმნა ესა თუ ის ანდაზა, რა სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი უდევს მის წარმოშობას და სხვ.

კვლევის პერსპექტივების თვალსაზრისით გამოიკვეთა, რომ:

31. ქართველურ ენათა ანდაზების შესწავლა თანამედროვე მეთოდური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით კორპუსლინგვისტური კვლევების ახალ შესაძლებლობებს ქმნის, რაც ანდაზებში წარმოდგენილი ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის სტატისტიკური ანალიზის საშუალებასაც იძლევა.

32. არსებული თეორიული და ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინებით, ნათლად ჩანს ქართველურ ენათა ანდაზების კორპუსის (resp. ელექტრონული ბაზის) შექმნის საჭიროებაც, რაც ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზაციისა და საფრთხეში მყოფი მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ენობრივი მონაცემების რევიტალიზაციისთვისაც საშური საქმეა.
33. ქართველური ენების ანდაზური ფონდის კორპუსლინგვისტური კვლევა, არსებულის ვერიფიცირებასთან ერთად, დიდი მოცულობის მასალაზე (big data) დაყრდნობით ახალი დასკვნების გამოტანის საშუალებასაც იძლევა.
34. გლობალიზაციისა და თანამედროვე ციფრული სამყაროს პირობებში, ანდაზების დიდაქტიკური ხასიათის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება ანდაზის, როგორც ხალხური სიბრძნის უმთავრესი წყაროს, პოპულარიზაციის გააქტიურება მოზარდ თაობაში.
35. ნათლად იკვეთება მხატვრულ ტექსტებში, უპირველესად, კლასიკოსთა ნაწარმოებებში, ანდაზის გამოყენების ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც, თავის მხრივ, ანდაზური შინაარსის სწორ დეკოდირებასაც მოითხოვს.

ამგვარად, ქართველურ ენათა ანდაზების ენობრივმა (სტრუქტურულ-სემანტიკურმა) და ლექსიკურმა ანალიზმა, კვლევის პერსპექტივების ცალკეულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებამ წარმოაჩინა, რომ

ანდაზისთვის დამახასიათებელი უნივერსალური სიბრძნე და მორალი საერთოქართველურ ჩარჩოში განიხილება; კონკრეტული თავისებურებები ვერ ცვლიან საერთო სურათს და ერთიანი ენობრივი მსოფლხედვის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ადასტურებენ. მონოგრაფიაზე მუშაობამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სამომავლო კვლევები რამდენიმე მიმართულებით უნდა წარიმართოს, რაც მნიშვნელოვნად წაადგება როგორც ტიპოლოგიური ენათმეცნიერების განვითარებას, ასევე ეროვნული მეცნიერების პოპულარიზაციას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. **აბესაძე 1965:** ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, გვ. 229-257, თბილისი.
2. **ადეიშვილი 2013:** ქ. ადეიშვილი, არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი. ფრანგული და ქართული ენების მასალაზე), სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
3. **ავალიანი 2021:** ლ. ავალიანი, მეზობლობასთან დაკავშირებული ანდაზები არაბულსა და ქართულში, ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა", XXV, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", გვ. 39-42, ქუთაისი.
4. **ავალიანი 2020:** ლ. ავალიანი, შრომასა და სიზარმაცესთან დაკავშირებული ზოგიერთი ანდაზა არაბულსა და ქართულში, ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა", XXIV, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", გვ. 17-21, ქუთაისი.
5. **ავალიანი 2018:** ლ. ავალიანი, ლექსემები „ენა", „სიტყვა", „საუბარი" და მათი მნიშვნელობა (არაბული და ქართული პარემიების საფუძველზე), სა-

მეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №20, გვ. 9-15, ქუთაისი.

6. **ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
7. **არაბული 2008:** ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
8. **არაბული 2002:** ა. არაბული, წერა-მწერელნი, ქართული ფოლკლორი, 1 (XVII), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გვ. 19-28, თბილისი.
9. **ასათიანი 2009 (ა):** რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, კრებულში „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბილისი.
10. **ასათიანი 2009 (ბ):** რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, კრებულში „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, გვ. 14-29, თბილისი.
11. **ასათიანი 1979:** რ. ასათიანი, ფონეტიკური სიმბოლიზმისათვის, ჯევანმარდი II, გვ. 15-20, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

